

ჩვენი საქართველო 6



მე-6 კლასი

მასწავლებლის
ნიგნი

მზია სურგულაძე
ნინო მინდაძე

ვაჟა ნეიძე

ნინო ერემაშვილი

გიორგი მშვენიერაძე

ეკატერინე სუმბათაშვილი

თამარ უზუნაშვილი

ნინო მამალაძე



ლოგოს
ჰეხსი

ჩვენი საქართველო, მე-6 კლასი. მასწავლებლის წიგნი

საგანი: ჩვენი საქართველო

გამომცემელი: შპს “ლოგოს პრესი”

ავტორები: მზია სურგულაძე, ნინო მინდაძე, ვაჟა ნეიძე, ნინო ერემაშვილი, გიორგი მშვენიერაძე, ეკატერინე სუმბათაშვილი, თამარ უზუნაშვილი, ნინო მამალაძე

მთავარი რედაქტორი: ლაშა ბერაია

რედაქტორი: ეკატერინე სუმბათაშვილი

გარეკანის დიზაინი: დიანა რუსიტაშვილი

გრიფის მინიჭების წელი: 2011

ISBN 978-9941-418-27-3

შპს “ლოგოს პრესი”

ილია ჭავჭავაძის გამზირი 15ა, თბილისი 0179

ტელ. 291-51-01

www.logospress.ge

© შპს “ლოგოს პრესი”, 2011

© მზია სურგულაძე, ნინო მინდაძე, ვაჟა ნეიძე, ნინო ერემაშვილი, გიორგი მშვენიერაძე, ეკატერინე სუმბათაშვილი, თამარ უზუნაშვილი, ნინო მამალაძე, 2011

ეს გამოცემა დაცულია საქართველოს კანონით საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ. გამოცემის რომელიმე ნაწილის რეპროდუცირება, კოპირება ან გადაცემა მექანიკური თუ ელექტრონული ფორმით აკრძალულია გამომცემლობის წერილობითი ნებართვის გარეშე.

Our Georgia, 6th grade. Teacher's Book

Mzia Surguladze, Nino Mindadze, Vazha Neidze, Nino Eremashvili,
Giorgi Mshvenieradze, Ekaterine Sumbatashvili, Tamar Uzunashvili,
Nino Mamaladze

Published by Logos Press Ltd

15a, Chavchavadze Ave., 0179, Tbilisi, Georgia

tel.: +995 32 2915101

www.logospress.ge

რეცენზია V-VI კლასების სახელმძღვანელოსთვის “ჩვენი საქართველო”

სახელმძღვანელოში „ჩვენი საქართველო“ ინტეგრირებულია სამი საგანი: ისტორია, გეოგრაფია და სამოქალაქო განათლება. აქ შესულია ყველა საჭირო თემა და თავმოყრილია საინტერესო ინფორმაცია, რომელიც გამდიდრებულია ვიზუალური მასალით. მისი შესწავლა მოზარდს საშუალებას მისცემს, გაიცნოს ჩვენი ქვეყნის მრავალფეროვანი ბუნება, ისტორია, ხალხი და ტრადიციები.

მარინა პიტეურიშვილი

ისტორიის მასწავლებელი

ქ. თბილისის №90 საჯარო სკოლა

სახელმძღვანელო “ჩვენი საქართველო” ეფუძნება ორწლიან საგნობრივ პროგრამას და კონცეფცია მთლიანად იზიარებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.

სახელმძღვანელო ხელში აღებისას უკვე იმსახურებს ყურადღებას და სურვილს აჩენს, რომ დაათვალიერო, გაეცნო და მეტი გაიგო შენი სამშობლოს ბუნების, დასახლებების, მოსახლეობის, ტრადიციების, წეს-ჩვეულებების შესახებ. მოსწავლე გაიგებს, რა არსებითი ნიშნები იყო დამახასიათებელი საქართველოს მხარეებისთვის. წინამდებარე სახელმძღვანელოთი მოსწავლე, ფაქტობრივად, იმოგზაურებს საქართველოს ყველა მხარეში, მიეცემა საშუალება, აღმოაჩინოს მათ შორის მსგავსება და განსხვავებები, გაიაზრებს თითოეულის უნიკალურობას.

მოცემულია გამართული საცნობარო აპარატი – სარჩევი, ლექსიკონი და ტერმინთა საძიებელი, რაც მოსწავლეს ბავშვობიდანვე ასწავლის სახელმძღვანელოსა და ზოგადად სამეცნიერო ლიტერატურის მოხმარების წესებს.

ილუსტრაციები სახელმძღვანელოს მნიშვნელოვანი ღირსებაა, რაც მასალას უფრო აქტუალს ხდის. რუკები და სხვა ილუსტრაციები არა მხოლოდ ტექსტების ლოგიკური შემავსებლებია, არამედ საგანმანათლებლო მნიშვნელობისაა, რაც დავალებებში იკვეთება, დეტალური ინსტრუქციები კი მასწავლებლის წიგნშია მოცემული.

მანანა რატანი

გეოგრაფიის ექსპერტი

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი

სახელმძღვანელო 2011-2016 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზეა შექმნილი, რომელიც V-VI კლასებში ისტორიის, გეოგრაფიისა და სამოქალაქო განათლების ინტეგრირებულ სწავლებას ითვალისწინებს. მისი საშუალებით მოსწავლე გაეცნობა საქართველოს ბუნებრივ პირობებს, მოსახლეობის მახასიათებლებს, მხარეებს, ქართული მეურნეობისა და კულტურის ტრადიციულ დარგებს; ასაკობრივი მონაცემების გათვალისწინებით თვალს მიადევნებს საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიას.

საინტერესოდ და მრავალფეროვნად გადმოცემული სასწავლო მასალა მოსწავლეს საშუალებას მისცემს, ერთმანეთს დაუკავშიროს წარსული და თანამედროვეობა, რაც ხელს შეუწყობს მის პატრიოტ, პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქედ ჩამოყალიბებას.

ნიკოლოზ სილაგაძე

ისტორიის ექსპერტი

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი

შინაარსი

I. ჩვენი საქართველო, V–VI კლასების სერიის ერთიანი კონცეფცია 5

მოსწავლის ნიგნები 5
მასწავლებლის ნიგნი 5

II. პროგრამა საზოგადოებრივ მეცნიერებებში 6

ზოგადი ნაწილი 6
ძირითადი მიდგომები 8

III. V–VI კლასი, ჩვენი საქართველო, საგნობრივი სტანდარტი 12

ორი წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები
მიმართულებების მიხედვით 12
ორი წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები
და მათი ინდიკატორები 13

IV. შეფასება საზოგადოებრივ მეცნიერებებში 18

შეფასების მიზანი 18
შეფასების ორი ტიპი 18
მოსწავლეთა შეფასების (ნიშნების წერის) სისტემა 20
ოფიციალური სტატუსის მქონე ნიშნები 21
სემესტრული ნიშნის შემადგენელი ნაწილები 21
შეფასების კომპონენტები საზოგადოებრივ მეცნიერებებში 21
შემაჯამებელი დავალების კომპონენტი 22
შემაჯამებელი დავალების სავალდებულო მინიმალური რაოდენობა 23
გამოცდის ტიპები 23
ნიშნების გამოანგარიშების წესი 24
საფეხურის დაძლევა 25
მოსწავლეების აკადემიური მიღწევების აღიარება 25
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლის აკადემიური მოსწრების შეფასება 26
სკოლის მიერ მისაღები გადანყვეტილებები შეფასებასთან დაკავშირებით 26

V. შეფასების რუბრიკის ნიმუშები 26

პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა 26
პროექტის შეფასების განზოგადებული რუბრიკა 27
რეფერატის შეფასების რუბრიკა 28
დისკუსიის შეფასების რუბრიკა 28
შემაჯამებელი დავალების კონკრეტული მაგალითი ისტორიაში 29
რეფერატის შეფასების რუბრიკა 29
შემაჯამებელი დავალების კონკრეტული მაგალითი გეოგრაფიაში 31

VI. მეთოდის ძირითადი ორიენტირები 32

სწორი ლექსიკის გამოყენება 32
კავშირები საგნებს შორის 32
აქცენტი მრავალმხრივ პერსპექტივაზე 32
აქცენტი პიროვნული ღირსებების განვითარებაზე 32
დისციპლინა 32
მოსწავლეთა დასწრება 32
დასწრების აღრიცხვა 33
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეების დასწრება და გაცდენები 33
გაკვეთილის დაგეგმვა 33
გაკვეთილის, თემის, თავის შეჯამება 33

VII. გაკვეთილების სცენარებში გამოყენებული ინტერაქტიული მეთოდები 34

ბლუმის ტაქსონომია 35

VIII. შინაარსისა და მისაღწევი შედეგების რუკა 36

IX. გაკვეთილების სცენარები, კომენტარები და სავარჯიშოების პასუხები 42

X. თავების შემაჯამებელი სავარჯიშოების პასუხები 69

XI. ბიბლიოგრაფია 72

XII. ინტერნეტ-რესურსები 79

I. ჩვენი საქართველო, V-VI კლასების სახელმძღვანელოების ერთიანი კონცეფცია

მოსწავლის წიგნები

V-VI კლასების სახელმძღვანელოები “ჩვენი საქართველო” ერთიანი სერიის ფარგლებში აგებულია მხარეთმცოდნეობითი პრინციპით. მოსწავლე გაეცნობა გეოგრაფიული და ისტორიული მეცნიერებების იმ ძირითად ცნებებს და მეთოდებს, რომლებიც დაეხმარება გაკვეთილების ათვისებაში, მარტივი სააზროვნო დავალებების დამოუკიდებლად შესრულებაში, – მაგალითად, მონოდეზიგნის მასალის აღწერა-სისტემატიზაცია-შედარებაში, ადგილის/მოვლენის სივრცული/დროული კოორდინატებით განსაზღვრაში და სხვ.

V კლასში მოსწავლე გაეცნობა საქართველოს მრავალფეროვან ლანდშაფტს, ბუნებრივ რესურსებს და ზოგადად ზონალური მეურნეობების განმაპირობებელ გარემოს, რამაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, ხელი შეუწყო საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეების (კუთხეების) ჩამოყალიბებას.

ცალკეულ კუთხეს V კლასის სახელმძღვანელოში ეძღვნება ცალკე თემა. ყოველ მათგანში შესულია გეოგრაფიული და ისტორიულ-ეთნოგრაფიული თემატიკის გაკვეთილები, რომლებიც მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს ერთიანობაში აღიქვას გარემო და ადამიანი, გაეცნოს კუთხის მდებარეობას, საზღვრებს, ჰავას, ბუნებრივ რესურსებს და მათი ათვისების ისტორიას კუთხისათვის ტრადიციულ სასოფლო-სამეურნეო და ხელოსნურ დარგებთან, ასევე თანამედროვე სამეწარმეო საქმიანობასთან კავშირში. მოსწავლეს წარმოადგენს შექმნება მოსახლეობის ტრადიციულ ყოფაცხოვრებაზე; საზოგადოებრივი ცხოვრების დამარეგულირებელ ადათებზე; სახალხო და საოჯახო დღესასწაულებზე, მათ რელიგიურ ხასიათზე; აღზრდის წესებზე და სპორტის სახეობებზე; თანამედროვე დემოგრაფიულ ვითარებაზე; სხვადასხვა ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებთან თანაცხოვრების გამოცდილებაზე.

V კლასის სახელმძღვანელო მოსწავლეს დაეხმარება შეიმეცნოს ცალკეული კუთხის თავისებურება, ამასთანავე დაინახოს მათ შორის მუდმივად არსებული ეკონომიკური და კულტურული კავშირები, შეაფასოს სულიერი და მატერიალური ფაქტორების (სარწმუნოების, ვაჭრობა-ხელოსნობის, გზების) მნიშვნელობა კუთხეთა ინტეგრაციის პროცესისათვის. კუთხის ისტორიის გადმოცემისას შეირჩევა ისეთი მაგალითები, რომლებიც მოსწავლეს გაუადვილებს V კლასში დაიწყოს, ხოლო VI-ში გაიღრმავოს ისეთი ცნებების გააზრება, როგორცაა: საზოგადოება, სახელმწიფო, პოლიტიკური მართვის სისტემა, საზოგადოებრივი ფენები და ჯგუფები. უპირატესად VI კლასში მოსწავლე გაეცნობა გამორჩეულ ისტორიულ პირებს, მათი საქმიანობის მნიშვნელო-

ბას კუთხისა და მთლიანად ჩვენი სამშობლოს ისტორიულ ცხოვრებაში. წარსულის მოღვაწეთა შერჩევასა გათვალისწინებული იქნება სამოღვაწეო სფერო, მათი საქმიანობის მნიშვნელობა საერთო ეროვნული (პოლიტიკური, სულიერი, საზოგადოებრივი) და სამოქალაქო ღირებულებების შექმნა-გადარჩენისათვის.

საქართველოს ისტორიული კუთხეების ლოკალურ თავისებურებებთან ერთად სახელმძღვანელოებმა უნდა უჩვენოს კუთხეთა განუყოფლობა, თითოეული კუთხის ადგილი და განსაკუთრებული როლი ერთიანი საქართველოს კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, გააძლიეროს მოსწავლეში ერთიანი სამშობლოს აღქმა და მოქალაქეობრივი სოლიდარობის განცდა. გაკვეთილთა კონკრეტული თემატიკა და დავალებები შეფარდებული იქნება ამ რიგის ამოცანებთან.

V-VI კლასების “ჩვენი საქართველო” საგნობრივი პროგრამის მოთხოვნის გათვალისწინებით – V კლასში არ იქნას გამოყენებული დროის ხაზი – გამომცემლობამ და ავტორთა ჯგუფმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს V კლასის სახელმძღვანელოში წინა პლანზე იყოს წამოწეული საქართველოს კუთხეების გარემოსთან და ეთნოგრაფიულ თავისებურებებთან დაკავშირებული საკითხები, ისტორიისა და სამოქალაქო განათლების თემატიკა კი ძირითადად VI კლასის სახელმძღვანელოში აისახოს. ამით, ერთი მხრივ, თავიდან იქნება აცილებული ისტორიის მითოლოგიზაციის არასასურველი შედეგი, რაც ბუნებრივად მოჰყვებოდა ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების ისტორიული დროისგან მონყვევით, ეპოქალური კონტექსტის გარეშე წარმოდგენას, ხოლო, მეორე მხრივ, ეს საშუალებას მისცემს მოსწავლეს, მიიღოს ცოდნა თანმიმდევრულად, მარტივიდან რთულისკენ სვლის პრინციპით: კუთხეების გარემოსა და ეთნოგრაფიის საინტერესოდ გაცნობა იქნება ერთგვარი შესავალი, რომლის მიზანია ინტერესი გაუღვივოს მოსწავლეს მომდევნო კლასებში თავისი ქვეყნის წარსულისა და დღევანდელი შესასწავლად, საზოგადოების განვითარების ისტორიის უკეთ გასაგებად.

მასწავლებლის წიგნი

მასწავლებლის წიგნში მოცემულია ყველა ტიპური გაკვეთილის სცენარი. მათი შედგენისას ჩვენი მიზანი იყო გაკვეთილი მოსწავლისათვის საინტერესო და სახალისო გაგვეხადა. დავალებების შედგენისას გავითვალისწინეთ მოსწავლეთა ინტერესები და ასაკობრივი შესაძლებლობები და მოსწავლის გაკვეთილით დასაინტერესებლად შევეცადეთ გამოგვეყენებინა ინტერაქტიული სწავლების მეთოდების სხვადასხვა ფორმა.

II. საგნობრივი პროგრამა საზოგადოებრივ მეცნიერებებში

1.1. ზოგადი ნაწილი

ა) შესავალი

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულია მომიჯნავე დისციპლინები - ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება. საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მათ საკვანძო ადგილი უჭირავთ. ისინი ხელს უწყობენ ინფორმირებული, აქტიური და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის აღზრდას. აწვდიან მოსწავლეს ინფორმაციას მშობლიური გარემოს შესახებ. განაპირობებენ მის პატრიოტ და ჰუმანურ ადამიანად ჩამოყალიბებას. ამასთან, აღნიშნული საგნების სწავლებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლისათვის სამოქალაქო კომპეტენციების შექმნისა და საზოგადოებაში სამოქალაქო კულტურის დამკვიდრებისათვის. ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე (დანყებითი, საბაზო და საშუალო სკოლა) ეს საგნები ისწავლება კოორდინირებულად მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. სასწავლო პროცესი აგებულია მემკვიდრეობითობისა და უწყვეტობის პრინციპზე.

ბ) საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლების მიზნები და ამოცანები

საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლების მიზანია:

- მოსწავლეს ცოდნა შესძინოს ისტორიის, გეოგრაფიის, სამართლის, ეკონომიკის, პოლიტიკისა და სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებების საფუძვლებში.
- დაეხმაროს მოსწავლეს სამყაროს ერთ მთლიანობად აღქმაში და განსაზღვროს საქართველოს ადგილი მიმდინარე პროცესებში.
- ხელი შეუწყოს მოსწავლის პატრიოტად და პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქედ ჩამოყალიბებას.
- ხელი შეუწყოს მოსწავლის თავისუფალ პიროვნებად და საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებას.
- დაეხმაროს მოსწავლეს ჰუმანური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში.
- ახალგაზრდებს გამოუმუშავდეთ მტკიცე ნებისყოფა, განუვითარდეთ ექსტრემალურ სიტუაციებში შეუცდომლად და უსაფრთხოდ მოქმედების უნარი, შეეძლოთ ურთიერთდახმარება, საკუთარი და გვერდით მყოფის სიცოცხლის გადარჩენა სხვადასხვა სახის საგანგებო ვითარებაში.

ცოდნა

საზოგადოებრივი მეცნიერებები ხელს უწყობს ცოდნის შექმნას, რაც აუცილებელია მოზარდის თავისუფალ პიროვნებად და პასუხისმგებელ მოქალაქედ ჩამოყალიბებისათვის. სხვადასხვა საზოგადოებრივ მეცნიერებების შესწავლა ეხმარება მოსწავლეს, რომ მსოფლიო კონტექსტში გაიაზროს საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრივი, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები. იმავდროულად, მოსწავლემ უნდა

იცოდეს, რა ბუნებრივ გარემოში ცხოვრობს, რა ზიანი შეიძლება მიაყენოს გარემოს ადამიანის ამა თუ იმ მოქმედებამ, როგორ შეინარჩუნოს და დაიცვას ბუნებრივი გარემო. სწორედ, საზოგადოებრივი მეცნიერებების შესწავლით უვითარდება მოზარდს ცოდნა პირად, ოჯახურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დამოუკიდებელ გადწყვეტილებათა მიღება-განხორციელების შესახებ. დღევანდელ დინამიკურ, ეთნიკურად და კულტურულად მრავალფეროვან სამყაროში საზოგადოების ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ურთიერთშემეცნება. სწორედ, საზოგადოებრივი მეცნიერებების შესწავლისას ხდება იმ ცოდნის მიღება, რაც ეხმარება მოსწავლეს ადამიანის უფლებების დაცვასა და პიროვნების პატივისცემაში, საკუთარი და სხვისი თვითმყოფადობის შესანარჩუნებაში.

მოსწავლემ, ასაკის შესაბამისად, ცოდნის ნაბიჯ-ნაბიჯ ათვისების გზით, უნდა იცოდეს თუ რა არის პოლიტიკური სისტემა, კანონი, როგორი პოლიტიკური სისტემები არსებობს; უნდა გააცნობიეროს საკუთარი პასუხისმგებლობები და უფლებები დემოკრატიული საზოგადოებისა და კანონის უზენაესობის წინაშე; უნდა იცნობდეს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ჩარჩოებს, ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმებსა და საშუალებებს საქართველოში და ა.შ.

მოსწავლე უნდა აცნობიერებდეს თავს, როგორც საკუთარი ოჯახის, საზოგადოების, სასკოლო თემისა თუ კლასის, სამეზობლო თემის, რეფერენტული ჯგუფის (იქნება ეს ეთნიკური თუ რელიგიური უმცირესობა თუ სატიტულო ნაცია და ა.შ.), ქართული საზოგადოების წევრად; იცნობდეს საკუთარი ქვეყნის, საზოგადოებისა და რეფერენტული თემის კულტურას; საქართველოში თუ მსოფლიოში მცხოვრები სხვა საზოგადოების კულტურას; იაზრებდეს, რას ნიშნავს ზრუნვის ეთიკა და რატომ არის ის ღირებული და ა.შ.

მოსწავლე ნაბიჯ-ნაბიჯ, საფეხურებრივად, უნდა გაეცნოს თავისი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის ძირითად ასპექტებს: შრომისა და სამომხმარებლო ბაზარს, მინიმალურ ხელფასს და მსყიდველობითუნარიანობას და ა.შ.; შეძლებისდაგვარად, უნდა იყოს ინფორმირებული მომხმარებლის უფლებებსა და მოვალეობებზე, პასუხისმგებლობითი და ეთიკური მოხმარების მნიშვნელობასა და პრინციპებზე; გამჭვირვალობის მნიშვნელობაზე და ა.შ.

მოსწავლემ უნდა ნაბიჯ-ნაბიჯ, საფეხურებრივად შეითვისოს ცოდნა ისეთ სფეროებზე, როგორიცაა მდგრადი განვითარება, გარემოს დაცვა, ცხოვრების ჯანსაღი წესი, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში სიტუაციების შეფასება, საგანგებო ვითარებებში მოქმედება, ინდივიდუალური და კოლექტიური დაცვის საშუალებების გამოყენება, დაზარალებულთათვის ექიმადელი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა; უნდა შეიგრძნოს საკუთარი ქვეყნის ადგილი; რეგიონის კავშირი ევროპასა და მსოფლიოში მიმდინარე პროცესებთან; უნდა გააცნობიეროს ყველა ამ პროცესის ურთიერთკავშირი; უნდა გააცნობიეროს კაცობრიობის, როგორც მსოფლიოს ერთიანი საზოგადოების წინაშე მდგარი პოლიტიკური, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური გამოწვევები.

ამ პროცესში იგულისხმება, რომ მოსწავლეს ინფორმაციის დაუფლების პარალელურად უვითარდება სპეციფიკური და ზოგადი უნარ-ჩვევები, უყალიბდება მაღალზნეობრივი ღირებულებები.

კონკრეტული თემატიკა/საკითხები/კონცეფციები გაშლილია თითოეული კლასისა და საგნის პროგრამის შინაარსში. აღნიშნული ცოდნის შექმნა ითვალისწინებს არა მხოლოდ საგნობრივ სპეციფიკასა და უწყვეტობას, არამედ მოსწავლეთა ასაკობრივ შესაძლებლობებს.

უნარ-ჩვევები

მშობლიური ქვეყნისა და მსოფლიოს მნიშვნელოვანი ისტორიულ-გეოგრაფიული მოვლენების შესწავლის პროცესში მოსწავლეს უნდა განუვითარდეს შემდეგი უნარები:

- სივრცეში ორიენტაცია
- ინფორმაციის მოპოვება და ორგანიზება
- კომუნიკაცია
- სწავლის უნარი
- კვლევა
- შემოქმედებითი უნარი
- ფაქტებისა და მოვლენების ისტორიული ინტერპრეტაცია
- თვალსაჩინოებების გამოყენება და შექმნა
- გეოგრაფიული მოვლენების, პროცესებისა და კანონზომიერებების გავრცელების დადგენა
- თანამშრომლობა
- სამოქალაქო პოზიციის შემუშავება, კრიტიკა და დაცვა
- ტოლერანტობა
- პიროვნული და საზოგადოებრივი პრობლემის გააზრება და სხვადასხვა საკითხებს შორის კავშირების დადგენა
- პიროვნული და საზოგადოებრივი პრობლემის გადაჭრა
- საზოგადოებრივი სიტუაციებისა და პროცესების მოდელირება
- სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში სიტუაციების შეფასება
- საგანგებო ვითარებებში მოქმედება

დამოკიდებულებები

მოსწავლე უნდა აღიზარდოს მაღალზნეობრივ ღირებულებებზე დაფუძნებული დამოკიდებულებებით:

- ადამიანის ღირსებისა და უფლებების პატივისცემა
- თანაგრძნობა და მზრუნველობა
- სამშობლოს სიყვარული
- პრინციპულობა და მოქალაქეობრივი სიმამაცე
- კეთილსინდისიერება და შრომისმოყვარეობა
- თანასწორობა
- ტოლერანტობა
- სამართლიანობა და კანონის პატივისცემა
- უსაფრთხო, ჯანმრთელი ცხოვრების წესის გაზიარება;
- ადამიანის სიცოცხლის ხელშეუხებლობა და მის ჯანმრთელობაზე ზრუნვა;
- სახელმწიფოსა და მისი გმირებისადმი პატივისცემა.

გ) საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლება სხვადასხვა საფეხურზე

დანწყებითი საფეხური

სკოლის დანწყებით საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების დამოუკიდებელი შესწავლა იწყება V კლასიდან. მოსწავლეები ორი წლის განმავლობაში შეისწავლიან კურსს “ჩვენი საქართველო”. ამ საგნისთვის რეკომენდებული სასწავლო დატვირთვა ყოველწლიურად განსაზღვრულია 3 კვირეული საათით.

2-წლიანი სასწავლო კურსი “ჩვენი საქართველო” მოსწავლეს ეხმარება საკუთარი ქვეყნის მრავალმხრივად დანახვასა და მისდამი სიყვარულის გალრმავებაში.

ამ ასაკში მოსწავლეებმა უნდა გაითავისონ, რომ თავად ისინი საზოგადოების სხვა წევრების მსგავსად საქართველოს მოქალაქეები არიან. მათ უნდა გაიაზრონ, რომ საქართველოს მოქალაქეებს საერთო გარემო, წარსული, აწმყო და მომავალი აერთიანებთ და რომ დღევანდელი საქართველო, როგორც სახელმწიფო, მათ ერთიანობას ეფუძნება.

კურსის ფარგლებში, V კლასიდან ბავშვი იწყებს ისტორიის საკითხების შესწავლას, გეოგრაფიის საფუძვლებისა და ძირითადი მეთოდების დაუფლებას - სხვადასხვა ისტორიულ-გეოგრაფიული ინფორმაციის ასახვის გრაფიკული საშუალებების (რუკა, გლობუსი, ცხრილი, დიაგრამა, გრაფიკი, ფოტო, სქემატური ნახატი და სხვა) გამოყენებას, ეცნობა სამოქალაქო საზოგადოებისათვის დამახასიათებელ ძირითად პრინციპებს;

სასწავლო კურსის ცენტრშია ადამიანი, უშუალოდ მის გარშემო არსებული სამყარო და საქართველოში მათი ურთიერთკავშირის ხანგრძლივი ისტორია.

დანწყებითი საფეხურის ამ ეტაპზე მოსწავლე ეცნობა საკუთარ ქვეყანას, მის მხარეებს, ადგილებს, რომლებსაც წარსულში მომხდარი სხვადასხვა საინტერესო ამბავი, პიროვნება და კულტურის ძეგლი უკავშირდება. ეს გააღვივებს მოსწავლის ცნობისმოყვარეობას წარსულის მიმართ და ყმანვილებს განსხვავებული და განცალკევებული ინფორმაციის ერთიანად აღქმა-გააზრებას გაუადვილებს. ასაკობრივ თავისებურებზე დაყრდნობით იწყება სხვადასხვა აუცილებელი ცნებების გარკვევა, რაც მომდევნო საფეხურზე მოსწავლის ცნობიერებაში გამოკვეთილად გამოთლიანდება მისი სამშობლოს ცნებად. ყოველივე ზემოთ ხსენებული შეისწავლება მხარეთმცოდნეობითი პრინციპის გამოყენებით.

მხარეთმცოდნეობის პრინციპით სამშობლოს ისტორიისა და გეოგრაფიის შესწავლისას, ბავშვები გაარკვევენ, რომ საქართველოს ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი მისი ბუნებრივი, ეთნიკური, რელიგიური და კულტურული მრავალფეროვნებაა.

V-VI კლასებში მოსწავლეები საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს საკითხებს გაეცნობიან. მასწავლებლის დახმარებით ბავშვებმა უნდა შეძლონ სხვადასხვა - სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული - კუთხით დააკავშირონ საქართველოს წარსული და თანამედროვეობა. ინფორმაციის მიღებისათვის მათ სხვადასხვა სახის წყაროები უნდა მივანოდოთ, რაც ამ ასაკისთვის შესაფერისი სიღრმის

განსჯისა და წვდომის საშუალებას მისცემს. შედეგად, მოსწავლეები იმასაც აღმოაჩენენ, რომ წარსული სხვადასხვა პერსპექტივიდან შეიძლება იქნეს დანახული და გაგებულნი.

მოსწავლე უნდა იცნობდეს თავის საცხოვრებელ გარემოს, საქართველოს ღირსშესანიშნავ ადგილებს, მის მრავალფეროვან კულტურას, ბუნებრივ პირობებს, ბუნებრივ რესურსებსა და ეკონომიკის გავრცელებულ დარგებს.

მოსწავლეები ეცნობიან თუ როგორი გავლენა აქვს წარსულს აწმყოზე და გარემო პირობებს ადამიანების გადაწყვეტილებებზე, როგორ ცხოვრობდა ხალხი ადრე, როგორ იღებდნენ გადაწყვეტილებებს, როგორ შრომობდნენ და ომობდნენ, რა ყოფითი თავისებურებები ახასიათებდათ და ა. შ. ამ ინფორმაციის შექმნასთან ერთად, ყმანვილებს უვითარდებათ დროის შეგრძნება. ისინი თანდათან შეძლებენ მნიშვნელოვანი ისტორიული თუ გეოგრაფიული მოვლენების ქრონოლოგიურ ჩარჩოში მოქცევას.

ისინი თვალნათლივ დაინახავენ ადამიანთა გამოცდილების მრავალფეროვნებას. მოსწავლეები შეძლებენ გაიაზრონ რაც უკვე იცოდნენ, ან ახლა გაიგეს საკუთარ თავზე, როგორც პიროვნებაზე, მოქალაქესა და საზოგადოების წევრზე.

მოსწავლეებმა უნდა გაიაზრონ რა არის ერი და სახელმწიფო, როგორ იქმნება იგი დროსა და სივრცეში, როგორ არის წარმოდგენილი იგი ყმანვილთა უშუალო გარემოში, მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში. მოსწავლეებმა უნდა შეისწავლონ ძირითადი ტერმინები და ცნებები, რომლებიც ქვემოთ არის მოცემული:

1. ისტორია - საგანი და მიზანი, წყაროები, ინტერპრეტაცია, უწყვეტობა და ცვლილება;

2. გეოგრაფია - რუკა; ტერიტორია, საზღვრები, ადმინისტრაციული დანაწილება, მხარე, რეგიონი, ბუნებრივი გარემო, რელიეფი, ჰიდროგრაფია, კლიმატი, ფლორა, ფაუნა, ბუნებრივი რესურსები, მოსახლეობა, დასახლებები, ეკონომიკის დარგები, კავშირი ბუნებასა და ადამიანს შორის, გარემოს დაცვა;

3. დრო - ქრონოლოგია, წარსული, აწმყო, მომავალი, კალენდარი, დროის ერთეულები, ადრე/გვიან, ისტორიული ეპოქა/პერიოდი;

4. სივრცე - ბუნებრივი გარემო, ადგილი, ტერიტორია, ბუნებრივი და ანთროპოგენული ლანდშაფტი - დასახლების ტიპები და ფუნქციები;

5. ეკონომიკა - სასოფლო და საქალაქო მეურნეობა, ვაჭრობა, ფულადი ურთიერთობები და კომუნიკაციები: გზები, ტრანსპორტი: სახმელეთო, სამდინარო, საზღვაო, საჰაერო; მობილური, ფოსტა, ელ-ფოსტა;

6. მეცნიერება - განათლება, აღმოჩენა, გამოგონება, პროფესია, დაკვირვება, კვლევა, დასაბუთება, მეცნიერული აზრის განვითარება;

7. კულტურა - არქიტექტურა, დამწერლობა, ტრადიცია, წეს-ჩვეულება, ადათი, ფოლკლორი, მეცნიერება;

8. რელიგია - რიტუალი, მითოსი, ღვთისმსახურება, რწმენა;

9. ერი - პიროვნება, ოჯახი, წინაპრები, საზოგადოება/ფენები და მისი წევრები, ქცევის ნორმები, წესები, მოსახლეობა - შობადობა/მოკვდავობა, ბუნებრივი მატება, უმრავლესობა/უმცირესობა, სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა;

10. სახელმწიფო - მოქალაქე, მმართველობა და მისი ფორმები, პოლიტიკა, კანონი, უსაფრთხოება, კონფლიქტი და თანამშრომლობა, წესრიგი, სამართალი, სიმბოლიკა;

”ჩვენი საქართველოს” სტანდარტით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად საზოგადოებრივი მეცნიერების მასწავლებელი სწავლების მრავალფეროვან მიდგომებს უნდა ფლობდეს, რათა საგნის შესწავლისას მოსწავლეებმა ეფექტურად აითვისონ მნიშვნელოვანი ცნებები, განივითარონ უნარ-ჩვევები და უფრო მომზადებულები აღმოჩნდნენ საბაზო საფეხურისთვის.

ძირითადი მიდგომები:

ცნებების შესწავლა

საზოგადოებრივი მეცნიერებების საბაზო და საშუალო საფეხურებზე სწავლა მხოლოდ მოსწავლის სათანადო მომზადების პირობებშია შესაძლებელი. რთული სოციალური, კულტურული და პოლიტიკური მოვლენების შესწავლა და გააზრება შეუძლებელია, თუ მოსწავლეები არ იცნობენ ძირითად საბაზისო ცნებებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებებისთვის მნიშვნელოვანი ცნებები მთელი კურსის მანძილზე გააზრებულად, მრავალმხრივად უნდა დამუშავდეს. ეს წარმატებულად მიიღწევა ამ ცნებების რეალურ ცხოვრებასთან, პირად გამოცდილებასა და გარემოსთან დაკავშირებით. მათი მრავალმხრივი დამუშავება მოსწავლეების მიერ საქართველოს წარსულის სხვადასხვა მაგალითების გაცნობით, შემდგომ მათი გააზრებითა და მათ შორის სხვადასხვა სახის კავშირების დადგენით მოხერხდება. სიღრმისეული შესწავლის შედეგად მოსწავლეები შეძლებენ ნასწავლის სხვადასხვა კონტექსტთან ადაპტირებას.

დანყებითი საფეხურის ამ ეტაპზე ბავშვები სწავლობენ მარტივი გეოგრაფიული კვლევის ჩატარებას. შესაბამისად, დავალებების დაგეგმვისას შემდეგი ორიენტირები უნდა იყოს გათვალისწინებული:

წყაროებსა და/ან თვალსაჩინოებებთან მუშაობა - ინფორმაციის მოძიება/ათვისება/გადმოცემის სხვადასხვა საშუალებების გამოყენება.

გაკვეთილის ჩასატარებლად მასწავლებელი უნდა იყენებდეს მრავალფეროვან წყაროებსა და თვალსაჩინოებებს. ეს შეიძლება იყოს სახელმძღვანელოებში არსებული სხვადასხვა სახის წყაროები, მასწავლებლის მიერ თემის შესაბამისად მომზადებული, მოსწავლის მიერ შექმნილი და შეგროვებული მასალა, დოკუმენტური თუ მხატვრული ფილმი; საოჯახო ფოტო ალბომები, დოკუმენტები, მიმონერა, ძველი ნივთები (მაგ. სამუშაო იარაღი, თუ ძველი ტელეფონის აპარატი). წყაროებსა და თვალსაჩინოებებთან მუშაობა ხდება როგორც საკლასო ოთახში, ასევე კლასის გარეთაც, მაგალითად, მუზეუმებში, სკოლის ეზოში.

ზემოთ აღწერილი ძირითადი საინფორმაციო წყაროები ისე უნდა იყოს შერჩეული, რომ მოსწავლეებს ნელ-ნელა განუვითარდეთ კითხვის საბაზისო უნარები (მინაარსის გამოტანა, საკვანძო საკითხების გამოცალკევება პარალელების მოძიებისა და დასკვნების გამოტანისთვის). ბავშვები უნდა გაერკვნენ, რომ „წაკითხვა“ ტექსტისაც შეიძლება და ფოტოსურათის ან ნივთისაც. ეს ყოველივე ინფორმაციის მოძიებას გულისხმობს.

შემდეგ ეტაპზე მოსწავლეები მიღებული ინფორმაციის შედარება/კლასიფიცირებაზე მუშაობენ მაგ.:

- ცხრილის ან ბარათების საშუალებით აჯგუფებს ბეჭდვის, კომპიუტერის ან სხვა თანამედროვე ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების გამოგონებების შედეგებს;
- რუკის დახმარებით ცხრილში აჯგუფებს ქალაქებს საქართველოს მხარეების მიხედვით;
- ადარებს ერთმანეთს სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა ფორმას და ირჩევს, მისი აზრით მისთვის მისაღებს;
- ასახელებს სხვადასხვა დასახლების ფუნქციონირებისთვის აუცილებელ პირობებს; მსჯელობს მათ მნიშვნელობაზე.
- ამ ასაკში უნდა ჩაეყაროს საფუძველი, ასევე, მოსწავლეების უნდას, თავად გამოხატონ ვიზუალურად ინფორმაცია (გრაფიკი, ცხრილი, ნახატი). მოსწავლეთა მონაწილეობით შექმნილი თვალსაჩინოებების გამოყენება სასწავლო რესურსად ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას.

სიმულაცია

ზემოთ ჩამოთვლილი საბაზისო ცნებების კარგად გასაგებად მოსწავლეებისათვის საკმაოდ საინტერესო და ნაყოფიერი იქნება სიტუაციური ან პროცესის სიმულაციის ტექნიკის გამოყენება.

- მასწავლებლის დახმარებით თანაკლასელებთან ერთად მოსწავლე დგამს საკლასო სპექტაკლს გამორჩეულ სახელმწიფო მოღვაწეზე; მსჯელობს სპექტაკლში გადმოცემული ისტორიული ფაქტების შესახებ (მაგ.: “პატარა კახი”)
- მონაწილეობს კონკრეტული რესურსის არარაციონალურად გამოყენების სიმულაციურ თამაშებში, მაგ.: საახალწლო ნაძვის ხეებით ან ბზობაზე ტყეში მოჭრილი ბზით ვაჭრობა).
- ამგვარი აქტივობები დაეხმარება ბავშვებს პრობლემის/ცნების დეკონსტრუქციასა და შემდეგ ერთიან, გააზრებულ აღქმამში. სიმულაციის ერთერთი ფორმაა ასევე როლური თამაშები. როლური თამაშებისას მოსწავლეები გაითამაშებენ სხვადასხვა სიტუაციას, სადაც სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ან პიროვნებების პერსპექტივიდან აღწერენ მოვლენას, პროცესს ან ცნებას.

მსჯელობა/გააზრება

ამ ეტაპისათვის დაგეგმილი სავარჯიშოები და აქტივობები უნდა ეფუძნებოდეს მეტ-ნაკლებად უკვე ათვისებულ ინფორმაციას, მაგ.:

- ჩამოთვლის და ახასიათებს მმართველობაში მონაწილე ისტორიულ პირთა მიერ გატარებულ სახელმწიფო ღონისძიებებს. განსაზღვრავს მათ შედეგებს;
- დროის სკალაზე აღნიშნავს, მისი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვან ოთხ (ან ხუთ) ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეს უძველესი დროიდან დღემდე და ახასიათებს მათ;
- ჩამოთვლის ომს (თავდაცვითი, დამპყრობლური), ახასიათებს მის შედეგებს;
- მსჯელობს გადამწყვეტი ბრძოლების, გამოჩენილი მეფეებისა და სხვა ცნობილ ისტორიულ პირთა მოღვაწეობის შესახებ.

თანაგრძნობა და გაათავისუფლება/ ემპათია

წარსულის სიმულაციურ რეკონსტრუქციასთან ერთად განსაკუთრებით სახალისო და ნაყოფიერია გასათავისუფლებელი სავარჯიშოების შემოტანა ყოველდღიური ყოფის, წეს-ჩვეულებების აღწერისას, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს არამარტო გაიაზრონ არამედ შეიგრძნონ წარსულში მცხოვრები ადამიანების მოტივაციები, სურვილები, ოცნებები. მათი თვალთ დაინახონ სამყარო, განიცადონ სხვა ეპოქის ადამიანების ცხოვრება.

მოსწავლეთა სათანადო ორგანიზაცია – სოციალური და საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების მრავალმხრივი განვითარებისთვის აუცილებელი ელემენტია.

საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებელმა კლასის ორგანიზებისას, მაგალითად ჯგუფური მუშაობისას, მოსწავლეებს მისცეს შესაძლებლობა ერთობლივად გადამწყვეტონ დასახული ამოცანები, მიიღონ განსხვავებული როლები: ნებისმიერ მოსწავლეს უნდა ეძლეოდეს საშუალება სხვადასხვა დროს იყოს პრეზენტატორი ან ლიდერი. თუკი მოსწავლე არის კარგი პრეზენტატორი, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მას ყოველთვის უნდა ევალუოდეს ჯგუფში ჩატარებული სამუშაოს წარდგენა.

ღირებულებების განვითარება

ადამიანი და საზოგადოება – მიმართულების შედეგების მისაღწევად მნიშვნელოვანია მათი განხილვა მოსწავლის პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით. ოჯახისა თუ მშობლიური მხარის მაგალითების განხილვით. მასწავლებელმა სასწავლო პროცესი უნდა წარმართოს ისე, რომ მოსწავლეებს განუვითაროს ადამიანის ღირსების, თავისუფლებისა და თანასწორობის პატივისცემა. ამ ღირებულებებზე დაყრდნობით ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეების ეთიკური და პასუხისმგებლური ქცევის ჩამოყალიბებას. ღირებულებები ვითარდება ადამიანის, მოქალაქის უფლება-მოვალეობების სწავლების გზით, რაც ეყრდნობა ჩვენი ქვეყნის კულტურულ მემკვიდრეობას, ტრადიციებს. სამოქალაქო ღირებულებების ჩამოყალიბებით განუვითაროს სამშობლოს სიყვარული. გამოიყენოს ისეთი წყაროები, რომლებიც მოსწავლეებს დააფიქრებს აქტუალურ საკითხებზე და განუვითარებს პოზიტიურ დამოკიდებულებებს.

კლასგარეშე მუშაობა – ორიენტირებულია ინფორმაციის სხვადასხვა საშუალებით მოძიების უნარის განვითარებაზე.

ამ ასაკობრივ ჯგუფთან, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, აუცილებელია დაიგეგმოს კლასგარეშე სამუშაოები. ეს ადვილად განსახორციელებელია, რადგან მოსწავლეთა უმუშალო (ოჯახს, უბანს, ქუჩას, სკოლას, თემს...) გარემოს ეხება. სკოლის გარეთ მოსწავლეებს უნდა დაევალოთ ანარმონ დაკვირვებები (მაგ. ტრანსპორტის მოძრაობაზე, არქიტექტურაზე), მოიძიონ საჭირო ინფორმაცია ინტერვიუს სახით, ლოკალური ისტორიების შეგროვება გვარის გენეალოგიაზე, თუ ქუჩის, სოფლის, ქალაქის შესახებ და ა.შ. გააკეთონ აზომეები მარშრუტის თუ სქემის შესაქმნელად, შექმნან ჩანახატები. ამგვარი აქტივობები საგნის შესწავლას უფრო სახალისოს გახდის, ხოლო ცოდნის მიღების გზები უფრო ეფექტური იქნება.

დასახელებული მეთოდური მიდგომები არამარტო ზე-პირად, არამედ წერილობითიც შესაძლოა განხორციელდეს.

დ) საგნების სწავლების ორგანიზება – დაწყებითი საფეხური

I, II, III და IV კლასებში საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიისა და სამოქალაქო აღზრდის ელემენტები შედის სხვა სასწავლო საგნებში (ქართული ენა და ლიტერატურა, ბუნებისმეტყველება, ესთეტიკური და შრომითი აღზრდა, მათემატიკა).

V-VI კლასებში საქართველოს ისტორია, გეოგრაფია და სამოქალაქო აღზრდა ისწავლება ინტეგრირებული სახით.

I - IV კლასებში სამოქალაქო თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხები ინტეგრირებულია ბუნებისმეტყველებისა და ფიზიკური განათლების/სპორტის (შემდგომში სპორტი) სასწავლო პროგრამებში; თუმცა, IV კლასში ერთი სემესტრის განმავლობაში, ჯამურად 12 საათი სპეციალურად გამოყოფილია საგნისათვის "მოდ-

რობის უსაფრთხოება" (რეკომენდებულია სასწავლო წლის მეორე სემესტრში);

V-VI კლასებში საგანში შემავალი თემატიკა ინტეგრირებულია ბუნებისმეტყველების, საზოგადოებრივი მეცნიერებებისა სპორტის სასწავლო პროგრამებში.

ე) საგნების სწავლების მიმართულებების აღწერა (V-VI კლასებისთვის)

ეროვნულ სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია ყოველი კლასის ან საფეხურის ბოლოს სასწავლო პროცესის შედეგები და მოსწავლის მიერ მათი მიღწევის ინდიკატორები. შედეგები დაჯგუფებულია მიმართულებების მიხედვით. თითოეული მიმართულება ასახავს საგნის სწავლების ძირითად დანიშნულებას და ეფუძნება ერთ ან რამდენიმე დისციპლინას. ისტორიის X და გეოგრაფიის XII კლასების სტანდარტის მიმართულებები განსაზღვრულია კვლევითი და საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების შესაბამისად.

საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებაში "დრო და სივრცე" გაერთიანებული შედეგები პირველ

სწავლების მიმართულებები საგნებისა და კლასების მიხედვით

მიმართულებები	ჩვენი საქართველო	ისტორია	გეოგრაფია	სამოქალაქო განათლება	სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება
დრო და სივრცე	5-6	7, 8, 9,10	7-11	7-8	
გარემო და ეკონომიკა	5-6	7, 9, 11, 12	7-11	7-8	
სახელმწიფო მმართველობა და პოლიტიკა	5-6	7-9, 11-12		7-8	
კულტურა და რელიგია	5-6	7-9, 11-12		7-8	
ადამიანი და საზოგადოება	5-6	7-9, 11,12		7-8	
გარემო და სოციალური სისტემები		8	7- 11		
პიროვნული განვითარება				9-10	
მდგრადი განვითარება				9-10	
თვითმმართველობა და მმართველობა				9-10	
ისტორიული ინტერპრეტაცია და კვლევა		10			
კომუნიკაცია		10	12		
გეოგრაფიული კვლევა			12		
პირადი უსაფრთხოების უზრუნველყოფა					4, 8, 12
საგანგებო ვითარებებში უსაფრთხო ქცევის საფუძვლები					4, 8, 12
გადაუდებელი ექიმამდელი დახმარება					12

რიგში მოსწავლეს დროსა და სივრცეში ორიენტირების უნარს სძენს.

მიმართულება დრო და სივრცე გამჭოლია გეოგრაფიაში. ეს მიმართულება აერთიანებს გეოგრაფიისათვის ისეთ მნიშვნელოვან თემებსა და უნარ-ჩვევებს, როგორებიცაა რუკის კითხვა, თვალსაჩინოებების ანალიზი, ინტერპრეტაცია და შექმნა; ასევე ტერიტორიების, გეოგრაფიული მდებარეობის განსაზღვრა; გეოგრაფიულ გარემოს, გეოლოგიურ დროს, გეოგრაფიული მოვლენების, პროცესებისა და კანონზომიერებების გავრცელების ცოდნას.

ისტორიის შემთხვევაში მოსწავლე ეუფლება ისეთ ფუნდამენტურ ცნებებს, როგორებიცაა დროის ერთეულები, ადრე/გვიან, წარსული, აწმყო, მომავალი, ქრონოლოგია (მ.შ. გეოქრონოლოგიური ნელთალრიცხვა), ნელთალრიცხვა, პერიოდიზაცია, საუკუნე, ათასწლეული, კალენდარი, ისტორიული ეპოქები/პერიოდები, ეპოქა და რეგიონი.

გარემო და ეკონომიკა

მიმართულების “გარემო და ეკონომიკა” მიზანია მოსწავლეს დაანახოს ბუნებრივი გარემოსა და ეკონომიკის მნიშვნელობა ადამიანთა საზოგადოებისათვის. ეს მიმართულება აერთიანებს ბუნებრივი გარემოს, ბუნებრივი რესურსების, მოსახლეობის, ეკონომიკის დარგების გაცნობიერებისა და შესწავლისაკენ მიმართულ შედეგებს. მოსწავლეს საშუალება ეძლევა გააცნობიეროს გეოგრაფიული ფაქტორების ურთიერთკავშირი და ურთიერთდამოკიდებულება. ამავე მიმართულებაში გამჭოლადაა წარმოდგენილი გარემოსდაცვითი ცნობიერების ჩამოყალიბებისკენ მიმართული შედეგები. ამ მიმართულებაში გაერთიანებული შედეგები მოსწავლეს აძლევს საშუალებას აღიქვას ეკონომიკისა და ბუნებრივი ფაქტორების ურთიერთგავლენა. გააცნობიეროს

როს ამ კავშირების ცვალებადობა დროსა და სივრცეში და კანონზომიერებები.

სახელმწიფო მმართველობა და პოლიტიკა

ამ მიმართულების მიზანია მოსწავლეს საშუალება მისცეს გააცნობიეროს სახელმწიფოს რაობა და ფუნქციები. აღიქვას პოლიტიკური პროცესების მნიშვნელობა და ზოგადი კანონზომიერებები. დაეხმაროს მოსწავლეს ისტორიული ფაქტების განზოგადებაში.

კულტურა და რელიგია

ამ მიმართულების მიზანია მოსწავლეს დაანახოს დედამიწაზე ადამიანის შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის მრავალფეროვნება და დაეხმაროს მის კლასიფიცირებაში. ხელი შეუწყოს მას ისტორიული ეპოქები და მხარეები განასხვავოს მათთვის დამახასიათებელი ეთნოგრაფიული ყოფისა და კულტურის მიღწევებს საფუძველზე. დაეხმაროს მოსწავლეს რელიგიის რაობისა და მნიშვნელობის განსაზღვრაში. წარმოდგენა შეუქმნას მსოფლიოში არსებული რელიგიური სისტემების მრავალფეროვნებაზე.

ადამიანი და საზოგადოება

ამ მიმართულების მიზანია მოსწავლეს დაანახოს, რომ ისტორიის მთავარ შემოქმედს ადამიანი წარმოადგენს, რომელსაც თავისი უფლებები და საზოგადოების წინაშე გარკვეული ვალდებულებები გააჩნია. ადამიანთა საზოგადოება სხვადასხვა სოციალური ფენებისგან შედგება. მოსწავლემ უნდა იცოდეს თუ როგორი იყო სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში სხვადასხვა სოციალური ფენის ადამიანების უფლებრივი მდგომარეობა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი ჩართულობის ხარისხი.

III. V-VI კლასი, ჩვენი საქართველო

საგნობრივი სტანდარტი

ორი წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები მიმართულებების მიხედვით:

დრო და სივრცე	სახელმწიფო მმართველობა და პოლიტიკა	გარემო და ეკონომიკა	ადამიანი და საზოგადოება	კულტურა და რელიგია
საზ. მეც.V-VI. 1. მოსწავლეს შეუძლია რუკების კითხვა და გამოყენება.	საზ. მეც.V-VI.6. მოსწავლეს შეუძლია დაახასიათოს სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში საქართველოში არსებული მმართველობის ფორმები.	საზ. მეც.V-VI.10. მოსწავლეს შეუძლია ჩამოთვლოს საქართველოს მოსახლეობის მახასიათებლები.	საზ. მეც.V-VI.15. მოსწავლეს შეუძლია ამოიცნოს სხვადასხვა ნიშანი და პირობა, რომელთა მიხედვითაც ადამიანი ამა თუ იმ საზოგადოებას მიაკუთვნებს თავს.	საზ.მეც.V-VI.20. მოსწავლეს შეუძლია აღწეროს საქართველოში არსებული რელიგიები.
საზ. მეც.V-VI. 2. მოსწავლეს შეუძლია გამოიყენოს და შექმნას ინფორმაციის გადმოცემის სხვადასხვა საშუალება (ცხრილი, გრაფიკი, ფოტო, სქემა, ჩანახატი).	საზ. მეც.V-VI.7. მოსწავლეს შეუძლია დაახასიათოს საქართველოს ისტორიის გამორჩეული პიროვნებები, რომლებიც ქვეყნის მმართველობაში მონაწილეობდნენ.	საზ. მეც.V-VI.11. მოსწავლეს შეუძლია დააკავშიროს საქართველოს გეოგრაფიულ ობიექტები დასახლებების ტიპებთან.	საზ. მეც.V-VI.16. მოსწავლეს შეუძლია შეადაროს სხვადასხვა საზოგადოებები მათთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებისა და წესების მიხედვით.	საზ. მეც.V-VI.21. მოსწავლეს შეუძლია განასხვავოს კულტურის სხვადასხვა კომპონენტები და განიხილოს მათი ურთიერთკავშირი
საზ. მეც.V-VI. 3. მოსწავლეს შეუძლია შეადგინოს სქემატური რუკები.	საზ. მეც.V-VI.8. მოსწავლეს შეუძლია იმსჯელოს პიროვნებებისა და სხვადასხვა სოციალური ფენის როლზე საქართველოს ისტორიაში.	საზ. მეც.V-VI.12. მოსწავლეს შეუძლია დაახასიათოს მხარე ბუნებრივი რესურსების მიხედვით და იმსჯელოს მათ მნიშვნელობაზე.	საზ. მეც.V-VI.17. მოსწავლეს შეუძლია აღწეროს ადამიანის ღირსების, თავისუფლებისა და თანასწორობის დაცვა სხვადასხვა ეპოქაში.	საზ.მეც.V-VI.22. მოსწავლეს შეუძლია აღწეროს საქართველოს მოსახლეობის კულტურათა მსგავსება- განსხვავებების გამოვლინებები და განიხილოს შესაბამისი მიზეზები.
საზ. მეც.V-VI.4. მოსწავლეს შეუძლია განმარტოს და გამოიყენოს ქრონოლოგიური ერთეულები (წელიწადი, საუკუნე, ათასწლეული) და წელთაღრიცხვის სისტემა (მველი და ახალი ერა).	საზ. მეც.V-VI.9. მოსწავლეს შეუძლია შეადაროს ომისა და მშვიდობის შედეგები მოსახლეობისათვის საქართველოს ისტორიის სხვადასხვა პერიოდში.	საზ. მეც.V-VI.13. მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა ბუნებრივი რესურსების რაციონალურ და მრავალმხრივ გამოყენებაზე.	საზ.მეც.V-VI.18. მოსწავლეს შეუძლია განასხვავოს ბავშვის უფლება- მოვალეობები სხვადასხვა საზოგადოებაში.	საზ.მეც.V-VI.23. მოსწავლეს შეუძლია იმსჯელოს მოგზაურობებისა და ვაჭრობის მნიშვნელობაზე.
საზ. მეც.V-VI.5. მოსწავლეს შეუძლია დააკავშიროს ისტორიული ფაქტები შესაბამის ეპოქებთან.		საზ. მეც.V-VI.14. მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა კომუნიკაციების განვითარებაზე უძველესი დროიდან დღემდე.	საზ.მეც.V-VI.19. მოსწავლეს შეუძლია დააკავშიროს კანონიერება და მშვიდობიანი თანაარსებობა.	

ორი წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები და მათი ინდიკატორები

მიმართულება: დრო და სივრცე

საზ. მეც.V-VI. 1. მოსწავლეს შეუძლია რუკების კითხვა და გამოყენება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამჟღავნებს რუკების ლეგენდის ცოდნას;
- ამოიცნობს საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნებსა და მსხვილ გეოგრაფიულ ობიექტებს;
- იყენებს პოლიტიკურ რუკას/ატლასს და ამოიცნობს საქართველოს მხარეებსა და სამხარეო ცენტრებს;
- რუკების დახმარებით განიხილავს საქართველოს საზღვრების ცვლილებებს სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში;
- უჩვენებს გზებს, რომლებითაც საქართველო უკავშირდება გარე სამყაროს (მაგ. შავი ზღვის საშუალებით);
- განსაზღვრავს და მოიძიებს კოორდინატების საშუალებით გეოგრაფიულ ობიექტებს რუკაზე;
- არჩევს და იყენებს საჭირო ინფორმაციას თემატური რუკებიდან.

საზ. მეც.V-VI. 2. მოსწავლეს შეუძლია გამოიყენოს და შექმნას ინფორმაციის გადმოცემის სხვადასხვა საშუალება (ცხრილი, გრაფიკი, ფოტო, სქემა, ჩანახატი).

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- კითხულობს და იყენებს გრაფიკებსა და ცხრილებში მოცემულ ინფორმაციას;
- ადარებს სხვადასხვა საშუალებით გადმოცემულ ინფორმაციას რაიმე ნიშნით (მაგ. წლების, ან ფართობის მიხედვით);
- ახდენს სხვადასხვა საშუალებებიდან მოპოვებული ინფორმაციის კლასიფიცირებას;
- ერთი ტიპის საშუალებით მოცემულ ინფორმაციას აჯგუფებს ერთი ან ორი ნიშნის მიხედვით;
- ისტორიულ ან გეოგრაფიულ ინფორმაციას წარმოადგენს სხვადასხვა საშუალებებით.

საზ. მეც.V-VI. 3. მოსწავლეს შეუძლია შეადგინოს სქემატური რუკები.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ავსებს საქართველოს კონტურულ რუკებს (რელიეფის ფორმები, ჰიდროგრაფიული ობიექტები, მხარეები და დასახლებები, ხუროთმოძღვრული ძეგლები);
- ადგილზე ატარებს მარტივ აზომვებს და აღნიშნავს ობიექტებს ადგილის გეგმაზე;
- მშობლიური მხარის რუკის შედგენისას მასზე ასახავს აუცილებელ ელემენტებს - სათაური, ლეგენდა, სიმბოლოები, ჰორიზონტის მხარეები.

საზ. მეც.V-VI.4. მოსწავლეს შეუძლია განმარტოს და გამოიყენოს ქრონოლოგიური ერთეულები (წელიწადი, საუკუნე, ათასწლეული) და ნელთალრიცხვის სისტემა (ძველი და ახალი ერა).

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- უფარდებს დროის ერთეულებს ერთმანეთს (მაგ. ათასწლეული - 10 საუკუნე; საუკუნე - 100 წელი და ა. შ.);
- იყენებს ტერმინებს - ძველი ერა/ახალი ერა, ჩვენს ნელთალრიცხვამდე/ჩვენი ნელთალრიცხვით, ძველი

ნელთალრიცხვით/ ახალი ნელთალრიცხვით, ქრისტეშობამდე/ქრისტეშობიდან;

- დროის ხაზზე (სკალაზე) აღნიშნავს კონკრეტულ ისტორიულ თარიღებს ან ისტორიულ პერიოდებს.

საზ. მეც.V-VI.5. მოსწავლეს შეუძლია დააკავშიროს ისტორიული ფაქტები შესაბამის ეპოქებთან.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ასახელებს მნიშვნელოვან ისტორიულ ფაქტებს;
- ასახელებს იმ საუკუნესა და ათასწლეულს, რომელსაც მიეკუთვნება კონკრეტული თარიღი;
- განასხვავებს კონკრეტულ ისტორიულ მოვლენას პრინციპით - ადრე და გვიან; მაგ.:



მიმართულება: სახელმწიფო მმართველობა და პოლიტიკა

საზ. მეც.V-VI.6. მოსწავლეს შეუძლია დაახასიათოს სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში საქართველოში არსებული მმართველობის ფორმები.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ჩამოთვლის სხვადასხვა ტიპის მმართველობის სისტემის ძირითად მახასიათებლებს; მათ აღმნიშვნელ ტერმინებს და სწორად იყენებს მათ;
- ადარებს ერთმანეთს მმართველობის სხვადასხვა ფორმას.

საზ. მეც.V-VI.7. მოსწავლეს შეუძლია დაახასიათოს საქართველოს ისტორიის გამორჩეული პიროვნებები, რომლებიც ქვეყნის მმართველობაში მონაწილეობდნენ.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ჩამოთვლის სხვადასხვა დროს მოღვაწე ისტორიულ პირებს, განსაზღვრავს მათ როლს მმართველობაში;
- განასხვავებს ერთმანეთისაგან მმართველებს ეპოქების მიხედვით ;
- ჩამოთვლის და ახასიათებს მმართველობაში მონაწილე ისტორიულ პირთა მიერ გატარებულ სახელმწიფო ღონისძიებებს. გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებას მათ შედეგებზე;
- დროის სკალაზე აღნიშნავს, მისი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვან ოთხ (ან ხუთ) ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეს უძველესი დროიდან დღემდე და ახასიათებს მათ.

საზ. მეც.V-VI.8. მოსწავლეს შეუძლია იმსჯელოს პიროვნებებისა და სხვადასხვა სოციალური ფენის როლზე საქართველოს ისტორიაში.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ირჩევს წარსულის საზოგადოების ერთ-ერთ სოციალურ ფენას და აღწერს ამ ფენის თვალსაჩინო წარ-

მომადგენლის ყოველდღიურ ცხოვრებას (მაგ. გლეხი, აზნაური, ვაჭარი, ხელოსანი, მეცნიერი და ა.შ.);

- ეპოქის შესაბამისად ასახელებს სხვადასხვა გამოჩენილ პიროვნებას, განსაზღვრავს მათ სოციალურ სტატუსს (მაგ. მეფე, ვაჭარი, მონადირე, ბანკირი, მიწათმფლობელი, პრეზიდენტი, მეცნიერი და ა.შ.).

საზ. მეც.V-VI.9. მოსწავლეს შეუძლია შეადაროს ომისა და მშვიდობის შედეგები მოსახლეობისათვის საქართველოს ისტორიის სხვადასხვა პერიოდში.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ჩამოთვლის ომის სახეობებს (თავდაცვითი, დამპყრობლური), ახასიათებს მათ შედეგებს;
- ასახელებს მშვიდობიანი ხერხებით მიღებულ გადაწყვეტილებებს საქართველოს ისტორიაში. მის დადებით და უარყოფით შედეგებს. კონტურულ რუკაზე აღნიშნავს საქართველოს ისტორიის სხვადასხვა პერიოდის ბრძოლების ადგილს (მაგ. დიდგორის, ბასიანის, გარნისის, კრწანისის და ა.შ.);
- ადარებს სხვადასხვა ეპოქის საქართველოში ომის წარმოების წესებს (დამოკიდებულება ტყვეთა, დაჭრილთა და დაღუპულთა მიმართ. მსჯელობს წესებისა და კანონების დაცვის აუცილებლობაზე ომის დროს);
- მოიპოვებს ინფორმაციას ბუნებაში ომით გამოწვეულ ეკოლოგიურ ცვლილებებზე (წყალი, ჰაერი, ნიადაგი, ტყე); ცვლილებების შედეგებს წარმოადგენს ცხრილის ან ნახატის (პლაკატის) სახით.

მიმართულება: გარემო და ეკონომიკა

საზ. მეც.V-VI. 10. მოსწავლეს შეუძლია ჩამოთვალოს საქართველოს მოსახლეობის მახასიათებლები.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ადგენს კავშირს ბუნებრივ მატებას, შობადობასა და მოკვდაობას შორის;
- კლასის ან ლოკალური გარემოს მონაცემების მიხედვით ახასიათებს საქართველოს მოსახლეობის სქესობრივ და ასაკობრივ სტრუქტურებს;
- ასახელებს საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებს;
- რუკის დახმარებით აღწერს საქართველოს მოსახლეობის ეთნიკურ და რელიგიურ მრავალფეროვნებას;
- გამოთქვამს საკუთარ აზრს მიგრაციის შესაძლო მიზეზებზე და მოჰყავს შესაბამისი მაგალითები (მაგ. ბუნებრივი პირობები, ეკოლოგია, ომები)
- ჩამოთვლის საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში განვითარებულ მეურნეობის ტიპებს.

საზ. მეც.V-VI.11. მოსწავლეს შეუძლია დააკავშიროს საქართველოს გეოგრაფიული ობიექტები დასახლებების ტიპებთან.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ფოტოსურათის ან რუკის გამოყენებით აღწერს სხვადასხვა ტერიტორიისთვის დამახასიათებელ პეიზაჟს (მაგ. მთები, ტყეები, და სხვა);
- ასხვავებს საქართველოში გავრცელებულ საცხოვრებელი სახლის ტიპებს;
- უკავშირებს სახლების არქიტექტურას გეოგრაფიულ გარემოს;

- ასხვავებს სხვადასხვა ტიპის დასახლებებს და მსჯელობს კონკრეტულ გეოგრაფიულ გარემოში მათი გაჩენის მიზეზებზე (მაგ. რატომ აარსებენ ქალაქებს მდინარეების ნაპირებზე, რატომ გვხვდება ძველი ნასახლარები მიუვალ ადგილებში);

- საქართველოს კონტურულ რუკაზე აღნიშნავს სხვადასხვა ტიპის დასახლებებს (ქალაქი, დაბა, სოფელი);
- ასახელებს სხვადასხვა დასახლების ფუნქციონირებისთვის აუცილებელ პირობებს; მსჯელობს მათ მნიშვნელობაზე;
- ერთმანეთს ადარებს საკუთარი და სხვა დასახლებული პუნქტის ბუნებრივ პირობებს.

საზ. მეც.V-VI.12. მოსწავლეს შეუძლია დაახასიათოს მხარე ბუნებრივი რესურსების მიხედვით და იმსჯელოს მათ მნიშვნელობაზე.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ადარებს სხვადასხვა გეოგრაფიულ გარემოში არსებულ ორ სამოსახლოს და ადგენს მათ შორის განსხვავებას (მასალა, არქიტექტურა);
- ადგენს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მოპოვებული ბუნებრივი რესურსების წუსხას;
- ადგენს იმ ბუნებრივი რესურსების წუსხას, რომლებიც გამოიყენება მის ქალაქსა თუ სოფელში და აღნიშნავს მათ კონტურულ რუკაზე;
- ირჩევს რომელიმე ბუნებრივ რესურსს და მსჯელობს მის მნიშვნელობაზე რეგიონის განვითარებისთვის;
- ბუნებრივ რესურსებს აკავშირებს ქვეყნის (რეგიონის) სამეურნეო საქმიანობასთან.

საზ. მეც.V-VI.13. მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა ბუნებრივი რესურსების რაციონალურ და მრავალმხრივ გამოყენებაზე.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- აჯგუფებს ერთი მასალისგან დამზადებულ ნივთებს (მაგ., თიხისგან მზადდება ქოთანიც და აგურიც);
- გამოსახავს რესურსების სახეცვლილებას მოპოვებიდან მოხმარებამდე (მაგ. ხორბალი-ფქვილი-პურ-ფუნ-თუშეულობა);
- მსჯელობს საქართველოს/მისი რომელიმე რეგიონის ზედაპირული წყლების მრავალფეროვნებაზე, მათ მნიშვნელობაზე და შედეგებს წარმოადგენს მისთვის სასურველი ფორმით;
- მსჯელობს წყლის რესურსის რაციონალურ გამოყენებაზე და დაბინძურების თავიდან აცილების გზებზე;
- ასახელებს ტყის გამოყენების განსხვავებულ სახეებს;
- გამოყოფს ტყით სარგებლობის გარემოსათვის უსაფრთხო ფორმებს;
- ადგენს მოხმარების საგნებს, რომელთა მეორადი გადაუშავება შესაძლებელია.

საზ. მეც.V-VI.14. მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა კომუნიკაციების განვითარებაზე უძველესი დროიდან დღემდე.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ერკვევა იმაში, თუ რა დადებითი ცვლილებები მოუტანა დამწერლობის გამოგონებამ კაცობრიობას;

- ავგუფებს ბექდვის, კომპიუტერის ან სხვა თანამედროვე ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების გამოგონებების შედეგებს;
- დროის სკალაზე აღნიშნავს ტრანსპორტის სხვადასხვა სახეობის გამოგონებას და მის განვითარებას;
- ჩამოთვლის ტრანსპორტის საშუალებებს, მსჯელობს მათ დანიშნულებაზე სხვადასხვა გარემოში; მოჰყავს მაგალითები.

მიმართულება: ადამიანი და საზოგადოება

საზ. მეც.V-VI.15. მოსწავლეს შეუძლია ამოიცნოს სხვადასხვა ნიშანი და პირობა, რომელთა მიხედვითაც ადამიანი ამა თუ იმ საზოგადოებას მიაკუთვნებს თავს.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ასახელებს იმ სოციალურ ჯგუფებსა თუ საზოგადოებებს, რომელთა წევრადაც მიიჩნია საკუთარი თავი (მაგ.: ოჯახი, კლასი, საგვარეულო, სკოლა, სამეგობრო, მოცეკვავეთა ანსამბლი და სხვა);
- განასხვავებს საკუთარი თავის სხვადასხვა საზოგადოებისადმი მიკუთვნების პირობებს (მაგ.: ასაკი, სისხლით ნათესავობა, სქესი, სამეტყველო ენა, საცხოვრებელი და ა.შ.);
- ჩამოთვლის რომელიმე სოციალური ჯგუფისა თუ საზოგადოების წევრთა საერთო ნიშან-თვისებებს (მაგ.: ნათესაობა, გარეგნობა, ხასიათი, ინტერესი, უნარი, თანაგრძნობა, ასაკი, სიყვარული, მშობლიური ენა, გემოვნება და ა.შ.);
- მსგავსი ნიშან-თვისებებისა და პირობების გამოყოფით ამყარებს კავშირს იმ სოციალურ ჯგუფებსა თუ საზოგადოებებს შორის, რომელთაც მიაკუთვნებს საკუთარ თავს;
- მსჯელობს ადამიანების მრავალფეროვნების, მათი განმასხვავებელი და საერთო ნიშან-თვისებების შესახებ;
- ასახელებს და აღწერს მიზეზებს, რის გამოც პატივს სცემს იმ საზოგადოების წევრებს, რომელსაც მიეკუთვნება;
- საუბრობს ადამიანის აღმშენებლობით და დამანგრეველ შესაძლებლობებზე, ამჩნევს პირველის უპირატესობას და თავს მიაკუთვნებს აღმშენებელთა ერთობას.

საზ. მეც.V-VI.16. მოსწავლეს შეუძლია შეადაროს სხვადასხვა საზოგადოებები მათთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებისა და წესების მიხედვით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- აღწერს ძირითადი სოციალური ჯგუფებისა თუ საზოგადოებებისათვის დამახასიათებელ თვისებებსა და წესებს (მაგ.: ოჯახი, სკოლა, მშობლიური დასახლება, მშობლიური ისტორიული მხარე).
- აღწერს იმ საზოგადოებათა მსგავს თავისებურებებს, რომლებიც მნიშვნელოვანია თანაკლასელებისათვის;
- ადარებს ერთი ტიპის საზოგადოების (მაგ.: ოჯახი, სამეზობლო, უბანი) თავისებურებებს საქართველოს სხვადასხვა მხარეში;
- მშობლიური მხარის ან საქართველოს მაგალითზე ადარებს სხვადასხვა ტიპის საზოგადოების (მაგ.: ოჯახი, სამეზობლო, უბანი) თავისებურებებს.

საზ. მეც.V-VI.17. მოსწავლეს შეუძლია აღწეროს ადამიანის ღირსების, თავისუფლებისა და თანასწორობის დაცვა სხვადასხვა ეპოქაში.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- საკუთარი სიტყვებით განმარტავს, რას ნიშნავს ღირსება, თავისუფლება და თანასწორობა;
- აკავშირებს ადამიანების მრავალფეროვნებას მათ უფლებებსა და თანასწორობასთან;
- მშობლიური მხარის ან საქართველოს მაგალითზე ადარებს ადამიანის ღირსების, თავისუფლებისა და თანასწორობის დაცვას.

საზ.მეც.V-VI.18. მოსწავლეს შეუძლია განასხვავოს ბავშვის უფლება-მოვალეობები სხვადასხვა საზოგადოებაში.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ახასიათებს თვითორგანიზების მნიშვნელობას ყოველდღიურ ცხოვრებაში;
- აღწერს საკუთარ პასუხისმგებლობას თანაკლასელების მიმართ ჯგუფური/გუნდური მუშაობისას;
- განმარტავს საკუთარ უფლება-მოვალეობებს სხვადასხვა საზოგადოებაში (მაგ.: ოჯახში, სკოლაში, სანათესაოში, სამეზობლოში და ა.შ.);
- მსჯელობს ბავშვისა და ზრდასრულების უფლება-მოვალეობებს შორის მსგავსება-განსხვავებზე;

საზ.მეც.V-VI.19. მოსწავლეს შეუძლია დაკავშიროს კანონიერება და მშვიდობიანი თანარსებობა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ავლენს ზრდილობიანი და უსაფრთხო ქცევის წესების ცოდნას;
- აღწერს საგანგებო ვითარებაში საკუთარი ქცევის წესებს;
- აღწერს, თუ რა საფრთხეს უქმნის საზოგადოებასა და პიროვნებას კანონის დარღვევის დაუსჯელობა;
- განასხვავებს საზოგადოებაში მიღებულ წესებს სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი კანონებისგან;
- განასხვავებს ადამიანთა ქცევას, რომელთა მორალური და სამართლებრივი შეფასებები ერთმანეთს არ ემთხვევა;
- ამოიცნობს ადამიანებს შორის კონფლიქტის ძირითად მიზეზებს;
- მოჰყავს სხვადასხვა ეროვნებისა და სარწმუნოების ადამიანებს შორის მშვიდობიანი თანაცხოვრების მაგალითები;
- ასაბუთებს, თუ რატომ უნდა იცხოვრონ მშვიდობიანად და ღირსეულად სხვადასხვა ეროვნებისა და სარწმუნოების ადამიანებმა.

მიმართულება: კულტურა და რელიგია

საზ.მეც.V-VI.20. მოსწავლეს შეუძლია აღწეროს საქართველოში არსებული რელიგიები.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ასაკის შესაბამისად ესმის და მსჯელობს რელიგიის დანიშნულებასა და ადგილზე ადამიანის ცხოვრებაში;
- რუკაზე მიუთითებს ქრისტიანობისა და სხვა მისთვის ცნობილი რელიგიების გავრცელების არეალებს თანამედროვე საქართველოში;

- ადარებს საქართველოს სხვადასხვა მხარეებში არსებულ რელიგიებსა და მათთან დაკავშირებულ რიტუალებს/კულტურულ ტრადიციებს (მაგ.: ქორწილი, დაკრძალვა, ახალი წელი);
- ესმის, რომ ყველა რელიგია ჰუმანური ფასეულობების მატარებელია.

საზ.მეც.V-VI.21. მოსწავლეს შეუძლია განასხვავოს კულტურის სხვადასხვა კომპონენტები და განიხილოს მათ ურთიერთკავშირი

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ჩამოთვლის კულტურის დარგებს ან კომპონენტებს და აღწერს მათ გამოვლინებებს;
- საკუთარი სიტყვებით განმარტავს, რას ნიშნავს კულტურული ადამიანი;
- ახასიათებს ქართული კულტურის რომელიმე დარგს;
- ასახელებს ხალხური კულტურის მისთვის ცნობილ ნიმუშებს; შეძლებისდაგვარად გამოყოფს მათში კულტურული ტრადიციების ელემენტებს;
- განასხვავებს ქართულ კულტურაზე დასავლური ან აღმოსავლური კულტურის გავლენას (მაგ.: ჩაცმულობა, არქიტექტურა);

საზ.მეც.V-VI.22. მოსწავლეს შეუძლია აღწეროს საქართველოს მოსახლეობის კულტურათა მსგავსება-განსხვავებების გამოვლინებები და განიხილოს შესაბამისი მიზეზები.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- აჯგუფებს საქართველოს სხვადასხვა მხარის (კუთხის) ხალხურ თქმულებებს, ლექსებსა და სიმღერებს;
- აღწერს თავის მშობლიურ კუთხეში მდებარე ხუროთმოძღვრულ ძეგლს (ძეგლებს);
- აღწერს საქართველოში მცხოვრები ეროვნებების საოჯახო თუ რელიგიურ დღესასწაულებს და ავლებს მათ შორის პარალელებს;
- ადარებს საქართველოს ისტორიული მხარეებისათვის დამახასიათებელ წეს-ჩვეულებებს (კულტურული მრავალფეროვნება).

საზ.მეც.V-VI.23. მოსწავლეს შეუძლია იმსჯელოს მოგზაურობებისა და ვაჭრობის მნიშვნელობაზე.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მსჯელობს მოგზაურობების შესაძლო შედეგებზე (მაგ.: გამოცდილების/ცოდნის გადატანა ერთი ქვეყნიდან მეორეში, ვაჭრობის განვითარება, კულტურის სხვადასხვა ასპექტების ცვლილება);
- მსჯელობს უცხოელი მოგზაურების მიერ საქართველოს შესახებ შეგროვილი ცნობების მნიშვნელობაზე ქვეყნის შესწავლისათვის;
- ახასიათებს საზღვარგარეთ ქართული საგანმანათლებლო კერების საქმიანობას და მათ გავლენას კულტურულ პროცესებზე საქართველოში (მაგ.: ათონის მთა, პეტრიწონის მონასტერი და ა. შ.).

პროგრამის შინაარსი (გათვლილია ორ წელიწადზე)

დრო და სივრცე:

1. საქართველოს მდებარეობა და საზღვრები/ მეზობლები და გარესამყარო;
2. საქართველოს სახმელეთო მეზობლები;
3. შავიზღვისპირა ქვეყნები;
4. არქეოლოგიური მემკვიდრეობა;
5. უცხოელების თვალთ დასახული საქართველო;
6. დრო და ისტორია - ქრონოლოგია და წელთაღრიცხვა;
7. როგორ და რატომ წარმოიშვა კალენდარი;

საქართველოს ბუნება:

8. რელიეფის ფორმები: მთები, ქედები და დაბლობები;
9. ჰიდროგრაფია: მდინარეები, ტბები, წყალსაცავები, მიწინვარები, ჭაობები;

საქართველოს კლიმატი:

10. განსხვავებები დასავლეთისა და აღმოსავლეთის კლიმატს შორის;
11. განსხვავებები ბარისა და მთის კლიმატს შორის;

საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეები (გეოგრაფიული დახასიათება, ისტორიულ-ეთნოგრაფიული დახასიათება):

12. ქართლი
13. კახეთი
14. იმერეთი
15. თუშეთი
16. ფშავ-ხევსურეთი
17. ხევი
18. მთიულეთი/გუდამაყარი
19. სამეგრელო
20. გურია
21. სვანეთი
22. რაჭა-ლეჩხუმი
23. აფხაზეთი
24. სამცხე
25. ჯავახეთი
26. აჭარა
27. საქართველოს ისტორიული მიწები (დღევანდელი საქართველოს ფარგლებს გარეთ)

მოსახლეობა:

28. დემოგრაფიული მდგომარეობა საქართველოში ძველად და ახლაც;
29. შობადობა და მოკვდაობა;
30. ბუნებრივი მოძრაობა - მარტივი მაგალითების განხილვა აბსოლუტურ რიცხვებში;
31. სქესობრივი სტრუქტურა;
32. ასაკობრივი სტრუქტურა;
33. მიგრაცია და მისი გამომწვევი მიზეზები და შედეგები;

საქართველოს ბუნებრივი რესურსების გეოგრაფია:

34. ტყის რესურსები;
35. წყლის რესურსები;
36. სასარგებლო წიაღისეული;

37. რესურსების სახეცვლილება მოპოვებიდან მოხმარებამდე;
38. რესურსები და შესაბამისი მეურნეობის დარგები;
39. რესურსების რაციონალური გამოყენება და დაცვა;
40. მეორადი გადამუშავება;
41. ბუნებაში ომით გამოწვეული ცვლილებები;

გარემო და ეკონომიკა:

42. შემგროვებლური მეურნეობიდან მწარმოებლურ მეურნეობამდე, ქვის იარაღებიდან ლითონის იარაღებამდე;
43. ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფა;
44. ხელოსნობის ტრადიციული დარგები;
45. ფულის მიმოქცევა საქართველოში;
46. ტექნიკური პროგრესი (ცხენი-ბორბალი-ურემი; ცეცხლი-ჭრაქი- ნათურა; მანუფაქტურული წარმოებიდან კომპიუტერამდე; მედიკამენტების ევოლუცია);
47. მენარმეობა და ქველმოქმედება;

სახელმწიფო და მმართველობა:

48. შავი ზღვა : ლეგენდა არგონავტების შესახებ, ძველი ბერძნული ახალშენები, თანამედროვეობა;
49. ფარნავაზ მეფე (ლეგენდა ფარნავაზის შესახებ);
50. წინარექრისტიანული პანთეონი და რწმენა-წარმოდგენები საქართველოში;
51. რომი და საქართველო (ფარსმან ქველის სტუმრობა რომში);
52. ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში (ანდრია პირველწოდებული და სიმონ კანანელი, წმინდა ნინო);
53. ვახტანგ გორგასალი (თბილისის დაარსება, ბრძოლები ირანელებთან და ჩრდილოეთ კავკასიელებთან);
54. ბიზანტია-ირანის ომები და ქართული სამეფოები (გუბაზ მეფე, აიეტი და ფარტაქი);
55. არაბობა და საქართველო (მურვან ყრუ და დავით და კონსტანტინე მხეიძეები, აბულ-კასიმი და მიქელ გობრონი);
56. დავით კურაპალატი და თორნიკე ერისთავი;
57. ბაგრატ III (საქართველოს გაერთიანება, ბედიის ტაძარი);
58. დავით აღმაშენებელი (ერწუხის ომი, დიდგორის ომი, დავითის წიგნებით გატაცება, გალობანი სინანულისანი);
59. თამარის ეპოქა (თამარის სახე ქართულ ლიტერატურაში, თამარის გათხოვების საკითხი, შამქორი, ბასიანი, თქმულებები თამარის საფლავის შესახებ);
60. მონღოლები და საქართველო (ცოტნე დადიანი, დემეტრე თავდადებული);
61. გიორგი ბრწყინვალე (თანამედროვეთა ცნობები გიორგი ბრწყინვალის შესახებ, იერუსალიმის სინმინდეები);
62. ქართველი ხალხის გმირული ბრძოლის ეპიზოდები თემურ ლენგის წინააღმდეგ;
63. გიორგი VIII და საქართველოს დაშლა (იოთამ ზედგინიძე);
64. ლუარსაბ I, სიმონ I;
65. ქართველი ხალხის გმირული ბრძოლის ეპიზოდები შაჰ-აბასის წინააღმდეგ (ფერეიდნელი ქართველები,

- ქეთევან ნამებული, გიორგი სააკაძე და მარტყოფისა და მარაბდის ბრძოლები, ბახტრიონის ბრძოლა);
 66. ომში ქცევის წესები და ომის მსხვერპლთა კატეგორიები;
 67. სულხან-საბა ორბელიანის ელჩობა ევროპაში;
 68. ერეკლე II (ასპინძის ბრძოლა, კრწანისის ბრძოლა);
 69. გეორგიევსკის ტრაქტატი და ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმება;
 70. საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში (ქართული მიწების შემოერთება, 1832 წლის შეთქმულება, თერგდალეულები);
 71. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1918-1921 წწ (პირველი რესპუბლიკის დროშა, გერბი, ჰიმნი, კონსტიტუცია, კოჯორ-ტაბახმელის ბრძოლები);
 72. ქართველი გმირები მეორე მსოფლიო ომში;
 73. 9 აპრილის ტრაგედია და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა;
- თანამედროვე საქართველო და გარესამყარო;

აღზრდა, განათლება, კულტურა:

74. ქართული ფოლკლორი (მუსიკა, ცეკვა, ხალხური პოეზია);
75. სტუმარმასპინძლობა საქართველოში;
76. ქორნილი/ /გლოვა (ლხინისა და ჭირის აღნიშვნა საქართველოში);
77. ტრადიციული და თანამედროვე ოჯახი;
78. აღზრდის ხალხური წესები, დიდგვაროვანთა აღზრდა შუა საუკუნეებში;
79. სპორტის ტრადიციული სახეობები;
80. განათლების კერები საქართველოში;
81. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებიდან უნივერსიტეტამდე (ილია, იაკობ გოგებაშვილი, ივანე ჯავახიშვილი);
82. ქართული სტამბა;
83. ქართული ხელოვნება;
84. ქართული პრესა;
85. ქართული საგანძურის თავგადასავალი -ექვთიმე თაყაიშვილი;

ადამიანი და საზოგადოება:

86. ადამიანების მრავალფეროვნების ნიშნები;
87. ოჯახი და სხვა სოციალური ჯგუფები;
88. ადამიანის ღირსება;
89. ადამიანის უფლებები და თავისუფლებები;
90. ბავშვის უფლებები და თავისუფლებები;
91. ადამიანის უფლებები, მოვალეობები და წესები;
92. ადამიანის ღირსება, პატივისცემა და მშვიდობიანი თანაცხოვრება;
93. წესები და კანონები;
94. თანასწორობა და სამართლიანობა;
95. საზოგადოებრივი ფენები:
 - ა) ფეოდალური არისტოკრატია - ფეოდალური მამული);
 - ბ) ქართული მართლმადიდებელი ეკლესია (თეთრი და შავი სამღვდლოება, ასურელი მამები);
 - გ) საზოგადოების დაბალი ფენა (გლეხობა, მსახურები, ვაჭარ-ხელოსნები);
 - დ)სოციალური ჯგუფების უფლებრივი მდგომარეობა ფეოდალურ საქართველოში; ქართული ჯარი;
96. ძველი ქართული სამართალი;

- 97. პოლიტიკური პარტიები;
- 98. ადამიანის უფლებები თანამედროვე საქართველოში;
- 99. ეთნიკური და რელიგიურ-კონფესიური მრავალფეროვნება
 - ა) ქართველი ხალხი;
 - ბ) მრავალეთნიკური საქართველო
 - გ) თბილისური სუბკულტურა;
 - დ) ქალაქი და სოფელი ძველად და ახლა;
 - ე) იძულებით გადაადგილებულები საქართველოში;
 - ვ) რას ნიშნავს ცნება - „საქართველოს მოქალაქე“;

დასახლებები

- 100. უძველესი დასახლებები/ მათი ფუნქციები/დასახლებების განვითარება საქართველოში (საქართველოს ისტორიული ქალაქები); საფორტიფიკაციო ნაგებობები საქართველოში;
- 101. თანამედროვე სასოფლო დასახლება;
- 102. საქალაქო დასახლება;
- 103. დასახლებების ფუნქციები;

მოგზაურობები

- 104. უცხოელი მოგზაურები საქართველოში, მათი მარშრუტები, მათი მოგზაურობის შედეგები;
- 105. ქართველი მოგზაურები, მათი მარშრუტები, მათი მოგზაურობის შედეგები;

ტრანსპორტი და კომუნიკაციები

- 106. გზები და მიმოსვლის საშუალებები;
- 107. სატრანსპორტო გზები, რომლებითაც საქართველო უკავშირდება გარესამყაროს;
- 108. ტრანსპორტის სახეების ცვლილება დროში;
- 109. ტრანსპორტი და გარემო;
- 110. საკომუნიკაციო საშუალებების განვითარება;
- 111. ქართული ანბანი;

საჭირო თვალსაჩინოებები: თემატური ისტორიული რუკები; საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული რუკა, საქართველოს სასარგებლო წიაღისეულის რუკა, მარტივი დიაგრამები, საქართველოს დასახლებების რუკა, საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციების რუკა.

IV. შეფასება საზოგადოებრივ მეცნიერებებში

შეფასების მიზანი

საზოგადოებრივ მეცნიერებებში შეფასების მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა. ეს გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას, მეორე მხრივ, სწავლის ხარისხის შემონახვას. ხარისხის გაუმჯობესება უკავშირდება სწავლის პროცესს, ხარისხის შემონახვა კი - სწავლის შედეგს.

შეფასების ორი ტიპი

შეფასების მიზნიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეთა შემონახვა დაუკავშირდეს არამხოლოდ სწავლების შედეგს, არამედ სწავლის პროცესსაც. ამის უზრუნველსაყოფად სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი.

განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს საერთო ნორმასთან მიმართებით და იძლევა იმის განსაზღვრის საშუალებას, თუ რამდენად დაეუფლა იგი საგნობრივი პროგრამებით განსაზღვრულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს.

განმსაზღვრელი შეფასება აკონტროლებს სწავლის ხარისხს, იგი განსაზღვრავს თითოეული მოსწავლის ცოდნის დონეს.

განმავითარებელი შეფასების მიზანია სწავლის ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველყოფა, სწავლების პროცესში თითოეული მოსწავლის განვითარების მაქსიმალურად ხელშეწყობა. ეს ზოგადი განათლების ყველაზე მნიშვნელოვანი პედაგოგიური ამოცანაა, როგორც ამას ხაზგასმით აღნიშნავს დიმიტრი უზნაძე:

„სწავლაში ძირითადია ... იმ ძალების განვითარება, რომელნიც სწავლის პროცესში მონაწილეობენ“; (დიმიტრი უზნაძე, ბავშვის ფსიქოლოგია, სასკოლო ასაკის ფსიქოლოგია, თბილისი, 2003, გვ. 445).

განმავითარებელი შეფასებისას მასწავლებელი მოსწავლეთა საქმიანობას ამოწმებს არა მათი მიღწევის დონის განსასჯელად და ნიშნების დასაწერად, არამედ მათ დასახმარებლად. იგი აკვირდება თითოეულ მოსწავლეს სწავლის პროცესში, შეისწავლის მათ საჭიროებებს, რათა ამ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით დაგეგმოს საგაკვეთილო პროცესი და თითოეულ მათგანს მაქსიმალურად შეუწყოს ხელი წინსვლაში. მასწავლებელი ქმნის თანამშრომლობით და კონსტრუქციულ სასწავლო გარემოს, სადაც მოსწავლეებს არ აფერხებთ არც მარცხის და არც წარუმატებლობის შიში. მათ ნებისმიერ შემთხვევაში მასწავლებლის რჩევისა და მხარდაჭერის იმედი აქვთ. ასეთ გარემოში თითოეული მოსწავლე, ცოდნის დონის მიუხედავად, ახალი ცოდნის შექმნით, გამოცდილების გამდიდრებითა თუ უნარების გაუმჯობესებითა დაკავებული.

განმავითარებელი შეფასების პროცესში მასწავლებელთან ერთად ჩართულები არიან მოსწავლეებიც. ისინიც ცდილობენ, მასწავლებლის დახმარებით, დაადგინონ საკუთარი მოთხოვნილებები, ძლიერი და სუსტი მხარეები, შემაფერხებელი ფაქტორები. ამ პროცესებში ჩართვა აყალიბებს მათში თვითშეფასებისა და თვითგანვითარების უნარ-ჩვევებს, ზრდის მათ ქმედუნარიანობასაც და პასუხისმგებლობასაც.

ქვემოთ შემოთავაზებული თვითშეფასების კონკრეტული ინსტრუმენტის ნიმუში, რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნეს პროექტის განხორციელებისას. მოსწავლეს შეუძლია იმდენჯერ შეავსოს ასეთი ტიპის ბარათი, რამდენი აქტივობაც ექნება მას შესასრულებელი პროექტის მსვლელობისას. ამ ბარათების ნაკრები წარმოადგენს ე.წ. “პროექტის დღიურს”.

<p>სასწავლო წელი -----</p> <p>თვითშეფასების ბარათი №</p> <p>მოსწავლის სახელი: ----- კლასი: -----</p> <p>პროექტის დასახელება :-----</p> <p>დავალების/აქტივობის ხელმძღვანელი/ები: ---</p> <p>დავალება შევასრულე:</p> <ul style="list-style-type: none"> • ინდივიდუალურად • ჯგუფთან ერთად • ჯგუფის წევრები: -----
<p>აღწერე აქტივობას და მივუთითებ, რა მიზნისათვის უნდა მიმეღწია:</p> <p>აქტივობა/დავალება: -----</p> <p>მიზანი: -----</p>
<p>ჩემი აზრით, მიზანს:</p> <ul style="list-style-type: none"> • მივაღწიე • ნაწილობრივ მივაღწიე • ვერ მივაღწიე
<ul style="list-style-type: none"> • თავისუფლად, დაბრკოლებების გარეშე შევასრულე ეს აქტივობა • წავაწყდი სიძნელეებს: -----
<ul style="list-style-type: none"> • სიძნელეები ვერ გადავლახე. • გადავლახე შემდეგნაირად: ----- ----- -----

განმავითარებელი შეფასებისას უპირატესად გამოიყენება ისეთი საშუალებები, როგორებიცაა სიტყვიერი კომენტარი, რჩევა-დარიგება, დაკვირვების ფურცლები, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სქემები, ცოდნის ათვისების, ან უნარის განვითარების ეტაპების გამომხატველი დონეები. სასურველია, სამი ან ოთხი (მაგალითად, 3 დონე - ათვისებულია, ათვისებულია

ნაწილობრივ, ათვისებულია; 4 დონე - ფლობს სრულყოფილად, ფლობს უმეტესწილად, ფლობს ნაწილობრივ, ვერ ფლობს); ათვისების თუ ფლობის დონეებით შედგენილი შეფასების ან თვითშეფასების სქემები მასწავლებელსაც და მოსწავლესაც საშუალებას აძლევს, დინამიკაში დაინახოს კონკრეტული ცოდნის თუ უნარის ათვისების პროცესი.

	განმავითარებელი	განმსაზღვრელი
რა მიზანს ემსახურება?	<ul style="list-style-type: none"> სწავლის ხარისხის გაუმჯობესება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობა 	<ul style="list-style-type: none"> სწავლის ხარისხის გაკონტროლება მოსწავლის მიღწევის დონის დადგენა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებით
რა ფასდება?	<ul style="list-style-type: none"> სწავლის პროცესი 	<ul style="list-style-type: none"> სწავლის შედეგი
შეფასების შედეგად რა ტიპის გადაწყვეტილებას ვიღებთ?	<ul style="list-style-type: none"> წინსვლის ხელშესაწყობად განსხვავებული აქტივობის შერჩევა, სწავლების სტრატეგიის შეცვლა, რჩევა-დარიგების მიცემა და სხვ. 	<ul style="list-style-type: none"> აკადემიური მოსწრების დონის განსაზღვრა მომდევნო ეტაპზე (კლასში/საფეხურზე) დაშვება/არდაშვება
როგორ განისაზღვრება წარმართების კრიტერიუმი?	<ul style="list-style-type: none"> კონკრეტული მოსწავლის წინსვლის საფუძველზე (საკუთარ მიღწევებთან მიმართებით - რა დონეს ფლობდა, რა დონეს ფლობს) 	<ul style="list-style-type: none"> იმის საფუძველზე, თუ რამდენად მიაღწია სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს (ყველასათვის საერთო სტანდარტით დადგენილ ნორმასთან მიმართებით)
შეფასების როგორი საშუალებები გამოიყენება?	<ul style="list-style-type: none"> თვით/ურთიერთშეფასების რუმბრიკა კითხვარი სიტყვიერი (ზეპირი/წერილობითი) კომენტარი უნარის განვითარების ეტაპების გამოხატველი დონეები 	<ul style="list-style-type: none"> წიშანი

მოსწავლეთა შეფასების (ნიშნების წერის) სისტემა

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შეფასების სისტემა არის ოთხდონიანი და ათქულიანი. 10 საუკეთესო ნიშანია, 1 კი — ყველაზე დაბალი. ათქულიანი სისტემა, ერთი მხრივ, უფრო ზუსტი შეფასების საშუალებას იძლევა, მეორე მხრივ, მეტ საშუალებას აძლევს მასწავლებელს, აჩვენოს მოსწავლეს საკუთარი პროგრესი თუ რეგრესი.

I-IV კლასებში მოსწავლეთა წლიური შეფასება ნიშნებით არ ხდება. ამ კლასებში სემესტრის ბოლოსა და წლის ბოლოს კლასის დამრიგებელმა საკუთარი და სხვა მასწავლებლებისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე უნდა დაწეროს მოკლე შემაჯამებელი წერილობითი შეფასება, რომელშიც დაახასიათებს მოსწავლეს, აღნიშნავს მის წარმატებებს და მიუთითებს, რაში სჭირდება გავარჯიშება მოსწავლეს საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოსავლენად.

V-XII კლასებში ნიშნები იწერება 10 ქულიანი სისტემით.

V-XII კლასებში საგანში "სპორტი" მოსწავლე ფასდება ჩათვლის სისტემით: ჩათვალა/არ ჩათვალა.

ქულები	მიღწევის დონე
10	მაღალი
9	
8	
7	საშუალო
6	
5	საშუალოზე დაბალი
4	
3	
2	სუსტი
1	


ოფიციალური სტატუსის მქონე ნიშნები

ოფიციალური სტატუსი აქვს შემდეგ ნიშნებს:

- **საგნის მიმდინარე და შემაჯამებელი ნიშნები** – საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი კომპონენტის ნიშნები, რომლებსაც მოსწავლე იღებს სემესტრის განმავლობაში;
- **საგნის სემესტრული ნიშანი** – საგანში მიღებული შეფასება თითოეულ სემესტრში (სემესტრული გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში გამოითვლება მისი გათვალისწინებით; გამოთვლის წესი იხ. ქვემოთ) ;
- **საგნის წლიური ნიშანი** – სემესტრული ნიშნებიდან გამომდინარე შეფასება საგანში. წლიურ ნიშანში შეიძლება წლიური გამოცდის ნიშანიც აისახოს, თუ ასეთი გამოცდა გათვალისწინებულია სასკოლო სასწავლო გეგმით და სკოლის მიერ განსაზღვრულია, რომ მას გავლენა ექნება საგნის წლიურ ნიშანზე (იხ. ქვემოთ, გამოცდის ტიპები);
- **საერთო წლიური ნიშანი** – საგნების წლიური ნიშნებიდან გამომდინარე შეფასება;
- **საფეხურის საერთო ნიშანი** – ზოგადი განათლების რომელიმე საფეხურის (დანყებითი, საბაზო, საშუალო) საერთო შეფასება.

სემესტრული ნიშნის შემადგენელი ნაწილები

საზოგადოებრივ მეცნიერებებში თითოეული სემესტრის მანძილზე მოსწავლეები ფასდებიან სამი კომპონენტის მიხედვით:



1. საშინაო დავალეობა
2. საკლასო დავალეობა
3. შემაჯამებელი დავალეობა

სამივე კომპონენტს ერთნაირი წონა აქვს.

საკლასო და საშინაო დავალეობების კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასება.

განმსაზღვრელ შეფასებაში იწერება ნიშანი.

განმავითარებელი შეფასებისას უპირატესად გამოიყენება ისეთი საშუალებები, როგორებიცაა სიტყვიერი კომენტარი, რჩევა-დარიგება, დაკვირვების ფურცლები, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სქემები, ცოდნის ათვისების, ან უნარის განვითარების ეტაპების გამომხატველი დონეები. სასურველია, სამი ან ოთხი (მაგალითად, 3 დონე - ათვისებულია, ათვისებულია ნაწილობრივ, ასათვისებელია; 4 დონე - ფლობს სრულყოფილად, ფლობს უმეტესწილად, ფლობს ნაწილობრივ, ვერ ფლობს); ათვისების თუ ფლობის დონეებით შედგენილი შეფასების ან თვითშეფასების სქემები მასწავლებელსაც და მოსწავლესაც საშუალებას აძლევს, დინამიკაში დაინახოს კონკრეტული ცოდნის თუ უნარის ათვისების პროცესი.

შეფასების კომპონენტები საზოგადოებრივ მეცნიერებებში:

1. საკლასო სამუშაო
2. საშინაო დავალეობა
3. შემაჯამებელი დავალეობა

რას ითვალისწინებს თითოეული კომპონენტის შეფასება?

1. საკლასო სამუშაო

ფასდება შემდეგი ცოდნა და უნარები:

- პრობლემის გააზრება
- კომუნიკაცია
- სწავლა
- თანამშრომლობა
- საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა

- შემოქმედებითობა
- ისტორიული დროის გაგება
- გარემოზე პასუხისმგებლობისა და ზრუნვა
- ისტორიული კვლევა
- გეოგრაფიული კვლევა
- სივრცეში ორიენტაცია
- ისტორიული ეპოქის განცდა
- თვალსაჩინოებების გამოყენება და შექმნა

უნარები ფასდება შემდეგი აქტივობებით:

- თემასთან დაკავშირებით დასმული კითხვებით
- დასმულ კითხვაზე გაცემული პასუხით
- განსახილველ საკითხთან დაკავშირებული მსჯელობითა და ანალიზით

- განხილული მოვლენებისა და პროცესებისადმი საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვით
- დასმული პრობლემის გადაჭრის გზის შეთავაზებით
- ჯგუფურ მუშაობაში შეტანილი წვლილით
- დისკუსიაში მონაწილეობის სიხშირით
- ახსნილი ცნებებისა და ტერმინების განმარტებებითა თუ გამოყენებით
- მოვლენებისა და პროცესების განხილვისას საკუთარი მოსაზრების დასაბუთებით
- თვალსაჩინოებების გამოყენებითა და შექმნით
- პრეზენტაციით
- დროის ლიმიტის დაცვით
- დისკუსიაში გამოთქმული მოსაზრებებითა და არგუმენტებით

2. საშინაო დავალება

ფასდება შემდეგი ცოდნა და უნარები:

- პრობლემის გააზრება
- ინფორმაციის მოპოვება და ორგანიზება
- კავშირებისა და მიმართებების დადგენა
- კომუნიკაცია
- სწავლა
- თანამშრომლობა
- პრობლემის გადაჭრა
- შემოქმედებითობა
- ისტორიული დროის გაგება
- გარემოზე პასუხისმგებლობისა და ზრუნვა
- ისტორიულ-გეოგრაფიული კვლევა
- სივრცეში ორიენტაცია
- ისტორიული ეპოქის განცდა
- თვალსაჩინოებების გამოყენება და შექმნა
- კრიტიკული აზროვნება

უნარები ფასდება შემდეგი აქტივობებით:

- ცნებებისა და ტერმინების განმარტებებითა თუ გამოყენებით
- მოვლენებისა და პროცესების განხილვისას მოსაზრებების არგუმენტირებით
- დასმულ კითხვაზე გაცემული პასუხით
- განსახილველ საკითხთან დაკავშირებული მსჯელობითა და ანალიზით
- დასმული პრობლემის გადაჭრის გზის ჩამოყალიბებით
- თვალსაჩინოებების გამოყენებითა და შექმნით
- პრეზენტაციით

შემაჯამებელი დავალების კომპონენტი

შემაჯამებელი დავალების კომპონენტი უკავშირდება სწავლა-სწავლების შედეგს. ამ კომპონენტში უნდა შეფასდეს ერთი სასწავლო მონაკვეთის (თემა, თავი, პარაგრაფი, საკითხი) შესწავლა-დამუშავების შედეგად მიღწეული შედეგები. კონკრეტული სასწავლო ერთეულის დასრულებისას მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების წარმოჩენა. შესაბამისად, შემაჯამებელი დავალებები უნდა აფასებდეს შესაბამისი საგნის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს. მაგალითად, უცხოური ენების სტანდარტის შედეგები კომუნიკაციის უნარს გული-

- დისკუსიაში გამოთქმული მოსაზრებებითა და არგუმენტებით
- წერილი ნამუშევრის შექმნა

3. შემაჯამებელი შეფასება

ფასდება შემდეგი უნარები:

- კრიტიკულ პირობებში (ტესტი, საკონტროლო და სხვა) ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამომჟღავნება
- პრობლემის გააზრება
- ინფორმაციის მოპოვება და ორგანიზება
- კავშირებისა და მიმართებების დადგენა
- კომუნიკაცია
- ისტორიულ-გეოგრაფიული კვლევა
- პრობლემის გადაჭრა
- შემოქმედებითობა
- სივრცეში ორიენტაცია
- ისტორიული ეპოქის განცდა და ინტერპრეტაცია
- თვალსაჩინოებების გამოყენება და შექმნა
- გარემოზე პასუხისმგებლობა და ზრუნვა
- კრიტიკული აზროვნება

შემაჯამებელი დავალებების ტიპები:

- საკონტროლო წერა
- ტესტირება
- კითხვა-პასუხი
- თემა/ესე
- პრეზენტაცია
- პროექტი
- რეფერატი
- კვლევა
- დისკუსია/დებატები
- კონფერენცია

მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შემაჯამებელი დავალებები

- დავალების თითოეულ ტიპს უნდა ახლდეს თავისი შეფასების ზოგადი რუბრიკა;
- ზოგადი რუბრიკა უნდა დაზუსტდეს კონკრეტული დავალების პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით;
- 10 ქულა უნდა გადანაწილდეს რუბრიკაში შემავალ კრიტერიუმებზე;
- მითითებული უნდა იყოს საგნობრივი სტანდარტის ის შედეგები, რომელთა შეფასებასაც ემსახურება შემაჯამებელი დავალება.

სხმობს (მოსმენა, კითხვა, ზეპირი მეტყველება, წერილი მეტყველება), ამდენად, შემაჯამებელ დავალებებში აუცილებელია კომუნიკაციური უნარიც მოწმდებოდეს და არა, ვთქვათ, მხოლოდ რაიმე კონკრეტული გრამატიკული წესის ცოდნა.

სტანდარტის მოთხოვნათა დასაფარად, რეკომენდებულია შემაჯამებელ დავალებათა მრავალფეროვანი ფორმების გამოყენება. შემაჯამებელ დავალებათა ტიპები შეიძლება იყოს: ტესტი დახურული და ღია კითხვებით, თხზულება, პროექტის პრეზენტაცია, მოხსენება-რეფერატი, სახვითი ნამუშევარი (მაგ. ნახატი,

კოლაჟი, ნაძერწი და სხვ.), საველე-გასვლითი სამუშაო-ანიგარიში, კონცერტი, წარმოდგენა და სხვ. დავალებების ფორმის შერჩევასას გასათვალისწინებელია საგნის სპეციფიკა.

სემესტრის მსვლელობისას ჩატარებული შემაჯამებელი შეფასებების შემდეგ რეკომენდებულია კომენტარების დაწერა იმათთვის, რომლებმაც აუცილებ-

ლად უნდა გამოასწორონ საკუთარი შედეგები, რათა სემესტრული შეფასება ჰქონდეთ დადებითი. ასევე, შეიძლება დაინეროს კომენტარი, თუ მოსწავლემ წინა შეფასებასთან შედარებით მნიშვნელოვნად გააუმჯობესა თავისი მოსწრება. ამის აღნიშვნა მნიშვნელოვან სტიმულს მისცემს მოსწავლეს იმისთვის, რომ სწავლის ხარისხი სემესტრის ბოლომდე შეინარჩუნოს.

შემაჯამებელი დავალების სავალდებულო მინიმალური რაოდენობა

ეროვნული სასწავლო გეგმა თითოეული საგნისათვის განსაზღვრავს სემესტრის განმავლობაში ჩასატარებელ შემაჯამებელ დავალებათა სავალდებულო მინიმალურ რაოდენობას. ეს რაოდენობა მითითებულია კლასების მიხედვით მოცემულ საათობრივ ბადეში.

სკოლას შეუძლია, შეხედულებისამებრ, განსაზღვრულ მინიმუმზე მეტი რაოდენობის შემაჯამებელი დავალება ჩატაროს, რაც განსაზღვრული უნდა იყოს სასკოლო სასწავლო გეგმით.

თითოეული შემაჯამებელი დავალება ფასდება კონკრეტული ნიშნით. მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება (მაგალითად, თუ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულია რომელიმე საგანში, მე-8 კლასში,

პირველ სემესტრში 4 შემაჯამებელი სამუშაოს ჩატარება, ხოლო სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით უნდა ჩატარდეს 5, ეს ნიშნავს, რომ ამ სკოლის ყველა მერვეკლასელი ვალდებულია I სემესტრში შეასრულოს 5 შემაჯამებელი დავალება ამ კონკრეტულ საგანში). თუ მოსწავლე არ შეასრულებს შემაჯამებულ სამუშაოს გაცდენის გამო, სკოლა ვალდებულია, მისცეს მას გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენის საშუალება. შემაჯამებელ დავალებათა აღდგენის წესი განისაზღვრება სასკოლო სასწავლო გეგმით. აღდგენითი სამუშაო უნდა დაინიშნოს სემესტრის მსვლელობისას. აღდგენითი შემაჯამებელი სამუშაო შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალური ან ჯგუფური გრაფიკის მიხედვით.

გამოცდის ტიპები

ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში შესაძლებელია ჩატარდეს შემდეგი ტიპის გამოცდები:

- სემესტრული გამოცდა;
- წლიური (სასწავლო წლის დამამთავრებელი) გამოცდა;
- საშემოდგომო გამოცდა;
- ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდა.

სემესტრული გამოცდა

სემესტრული გამოცდა ინიშნება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს ნიშნის გაუმჯობესება სურს. განიხილება ორი შემთხვევა: 1) როდესაც მოსწავლეს, რომელსაც სემესტრის განმავლობაში საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 1/4 და მეტის გაცდენის გამო დააკლდა სემესტრული ნიშნის 20% და ამ ნიშნის გამოსწორება სურს და 2) როდესაც მოსწავლე თვლის, რომ უფრო მაღალი შეფასება ეკუთვნის. (იხ. საგნის სემესტრული ნიშნის გამოანგარიშების წესი).

პირველ შემთხვევა:

იმისათვის, რომ მოსწავლემ შეინარჩუნოს სემესტრული ნიშანი, რომელიც მას ქონდა ნიშნის 20%-ით დაკლებამდე, მან გამოცდაზე უნდა მიიღოს იგივე ან უფრო მაღალი ნიშანი (მაგალითად: თუ მოსწავლის სემესტრული ნიშანია 8, ხოლო 1/4 და მეტი საათის გაცდენის გამო მას დააკლდა 20% და შედეგად მისი სემესტრული ნიშანი გახდა 6,4 (დამრგვალებული =6), ამასთანავე ამ მოსწავლემ გამოცდაზე მიიღო ნიშნები: 8, 9 ან 10, მაშინ მისი თავდაპირველი სემესტრული ნიშანი შენარჩუნდება და იქნება 8)

თუ მოსწავლე გამოცდაზე მიიღებს უფრო დაბალ ნიშანს, ვიდრე იყო მისი სემესტრული ნიშანი 20%-ის და-

კლებამდე, მისი საგნის სემესტრული ნიშანი იანგარიშება შემდეგნაირად: 20%-ით დაკლებულ სემესტრულ ნიშანს ემატება გამოცდის ნიშანი და ჯამი იყოფა ორზე. (მაგალითად: თუ მოსწავლის სემესტრული ნიშანია 8, ხოლო 1/4 და მეტი საათის გაცდენის გამო მას დააკლდა 20% და შედეგად მისი სემესტრული ნიშანი გახდა 6,4 (დამრგვალებული =6), ამასთანავე ამ მოსწავლემ გამოცდაზე მიიღო 7, მაშინ მისი სემესტრული ნიშანი იქნება $6+7=13 : 2=6,5$; დამრგვალებული =7)

მეორე შემთხვევა:

მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი წერილობით მიმართავს სკოლის დირექციას. დირექტორი განიხილავს საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მოსწავლის სემესტრულ გამოცდაზე დაშვება-არდაშვების შესახებ. ასეთი მოსწავლის გამოცდაზე დაშვების შემთხვევაში, გამოცდაზე გასული მოსწავლის საგნის სემესტრული ნიშანი გამოითვლება შემდეგი წესით: გამოცდის ნიშანი ემატება სემესტრულ ნიშანს და ჯამი იყოფა ორზე.

სემესტრული გამოცდა ინიშნება სემესტრის დასრულებიდან არაუგვიანეს ორი კვირის ვადაში.

სასწავლო წლის დამამთავრებელი გამოცდა

სასწავლო წლის დამამთავრებელი გამოცდის დანიშვნა-არდანიშვნის საკითხი წყდება სასკოლო სასწავლო გეგ-

მით. თუ სკოლას სურს წლიური გამოცდის დანიშვნა, მან სასწავლო წლის დაწყებამდე უნდა განსაზღვროს, რომელ კლასში/კლასებში და რომელ საგანში/საგნებში ჩაატარებს ამ გამოცდას და ექნება თუ არა ამ გამოცდის ნიშანს გავლენა საგნის წლიურ ნიშანზე. ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, წლიური ნიშნის გამოთვლისას წლიური გამოცდის ნიშანი ემატება სემესტრულ ნიშნებს და ჯამი იყოფა სამზე.

საშემოდგომო გამოცდა

თუ მოსწავლემ ვერ გადალახა კონკრეტულ საგანში/საგნებში სკოლის მიერ განსაზღვრული ბარიერი, სკოლა ვალდებულია მოსწავლეს დაუნიშნოს

საშემოდგომო გამოცდა შესაბამის საგანში/საგნებში. საშემოდგომო გამოცდამდე სკოლა ვალდებულია, გაუწიოს კონსულტაციები მოსწავლეებს იმ საგანში/საგნებში, რომლებშიც მათ ვერ გადალახეს დადგენილი ბარიერი.

ნიშნების გამოანგარიშების წესი

საგნის სემესტრული ნიშნის გამოანგარიშების წესი:

მოსწავლის მიერ სემესტრის განმავლობაში სამივე კომპონენტში მიღებული ნიშნების ჯამი უნდა გაიყოს მიღებული ნიშნების რაოდენობაზე.

მიღებული ქულა უნდა დამრგვალდეს მთელის სიზუსტით. (მაგალითად, 6.15 მრგვალდება 6-მდე, 8.5 მრგვალდება 9-მდე).

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს არა აქვს შესრულებული ყველა შემაჯამებელი დავალება, მისი სემესტრული ნიშნის გამოსანგარიშებლად სამივე კომპონენტში მიღებული ნიშნების ჯამი უნდა გაიყოს მიღებული ნიშნების და შეუსრულებელი შემაჯამებელი დავალებების რაოდენობის ჯამზე.

საშემოდგომო გამოცდის ჩატარების პროცედურა განისაზღვრება სასკოლო სასწავლო გეგმით ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე.

მოსწავლე საგნის/საგნების წლიურ შეფასებას იღებს საშემოდგომო გამოცდის საფუძველზე (ანუ საშემოდგომო გამოცდის ნიშანი ხდება საგნის წლიური ნიშანი).

ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდა

ამ გამოცდას აბარებენ ის მოსწავლეები, რომლებიც განსაზღვრულია „ექსტერნატის ფორმით მიღებული განათლების სერტიფიცირების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 5 მარტის 15/ნ ბრძანებით, ასევე, ის მოსწავლეები რომელთაც საშუალო საფეხურზე სასწავლო წლის მანძილზე კონკრეტული საგნისათვის გათვალისწინებული საათების 1/2-ზე მეტი აქვთ გაცდენილი.

მაგალითი:

1. კლასში სემესტრის განმავლობაში ჩატარდა **4 შემაჯამებელი დავალება**;
2. ერთ-ერთმა მოსწავლემ, მხოლოდ **2 შემაჯამებელი დავალება შეასრულა**;
3. მოსწავლემ სემესტრის განმავლობაში მიიღო **7 ნიშანი (8, 10, 8, 9, 8 10, 7)**. აქედან ორი შემაჯამებელი, დანარჩენი კი - საშინაო და საკლასო დავალებებში;
4. რამდენადაც მოსწავლემ არ შეასრულა **2 შემაჯამებელი დავალება**, მისი ნიშნების ჯამი უნდა გაიყოს არა **7-ზე** (ანუ, არა მის მიერ მიღებული ნიშნების რაოდენობაზე), არამედ **9-ზე**, (ანუ მიღებული ნიშნების რაოდენობას დამატებული შეუსრულებელი შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა);
5. მოსწავლის სემესტრული ნიშანი იქნება:
 $8+10+8+9+8+10+7 = 60 : 9 = 6,7=7$

	კომპონენტები	მიღებული ნიშნები	ნიშნების რაოდენობა
სემესტრული ნიშანი	საშინაო	8, 10	2
	საკლასო	8, 9, 8	3
	4 შემაჯამებელი დავალება	10	2 შესრულებული + 2 შეუსრულებელი შემაჯამებელი; სულ 4

		7	
ჯამი	60 ქულა	9 ნიშანი	
სემესტრული ნიშნის გამოთვლა			$60 : 9 = 6,7=7$

საგნის წლიური ნიშანი

მოსწავლე თითოეული სემესტრის ბოლოს იღებს საგნის სემესტრულ შეფასებას. წლის ბოლოს მასწავლებელი ამ ორი სემესტრული შეფასების საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით საგანში საბოლოო ნიშანს წერს. საგნის წლიური ნიშანი მრგვალდება მთელის სიზუსტით (მაგალითად, 7.25 მრგვალდება 7-მდე, 9.5 მრგვალდება 10-მდე).

თუ სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს წლიური გამოცდის ჩატარებას და განსაზღვრულია, რომ ამ გამოცდის ნიშანიც აისახება წლიურ ნიშანზე (იხ. ზემოთ, გამოცდის ტიპები, წლიური (სასწავლო წლის დამამთავრებელი) გამოცდა), მაშინ საგნის წლიური ნიშანი სამი შეფასების საშუალო არითმეტიკულია (დამრგვალებული მთელის სიზუსტით).

საერთო წლიური ნიშანი

საერთო წლიური ნიშანი გამოითვლება საფეხურის ფარგლებში მოსწავლის კლასიდან კლასში გადაყვანის მიზნებისთვის.

საერთო წლიური ნიშანი ერთი ნიშნით უნდა გამოიხატებოდეს. ამ ნიშნის გამოთვლა ხდება შემდეგი ფორმულით: ვკრებთ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო საგნის (მე-11 და მე-12 კლასების შემთხვევაში, აგრეთვე, სავალდებულო არჩევითი საგნის/საგნების/პროგრამის) წლიურ ნიშანს და ჯამს ვყოფთ ნიშნების საერთო რაოდენობაზე. საერთო წლიური ნიშანი მრგვალდება მეათედის სიზუსტით (მაგალითად, 7.14 მრგვალდება 7.1-მდე, 8.15 მრგვალდება 8.2-მდე, ხოლო 9.27 მრგვალდება

საფეხურის დაძლევა

დანყებიითი საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საერთო საფეხურის ნიშანი (დამრგვალების შემდეგ) იქნება არანაკლებ 5.1-ისა, რაც აძლევს მას საბაზო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლებას.

საბაზო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საერთო საფეხურის ნიშანი (დამრგვალების შემდეგ) იქნება არანაკლებ 5.1-ისა, რაც აძლევს მას

მოსწავლეების აკადემიური მიღწევების აღიარება

საერთო წლიური ან საერთო საფეხურის ნიშანი 8, 9 და 10 გულისხმობს წლის ან საფეხურის წარჩინებით დამთავრებას. ყოველი წლის ბოლოს თითოეული საფეხურისათვის უნდა მოეწყოს საერთო შეკრება, რომელზეც წარჩინებულ მოსწავლეებს წარადგენენ წარჩინების ხარისხის მიხედვით. შესაძლებლობების მიხედვით, სკოლას შეუძლია ასეთი მოსწავლეების დაჯილდოვებაც. ასეთი ღონისძიებები მნიშვნელოვნად ზრდის აკადემიური მოსწრებისადმი ინტერესს მოსწავლეებში.

სკოლამ წლის ბოლოს საჯაროდ უნდა გამოაცხადოს მხოლოდ წარჩინებულების ვინაობა. დაუშვებელია ყველა მოსწავლის ქულების საჯაროდ გამოცხადება. ნაკლებად წარმატებულთა ვინაობის სკოლის მასშტაბით გამოცხადებაში შეიძლება მნიშვნელოვნად დათრგუნოს ასეთი მოსწავლეები და უარყოფითად იმოქმედოს მათ მომავალ წარმატებებზე. პირი, რომლის საშუალო საფეხურის საერთო ნიშანია 10 დამრგვალების გარეშე,

9.3-მდე). აღნიშნულიდან გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც ნიშანი, რომელიც მეტია 5.0-ზე და ნაკლებია 5.1-ზე მრგვალდება 5.1-მდე.

საფეხურის საერთო ნიშანი

საფეხურის საერთო ნიშანი გამოითვლება იმავე პრინციპით, რომლითაც ითვლება საერთო წლიური ნიშანი, ანუ ვაჯამებთ საფეხურის მანძილზე ნასწავლი საგნების ყველა წლიურ ნიშანს (მაგ. მათემატიკა მე-10 კლასი, ქართული მე-10 კლასი, მათემატიკა მე-11 კლასი, ქართული მე-11 კლასი, მათემატიკა მე-12 კლასი, ქართული მე-12 კლასი და ა.შ.) და ვყოფთ ნიშნების საერთო რაოდენობაზე. საფეხურის საერთო ნიშანი მრგვალდება მეათედის სიზუსტით (მაგალითად, 6.55 მრგვალდება 6.6-მდე, 7.58 მრგვალდება 7.6-მდე, ხოლო 9.43 მრგვალდება 9.4-მდე). აღნიშნულიდან გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც ნიშანი, რომელიც მეტია 5.0-ზე და ნაკლებია 5.1-ზე მრგვალდება 5.1-მდე.

საქართველოს ტერიტორიაზე 2008 წლის აგვისტოში რუსეთის ფედერაციის მხრიდან განხორციელებული სამხედრო აგრესიის შედეგად დაზარალებული იმ მოსწავლეებისათვის, რომლებისთვისაც ვერ ხერხდება ზოგადი განათლების საფეხურებში შემავალი საგნების წლიური ნიშნების ამსახველი დოკუმენტაციის მოძიება, ზოგადი განათლების საფეხურის საერთო ნიშანი გამოითვლება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული ამ მოსწავლეთა მიერ გავლილი საგნების წლიური ნიშნების ამსახველი დოკუმენტაციის საფუძველზე.

საბაზო განათლების ატესტატის აღების ან საშუალო საფეხურზე გადასვლის უფლებას.

საშუალო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საერთო საფეხურის ნიშანი (დამრგვალების შემდეგ) იქნება არანაკლებ 5.1-ისა, რაც აძლევს მას საატესტატო გამოცდაზე გასვლის უფლებას.

იღებს სრული ზოგადი განათლების ოქროს მედალოსნის ატესტატს. პირი, რომლის საშუალო საფეხურის საერთო ნიშანი მეათედებამდე დამრგვალების შედეგად არის 9.8 და 9.9, იღებს სრული ზოგადი განათლების ვერცხლის მედალოსნის ატესტატს.

პირზე, რომელმაც წინამდებარე სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საშუალო საფეხურის საგანი/საგნები წარჩინებით დაძლია ექსტერნატის ფორმით, ოქროსა და ვერცხლის მედალოსნის ატესტატი არ გაცემა.

საქართველოს ტერიტორიაზე 2008 წლის აგვისტოში რუსეთის ფედერაციის მხრიდან განხორციელებული სამხედრო აგრესიის შედეგად დაზარალებულ მოსწავლეზე სრული ზოგადი განათლების ოქროს მედალოსნის ატესტატი გაცემა, თუ ამ მოსწავლის ნიშნების ამსახველი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული დოკუმენტაციის საფუძველზე, მისი საშუ-

ალო საფეხურის საერთო ნიშანია 10 დამრგვალების გარეშე, ხოლო თუ მოსწავლის საშუალო საფეხურის საერთო ნიშანი მეათედებამდე დამრგვალების შედეგად

არის 9.8 და 9.9, მოსწავლეზე გაიცემა სრული ზოგადი განათლების ვერცხლის მედალოსნის ატესტატი.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლის აკადემიური მოსწრების შეფასება

თუ სკოლას ყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე (შემდგომში - სსსმ მოსწავლე), სკოლამ უნდა შეიმუშაოს მისი სასწავლო მიზნები, რაც გულისხმობს, რომ უნდა განისაზღვროს მოსწავლის მოსალოდნელი აკადემიური წინსვლა და სწავლისათვის შესაბამისი და აუცილებელი პირობები, გათვალისწინებული უნდა იყოს მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობის (გაუარესების) გავლენა აკადემიურ მოსწრებაზე.

სსსმ მოსწავლის აკადემიური მოსწრების შეფასება ხდება იმავე პრინციპით, რომლითაც ხდება ნებისმიერი სხვა მოსწავლის აკადემიური მოსწრების შეფასება. იმ შემთხვევაში, როდესაც სსსმ მოსწავლე განათლებას იღებს მოდიფიცირებული სასწავლო გეგმით, ფასდება მოსწავლის მიერ მოდიფიცირებული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევის დონე. მოსწავლე, რომელიც წარმატებით სძლევს მოდიფიცირებულ სასწავლო გეგმას, ფასდება მაღალი ქულით.

სკოლის მიერ მისაღები გადაწყვეტილებები შეფასებასთან დაკავშირებით

სკოლამ სასწავლო წლის დასაწყისში, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად, უნდა დააზუსტოს მოსწავლეების შეფასების ის სისტემა, რომლითაც იხელმძღვანელებს მისი ყველა მასწავლებელი. სკოლამ უნდა დაადგინოს:

- ა) რა არის ის მინიმალური ბარიერი, რომელიც მოეთხოვება მოსწავლეს იმისათვის, რომ კლასიდან კლასში გადავიდეს;
- ბ) რა არის ის მინიმალური ბარიერი, რომლის გადალახვაც მოეთხოვება მოსწავლეს იმისათვის, რომ საგანი დაძლეულად ჩაეთვალოს. მინიმალური ბარიერის დადგენისას, სკოლამ უნდა გაითვალისწინოს, რომ საფეხურის წარმატებით დამთავრებისთვის, მოსწავლეს უნდა ჰქონდეს საერთო საფეხურის ქულა, არანაკლებ 5.1-ისა (დამრგვალების შემდეგ), გარდა ამ გეგმით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა. ეს კი ნიშნავს იმას, რომ მისი ქულები კლასების მიხედვითაც საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ ამ შედეგს მიაღწიოს;
- გ) როგორ უნდა აღიდგინოს მოსწავლემ გაცდენილი მასალა, დასჭირდება თუ არა მას დამატებითი გაკვეთილები და სხვ.;
- დ) ინიშნება თუ არა გამოცდა/გამოცდები? თუ სკოლა ნიშნავს ასეთ (წლიურ) გამოცდას, უნდა განისაზღვროს რომელ საფეხურზე და რომელ საგნებში? ექნება თუ არა ამ გამოცდაზე მიღებულ ქულას ზეგავლენა წლიურ ნიშანზე;
- ე) სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი სავალდებულო საგნის/ საგნების შეფასების პრინციპები.

V. შეფასების რუბრიკის ნიმუშები:

პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა

ამ შემთხვევაში მოსწავლეებს თითოეულ კრიტერიუმში ენიჭება ნული ან ერთი ქულა და საბოლოო ქულის გამოსაყვანად ითვლება მათი ჯამი. მაქსიმალური ჯამი არის ათი ქულა.

	მოსწავლის სახელი, გვარი									
საინტერესო შესავალი (პრობლემის იდენტიფიცირება)	1									
კვლევების/წარმომის წარმოჩენის უნარი	1									
შემოქმედებითი უნარი	1									

პრობლემის გადაჭრის გზების შეთავაზება	0									
თემის გასაგებად წარმოდგენა (ლოგიკური ჯაჭვი)	0									
საუბარი (გამართულობა, ტემბრი)	1									
თვალსაჩინოებების გამოყენება	0									
აუდიტორიასთან კონტაქტი	1									
ინფორმაციის ფლობის უნარი (ადეკვატური კითხვა-პასუხი)	1									
დროის ლიმიტის დაცვა	0									
ჯამი	6									

პროექტის შეფასების განზოგადებული რუბრიკა

მაქსიმალური ჯამური ქულის გაყოფით სამზე მოხდება მოგროვილი ქულების ათქულიან შეფასებაზე გადაყვანა

	ელემენტარული 1 ქულა	მისაღები 2 ქულა	ოსტატური 3 ქულა
1. მიზანი	არ არის კარგად გამოკვეთილი, ბუნდოვანია	ხდება ერთ მიზანზე ფოკუსირება	კარგად გამოკვეთილი მიზნები, მარტივად აღსაქმელი
2. ორგანიზება	სუსტად ორგანიზებული, არ არის იდეებს შორის ლოგიკური ჯაჭვი, რაც აბნევს მკითხველს/ მსმენელს	გააზრებულია თანმიმდევრულობა, ორგანიზების ნიშნებით, ზოგი გადასვლა იდეებს შორის არის მარტივი, ზოგი გაუგებარი	კარგად ორგანიზებული ფორმატი, ლოგიკური გადასვლა ერთი იდეიდან მეორეზე, ორგანიზება ზრდის პროექტის ეფექტურობას
3. შინაარსის კორექტულობა	გვხვდება ხშირი შეუსაბამო, მცდარი ინფორმაცია, შეყავს შეცდომაში მკითხველი/ მსმენელი	ძირითადად კორექტულია, ზოგიერთი შეუსაბამო ან მცდარი ინფორმაციით	მთლიანად კორექტული, ფაქტები ზუსტი და მკაფიო
4. ენობრივი გამართულობა	ენობრივად გაუმართავი, ხშირი შეცდომებით	ენობრივად გამართული, მცირე შეცდომებით	ენობრივად გამართულია, დაცულია პუნქტუაციის ნიშნები
5. კვლევა	კვლევა არაეფექტურადაა დაგეგმილი, გამოყენებული წყარო არ არის სანდო, ანალიზი ზედაპირულია	კვლევა დაგეგმილია, მაგრამ ჯგუფის პოტენციალი მთლიანად არ არის გამოყენებული, შეზღუდული რაოდენობის წყაროებია გამოყენებული, ანალიზი მისაღებია	კვლევა სწორად არის დაგეგმილი, გამოყენებულია არაერთი წყარო (ავტორიტეტული კვლევები და მოპოვებული მასალები სავსე კვლევიდან) და ანალიზი სიღრმისეულია
6. თვალსაჩინოებები	თვალსაჩინოებები ხშირად შინაარსთან შეუსაბამოა, ან არ არის ჯგუფის მიერ შექმნილი	თვალსაჩინოებების კავშირი შინაარსთან არის, მაგრამ ერთფეროვანია, გამოიყენება მოძიებული და ჯგუფის მიერ შექმნილი	მრავალფეროვანი, შინაარსის შესატყვისი, აკურატულად შესრულებული
7. შემოქმედებითობა	მცირე შემოქმედებითი ენერჯის დანახარჯი ჯგუფის მხრიდან	ზოგჯერ ჩანს ჯგუფის ორიგინალური აზრები და ეხმარება პროექტის უკეთ წარმოჩენაში	ჩანს ჯგუფის ორიგინალობა, სიახლე და თავისებური ხედვა, რაც პროექტს საინტერესოს ხდის

8.კავშირები საგნებთან	არ ჩანს ჯგუფის კომპეტენცია საგნებში, გვხვდება ფაქტების უზუსტო ინტერპრეტირება	არის მოსაზრებების კავშირი ერთ ან ორ საგნიდან მიღებულ ცოდნასთან	ხდება მთავარი მოსაზრებების დაკავშირება სხვადასხვა საგნებიდან მიღებულ ცოდნასთან, რაც მიუთითებს მრავალი მიმართულებით ჯგუფის კომპეტენტურობაზე
9.დასკვნები	არ არის ჩამოყალიბებული დასკვნები	დასკვნები ჩამოყალიბებულია კვლევის ადეკვატურად, მაგრამ არ არის მკაფიო	დასკვნებში არის სიახლე (ორიგინალობა), ლოგიკური კავშირი კვლევასთან და ჩამოყალიბებული მკაფიოდ
10.პრეზენტაცია	ეფექტურად არ არის წარმოჩენილი პროექტის არსი, უჭირს აზრის ჩამოყალიბება და პასუხების გაცემა, არ არის მიზნობრივად გამოყენებული თვალსაჩინოებები	ბუნდოვნად ჩამოყალიბებული პროექტის არსს, იყენებს თვალსაჩინოებებს, პასუხობს შეკითხვების უმეტესობას	ნათლად ჩამოყალიბებული პროექტის არსი, მკაფიო მეტყველება, აუდიტორიაზე გათვლილი, ძირითადი იდეებია გაშლილი, იყენებს თვალსაჩინოებებს და პასუხობს ყველა კითხვას

რეფერატის შეფასების რუბრიკა

ამ შემთხვევაში მე-3 და მე-5 კრიტერიუმები ფასდება 0-2 ქულით, ხოლო ყველა დანარჩენი 0 ან 1 ქულით. მაქსიმალური ჯამი არის ათი ქულა.

	მოსწავლის სახელი, გვარი				
	—				
1.მიზანი/თეზისი – კვლევის შედეგად გამოთქმული ძირითადი იდეა	1				
2.რეფერატის ორგანიზება	1				
3.შინაარსის კორექტულობა, ფაქტობრივი საიმედოობა	2				
4.ენობრივი გამართულობა	0				
5.კვლევა	2				
6.ილუსტრაციები/ თვალსაჩინოებები ¹	1				
7.შეთავაზებული მოსაზრების არგუმენტებითა და მაგალითებით გამყარება	1				
8.დასკვნები	1				
ჯამი	9				

დისკუსიის შეფასების რუბრიკა

კონკრეტულ მოსწავლეს თითოეული კრიტერიუმის გასწვრივ ენიჭება შესაბამისი ქულა, ჯამდება ყველა კრიტერიუმში მიღებული ქულები და იყოფა ექვსზე (გამოითვლება მათი საშუალო არითმეტიკული)

	III დონე (8-10 ქულა)	II დონე (5-7 ქულა)	I დონე (1-4 ქულა)
მოსმენა	ყოველთვის უსმენს და თვალყურს ადევნებს ორატორს	ხშირად უსმენს და უყურებს ორატორს	იშვიათად უსმენს და უყურებს ორატორს
საუბარი	მკაფიოდ მეტყველებს და უყურებს მსმენელებს	ძირითადად მეტყველება გასაგებია და უყურებს მსმენელებს	მეტყველება არამკაფიოა, მსმენელებს უჭირთ გაგება

არავერბალური კომუნიკაცია	შეუძლია ეფექტურად აღიქვას და გამოიყენოს არავერბალური კომუნიკაციის ფორმები (თვალთ, ჟესტებით, გამომეტყველებით, ხმით)	ხშირად შეუძლია დაამყაროს არავერბალური კონტაქტი	იშვიათად იყენებს არავერბალურ კომუნიკაციის ფორმებს
მონაწილეობა	უზენეს ინტერესს დისკუსიის თემისადმი საჭირო კომენტარებითა და აზრების გამოთქმით	ძირითადად გამოხატავს ინტერესს. კომენტარები და აზრები ყოველთვის არაა თემის გარშემო	მცირე ინტერესი აქვს. არ გამოხატავს ან ვერ უკავშირებს თავის მოსაზრებებს სადისკუსიო თემას
კოოპერაცია	თანამშრომლობს თანაკლასელებთან, აცლის სხვებს აზრის გამოთქმას და იცავს დისკუსიის წესებს	ძირითადად თანამშრომლობს თანაკლასელებთან, ზოგჯერ ერთვება სხვის საუბარში, ძირითადად იცავს დისკუსიის წესებს	იშვიათად თანამშრომლობს და იცავს დისკუსიის წესებს.
მოსაზრების არგუმენტირება	მოსაზრება ორიგინალურია და გამყარებულია ფაქტებით, ცნებებით. არის ლოგიკური კავშირი საკითხთან	მოსაზრების გასამყარებლად გამოყენებულია სადავო ფაქტები და ცნებები	მოსაზრება მოკლებულია ლოგიკურ კავშირს საკითხთან და არ არის გამყარებული ფაქტებით

შემაჯამებელი დავალების კონკრეტული მაგალითი ისტორიაში:

დანერეთ თემა : „პირველი ჯვაროსნული ლაშქრობა“.

- ა) ჩამოაყალიბეთ კვლევის ძირითადი იდეა, თეზისი
- ბ) დაიცავით რეფერატის სტრუქტურა (შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა) და თემას დაურთეთ ბიბლიოგრაფია, რომელშიც მიუთითებთ გამოყენებულ ლიტერატურას.
- გ) სათანადო ფაქტობრივი მასალა იმგვარად დაამუშავეთ, რომ საშუალება მოგეცეთ იმსჯელოთ შემდეგ საკითხებზე:
 - რატომ და როგორ განვითარდა ევროპელთა ექსპანსია ახლო აღმოსავლეთში
 - რა იყო განმაპირობებელი მიზეზები
 - რა შედეგები მოჰყვა ამ ლაშქრობას
- დ) მსჯელობისას განიხილეთ განსხვავებული პოზიციები, შეაჯერეთ, ჩამოაყალიბეთ თქვენი პოზიცია და დაასაბუთეთ იგი;
- ე) რეფერატის სრულყოფილად დასამუშავებლად და არგუმენტირების შესაძლებლობისთვის: გაეცანით და დაამუშავეთ პირველადი და მეორადი წყაროები (მოიძიეთ სამეცნიერო ლიტერატურა/ სამეცნიერო ინტერნეტ-მასალა)

რეფერატის შეფასების რუბრიკა

მიზანი/თეზისი – კვლევის ძირითადი იდეის ჩამოყალიბება	0-1	0 ქულა - კვლევის მიზანი არ არის განსაზღვრული / სწორად არ არის კვლევის მიზნის განსაზღვრული.	-	1 ქულა - მერჩულ თემასთან მიმართებაში მკაფიოდ ხდება იმ კითხვების წარმოჩენა შესავალში, რომლებზეც არის პასუხი გაცემული რეფერატში
--	-----	--	---	---

რეფერატის ორგანიზება (რეფერატის სტრუქტურა-შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნები) და გამოყენებული რესურსი, რის ბაზაზეც შეიქმნა რეფერატი	0-1	0 ქულა - არაა გამოკვეთილი რესურსები, რის საფუძველზეც შესრულდა რეფერატი, ნაშრომს არ აქვს სტრუქტურა, რეფერატს არ აქვს ადექვატური ბიბლიოგრაფია	-	1 ქულა - კარგად ჩანს რა ბაზაზე შესრულა მოსწავლემ რეფერატი; შემოთავაზებული ბიბლიოგრაფია სამეცნიერო ნაშრომებითაა დაკომპლექტებული.
შინაარსის კორექტულობა, ფაქტობრივი საიმედოობა	0-2	0 ქულა - მოძიებული მასალა ძალიან მწირია, არ იცნობს პირველად წყაროებს, მეორადი წყაროებიც არაა დამუშავებული.	1 ქულა - მოძიებული მასალა შეიცავს პირველად და მეორად წყაროებს, თუმცა წარმოდგენილი წყაროები ზედაპირულადაა დამუშავებული, ანუ მოსწავლე მხოლოდ ნაწილობრივად გაიაზრებს მასალას.	2 ქულა - იცნობს პირველად და მეორად წყაროებს, მოხმობილი ფაქტები სანდოა, რადგან სწორად ხდება წყაროს ამოკითხვა; პირველადი და მეორადი წყაროები სათანადოა და დამუშავებული, მოსწავლე ავლენს კრიტიკული დამოკიდებულებას წყაროსადმი
ენობრივი გამართულობა	0-1	0 ქულა - ენა გაუმართავია, აზრები არათანმიმდევრულადაა გადმოცემული.	-	1 ქულა - ენა ნათელი და გასაგებია, მსჯელობა თანამიმდევრული.
კვლევა (წყაროების ურთიერთშეჯერებისა და შეპირისპირების საფუძველზე საკუთარი ვარაუდების შემუშავება)	0-2	0 ქულა - მოსწავლეს არ გააჩნია არავითარი ვარაუდი/ები თემასთან მიმართებაში, მისი რეფერატი ორიგინალური ნაშრომის შთაბეჭდილებას არ ქმნის; მოსწავლე არ ავლენს წყაროების ანალიზის უნარს, შეიმჩნევა პლაგიატობა.	1 ქულა - მოსწავლე გარკვეულწილად ავლენს წყაროების ანალიზის უნარს, თუმცა უჭირს წყაროებში ფაქტებისა და ვარაუდების გარჩევა, შესაბამისად მათ მიერ გამოთქმული ზოგიერთი ვარაუდი საფუძველს მოკლებულია.	2 ქულა - მოსწავლე კარგად განასხვავებს ფაქტსა და ვარაუდს, სათანადოდ ამუშავებს პირველად და მეორად წყაროებს, მათი გაანალიზების საფუძველზე გამოთქვამს სათანადო ვარაუდები, თანამიმდევრულად დალა-გებული მასალის საფუძველზე ახერხებს თავისთვის საინტერესო კითხვებზე პასუხი იპოვოს.
ილუსტრაციები/თვალსაჩინოებები ²	0-1	-	-	-
შეთავაზებული მოსაზრების არგუმენტებითა და მაგალითებით გამყარება	0-2	0 ქულა - არ აქვს საკუთარი პოზიცია/საკუთარ პოზიციას ვერ ამყარებს არგუმენტებით,	1 ქულა - ცდილობს შემოგვთავაზოს საკუთარი ხედვა საკითხთან მიმართებაში, თუმცა მყარად ვერ გრძნობს თავს მასალასთან დამოკიდებულებაში და საკუთარ პოზიციის დაცვა უჭირს.	2 ქულა - ავლენს საგნის კარგ ცოდნას, დამუშავებული მა-სალის მოშველიებით კარგად აყალიბებს საკუთარ პოზიციას და ამყარებს მას არგუმენტებით; მსჯელობს თამამად, ანგარიშს უწევს, მაგრამ ბრმად არ ენდობა ავტორიტეტებს.
8. დასკვნები	0-1	0 ქულა - რეფერატში მოცემული დასკვნები არაარგუმენტირებული და მცდარია		1 ქულა - აჯამებს იმ შედეგებს, რაც მისცა კვლევამ და კარგად ახერხებს ამის მკითხველამდე მიტანას.
	ჯამური ქულა			

სტანდარტან შესაბამისობა – მაგალითი შესაბამისობაშია X კლასის ისტორიის სტანდარტის მიმართულების – ისტორიული ინტერპრეტაცია და კვლევა – მე-4, მე-5, მე-6, მე –7 შედეგებსა და მიმართულების – კომუნიკაცია – მე-8 შედეგთან; ასევე XI კლასის ისტორიის სტანდარტის მიმართულების – სახელმწიფო მმართველობა და პოლიტიკა – მე-5 შედეგთან.

შემაჯამებელი დავალების კონკრეტული მაგალითი გეოგრაფიაში:

წარმოადგინეთ თემა – „ გერმანიის კომპლექსური დახასიათება”,

ა) განიხილეთ შემდეგი საკითხები: 1) გერმანიის ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა, 2) ბუნებრივი რესურსები, 3) მოსახლეობა (სქესობრივ-საკობრივი სტრუქტურა, მიგრაცია, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა) 4) ეკონომიკური მდგომარეობა (მეურნეობის დარგები, ტრანსპორტი), 5) პოლიტიკური მდგომარეობა (პოლიტიკური სტრუქტურა).

ბ) იმსჯელეთ და გამოიტანეთ დასკვნები (ქვეყნის ადგილი მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე და მისი განვითარების მომავალი პერსპექტივები).

შეფასების კრიტერიუმები

განიხილავს პირველ ხუთ საკითხს	0-1-2	0 ქულა – ზედაპირულად განიხილავს მხოლოდ ერთ ან ორ საკითხს	1 ქულა - განიხილავს დავალებში მოცემული საკითხების ნახევარზე მეტს	2 ქულა - განიხილავს ხუთივე საკითხს
იცავს შინაარსობრივ თანამიმდევრობას	0-1	0 ქულა - არათანამიმდევრულად გადადის ერთი საკითხიდან მეორეზე.	-----	1 ქულა - თანამიმდევრულად განიხილავს საკითხებს
ავლენს ანალიზისა და კრიტიკულ აზროვნებს უნარს	0-2	0 ქულა - ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ ფაქტებზე, არ ავლენს კრიტიკული აზროვნების უნარს.	1 ქულა აანალიზებს ერთ-ორ საკითხს და მათ მიმართ გამხატვს საკუთარ დამოკიდებულებას	2 ქულა მოსწავლე აანალიზებს მასალაში მოცემულ საკითხებს, გამოხატავს მათთან დაკავშირებით საკუთარ პოზიციას
იყენებს თვალსაჩინოებებს	0-1	0 ქულა - თვალსაჩინოება არ არსებობს ან ძალიან მწირია	-----	1 ქულა - მოხსენებას ახლავს მრავალფეროვანი თვალსაჩინოება
საუბრობს გარკვევით და გამართულად	0-1	0 ქულა - საუბრობს გაურკვეველად, ჭირს აზრის გამოტანა		1 ქულა - საუბრობს გარკვევით, გაართულად მეტყველებს
პასუხობს დასმულ კითხვებს, ავლენს შესწავლილი საკითხების ცოდნას	0-1	0 ქულა-საერთოდ ვერ პასუხობს აუდიტორიის მიერ დასმულ კითხვებს,		1ქულა-ადეკვატურად პასუხობს კითხვებს, ავლენს ცოდნასა და ანალიზის უნარს
იცავს დროის ლიმიტს	0-1	0 ქულა - არ იცავს დროის ლიმიტს		1 ქულა - დროის ლიმიტი დაცულია
გამოაქვს დასკვნა/ები	0-1-2	0 ქულა - ვერ გამოაქვს დასკვნა/ გამოაქვს არადეკვატური დასკვნა/ები.	1ქულა გამოაქვს გარკვეული დასკვნები, მაგრამ ვერ ასაბუთებს მათ.	2 ქულა -გამოაქვს საინტერესო დასკვნები, განმარტავს მათ სოციალურ-ეკონომიკური კონტექსტის და მწმენლოვანი ფაქტორების განალიზების საფუძველზე, მსჯელობა საინტერესოა და დამაჯერებელი.

სტანდარტან შესაბამისობა – შემაჯამებელი დავალება შესაბამისობაშია XI კლასის გეოგრაფიის სტანდარტის მეორე შედეგთან: გეო. XI.2. მოსწავლეს შეუძლია სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის გლობალური პრობლემების

VI. მეთოდის ძირითადი ორიენტირები

სწორი ლექსიკის გამოყენება

გაკვეთილზე სწორი ლექსიკის გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეებში სწავლების პრიორიტეტების გათავისუფლებას. მნიშვნელოვანია, მასწავლებელი ხშირად იყენებდეს ისეთ ფრაზებს, რომლებიც შეიცავენ აზროვნებასთან დაკავშირებულ სიტყვებს: „მოვიფიქროთ, ამოვიცნოთ, გავიაზროთ, დავახარისხოთ, შევაფასოთ“. სწავლების პროცესში ასევე ხშირად უნდა დაისვას ისეთი შეკითხვები, რომლებიც ხელს უწყობს და სტიმულს აძლევს აზროვნებას. სკოლამ უნდა ჩამოაყალიბოს ფიქრის კულტურა და შესაბამისი გარემო ფიქრისათვის. მასწავლებელი ამას დავალებებსა და გაკვეთილებზე გამოყენებული ლექსიკით უნდა უწყობდეს ხელს. მოსწავლეს არ უნდა ეშინოდეს საკუთარი აზრის გამოთქმის.

კავშირები საგნებს შორის

სკოლაში მიღებული გამოცდილება, ცოდნა და უნარ-ჩვევები ადამიანს უნდა აძლევდეს შესაძლებლობას, სამყარო აღიქვას მთლიანობაში. შესაბამისად, საგნები, რომლებიც სკოლაში ისწავლება, უნდა ითვალისწინებდეს ერთმანეთთან მჭიდრო კავშირს. უნარ-ჩვევები და საბაზო ცოდნა, რომელთა განვითარებაც უნდა მოხდეს სკოლაში, უნდა იყოს იმდენად ფართო პროფილის, რომ დაეხმაროს მოსწავლეს წარმატების მიღწევაში არა ერთ რომელიმე, არამედ ნებისმიერ სფეროში, რომელშიც ის გააგრძელებს მოღვაწეობას.

აქცენტი მრავალმხრივ პერსპექტივაზე

მოვლენების შეფასება, იქნება ეს ისტორიული, ფიზიკური თუ ესთეტიკური, უნდა მოხდეს მრავალი კუთხით. სასწავლო მასალის მრავალი კუთხით შეფასება ხელს უწყობს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებას, რაც აუცილებელია სტერეოტიპების დაძლევისათვის. სააზროვნო კითხვას მრავალი სწორი პასუხი აქვს. სკოლის მოვალეობაა, დაეხმაროს მოსწავლეებს ამ სწორი პასუხების აღმოჩენაში პრობლემის სხვადასხვა კუთხით შეფასებისას. სკოლამ აუცილებლად უნდა შეუწყოს ხელი სასწავლო დანერგულებებში მრავალფეროვნების არსებობას არა მარტო მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინებით, არამედ ენობრივი, რელიგიური თუ ეთნიკური განსხვავებულობისადმი პატივისცემის გზით და სხვადასხვა იდეისა და აღმოჩენის დაფასებით.

აქცენტი პიროვნული ღირსებების განვითარებაზე

სკოლამ განსაკუთრებულად უნდა მიაქციოს ყურადღება ისეთი ღირებულებების განვითარებას, როგორცაა ღირსება, სამართლიანობა, ურთიერთპატივისცემა, სხვისი აზრის მოსმენა და აღიარება. მნიშვნელოვანია, რომ სკოლაში დიდი ყურადღება მიექცეს ისეთი გავრცელებული სენის აღმოფხვრას, როგორცაა პლაგიატობა (ანუ სხვისი აზრების მითვისება). სკოლა უნდა ქმნიდეს ისეთ ატმოსფეროს, სადაც სხვისი, მოსწავლი-

სა თუ მასწავლებლის, მეცნიერისა თუ მწერლის აზრების საკუთრად გასაღება სირცხვილად ითვლება. მოსწავლემ უნდა გაიაზროს, რომ სხვისი ნაშრომის მითვისება და საკუთარ მიღწევად გამოცხადება ისეთივე ქურდობაა, როგორც სხვისი ნივთის მისაკუთრება. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელი პირად მაგალითზე აჩვენებდეს მოსწავლეს, რას ნიშნავს სამართლიანობა და ურთიერთპატივისცემა.

დისციპლინა

სკოლამ უნდა განუვითაროს მოსწავლეებს საკუთარი მოვალეობების გააზრების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უნარ-ჩვევები. მასწავლებლების მაგალითი გადამწყვეტია სკოლაში მშვიდი და საქმიანი გარემოს შესაქმნელად. სკოლაში ნორმალური ატმოსფეროს დასაწერად ასევე გადამწყვეტია მოსწავლეებისათვის იმის ჩანერგვა, რომ სკოლა მათი საკუთრებაა. მხოლოდ ამის გააზრებით შეიძლება მათ უარი თქვან სასკოლო ინვენტარისა თუ შენობის განზრახ დაზიანებაზე, სკოლებში უხეში კონფლიქტების წამოწყებაზე და სხვა. ადმინისტრაციული ზომები, რომლებსაც სკოლა იყენებს მოსწავლეების დასასჯელად, ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ მოსწავლეთა ღირსება არ შეილახოს. სკოლაში დისციპლინის მხრივ მნიშვნელოვან სახელმძღვანელოს უნდა წარმოადგენდეს სკოლის შინაგანაწესი და ქცევის კოდექსი, რომელსაც ყველა მოსწავლე უნდა იცნობდეს. ემოციური და ქცევითი პრობლემების მქონე მოსწავლეებს სოციალური ქცევის სპეციფიკური ინსტრუქციები სჭირდებათ. მათ ნაკლებად მკაცრი გარემო უნდა შევუქმნათ და გავითვალისწინოთ, რომ ყურადღების გაფანტულობა, იმპულსური ქცევა, ჰიპერაქტიურობა საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული ბავშვებში.

მოსწავლეთა დასწრება

თანამედროვე საგანმანათლებლო პროცესი მოითხოვს მოსწავლეების მხრივ განსაკუთრებულ აქტიურობას. ეს გულისხმობს მოსწავლეების მიერ არა მხოლოდ აქტიურ მონაწილეობას განათლების მიღების პროცესში, არამედ თანატოლების სწავლის პროცესში მონაწილეობასაც. გაკვეთილზე ჯგუფური მუშაობისას, პროექტებში მონაწილეობისას, წარმოდგენების დაგეგმვისა თუ განხორციელებისას მოსწავლეები ერთმანეთს ეხმარებიან სხვადასხვა კონცეფციის უკეთესად გაგებაში, უნარ-ჩვევების დაუფლება-განვითარებაში და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაში. შესაბამისად, მოსწავლეების დასწრების უზრუნველყოფა სკოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზრუნავია. მოსწავლეების დასწრების რეგულარული აღრიცხვა, მისი ანალიზი და პრობლემებზე რეაგირება სკოლის დირექციის პასუხისმგებლობაა. დამრიგებელი ვალდებულია, მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მიაწოდოს დასწრების წესების შესახებ ზუსტი ინფორმაცია, რასაც ზედამხედველობას უწევს სკოლის დირექტორი. დამრიგებლის წარდგინების საფუძველზე სკოლის დირექტორი ვალდებულია წერილობითი ფორმით დრო-

ულად შეატყობინოს მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მოსწავლის მიერ გაკვეთილის/გაკვეთილების გაცდენის ფაქტისა და მისგან გამომდინარე მოსალოდნელი შედეგების შესახებ.

დასწრების აღრიცხვა

მოსწავლეთა გაცდენები აღრიცხება ჟურნალში. გაკვეთილებზე მოსწავლეთა დასწრების ყოველდღიური აღრიცხვის წარმოებაზე პასუხისმგებელია საგნის მასწავლებელი.

სსსმ მოსწავლეების დასწრება და გაცდენები

სკოლამ მაქსიმალური ძალისხმევა უნდა გასწიოს იმისათვის, რომ მოსწავლეები რეგულარულად დაესწროს

გაკვეთილის დაგეგმვა

მასწავლებელი გაკვეთილის დაგეგმვისას გამოყოფს იმ ძირითად მომენტებს, რომლის შესრულებასაც საჭიროდ მიიჩნევს გაკვეთილზე. ამ მიზნით იგი წინდანი ადგენს გეგმას. გეგმის შედგენისას იგი ხელმძღვანელობს შემდეგი პრინციპებით:

1. რას უნდა მიაღწიონ მოსწავლეებმა გაკვეთილზე? (შედეგი)
2. როგორ უნდა მივაღწიოთ სასურველ შედეგს?
3. როგორ გავიგოთ, მიღწეულია თუ არა შედეგი?

მასწავლებელი საგაკვეთილო პროცესს წარმართავს ამ კითხვებზე პასუხებიდან გამომდინარე. იგი ვალდებულია წინდანი განსაზღვროს, რა თანმიმდევრობით ჩაატარებს ამა თუ იმ სამუშაოს და როგორ გაანალიზებს მას დროში. შინაარსობრივად გაკვეთილი შედგება სამი ფაზისაგან:

პროვოცირება – ამ დროს მასწავლებელი ახდენს მოსწავლეთა ცოდნის მობილიზებას კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით;

სიღრმისეული წვდომა – იგულისხმება მასალის შესწავლა სხვადასხვა ფორმით – ლექცია, დისკუსია, სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტისა და წყაროების გაცნობა, სქემების გარჩევა-გაანალიზება, რუკის შესწავლა და სხვა.

რეფლექსია ანუ გააზრება – შემაჯამებელი ეტაპი, რომლის დროსაც ხდება მოსწავლის შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარება, პარალელურად

გაკვეთილის, თემის, თავის შეჯამება

გაკვეთილის შეჯამება ხდება პრობლემურ კითხვებზე პასუხების გაცემით, მასწავლებლის მიერ დისკუსიების დასრულებითა და მათთვის შემაჯამებელი განმარტებების მიცემით, დიაგრამების შედგენით (როგორ გაართვა თავი კლასმა სამუშაოს). საამისოდ გაკვეთილების უმრავლესობას (მოსწავლის წიგნში) ახლავს შემაჯამებელი დავალებები – საკითხის კვლევა, თხზულების დანერა, დისკუსია და სხვ.

გაკვეთილებს. სსსმ მოსწავლეების მიერ გამოწვეული გაცდენები საპატიოდ ჩაითვლება, თუკი ეს გამოწვეულია ავადმყოფობით, მშობლის ან მეურვის უუნარობით, მოკლევადიანი მოგზაურობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით. თუ გაკვეთილების გაცდენა აღემატება ორ თვეს, მაშინ სკოლა ვალდებულია სსსმ მოსწავლისათვის საგანმანათლებლო მომსახურება უზრუნველყოს სახლის ან საავადმყოფოს პირობებში. თუ სსსმ მოსწავლე მნიშვნელოვნად ჩამორჩა მოდიფიცირებული სასწავლო გეგმით დასახულ წლიურ მიზნებს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდი და მოსწავლის მშობელი/მეურვე ერთად იღებენ გადაწყვეტილებას, რომ მოსწავლემ გაიმეოროს აღნიშნული კლასი.

ბის გავლება, მოსაზრებების გამოთქმა და დასაბუთება, მსჯელობა, გადანყვეტილების მიღება, შეჯამება.

მასწავლებლის წიგნში ჩვენს მიერ შემოთავაზებულ გაკვეთილის მოდელებში “გაკვეთილის მიზანი” მითითებული არ გვაქვს. იგი ნაწილობრივ წარმოდგენილია მოსწავლის წიგნის ყოველი გაკვეთილის დასაწყისში (თემატური მიზანი ანუ რას შეიტყობს მოსწავლე მოცემული გაკვეთილიდან), ნაწილობრივ – ყოველი გაკვეთილის სცენარში მოცემულ “განსავითარებელ უნარებში” (რა უნარები უნდა განუვითაროს მასწავლებელმა მოსწავლეებს), ნაწილობრივ კი – “შინაარსისა და მისაღწევი შედეგების რუკაში” (გვ. 11-21).

რაც შეეხება გაკვეთილზე გამოსაყენებელ მასალას – სახელმძღვანელო, რეგული, პასტა – ჩავთვალეთ, რომ მოსწავლეს ყველა გაკვეთილზე თან უნდა ჰქონდეს, ხოლო სხვა დამხმარე მასალები – რუკა, ცარცი, დაფა, თაბახის ფურცლები, ფლომასტერები, სქემები და სხვა თვალსაჩინოება – გამოიყენება მასწავლებლის შეხედულებისამებრ და ამას ის თავად გეგმავს ყოველი გაკვეთილისათვის (იხ. XI. საგაკვეთილო პროცესში გამოსაყენებელი რესურსების სარეკომენდაციო ჩამონათვალი).

ასევე, მითითებული არა გვაქვს, მაგრამ ვგულისხმობთ, რომ ყოველი გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი ახდენს გაკვეთილის შეჯამებას და მოსწავლეთა პასუხების არგუმენტირებულ შეფასებას, რასაც საგანგებოდ განვმარტავთ მომდევნო ქვეთავებში.

ყოველი თავის ბოლოს მოსწავლის წიგნში მოცემულია თავის შემაჯამებელი სავარჯიშოები: ტესტები და დავალებები, რომელიც მასწავლებელს ეხმარება მოსწავლის ცოდნის დადგენაში და, ამავე დროს, შესაძლებლობას აძლევს შეამოწმოს საკუთარი თავი: რამდენად შეძლო გაკვეთილში, თემაში თუ თავში განსაზღვრული მიზნების განხორციელება.

VII. გაკვეთილების სცენარებში გამოყენებული ინტერაქტიული მეთოდები

1. გ.ი. – გონებრივი იერიში. ამ მეთოდით მასწავლებელი სასწავლო მიზნის შესაბამისად ახდენს თემის წინასწარ შერჩევასა და შეკითხვის სახით ჩამოყალიბებას.

2. ვ.დ. – ვენის დიაგრამა. მეთოდის სახელწოდება უკავშირდება ინგლისელი მათემატიკოსის, ჯონ ვენის სახელს. ვენის დიაგრამა შედგება ორი ან მეტი რგოლისაგან და იძლევა შედარებითი ანალიზის საშუალებას.

3. დ.დ. – დროის დიაგრამა. მეთოდი გამოიყენება ფაქტებისა და მოვლენების დროსთან დასაკავშირებლად. იგი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს თვალსაჩინოდ დაამუშავონ ისტორიული ფაქტების, მოვლენების შემცველი დიდი ტექსტები და საკითხები.

4. 3-2-1 სტრატეგია. მეთოდი გამოიყენება ტექსტის წაკითხვის, თვალსაჩინოების დათვალერების, ფილმის ნახვის, პროექტების დასრულების შემდეგ. მეთოდის გამოყენება შემდეგი სახით ხდება: ტექსტის ან/და წყაროების გაცნობის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს 2-3 წინადადებით ჩამოწერონ:

- 3 რამ, რამაც დამაინტერესა;
- 2 რამ, რის შესახებაც მინდა გავიგო;
- 1 რამ, რის შესახებაც სიამოვნებით ვიმსჯელებდი.

ეს მეთოდი ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას გაკვეთილის პროცესში. მისი მიზანია მოსწავლის განწყობა საგაკვეთილო პროცესისადმი და თემის მიმართ ინტერესის გაღვივება. იგი ხელს უწყობს აზრის მობილიზებას და სხარტად გამოთქმის უნარის გამომუშავებას.

5. კ.ნ.ს. – კითხვა ნიშანთა სისტემით. მეთოდი გამოიყენება ახალი გაკვეთილის ტექსტზე მუშაობისას, ხელს უწყობს მასალის ათვისებას, ააქტიურებს საკითხის შესახებ არსებულ ცოდნას, ავითარებს კრიტიკული აზროვნებისა და ინფორმაციის დახარისხების უნარს. მეთოდის აღწერა:

მოსწავლეები ტექსტის კითხვისას კიდებზე აკეთებენ აღნიშვნებს (სასურველია – უბრალო ფანქრით): “✓” – თუ ინფორმაცია ნაცნობია, “+” – თუ ინფორმაცია ახალია, “-” – თუ ინფორმაცია მათი აზრის საპირისპიროა, “?” – თუ არ ეთანხმებიან ან გაუგებარია, შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს შეავსონ სქემა:

✓	+	-	?

შემდეგ კი მართავენ დისკუსიას და პასუხობენ მასწავლებლის მიერ დასმულ შეკითხვებს:

- რა იყო ისეთი, რაც ტექსტის წაკითხვამდე იცოდით?
- რა აღმოჩნდა ისეთი, რაც ტექსტის წაკითხვამ გასწავლათ?
- რა იყო ისეთი, რისი საპირისპიროც იცოდით (ან; რასაც არ ეთანხმებით)?
- რა შეკითხვები დაგებადათ?

6. T-სქემა – გამოიყენება საპირისპირო მოსაზრებათა გამოსათქმელად, მოვლენებისა თუ ფაქტების შესაპირისპირებლად და შესადარებლად, მოქმედ გმირთა დასახასიათებლად, ინფორმაციის დასახარისხებლად.

7. ვ.მ.ვ. – ვიცი, მინდა ვიცოდე, ვისწავლე. მეთოდი გამოიყენება საგაკვეთილო ტექსტზე მუშაობისას. გვიჩვენებს, რა ისწავლა მოსწავლემ ამ ტექსტით, აძლიერებს ტექსტის კითხვისა და მასზე მუშაობის მოტივაციას, ავითარებს კითხვის დასმისა და წერიით მეტყველების უნარ-ჩვევებს.

8. ა.კ.რ. – ასოციაციური კავშირების რუკა. დაფის ან ფურცლის ცენტრში, სასწავლო მიზნიდან გამომდინარე, იწერება სიტყვა ან ფრაზა, რომელსაც ლოგიკურად უკავშირებენ იმას, რის ასოციაციასაც გამოიწვევს იგი აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით. ხელს უწყობს ინფორმაციის შეკრებისა და დაჯგუფების, თემის გააზრების, დასკვნების გაკეთების, შემოქმედებითი და ლოგიკური აზროვნების უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

9. შეკითხვები – ღია ან დახურული ტიპის. დახურული კითხვა მოითხოვს მხოლოდ “დიახ” და “არა” პასუხს. იგი გამოიყენება, ძირითადად, ცოდნის შესამოწმებლად და ფაქტის კონსტატაციისათვის. ღია შეკითხვა მოწოდებულია სხვადასხვა აზრთა გამოსავლენად, საკამათოდ. იგი შეიძლება დაეყოს ჯგუფებად: ჰიპოთეტური, განსჯითი, წამახალისებელი, მასტიმულირებელი, შემაჯამებელი, კვლევითი, შემათანხმებელი.

ჰიპოთეტური – “რას იფიქრებ ან მოიმოქმედებ შენ, თუ...?” ასეთი მეთოდი მოსწავლეს ეხმარება წარმოსახვის უნარის განვითარებაში, მიმართავს მის გონებას ფიქრისა და განსჯისაკენ.

განსჯითი – “როგორ შეგვიძლია ხელი შევუწყოთ ამ პრობლემის გადაჭრას?”

წამახალისებელი – “საინტერესოა, რა მოხდა შემდეგ?” მოსწავლე ადგენს შთაბეჭდილებებისა და გამოცდილების გაზიარებას.

მასტიმულირებელი – “რა აზრის ხარ?” მასწავლებელი აგრძნობინებს მოსწავლეს, რომ მისი აზრი მნიშვნელოვანია.

კვლევითი – “რატომ ფიქრობ ასე?” ხელს უწყობს მოსწავლეს დაუფიქრდეს საკითხს, შეძლოს საკუთარი აზრის დასაბუთება.

შემაჯამებელი – მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა გაანალიზონ მეგობრის მოსაზრება, განსაზღვრონ, ეთანხმებიან თუ არა მას. კითხვა: “რატომ ფიქრობ ასე?”

შემათანხმებელი – “ეთანხმებით თუ არა გამოთქმულ მოსაზრებას?” ამ შეკითხვით შეიძლება კამათის პროვოცირება ან კამათის დასრულება. მასწავლებელი უნდა ეცადოს კონსენსუსის მიღწევას ან, თუ ეს შეუძლებელია, ახდენს განსხვავებული აზრის დაფიქსირებას და საკითხს ტოვებს ღიად. მეორე შემთხვევაში ამას ახდენს შეკითხვით – “შეიძლება თუ არა ეს საკითხი გარკვეულად ჩაითვალოს?”

10. დისკუსია – იწყება მოტივაციით, რომელიც გულისხმობს პრობლემის ან კონკრეტული შემთხვევის აღწერას, გათვალსაზრისებას. მასწავლებელი მოსწავლეებს უსვამს კითხვებს: რა? როგორ? რატომ? რა მოხდებოდა, რომ? რამ იქონია გავლენა? არის თუ არა ალტერნატივა? ტრადიციული მეთოდით სწავლებისაგან განსხვავებით, შესაძლებლობას იძლევა დაინახოთ, რომ ყოველი მტკიცება მრავალ სათუო მხარეს შეიცავს.


11. როლში ჩაყენება. მეთოდი გულისხმობს მოსწავლის ჩაყენებას გარკვეული პერსონაჟის ან მკვლევრის როლში საკითხის უკეთ გათავისების, გაგების მიზნით.

12. დებატები – აგებულია მონაწილეთა წინასწარ დაგეგმილ გამოსვლებზე. წარმომადგენლები არჩეულნი უნდა იყვნენ თითოეული ჯგუფიდან. კამათში მონაწილეობს ჯგუფის თითო წარმომადგენელი რიგრიგობით.

13. ინტერვიუ – მის ჩასატარებლად საჭიროა წინდანი მომზადება: მიზნის დასახვა და კითხვების შედგენა. იგეგმება ტექნიკური მხარეც. ინტერვიუს აღება შესაძლებელია ოჯახის წევრების, მეზობლის, უბრალოდ ნაცნობის ან უცნობისაგან. მისი ჩატარება შეუძლია ერთ ან რამდენიმე მოსწავლეს. აუცილებელია შედეგების განხილვა და შეჯამება.

ბლუმის ტაქსონომია

ბლუმის ტაქსონომია არის აზროვნების სისტემა დაბალი დონის აზროვნებიდან მაღალი დონის აზროვნებისკენ, რომელიც ცნობილია პედაგოგიური ტაქსონომიის სახელწოდებით. მას სათავე დაუდო ამერიკელმა მეცნიერმა ბენჯამინ ბლუმმა. იგი აზროვნების განმავითარებელი ექვსსაფეხურიანი მოდელია. შემოგთავაზებთ ბლუმის ტაქსონომიის სქემას, რომელზედაც მოცემულია სასწავლო მიზნების ძირითადი კატეგორიები:



I – ამოცნობა-გახსენება: ამ ეტაპზე მოსწავლე საგაკვეთილო თემასთან დაკავშირებულ მისთვის ნაცნობ ინფორმაციას გონებაში აღიდგენს. პასუხობს კითხვებზე: ვინ? რა? რამდენი? სად?; კითხვებზე სავარაუდოდ გამოსაყენებელი ზმნებია: გაიმეორე, გაიხსენე, აღწერე, ჩამოთვალე, დაასახელე.

II – გაგება: ამ ეტაპზე მოსწავლე ახალ მასალას იძენს და ცოდნის შემეცნებას ახდენს (მასალის არსში წვდომის უნარი). პასუხობს კითხვაზე “როგორ?” კითხვებზე სავარაუდოდ გამოსაყენებელი ზმნებია: განმარტე, ახსენი, ჩანაცვლე, მიაკვლიე, გადმოეცი დედაზრი, განასხვავე, შეცვალე ფრაზა.

III – გამოყენება: ეს კატეგორია მიუთითებს შესწავლილი მასალის გამოყენების უნარზე კონკრეტულ პი-

რობებში და ახალ სიტუაციებში. კითხვებია: რომელი? როგორ?

გამოსაყენებელი ზმნებია: დაამტკიცე, დაადგინე, გამოთვალე, მოამზადე, გადაწყვიტე, აჩვენე, დააკავშირე, აღმოაჩინე, მიუსადაგე, გარდაქმენი, დაალაგე.

IV – ანალიზი: ეს კატეგორია მიუთითებს მთლიანი მასალის სტრუქტურულ ელემენტებად დაშლის უნარზე. აქ იგულისხმება ერთი მთელიდან ნაწილების გამოყოფა, მათ შორის ურთიერთკავშირების დადგენა, მთელის ორგანიზაციის პრინციპების დანახვა.

კითხვა: რატომ?

გამოსაყენებელი ზმნებია: გაანალიზე, დაყავი, გამოყავი ძირითადი, დაარწმუნე, დაახასიათე, იპოვე, შეაპირისპირე, განსაზღვრე.

V – სინთეზი: ეს კატეგორია მიუთითებს ელემენტების კომბინირების ისეთ უნარზე, როცა ხდება ახალი მთლიანობის შექმნა. ასეთი ახალი პროდუქტი შეიძლება იყოს მოხსენება, მოქმედებათა გეგმა ან მონაცემთა მონესრიგებული სქემა, პროექტი და ა. შ. კითხვებია: რა მოხდება, თუ...? როგორ შეამონმებ ამ შეხედულებას? როგორ შეადგენ ცხრილს? კიდეც როგორ შეიძლება პრობლემის გადაწყვეტა? როგორ დააჯგუფე?

გამოსაყენებელი ზმნებია: განაზოგადე, შეადგინე, გადააჯგუფე, შეაჯამე, გაამთლიანე, შეამონმე, დაახარისხე, გაამარტივე, დაასრულე.

VI – შეფასება: ეს კატეგორია გულისხმობს ამა თუ იმ მასალის მნიშვნელობის შედარებას კონკრეტული მიზნის მისაღწევად. მოსწავლის მსჯელობა უნდა ემყარებოდეს მკაფიო კრიტერიუმებს. შეფასების დონე გულისხმობს ყველა წინა სასწავლო მიზნის მიღწევას პლიუს შეფასებით მსჯელობას.

კითხვებია: როგორ შეაფასებდი... საქციელს? რამდენად სამართლიანია... გადაწყვეტილება? რა დასკვნების გამოტანა შეიძლება? შენი აზრით, როგორ უნდა მოქცეულიყო?

გამოსაყენებელი ზმნებია: შეაფასე, იმსჯელე, აწონდაწონე, გამოიტანე დასკვნა, გააკრიტიკე, უარყავი...

		სტანდარტის შესაბამისი შედეგები																							
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	
პარარაფის დასახელება																									
10. წყალი – საქართველოს სიმდიდრე		●	●	●									●	●											
11. ბუნებათსარგებლობა საქართველოში	●	●										●	●												
12. ტყისა და წყლის მოხმარებისა და დაცვის ხალხური ტრადიციები													●												
13. როგორ არჩევდნენ სამოსახლოს?											●	●													
14. ძველი კალაქები საქართველოში	●	●									●														
15. ვინ ცხოვრობს საქართველოში?		●									●							●							
16. რელობები საქართველოში		●																							
17/18. როგორ იცვლება მოსახლეობის რიცხოვნობა?		●									●											●			
19. რატომ გადაადგილდება მოსახლეობა?		●									●														
20. ადამიანის ასაკი და ცხოვრების ტრადიციული წესი		●															●	●							
21. ქვის ხანა საქართველოს ტერიტორიაზე	●	●																							
22. ბორბალი			●											●											
23. სამეთუნეო მორგეი		●												●											
24. საქსოვი და ზგა		●												●											
25/26. რეალისა და რკინის მჭედლები	●	●											●												
27. რა არის ხელოსნობა?		●												●											

პარაგრაფის დასახელება	სტანდარტის შესაბამისი შედეგები																						
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23
44. დავით აღმაშენებელი (1089-1125)	●	●	●	●	●	●	●	●															
45.საქართველოს სამეფო წყობა და რეფორმები დავით აღმაშენებლის დროს	●	●	●	●	●	●	●	●															
46. თამარ მეფე (1184-1213)	●	●	●	●	●	●	●	●															
47. ადამიანი და საზოგადოება	●	●	●	●	●	●	●	●															
48. სამღვდელთა	●	●	●	●	●	●	●	●															
49. მეომრის აღზრდა	●	●	●	●	●	●	●	●															
50. გლეხები, ხელოსნები და ვაჭრები	●	●	●	●	●	●	●	●															
51. ცოტნე დადიანი და დემეტრე თავდადებული	●	●	●	●	●	●	●	●															
52. გიორგი V ბრწყინვალე (1318-1346) და მონღოლთა ბატონობის დასასრული	●	●	●	●	●	●	●	●															
53. საქართველო თემურ ლენგის პირისპირ	●	●	●	●	●	●	●	●															
54. საქართველო XV საუკუნის მეორე ნახევარში	●	●	●	●	●	●	●	●															
55. XVI საუკუნის ქართლი ორი დამპყრობლის წინააღმდეგ	●	●	●	●	●	●	●	●															
56. შაჰ აბას I-ის შემოსევები კახეთში	●	●	●	●	●	●	●	●															
57. მარტყოფიდან მარაბადამდე	●	●	●	●	●	●	●	●															

პარაგრაფის დასახელება	სტანდარტის შესაბამისი შედეგები																							
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	
58. იმერეთის მეფე სოლომონ I (1752-1784)	●	●	●	●	●	●	●	●																
59. ახანიანიდან გეორგიევსკის ტრანკატამდე	●	●	●	●	●	●	●	●																
60. ქართლ-კახეთის სამეფო XVIII საუკუნის მიწურულს	●	●	●	●	●	●	●	●																
61. რუსული მმართველობის დამყარება საქართველოში	●	●	●	●	●	●	●	●																
62/63. XIX საუკუნის საქართველო	●	●	●	●	●	●	●	●																
64. საქართველოს ისტორიული მიწების შემოერთება	●	●	●	●	●	●	●	●																
65. 1918-1921 – დამოუკიდებლობის სამი წელი	●	●	●	●	●	●	●	●																
66. საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში	●	●	●	●	●	●	●	●																
67. საბჭოთა კავშირის დაშლა და საქართველოს დამოუკიდებლობა	●	●	●	●	●	●	●	●																
68. საქართველო დღეს	●	●	●	●	●	●	●	●																
69. მე, შენ, ჩვენ																●								
70. საზოგადოება და წესრიგი															●									
71. ღირსება, თანასწორობა, თავისუფლება																		●						
72. როგორ აღსრულდება სამართალი?																		●						●

პარაგრაფის დასახელება	სტანდარტის შესაბამისი შედეგები																						
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23
73. ბავშვის უფლებები																		●					
74. უფლებები და მოვალეობები																		●					
75. როგორ მოვაგვაროთ კონფლიქტები?																			●				
76. ქართული დამწერლობა				●	●								●									●	
77. ხელნაწერები და ადამიანები				●	●								●									●	
78. ქართული ბეჭდვითი სიტყვა				●	●								●									●	
79. ქართული მუზეუმების სათავეებთან				●	●								●									●	
80. ექვთიმე თაყაიშვილი და ქართული საგანძურის თავგადასავალი				●	●								●									●	
81. ჭედურობისა და ოქრომჭედლობის ტრადიცია				●	●								●									●	
82. ევემომოქმედება				●	●																		
83. დღესასწაულები				●	●																	●	
84. სამოსელი				●	●																	●	
85. ქართული კულტურის მონაგვი - ფრანგი მეცნიერი მარი ბროსე				●	●																		●
86. უცხოელი მოგზაურები საქართველოში				●	●																		●
87. ქართველი მოგზაურები				●	●																		●
88/89. ქართველები საზღვარგარეთ				●	●																		●

IX. გაკვეთილების სცენარები, კომენტარები და სავარჯიშოების პასუხები

გაკვეთილი 1 როგორ და რისთვის იზომება დრო?

განსავითარებელი უნარები: წყაროებზე მუშაობის, დაკვირვების, ლოგიკური აზროვნების, საკუთარი აზრის გამოთქმის.

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს გ.ი. მეთოდით. მოსწავლეებს სთხოვს ლაკონურად უპასუხონ კითხვას: რატომ სჭირდება ადამიანს დროში გარკვევა? მოსწავლეთა პასუხებს მასწავლებელი ჩამოწმებს დაფაზე, წრეში მოთავსებული სიტყვის “დრო” ირგვლივ (სხივების გასწვრივ, 5 წთ.), შემდეგ კი დროისა და ადგილის ცოდნის აუცილებლობაში დასარწმუნებლად უკითხავს სახელმძღვანელოში მოცემულ სიტუაციურ ამოცანას “მოსაწვევი ბარათი” (წყარო 1). მასწავლებელი ცდილობს კითხვების დახმარებით მოსწავლეები მიიყვანოს შემდეგ დასკვნებამდე:

1. ყოველგვარ მოქმედებას აქვს თავისი დრო და ადგილი ანუ ნებისმიერი ფაქტი თუ მოვლენა კონკრეტულ დროსა და ადგილას ხდება.
2. თუ გინდა გაერკვე ბუნების, საზოგადოების ან ადამიანთა ცხოვრების რაიმე მოვლენასა თუ ფაქტში, იგი, უპირველეს ყოვლისა, ადგილისა და დროის მიხედვით უნდა განსაზღვრო (15 წთ.).

შემდეგ მასწავლებლის დახმარებით მოსწავლეები ცდილობენ გეოლოგიურ და ისტორიულ დროში გარკვევას. ბ წყაროს გაცნობის შემდეგ, იქ აღწერილ მოვლენებს ახარისხებენ და ასაბუთებენ, თუ რატომ განეკუთვნება ისინი ისტორიულ თუ გეოლოგიურ დროს (10 წთ.).

გაკვეთილის მსვლელობისას პასუხს სცემენ პარაგრაფის ბოლოს დასმულ კითხვებსაც (5-10 წთ.).

კომენტარი მასწავლებლისთვის: მოსწავლეებს დაურიგეთ საფოსტო ბარათები და სთხოვეთ, ყურადღებით დააკვირდნენ შესავსებ ველებს. მაგალითისთვის შეგიძლიათ მოიშველიოთ ასევე ელფოსტაც, რომელსაც ავტომატურად აქვს მითითებული გაგზავნა-მიღების თარიღები და მიღებული/გაგზავნილი მასალის ქრონოლოგიურად დალაგებაში ეხმარება მომხმარებელს.

გაკვეთილის მსვლელობაში აუცილებლად ჩართეთ სუსტი მოსწრების მოსწავლეები. მათ დაავალეთ, თუნდაც, კლასის მიერ ნაკარნახევი პასუხის დაფაზე დაწერა.

პასუხები შემაჯამებელი სავარჯიშოებისთვის:

სავ. 1: 1-გ, 2-ბ.

სავ. 2:

გეოლოგიური დრო	ისტორიული დრო
1), 4), 6), 8)	2), 3), 5), 7), 9)

გაკვეთილი 2 ისტორიული დრო

განსავითარებელი უნარები: დაკვირვების, ლოგიკური დასკვნების გამოტანის, დროის ხაზზე მუშაობის.

გაკვეთილის მსვლელობა: ისტორიული დროის შესახებ გაკვეთილს მასწავლებელი იწყებს მინი-ლექციით (3-5 წთ.), შემდეგ მოსწავლეებს სთავაზობს სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტის გაცნობას (10 წთ.), რის შემდეგაც დაფაზე ჩამოწმებს სიტყვებს: წელი, საუკუნე, ათასწლეული და იწყებენ მსჯელობას, რა იცი-

ან, რისი თქმა შეუძლიათ ამ ტერმინებთან დაკავშირებით, რა სხვაობაა თითოეულ მათგანს შორის (შეუძლიათ ვ.დ. გამოყენება), რომელი მათგანი მოიცავს დროის შედარებით მცირე და რომელი დიდ პერიოდს, რაში გვარგია ჩვენ მათი ცოდნა, მოჰყავთ მაგალითები წლის, საუკუნისა და ათასწლეულის განსასაზღვრად (10 წთ.).

მასწავლებლის თხოვნით მოსწავლეები ყურადღებით უკვირდებიან სქემა 1-სა და სქემა 2-ს, აგრეთვე მათ შორის მოქცეულ ტექსტს. შემდეგ თავადაც ასახელებენ ამა თუ იმ საუკუნისა და ათასწლეულის ნიმუშს (10 წთ.).

ამის შემდეგ მასწავლებელთან ერთად მუშაობენ სქემა 3-სა და სქემა 4-ზე. სქემა 4-ის შესაბამის ცხრილს რვეულებში ხაზავენ და ასრულებენ მე-2 შემაჯამებელ სავარჯიშოს (5 წთ.).

შეჯამების სახით პასუხობენ 1-ლი შემაჯამებელი სავარჯიშოს კითხვას (5 წთ.).

კომენტარი მასწავლებლისთვის: მოსწავლეთა ასაკის, აგრეთვე მოსწრების გათვალისწინებით, შესაძლოა თავიდან გაუჭირდეთ სქემა 1-ისა და სქემა 2-ის აღქმა-გაგება. დაეხმარეთ მათ მარტივი სავარჯიშოებით: ა) თან იქონიეთ ჩოგბურთის ბურთი. დაასახელეთ რიცხვი (ვთქვათ, 350 წელი). ბურთი გადაუგდეთ მოსწავლეს და სთხოვეთ, დაიჭიროს და მაშინვე დაასახელოს შესაბამისი საუკუნე. ეს სავარჯიშო 2-3 გაკვეთილის განმავლობაში 5-7 წუთის განმავლობაში იმეორეთ. მისი ცოტათი რთული სახეობაა თავად მოსწავლეებმა დაუსვან ერთმანეთს კითხვები და სწრაფადვე უპასუხონ; ბ) კლასი ჯგუფებად დაყავით. დაურიგეთ პატარა ფურცლები, რომლებზეც წინასწარ ჩამოწერილია თარიღები. დანიშნეთ დრო, რომელი ჯგუფი უფრო სწრაფად დაასრულებს დავალებას. ამ დავალებების შესრულებაში აუცილებლად ჩართეთ სუსტი მოსწრების მოსწავლეებიც.

პასუხი მე-2 შემაჯამებელი დავალებისთვის:

პრეისტორია – “დმანისელი ადამიანის” ეპოქა

ძველი დრო – ფარნავაზის მეფობა


შუა საუკუნეები – ვახტანგ გორგასლის მეფობა, ზედაზნის მონასტრის დაარსება, დავით აღმაშენებლის მეფობა.

კომენტარი მასწავლებლისთვის: თუ თვლით, რომ სავარჯიშოში მოყვანილი მაგალითები არასაკმარისია, გამოიყენეთ დანართი №10 (“საქართველოს ისტორიის თარიღები”).

გაკვეთილი 3 დროის აღრიცხვის სისტემები

განსავითარებელი უნარები: ლოგიკური დასკვნების გამოტანის, დროის ხაზზე მუშაობის, ტერმინების გააზრებული ათვისების.

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებლის მითითებით მოსწავლეები ეცნობიან სახელმძღვანელოში მოცემულ ტექსტსა და წყაროებს (7 წთ.), შემდეგ მასწავლებელი მოკლედ (მინი-ლექცია) მიმოიხილავს დროის აღრიცხვის სისტემებს (3 წთ.), რასაც მოსდევს მის მიერ დაფაზე სქემის გაკეთება:



მოსწავლეთა უშუალო მონაწილეობით, ცხოვრებისეული მაგალითების გამოყენებით ხდება თითოეული სისტემის ღირებულებებზე საუბარი: რატომაა კალენდარი ან წელთაღრიცხვა მნიშვნელოვანი ადამიანებისათვის? რა მოხდებოდა, საერთო კალენდრის ან წელთაღრიცხვის ნაცვლად თითოეული ადამიანი საკუთარი დროის ათვისების სისტემით რომ სარგებლობდეს? (10 წთ.).

შემდეგ მასწავლებელი კვლავ მინი-ლექციის სახით ესაუბრება მოსწავლეებს წელთაღრიცხვით ძველი და ახალი პერიოდების შესახებ. მასწავლებელი მუშაობს დაფაზე და სთხოვს მოსწავლეებს რვეულებში გააკეთონ შესაბამისი განმარტებები (10 წთ.).

ამის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს ამუშავებს წყვილებში ან ჯგუფებში, ისინი დროის ხაზის გამოყენებით პასუხებს გასცემენ პარაგრაფის ბოლოს დასმულ კითხვებს (10 წთ.).

კომენტარი მასწავლებლისთვის: მოსწავლეებს სთხოვეთ, დაუკვირდნენ 1-ლი თავის შესავალ გვერდზე განთავსებულ ქრონოლოგიურ სკალას. შემდეგ ჰკითხეთ, სად განათავსებენ ამ სკალაზე შემდეგ მოვლენებს:

- ა) ძველი ქართული მთვარის კალენდრის შეცვლა მზის კალენდრით, ბ) ახალი წლის იანვარში აღნიშვნის შემოღება, გ) ახალი წლის იანვარში აღნიშვნის ტრადიციის დამკვიდრება, დ) ძვ.წ. III ათასწ. – პირველი ჩინური კალენდრის შექმნა, ე) ძვ.წ. 1500-900 – ძველი ინდური კალენდრის შექმნა.

გაკვეთილი 4 როგორ წარმოიშვა კალენდარი?

განსავითარებელი უნარები: შედარების, განსხვავების, ლოგიკური დასკვნების გამოტანისა და არგუმენტირებული მსჯელობის, წერილი კულტურის.

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს გ.ი. მეთოდით და მოსწავლეებს სთხოვს უკარნახონ, რა იციან კალენდრის შესახებ. მოსწავლეთა პასუხებს მასწავლებელი წერს დაფაზე გრაფაში “ვიცი” (5 წთ.), შემდეგ ეკითხება მოსწავლეებს რა აინტერესებთ, რისი გაგება სურთ ამ საკითხთან დაკავშირებით. მოსწავლეთა პასუხებს მასწავლებელი წერს გრაფაში “მინდა ვიცოდე” (5 წთ.). ამის შემდეგ მასწავლებლის მითითებით მოსწავლეები ეცნობიან სახელმძღვანელოში მოცემულ ტექსტს, ცნობებს (10 წთ.) და ავსებენ გრაფა “ვისწავლე“-ს (10 წთ.).

გაკვეთილის მსვლელობისას პასუხები უნდა გაეცეს პარაგრაფის ბოლოს დასმულ კითხვებს, შედარებისას სასურველია ვ.დ. გამოყენება.

გრაფების შევსების შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს დაფიქრდნენ, გაეცა თუ არა პასუხები გაკვეთილის მსვლელობისას იმ კითხვებს, რომელიც მათ აინტერესებდათ და თუ რაიმე გაუგებარი დარჩა, მასწავლებელი ავსებს ხარვეზს (3-5 წთ.).

ყოველივე ამის შემდეგ მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს დაწერონ მცირე ზომის თხზულება “როგორ ვიყენებ კალენდარს?” (5 წთ.), მასწავლებლის შერჩევით 3-4 მოსწავლის ნააზრევს ისმენენ მოსწავლეები.

გაკვეთილი 5 როგორი კალენდრით ვსარგებლობთ დღეს?

განსავითარებელი უნარები: დაკვირვების, მასალის შესახებ მოსაზრებების შეჯამების, აზრის ჩამოყალიბების, ლოგიკური დასკვნების გამოტანისა და წერილი მეტყველების.

გაკვეთილის მსვლელობა: ამ გაკვეთილის ჩატარება სასურველია დაიგეგმოს წყვილებში ან ჯგუფებში 3-2-1 მეთოდის გამოყენებით. I ეტაპზე მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს გაეცნონ სახელმძღვანელოში მოცემულ ტექსტს (10 წთ.), ხოლო II ეტაპზე სთხოვს 2-3 წინადადებით ჩამოწერონ: 3 რამ, რამაც დამინტერესა; 2 რამ, რის შესახებაც მეტი მინდა გავიგო; 1 რამ, რის შესახებაც სიამოვნებით ვიმსჯელებდი (10 წთ.) შემდეგ ხდება შესრულებული სამუშაოს პრეზენტაცია (10 წთ.).

პრეზენტაციის შემდეგ მოსწავლეთა სურვილების გათვალისწინებით ხდება სადისკუსიო თემის შერჩევა (10 წთ.), უმჯობესია მუშაობა წარმართოს ჯგუფებში. პრეზენტაციისათვის 7-8 წთ.

გაკვეთილის მსვლელობისას პასუხები უნდა გაეცეს პარაგრაფის ბოლოს დასმულ კითხვებს.

გაკვეთილი 6 სივრცე და ტერიტორია

განსავითარებელი უნარები: წყაროებზე მუშაობის, დაკვირვებისა და ლოგიკური აზროვნების; დამოუკიდებლად, წყვილებად და ჯგუფში მუშაობის, სხვისი აზრის მოსმენისა და პატივისცემის.

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს გ.ი. მეთოდით და სვამს კითხვას: “როგორ ფიქრობთ რა არის გეოგრაფიული სივრცე?”. წყვილებად დაყოფილი მოსწავლეები აყალიბებენ პასუხს (ცოცხალი ბუნება და მისი ნაწილი, ადამიანი) (7 წთ.).

მასწავლებელი დაფაზე ადგენს შემდეგ ცხრილს:

წყარო ბ	წყარო ბ

შემდეგ სთხოვს, დაუკვირდნენ ბ და ბ წყაროებს და მათი დამახასიათებელი თვისებები უკარნახონ. მოსწავლეთა პასუხების შემდეგ ცხრილი სავარაუდოდ, შემდეგ სახეს მიიღებს:

წყარო ბ	წყარო ბ
სივრცე	სივრცე
უდაბნო	სოფელი
ჭვიშა	მთები
სიცხე	ტყე
.....

ბოლოს მასწავლებელი სვამს კითხვას: “როგორ ფიქრობთ რა არის მათ შორის სხვაობა?” მოსწავლეები უნდა მიხვდნენ, რომ ორივე წყაროზე სივრცეა ასახული, მაგრამ წყარო ბ-ზე ჩანს ადამიანის საქმიანობის კვალი. (7 წთ.).

მომდევნო 10 წუთი შინაარსის რეალიზებას ეთმობა და ინდივიდუალური სამუშაოა: მოსწავლემ ყურადღებით უნდა წაიკითხოს გაკვეთილში მოცემული ტექსტი და მოკლედ ჩაწეროს რვეულში, რა მსგავსება-განსხვავებაა სივრცესა და ტერიტორიას შორის. მასწავლებელი 6 წუთს უთმობს შესრულებული დავალების გამოკითხვას.

მომდევნო დავალება ჯგუფებში სამუშაოდ ეძლევათ: უნდა დააკვირდნენ წყარო დ-ს და უპასუხონ კითხვას წყაროს ქვეშ (10 წთ.). 5 წუთი ეთმობა შესრულებული დავალების გამოკითხვას. გაკვეთილის მიწურულს მოსწავლეები ერთობლივი მსჯელობით ამზადებენ პასუხს მე-2 შემაჯამებელი დავალებისთვის, რომელიც წერილობით შინ უნდა შეასრულონ (5 წთ.).

კომენტარი მასწავლებლისთვის: მოსწავლემ სრულყოფილად უნდა გაიაზროს გეოგრაფიული სივრცის ელემენტები და შეძლოს ადამიანის საქმიანობას დაუკავშიროს გეოგრაფიული ელემენტების ათვისება. სასურველია, თუ დაავალებთ წყარო დ-ს მსგავსი სურათის მოძიებას. მოსწავლეებმა უნდა დაახასიათონ წყარო როგორც ისტორიული, ისე გეოგრაფიული თვალსაზრისით, ჩამოთვალონ გეოსივრცის ელემენტები. ეს დავალება მათ გაკვეთილზე მიღებული ცოდნის განმტკიცებაში დაეხმარება. სუსტი მოსწრების მოსწავლეებმა უნდა შეძლონ გეოგრაფიული სივრცის ელემენტების ათვისება მოცემული სავარჯიშოების გამოყენებით.

გაკვეთილი 7 მიწის რესურსები

განსავითარებელი უნარები: წყაროებზე მუშაობის, დაკვირვებისა და ლოგიკური აზროვნების, დამოუკიდებლად და წყვილში მუშაობის.

გაკვეთილის მიმდინარეობა: მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს გ.ი. მეთოდით და კლასს ავალებს, ყურადღებით გაეცნონ ა და ბ წყაროებს მინაწერებითურთ (6 წთ.). შემდეგ უნდა უპასუხონ დასმულ კითხვებს: “გინახავთ თუ არა მოცემული ტიპის მიწები და მიგეჩვენიათ თუ არა ყურადღება, როგორ იყენებს მათ მოსახლეობა?” “რას ეწოდება მიწის რესურსი?” “რას ეწოდება სასოფლო-სამეურნეო სავარგული?”. მოსწავლეთა პასუხებს მასწავლებელი დაფაზე წერს (7 წთ.).

შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად განიხილავს სქემა 1-ს და ავალებს პირველი დავალების შესრულებას (10 წთ.):

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შემადგენლობა	სავარგულების ფართობი
სახნავი	26%
სათიბი	5%
მრავალწლიანი ნარგავი	9%
საძოვარი	60%

დავალების შემოწმებას 5 წთ. ეთმობა.

მომდევნო დავალებას მოსწავლეები წყვილებში მუშაობით ასრულებენ: ეცნობიან წყარო ბ-ს და ასრულებენ

ბენ დავალებას (7 წთ.). დავალების შემოწმების შემდეგ მასწავლებელი ავალებს, ხუთი წუთის განმავლობაში მოკლედ უპასუხონ კითხვას: “არის თუ არა საქართველო მდიდარი მიწის რესურსებით?”. პრეზენტაციას 5 წუთი ეთმობა. შინ შესასრულებლად ეძლევათ დავალება: დაახასიათონ მიწის რესურსების მიხედვით საქართველოს რომელიმე კუთხე ან მხარე.

კომენტარი მასწავლებლისთვის: ამ გაკვეთილის დახმარებით მოსწავლე უნდა გაიაზროს, რა არის მიწის რესურსი და რა მნიშვნელობა აქვს მას ქვეყნისთვის. საქართველოს ფიზიკური რუკის, გაკვეთილში მოცემული წყაროებისა და ტექსტის, განვლილი მასალის საფუძველზე შეძლოს ჩამოაყალიბოს დასკვნა, არის თუ არა საქართველო მდიდარი მიწის რესურსებით. დაეხმარეთ სუსტი მოსწრების მოსწავლეებს საქართველოს ფიზიკური რუკისა და წყაროების გამოყენებით გაიაზრონ, რა არის მიწის რესურსი და რა დანიშნულება აქვს მას.

სავ. წყარო ბ-სთან: არასასოფლო-სამეურნეოა მიწა, რომელიც არ გამოიყენება არც მინათმოქმედებისთვის, არც მეცხოველეობისთვის. ასეთ მიწაზე აგებულია ფაბრიკა, ქარხანა, ტურისტული კომპლექსი; გაშენებულია ქალაქი, სოფელი ან დაბა.

შემაჯამებელი დავალება:

სასოფლო-სამეურნეო მიწები	არასასოფლო-სამეურნეო მიწები
საკალმახე, ჟანა, კარტოფლის ნათესი, საქონლის ღია სადგომი	აეროდრომე, ფაბრიკა-ქარხნის ტერიტორია, ჭაობი, ტყე, ბუნების დაცული ტერიტორია

გაკვეთილი 8 სასარგებლო წიაღისეული

განსავითარებელი უნარები: ცხრილზე, წყაროებსა და კონტურულ რუკაზე მუშაობის, დასკვნების ჩამოყალიბების, დამოუკიდებელი მუშაობისა და წერიტი მეტყველების.

გაკვეთილის მიმდინარეობა: მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს გ.ი. მეთოდით. იგი დაფაზე წინასწარ ამზადებს შემდეგ ცხრილს:

სასარგებლო წიაღისეული		
სათბობ-ენერგეტიკული	ლითონური	არალითონური

მოსწავლეებს ავალებს, ყურადღებით წაიკითხონ გაკვეთილის პირველი აბზაცი. მოსწავლეები დანართის დახმარებით მასწავლებელს კარნახობენ სხვადასხვა სასარგებლო წიაღისეულის სახელებს. შევსებულ ცხრილი კლასმა რვეულებში უნდა გადახაზოს (10 წთ.):

სასარგებლო წიაღისეული		
სათბობ-ენერგეტიკული	ლითონური	არალითონური
ნავთობი (სუფსა, ნორიო-მარტყოფი-საცხენისი, სამგორი-წინოწმინდა-პატარძელური)	რკინა (ფოლადური, ძამა)	ბარიტი (ხაიში, ჩორდი, დავითგარეჯა)
აირი (რუსთავი)	ტყვია (კვაი-სა, რცხმ-ლური)	ბენტონიტური თიხები (ასკანა, გუმბრი, არალი)

ქვანახშირი (ტყვარჩელი)	თუთია (კვანისა, რცხმელური)
.....


მომდევნო 10 წუთის განმავლობაში მოსწავლეები წყვილში მუშაობენ – ეცნობიან წყარო ა-ს და პასუხობენ კითხვას. დავალების შემონმების შემდეგ მასწავლებელი ინდივიდუალურ დავალებას აძლევს კონტურულ რუკებზე სამუშაოდ: მე-2 და მე-3 შემაჯამებელ სავარჯიშოებს (15 წთ.). ბოლო 5 წუთი დავალებების შემონმებას ეთმობა. შინ შესასრულებლად ეძლევათ 1-ლი შემაჯამებელი სავარჯიშო.

კომენტარი მასწავლებლისთვის: მოსწავლეს უნდა შეეძლოს რუკაზე ორიენტირება, სასარგებლო ნიაღისეულის სხვადასხვა სახეობის მოპოვების ადგილების კონტურულ რუკაზე დატანა და გააზრება, რა დანიშნულება აქვს მათ. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ რუკას, რომელიც დაეხმარება გაკვეთილის გააზრებაში. სუსტი მოსწრების მოსწავლეები ამუშავეთ სასარგებლო ნიაღისეულის რუკაზე. საშუალება მიეცით სცადონ კონტურულ რუკაზე მუშაობა. ან ცალკე დასვით და მათი აქტივობის გამოსავლენად განსხვავებული დავალება მიეცით.

გაკვეთილი 9 ტყის რესურსები

განსავითარებელი უნარები: წყაროებზე მუშაობის, დაკვირვებისა და ლოგიკური აზროვნების, დამოუკიდებლად და წყვილში მუშაობის.

გაკვეთილის მიმდინარეობა: მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს გ.ი. მეთოდით. ტექსტის გაცნობის შემდეგ მოსწავლეებს შესასრულებლად აძლევს მე-2 შემაჯამებელ დავალებას (5-8 წთ.). ამის შემდეგ დაფაზე ხაზავს სქემას (მეორე ბულიტიანი დავალება ცნობა 1-ის ქვეშ) და მოსწავლეების დახმარებით ავსებს მას.



სქემის შევსების შემდეგ მოსწავლეები ცდილობენ, ჩამოაყალიბონ პასუხი კითხვაზე: “რა მნიშვნელობა აქვს ტყეს?” (8 წთ.). შევსებული სქემა და დასკვნა გადააქვთ რვეულებში. მომდევნო 8 წუთის განმავლობაში მოსწავლეები წყვილებში მუშაობენ და ასრულებენ სავარჯიშოებს წყარო ა-ს თავზე. დავალების შემონმების შემდეგ მასწავლებელი კლასს ჯგუფებად ყოფს და 5 წუთს უთმობს ა და ბ წყაროების გაცნობისა და მათი შედარებისთვის. გაკვეთილის მიწურულს 5 წუთში, წყარო დ-ს გაცნობის შემდეგ მოსწავლეებმა უნდა უპასუხონ კითხვას და დაწერონ მცირე ესეი: “ტყე იწვის”. პრეზენტაციისთვის ეთმობათ 5 წუთი.

კომენტარი მასწავლებლისთვის: წყაროებზე, დიაგრამებზე, გრაფიკებზე, სქემებზე მუშაობა მოსწავლეებს დაეხმარება გაკვეთილის გააზრებაში. სუსტი მოსწრების მოსწავლეებს მიეცით ტექსტი წასაკითხად და ცალკე წერილობითი დავალება, დამოუკიდებლად

შესასრულებლად, რომელსაც გაკვეთილის ბოლოს შემონმებთ.

სავ. წყარო დ-ს ქვეშ: საომარი მოქმედებების დროს ორივე მხარე უნდა ზრუნავდეს ბუნებრივი გარემოს ფართო, მასშტაბური, ხანგრძლივი და სერიოზული დაზიანებისგან დაცვაზე, რათა საფრთხე არ შეექმნას მოსახლეობის ჯანმრთელობასა და არსებობას.

კომენტარი თავის შესავალ გვერდზე განთავსებული ქრონოლოგიური სკალისთვის: თავის შესავალ გვერდზე განთავსებული ქრონოლოგიური სკალა გამოიყენეთ დაცული ტერიტორიების შესახებ მინი-ლექციისთვის. დაცული ტერიტორიების სხვადასხვა ფორმასა სახელმწიფო ნაკრძალი, ეროვნული პარკი, ალკვეთილი, ბუნების ძეგლი, დაცული ლანდშაფტი. ყურადღება გაამახვილეთ იმ ფაქტზე, რომ საქართველოში დაცული ტერიტორიების 75%-ზე მეტი ტყითაა დაფარული. ეს კიდევ ერთხელ დააფიქრებს მოსწავლეებს ტყის მნიშვნელობაზე. სასურველია პრეზენტაციის მომზადება საქართველოს დაცული ტერიტორიების შესახებ. მიეცით საშუალება, შექმნან ჯგუფები და თავად აირჩიონ კვლევის ობიექტი. დაფაზე ჩამონერეთ რამდენიმე დაცული ტერიტორიის შექმნის თარიღი და სთხოვეთ, რვეულში გადაიხაზონ და შეავსონ ინფორმაციით ქრონოლოგიური სკალა ან ორსვეტიანი ცხრილი შეადგინონ:

- 1935 – ბანარის, ბორჯომის, ვაშლოვნის, მარიამ-ჯვარის, სათაფლიის ნაკრძალები
 - 1946 – აჯამეთისა და საგურამოს სახელმწიფო ნაკრძალები
 - 1957 – თბილისის ეროვნული პარკი, რინის ნაკრძალი
 - 1959 – კინტრიშის ნაკრძალი
 - 1960 – ბაბანეურის ნაკრძალი
 - 1965 – ალგეთის ნაკრძალი
 - 1966 – ბიჭვინთა-მიუსერის დაცული ტერიტორია
 - 1976 – ფსხუ-გუმისთისა და ყაზბეგის ნაკრძალები
 - 1977 – ლიახვის ნაკრძალი
 - 1995 – ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი
 - 1996 – გარდაბნისა და კაცობურის დაცული ტერიტორიები
 - 2000 – კოლხეთის ეროვნული პარკი
 - 2003 – ვაშლოვნის დაცული ტერიტორია, ილტოს ალკვეთილი, ბანარა-ბაბანეურის ნაკრძალი
 - 2007 – კინტრიშის დაცული ტერიტორიები, ალგეთის ეროვნული პარკი.
- თუ სკოლას აქვს შესაძლებლობა, მისი ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, სასურველია ექსკურსიის მოწყობა რომელიმე დაცული ტერიტორიის სანახავად.

გაკვეთილი 10 წყალი – საქართველოს სიმდიდრე

განსავითარებელი უნარები: წყაროებსა და რუკაზე მუშაობის, დასკვნების ჩამოყალიბების, დამოუკიდებლად და ჯგუფური მუშაობის, წერიტი მეტყველების.

გაკვეთილის მიმდინარეობა: მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს მინი-ლექციით საქართველოს წყლის რესურსების შესახებ (5 წთ.).

შემდეგ დაფაზე წინასწარ გამზადებულ ცხრილში მოსწავლეთა კარნახით წერს საქართველოს მნიშვნელოვანი მდინარეების, ტბებისა და წყალსაცავების სახელებს (5 წთ.).

შემდეგ ყოველი მოსწავლე რიგ-რიგობით ასახელებს რიცხვებს 1, 2, 3. ყოველი 1-ლი ნომერი კითხულობს ქვეთავს “მდინარეები”, ყოველი მე-2 ნომერი – ქვეთავს “ტბები და წყალსაცავები”, ყოველი მე-3 ნომერი – ქვეთავს “სასმელი და მინერალური წყლები”. მუშაობენ ინდივიდუალურად, რვეულებში წერილობით პასუხი უნდა გასცენ შესაბამისი ქვეთავის კითხვებს (12-13 წთ.).

შემდეგ მასწავლებელი ყველა 1-ლ ნომერს ერთ ჯგუფად დასვამს, ასევე ყველა მე-2 და მე-3 ნომერს. მომდევნო 15 წუთის განმავლობაში მათ უნდა შეაჯერონ შესრულებული დავალებები და თითოეულმა ჯგუფმა წარმოადგინოს პრეზენტაციის სახით (7 წთ.). სამინაო დავალებად ეძლევათ შემაჯამებელი სავარჯიშოები.

კომენტარი მასწავლებლისთვის: მოსწავლეებმა უნდა განსაზღვრონ მნიშვნელოვანი მდინარეები, ტბები, წყალსაცავები, დაალაგონ ჰორიზონტის მხარეების მიხედვით და გაიაზრონ მნიშვნელოვანი მდინარეებისა თუ ტბების დანიშნულება. სასურველია საპრეზენტაციოდ მისცეთ თემა “ წყალი – საქართველოს სიმდიდრე”. თემაში მოსწავლეებმა ზოგადად უნდა მიმოიხილონ საქართველოს წყლის რესურსები. ეს შეაჯამებს გაკვეთილს და დაეხმარება მოსწავლეებს თემის გააზრებაში. სუსტი მოსწრების მოსწავლეებმა მასწავლებლის დახმარებით კონტურულ რუკაზე დაიტანონ საქართველოს მნიშვნელოვანი მდინარეები, ტბები, წყალსაცავები; გაიაზრონ მათი დანიშნულება.

გაკვეთილი 11 ბუნებათსარგებლობა საქართველოში

განსავითარებელი უნარები: სქემაზე და წყაროებზე მუშაობის, ლოგიკური აზროვნების, დამოუკიდებლად და ჯგუფური მუშაობის.

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს გ.ი. მეთოდით და კლასს სთხოვს უკვე ნასწავლი ბუნებრივი რესურსების სახელების ჩამოთვლას (10 წთ.). მოსწავლეთა პასუხები დაფაზე იწერება. რაციონალური და არარაციონალური ბუნებათსარგებლობის რაობაში უკეთ გასარკვევად მოსწავლეებს სთავაზობს შესაბამისი ტექსტის გაცნობის შემდეგ რვეულებში გადახაზონ მაგალითის ნიმუში, დაამატონ ჰორიზონტალური რიგები და დაასახელონ სხვა მაგალითები. შემდეგ კლასს სთავაზობს, ყურადღებით დააკვირდნენ წყარო 2-ს, განმარტონ, რა ტიპის ბუნებათსარგებლობის ნიმუშია მასზე გამოსახული და დაასაბუთონ პასუხი (10 წთ.).

კლასი მასწავლებლის დახმარებით მუშაობს სქემა 1-ზე, ასრულებს შემაჯამებელ დავალებას.


კომენტარი შემაჯამებელი სავარჯიშოსთვის: სქემაზე წარმოდგენილია ის ძირითადი ბუნებრივი რესურსები, რომლებსაც საქართველო იყენებს სხვადასხვა სამეურნეო მიზნებისთვის. მცენარეულში იგულისხმება მცენარეული საფარი – ტყე, ბუჩქნარ-ბალახეული, სამკურნალო მცენარეები, სამეურნეო კულტურები; კლიმატურში – ჰავის პირობები – სამკურნალო-გამაჯანსაღებელი და აგრონარმოების მიზნებისთვის; წყლის რესურსებში – მდინარეები, წყალსატევები, წყაროები და ზღვა. თითოეულ რესურსს საკუთარი ექსპლუატაციის

ფორმა და გამოყენების სფერო გააჩნია. მცენარეული რესურსებისაგან მზადდება მერქანი, გროვდება სამკურნალო მცენარეები, მიიღება საკვები პროდუქცია და სხვა. ცხოველთა სამყაროს რესურსები გამოიყენება სათევზაოდ და სანადიროდ; კლიმატური – კურნავს სხვადასხვა დაავადებას, ნიადაგებთან ერთად ხელს უწყობს შესაბამისი სასოფლო-სამეურნეო კულტურების გავრცელებას. წყალი გამოიყენება მორწყვისთვის, სატრანსპორტოდ, ენერჯის წყაროდ, ჩამოსასხმელად და სხვა მიზნებისთვის; მინის – სასოფლო-სამეურნეო სავარგული, სხვა დანიშნულების ტერიტორიები.

ბუნებათსარგებლობაზე მსჯელობისას შეიძლება მოსწავლეებს შეახსენოთ ბუნებისმეტყველებაში წინა წლებში ნასწავლი მასალა აღუდგენელი, ნაწილობრივ აღდგენადი და აღდგენადი ბუნებრივი რესურსების შესახებ:

აღუდგენელი	ნაწილობრივ აღდგენადი	აღდგენადი
სასარგებლო წიაღისეული, გადაშენების პირას მყოფი მცენარეები და ცხოველები	ფლორა, ფაუნა, ზოგიერთი მინერალური ნედლეული	ნიადაგები, მრავალწლიანი ხეები

ბუნებათსარგებლობის ორი სახეობის შესახებ მსჯელობისას სასურველია ვ.დ. ან T-სქემის გამოყენება.



T-სქემის გამოყენებით კი მოსწავლეები იმსჯელებენ რაციონალურის ან არარაციონალურის მხოლოდ დადებით და უარყოფით მომენტებზე.

+	-	+	-
---	---	---	---

ბოლოს მასწავლებელი აჯამებს და ავითარებს აზრს, რომ ნებისმიერი არასწორი შეხება ბუნებასთან იწვევს ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევას, რაც ვლინდება ეკოლოგიურ კატასტროფებში, რომლებიც ხშირად ადამიანისათვის უმძიმესი, სავალალო შედეგებით სრულდება

კომენტარი მასწავლებლისთვის: აუცილებელია ცხრილებისა და სქემების გამოყენებით მუშაობა, რომ მოსწავლეებმა მიღებული ცოდნა გაიმყარონ. სუსტი მოსწრების მოსწავლეებს ნაკითხეთ გაკვეთილი და ყურადღება გაამახვილებინეთ სქემა 1-ზე, რომ ძირითადი ბუნებრივი რესურსების ჩამონათვალი მაინც აითვისონ.

გაკვეთილი 12 ტყისა და წყლის მოხმარებისა და დაცვის ხალხური ტრადიციები

განსავითარებელი უნარები: ტექსტზე და წყაროებზე დამოუკიდებლად მუშაობის, დასკვნების ჩამოყალიბების, ანალიზისა და სინთეზის, წერილი მეტყველების.

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებლის მითითებით მოსწავლეები ითვლიან 1-2-ზე. ყოველი 1-ლი ნომერი კითხულობს ქვეთავს “ტყე”, ყოველი მე-2 ნომერი – ქვეთავს “წყალი” (10 წთ.). შემდეგ 1-ლი და მე-2 ნომრები ჯგუფებად ერთიანდებიან და აყალიბებენ აზრს:

3 რამ რამაც დაამაინტერესა;

2 რამ, რის შესახებაც მინდა გავიგო;

1 რამ, რის შესახებაც სიამოვნებით ვიმსჯელებდი (8 წთ.).

შემდეგ ხდება პრეზენტაცია (8 წთ.). სასურველია მსვლელობა მოსწავლეთათვის საინტერესო საკითხებზე და დისკუსიის გამართვა (14 წთ.). გაკვეთილში მოცემული დავალებები შინ შესასრულებლად ეძლევათ.

კომენტარი მასწავლებლისთვის: ტყეს ადამიანი სხვადასხვა მიზნით იყენებდა. სანამ იგი მინის დამუშავებას ისწავლიდა ველური მცენარეულით, სოკოთი, თევზითა თუ ნადირის ხორციით იკვებებოდა. მცენარეულსა და სოკოს უმეტესად ტყეში აგროვებდა. საკვებად და სამკურნალოდ იყენებდა. ძალიან ძველად, სანამ ფუტკარს მოაშენებდნენ, თაფლსაც ტყეში აგროვებდნენ. ველური ფუტკარი სკას ხის ფულურში ან ხის გახეთქილ მორში აკეთებდა, ადამიანი კი ამ სკებს პოულობდა და თაფლს იღებდა. საქართველოში სპეციალურადაც კი ამოთლიდნენ ხოლმე ტყეში ხის მორებს, ფუტკარს სკა რომ გაეკეთებინა. ასეთ მორს გეჯა ეწოდება. საკვების ამ გზით მოპოვებას შემგროვებლობას უწოდებენ. შემგროვებლური მეურნეობა ოდესღაც საკვების მოპოვების ძირითად წყაროს წარმოადგენდა ისევე, როგორც ნადირობა. სანადიროდაც უმეტესად ტყეში მიდიოდნენ, კლავდნენ გარეულ ფრინველს, ნადირს და მცენარეულთან ერთად საკვებად იყენებდნენ. ნადირობაც ოდესღაც მეურნეობის ძირითადი დარგი იყო. მინათმოქმედებისა და მესაქონლეობის ათვისების შემდეგ კი შემგროვებლობა და ნადირობა მეურნეობის დამხმარე დარგებად იქცა. ტყის, განსაკუთრებით კი წიწვოვანის ჰაერი საქართველოში ოდითგან სამკურნალოდ ითვლებოდა. უხდებოდა. ფილტვებით დაავადებულებს. წიწვიან ტყეებში ავადმყოფები ზაფხულობით მიჰყავდათ, სამკურნალო თვისებებით საქართველოში აბასთუმნისა და ბახმაროს ტყეები გამოირჩეოდა.

ტყე საშენი მასალითაც ამარაგებდა ადამიანებს. ტყიდან მოჭრილად შეშაც გასათბობად, ტყეში ხეებს სხვადასხვა დროს ჭრიდნენ. საშენი მასალისთვის უმეტესად ზაფხულში, შემოსთვის კი შემოდგომაზე.

ბავშვების საყვარელი სასმელი იყო ნეკერჩხლის “სასიცოცხლო წვენი”, რომელსაც “ხის წვენს”, “ხის ცრემლსაც” უწოდებდნენ. ნეკერჩხლის ქერქს მრგვალად ამოჭრიდნენ და მის “წვენს” მცენარის ღეროთი სვამდნენ.

გაკვეთილი 13 როგორ არჩევდნენ სამოსახლოს?

განსავითარებელი უნარები: ფაქტების დახარისხების, წერილი მეტყველების, ლოგიკური აზროვნებისა და დასკვნების გამოტანის, დამოუკიდებლად მუშაობის.

გაკვეთილის მიმდინარეობა: ამ გაკვეთილის ჩატარება სასურველია კ.ნ.ს. მეთოდის გამოყენებით. მასწავლებლის მითითებით მოსწავლეები წასაკითხი მასალის კიდებზე ფანქრით აკეთებენ შესაბამის აღნიშვნებს, შემდეგ კი ავსებენ ცხრილს (15 წთ.).

შემდეგ იყოფიან ჯგუფებად და ერთმანეთს უზიარებენ შთაბეჭდილებას. იმართება დისკუსია მასწავლებლის მიერ დასმულ შეკითხვებზე:

რა იყო ისეთი, რაც ტექსტის ნაკითხვამდე იცოდით?

რა აღმოჩნდა ისეთი, რაც ტექსტის ნაკითხვამ გასწავლათ?

რა იყო ისეთი, რისი საპირისპიროც იცოდით?

რა შეკითხვები დაგებადათ? (25 წთ.).

გაკვეთილში მოცემული სავარჯიშოები შინ შესასრულებლად ეძლევათ.

გაკვეთილი 14 ძველი ქალაქები საქართველოში

განსავითარებელი უნარები: შედარების, მსგავსება-განსხვავების; წარსულის, აწმყოსა და მომავლის ურთიერთდაკავშირების, ანალიტიკური აზროვნებისა და ცხრილების შედგენის.

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს მინი-ლექციით ქალაქების შესახებ (3-5 წთ.), შემდეგ მოსწავლეებს სთხოვს გაიხსენონ, რა იციან ძველი ქალაქების შესახებ, დაასახელონ მათთვის ცნობილი უძველესი ქალაქები. შემდეგ კი სთხოვს წერილობით ჩამოაყალიბონ აზრი ოდესღაც ძლიერი, მაგრამ შემდგომში დაკნინებული და ნანგრევებად ქცეული ქალაქების შესახებ (7 წთ.), შემდეგ ხდება პრეზენტაცია (10 წთ.).

ამის შემდეგ მასწავლებლის მითითებით მოსწავლეები კითხულობენ სახელმძღვანელოში მოცემულ ტექსტს (5 წთ.) და მცირეოდენი დაკვირვების შემდეგ რვეულებში ხაზავენ ცხრილს და ავსებენ მას 2 წყაროს ქვეშ მოცემული მითითების მიხედვით (5 წთ.).

შემდეგ ვ.დ. გამოყენებით მუშაობენ წყვილებში: ერთმანეთს ადარებენ თბილისს ძველად და ახლა, ამავე პრინციპით განიხილავენ მცხეთას, ქუთაისს და ფოთს და შემდეგ აკეთებენ პრეზენტაციას (12 წთ.). დარჩენილი დროის განმავლობაში ასრულებენ გაკვეთილის ბოლოს მოცემულ სავარჯიშოებს.

კომენტარი წყარო ბ-სთვის: ნოქალაქევის ნაქალაქარი მდ. რიონ-ტეხურის ხეობაში (სენაკის რ-ნი) მდებარეობს. ისტორიაში ეს ქალაქი რამდენიმე სახელითაა ცნობილი: “ციხეგოჯი”, “არქეოპოლისი”, “საზლუდე”, “ნოქალაქევი”. ნაქალაქარის უძველესი ფენები ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევარს განეკუთვნება. ქვედა ტერასაზე აღმოჩენილია სანარმოო ნამოსახლარები და საკულტო კომპლექსები. ისინი მოწმობს ძველი კოლხეთის ცივილიზაციის ურთიერთობას ხმელთაშუა ზღვის აუზის, ეგეოსური სამყაროს, ეგვიპტის, ანატოლიისა და სხვა რეგიონების ქვეყნებთან. ძვ. წ. IV ს-ის ბოლოს ეგრისის ერისთავმა ქუჯიმ ამ ადგილზე ააშენებინა ქალაქი და ციხე. ქალაქის თავდაპირველი სახელწოდება “ციხეგოჯი” სავარაუდოდ მის სახელს უკავშირდება. უახლესი დროის გათხრების შედეგად ნაპოვნია მნიშვნელოვანი ისტორიული ნივთები და ხელოვნების ნიმუშები.

გაკვეთილი 15 ვინ ცხოვრობს საქართველოში?

განსავითარებული უნარები: დიაგრამაზე, რუკაზე და ნყარობზე მუშაობის, დაკვირვების, ლოგიკური აზროვნების, წყვილებში მუშაობისა და წერილი მეტყველების.

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს მინი-ლექციით საქართველოს მოსახლეობისა და გავრცელებული რელიგიების შესახებ (10 წთ.). შემდეგ კლასს სთხოვს ტექსტი და ლექსიკონი წაიკითხონ (10 წთ.). შემდეგ კლასი მუშაობს წყვილებში და ასრულებს დავალებას წყარო ა-ს ქვეშ. გარდა ამისა, დანართი №1-ის გამოყენებით უნდა განსაზღვრონ, სად ცხოვრობს მეტი მოსახლეობა საქართველოში. წინა კლასებში ნასწავლი მასალიდან არ უნდა გაუჭირდეთ კავკასიონის მთათაშორისი ბარის დასახელება (10 წთ.). დავალებების შემონმების შემდეგ ინდივიდუალურად, წერილობით ასრულებენ შემაჯამებელ დავალებას. პრეზენტაციას ეთმობა 5 წთ.

კომენტარი მასწავლებლისთვის: კლასთან მუშაობისას მაქსიმალურად გამოიყენეთ გაკვეთილში მოცემული წყარო ა, წყარო ბ და დანართი №1. ეს მოსწავლეების მასალის უკეთ გააზრებაში დაეხმარება. სუსტი მოსწავლების მოსწავლეებს დაავალეთ ტექსტის წაკითხვა.

გაკვეთილი 16 რელიგიები საქართველოში

განსავითარებული უნარები: ფაქტების საფუძველზე ლოგიკური დასკვნების გამოტანის, არგუმენტირებული მსჯელობისა და ცხრილზე მუშაობის.

გაკვეთილის მსვლელობა: თავდაპირველად მასწავლებლის მითითებით მოსწავლეები ეცნობიან სახელმძღვანელოში მოცემულ ტექსტსა და წყაროებს (10 წთ.), შემდეგ ასრულებენ 1-ლ შემაჯამებელ დავალებას (10 წთ.) და ერთმანეთს უზიარებენ აზრებს (5 წთ.).

ამის შემდეგ დაფაზე ხაზავენ დროის სკალას და მასზე სხვადასხვა ფერის ზოლით აღნიშნავენ საქართველოში გავრცელებულ რელიგიებს ქრონოლოგიური თანამიმდევრობით (5 წთ.), მართავენ დისკუსიას თემაზე: “რელიგიური მრავალფეროვნება საქართველოში”, სადაც მიმოიხილავენ სხვადასხვა რელიგიის ადამიანთა ურთიერთობას ქართველებთან და, რაც მთავარია, რელიგიური მრავალფეროვნების დადებით და უარყოფით მხარეებზე ამახვილებენ ყურადღებას (5 წთ.), პრეზენტაციისათვის 5-8 წთ.

გაკვეთილი 17/18 როგორ იცვლება მოსახლეობის რიცხოვნობა?

განსავითარებული უნარები: ტექსტზე, ცხრილსა და დიაგრამაზე მუშაობის, დაკვირვების, ლოგიკური აზროვნების.

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს გ.ი. მეთოდით და კლასს უსვამს კითხვებს: “რა არის მოსახლეობა?”, “რა არის მოკვდაობა?”, “რა არის შობადობა?”, “როგორ ფიქრობთ, რამ შეიძლება გამოიწვიოს მოსახლეობის ცვალებადობა ანუ რიცხოვნობის შეცვლა?”. მოსწავლეთა სავარაუდო პასუხებს დაფაზე ჩამოწერს. შემდეგ მოკლედ განუმარტავს, რა არის ბუნებრივი მოძრაობა, დინამიკა. ასევე ინფორმაციას აწვდის მოსახლეობაზე, მის რიცხოვნობასა და რიცხ-

ვობის ცვლილებაზე (15 წთ.). მასწავლებელი კლასს ავალებს ტექსტის წაკითხვას ინდივიდუალურად, კ.ნ. სისტემის გამოყენებით. მოსწავლეებმა უნდა შეასრულონ დავალებები ცნობა 1-ის-ს ქვეშ (15 წთ.). დარჩენილ დროს მასწავლებელი დავალებების შემონმებას უთმობს (10 წთ.). შინ შესასრულებლად ეძლევათ ბ და ბ წყაროების განხილვა და შესაბამის კითხვებზე პასუხი.

გაკვეთილი 18

გაკვეთილის მიმდინარეობა: მასწავლებელი კლასში განიხილავს მოსწავლეების მიერ შესრულებულ დავალებას. უპირველესად ყურადღებას ამახვილებს მათთვის გაუგებარ საკითხებზე, შემდეგ კი ამონმებს პასუხებს (20 წთ.). შემდეგ კლასს ყოფს ჯგუფებად და ავალებს შემაჯამებელი დავალების შესრულებას. პრეზენტაციისთვის ეთმობათ 10 წთ. დარჩენილ დროში კიდევ ერთხელ შეაჯამეთ გაკვეთილი მოსწავლეებთან ერთად.

კომენტარი მასწავლებლისთვის: ყურადღება გაამახვილეთ გაკვეთილში მოცემულ გრაფიკსა და ცხრილზე. ეს წყაროები მოსწავლეებს გაუადვილებს გაკვეთილის გააზრებას. სუსტი მოსწავლეები ძლიერ მოსწავლეებთან ერთად ჩააბით საგაკვეთილო პროცესში. მეორე გაკვეთილის ბოლოს მოიტოვეთ ცოტა დრო: სასურველია მოსწავლეებისთვის თვითშეფასების ფურცლების დარიგება და მათი შევსება, რათა მათაც თვალნათლივ წარმოიდგინონ, როგორ დაძლიეს მასალა.

გაკვეთილი 19. რატომ გადაადგილდება მოსახლეობა?

განსავითარებული უნარები: სქემასა და ნყარობზე მუშაობის, ლოგიკური აზროვნების, დამოუკიდებლად მუშაობის.

გაკვეთილის მიმდინარეობა: მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს გ.ი. მეთოდით და სხვამს კითხვებს: “როგორ გესმით მოცემული გაკვეთილის სათაური: რატომ გადაადგილდება მოსახლეობა?”, “მოსახლეობის გადაადგილებამ შეიძლება თუ არა გამოიწვიოს სოფლების გაუკაცრიელება, ქალაქების დაკნინება ან ახალი ქალაქების წარმოშობა?” – სავარაუდო პასუხები იწერება დაფაზე (5 წთ.). შემდეგ მოსწავლეებს უკითხავს 1-ლ შემაჯამებელ დავალებას და სთხოვს უპასუხონ კითხვას: “როგორ ფიქრობთ, თითოეულ შემთხვევაში რა მიზეზით ტოვებენ თავიანთ სახლ-კარს ადამიანები”? (5 წთ.). შემდეგ მინი-ლექციის სახით ესაუბრება მიგრაციის შესახებ (5 წთ.). მომდევნო 10 წუთის განმავლობაში მოსწავლეებმა ტექსტი ყურადღებით უნდა წაიკითხონ და დააკვირდნენ სქემა 1-ს.

სასურველია დაფაზეც დაინეროს მიგრაციის გამომწვევი მიზეზები. ნაახალისეთ მოსწავლეები თითოეული შემთხვევისთვის გაიხსენონ ისტორიული, ლიტერატურული ან ცხოვრებისეული მაგალითი. დარჩენილი დრო ეთმობა გაკვეთილის დანარჩენი სავარჯიშოების შესრულებას და მათ შემონმებას (15 წთ.).

კომენტარი მასწავლებლისთვის: ტექსტი, მაგალითები, წყარო და სქემა მოსწავლეს დაეხმარება მიგრაციასა და მისი მიმართულებების გააზრებაში.

სუსტი მოსწავლეები ამუშავეთ სქემაზე და ფიზიკურ რუკაზე, რომ შეეძლოთ დამოუკიდებლად მსჯელობა მოსახლეობის მიგრაციის გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების თაობაზე.

გაკვეთილი 21 ქვის ხანა საქართველოს ტერიტორიაზე

განსავითარებული უნარები: ანალიტიკური აზროვნების, ლოგიკური დასკვნების გამოტანისა და არგუმენტირებული მსჯელობის, წერილი მეტყველების.

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებლის მითითებით მოსწავლეები ეცნობიან გაკვეთილის ტექსტს (7-8 წთ.). შემდეგ ჯგუფებად ან წყვილებად დაყოფილნი იწყებენ მსჯელობას შემდეგ საკითხებზე: I – ადამიანი პალეოლითის ეპოქაში, II – ენის წარმოქმნა, III – ცეცხლის აღმოჩენა, IV – ადამიანი ნეოლითის ხანაში. მოსწავლეები მსჯელობენ მეტყველების წარმოქმნასა და იმ შესაძლებლობებზე, რაც ადამიანების ურთიერთობაში გაჩნდა ამის შემდეგ; აგრეთვე ადამიანის უმწეო მდგომარეობაზე ცეცხლის აღმოჩენამდე და მისი დაუფლების მნიშვნელობაზე. სასურველია პირველყოფილი ადამიანის ორი დიდი მილწევის შესახებ მოკლე დასკვნა თავად მოსწავლეებმა ჩამოაყალიბონ, დაფაზე დაწერონ და რვეულებში გადაიწერონ (10 წთ.). შემდეგ ინდივიდუალურად მუშაობენ წყაროების შესაბამის სავარჯიშოებზე (10 წთ.). გაკვეთილის დარჩენილი დრო პასუხების შემომწმება-პრეზენტაციას ეთმობა. საშინაო დავალებად ეძლევათ შემაჯამებელი სავარჯიშოები.

პასუხები ზოგიერთი სავარჯიშოსთვის

1-ლი ბულიტიანი სავ. წყარო ა-ს ქვეშ: ნაწვეტებული ქვისპირი, რომელიც ხის ტარზე მაგრდება, საძგერებელ იარაღად იქცა. ქვის წვეტით შეიძლებოდა მიწის ჩიჩქნა, მცენარეთა ფესვებისა და ბოლქვების ამოღება. მცირე ზომის ქვის მჭრელპირიანი ფირფიტები (მიკროლითები) გამოიყენებოდა სეგმენტის სახით ანუ როგორც ჩასართავი იარაღისთვის. მათ ამაგრებდნენ ცხოველის ქვედა ყბის ძვალში ან ხის ჩარჩოში და მიიღებოდა კომბინირებული იარაღი: დანა, ნამგალი, შუბი. ორივე მხრიდან გათლილი და ნაწვეტებული ქვის იარაღით მოკლულ ცხოველს ატყავებდნენ.

მე-2 ბულიტიანი სავ. წყარო ბ-ს ქვეშ: ადამიანის ძირითადი საკვები ნაწარმები, ტყის ველური მცენარეები, მცენარეთა ფესვები და ბოლქვები იყო.

ბულიტიანი სავ. წყარო ბ-ს ქვეშ: ადამიანი ხის ჯოხს აბზრიალებს ხის ნაჭერში ამოჭრილ ღრმულში. ხახუნის გამო ხე ხურდება და ჯოხს ალი ეკიდება.

1-ლი ბულიტიანი სავ. წყარო დ-ს ქვეშ: რუკიდან კარგად ჩანს, რომ ადამიანის უძველესი სადგომები მეტია დასავლეთი საქართველოს ტერიტორიაზე. აქ მეტია დასამუშავებლად ვარგისი ფართობი, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც უწყლობის გამო ხელოვნური არხების გაჭრა იყო საჭირო.

1-ლი შემაჯამებელი სავ.:

მამაკაცები	ნადირობა
ქალები და ბავშვები	ნაყოფისა და ბალახეულის შეგროვება
მოხუცები	იარაღის დამზადება, ცეცხლისთვის თვალყურის დევნება

მე-2 შემაჯამებელი სავ.:

პალეოლითი	ნეოლითი
-----------	---------

ბ, დ	ა, გ, ე, ვ, ზ, თ
------	------------------

კომენტარი მასწავლებლისთვის: ნეოლითის ხანაში ერთ ადგილზე დასახლებული ადამიანები ქმნიან კოლექტივს, რომელშიც ყალიბდება საზოგადოებრივი ურთიერთობები. საერთო საკითხების გადაწყვეტად ისინი იკრიბებოდნენ დასახლებული ადგილის მოედანზე და მსჯელობის, ბჭობის შედეგად იღებდნენ ყველასთვის მეტ-ნაკლებად მისაღებ გადაწყვეტილებას.

ნეოლითის უმთავრესი მონაპოვარი მონადირეობიდან და შემგროვებლობიდან ბინადარ ცხოვრებასა და მეურნეობაზე გადასვლაა. ყალიბდება კოლექტიური ცხოვრებისთვის საჭირო უნარები, ჩნდება რელიგიური რწმენა-წარმოდგენები; ადამიანი ზრუნავს ავადმყოფებსა და მიცვალებულებზე, თაყვანს სცემს კულტებს. სრულყოფილი ხდება სამეურნეო იარაღები, ადამიანი მეთუნეობას ჰკიდებს ხელს. უფრო მოკლედ ამ ცვლილებების ჩვენება შესაძლებელია შემდეგი ცხრილით:

მიწათმოქმედებაზე გადასვლა

ცვლილებები	შედეგები
ცხოვრების წესი	ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლა
კვება	საკვების მრავალფეროვნება
დემოგრაფიული ვითარება	სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა
წარმოების ახალი საშუალებები	ტექნოლოგიურად გაუმჯობესებული ქვის, ძვლის, ხის, ობსიდიანის იარაღები; პირველი თხის ჭურჭლის დამზადება
ადამიანის აზროვნება	ნაყოფიერების კულტის გაჩენა

გაკვეთილი 22 ბორბალი

განსავითარებული უნარები: ინფორმაციის შეკრებისა და დაჯგუფების, დასკვნების გაკეთების, შემოქმედებითი და ლოგიკური აზროვნების.

გაკვეთილის მსვლელობა: მოსწავლეთათვის განწყობის შესაქმნელად მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს ა.კ.რ-ზე მუშაობით. დაფის ცენტრში წერს სიტყვა “ბორბალი” და მოსწავლეებს სთხოვს უკარნახონ, ეს სიტყვა რის ასოციაციას გაუჩენთ (მაგ., ველოსიპედი, ავტომობილი, ატრაქციონი, ლიფტი) (3-5 წთ.), შემდეგ მასწავლებლის მითითებით მოსწავლეები ეცნობიან სახელმძღვანელოში მოცემულ ტექსტს, აკვირდებიან წყაროებზე გამოსახულ ფოტოებს (10 წთ.) და მსჯელობენ ბრუნვით მოძრაობაზე, რაც საფუძვლად დაედო ბორბლის გამოგონებას. საუბრობენ ბორბლის უნიკალური თვისებების შესახებ მისი შემდგომი გამოყენების თვალსაზრისით (5 წთ.).

ამის შემდეგ მასწავლებლის მითითებით მოსწავლეები წყვილებში ან ჯგუფებში ასრულებენ ნერილობით სამუშაოს. ბ-კ წყაროებზე მოცემული ფოტოებისა და მათთვის ცნობილი სხვადასხვა დროის სატრანსპორტო საშუალებების თუ მექანიზმების გახსენების საფუძველზე უნდა შეადგინონ ცხრილი და დააკონკრეტონ მასში ბორბლის, როგორც მექანიზმის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილის მნიშვნელობა (10 წთ.).

ნივთი/საგანი	ბორბლის სახეობა	ბორბლის დანიშნულება
ურემი	ბორბალი	ეხმარება გადაადგილებაში
მექანიკური საათი	კბილანინი ბორბალი	ამოძრავებს მექანიკური საათის მექანიზმს
ავტომობილი	ბორბალი	ეხმარება გადაადგილებაში
ქარის წისკვილი	ბორბალი	ეხმარება მარცვლეულის დაფქვაში
მატარებელი	ბორბალი	ეხმარება გადაადგილებაში
ველოსიპედი		
გემი		

კომენტარი მასწავლებლისთვის

ბორბლის არსებობა პირველად ძვ. წ. 4 ათასი წლის წინ მესოპოტამიაში დასტურდება. ბორბლის წინამორბედი ჩვეულებრივი ხის მორი იყო, რომლის დახმარებითაც გადაადგილებდნენ სიმძიმეებს. შუმერის ქალაქ ურუქში აღმოჩნდა ძვ. წ. 3 ათასი წლით დათარიღებული ბორბლიანი მარხილი, რაც ბორბლიანი ტრანსპორტის ერთ-ერთი პირველი ფორმაა. შუმერშივე ძვ. წ. 2700 წლისთვის ჩნდება სხვადასხვა სახეობის საზიდრები. იმავე პერიოდში შუმერებმა დაიწყეს თავიანთი მეფეების დამარხვა ეტლებთან ერთად. ბორბლის თავდაპირველი კონსტრუქციის გაუმჯობესება ძვ. წ. II ათასწლეულში მოხდა. კელტებმა ბორბლის მდგრადობის გასაძლიერებლად ძვ. წ. I ათასწლეულიდან ხეზე ლითონის სარტყლის შემოკვრა დაიწყეს. ბორბლის გამოგონებამ განავითარა ხელოსნობის დარგები: სამეთუნეო მორგვი, წისკვილი, სართავი დაზგა, სახარატო ჩარხი ბორბალს იყენებს. ლაპოტებიანი ბორბალი გამოიყენებოდა საირიგაციო მოწყობილობებზე, მანუფაქტურულ ფაბრიკებში, მალარობებში და ა. შ. ბორბლის გამოგონებამ ბიძგი მისცა მეცნიერების განვითარებას: მას ვხვდებით ასტროლაბსა და სხვა ხელსაწყოებში. მექანიკაში ფართო გამოყენება აქვს კბილა ბორბალს.

ბორბლიანი ტრანსპორტის ერთ-ერთი სახეობა – ეტლი – ძვ. წ. 2600 წლიდან არსებობს როგორც გადაადგილებისა და საომარი ტექნიკის საშუალება. ამას მოწმობს ურუქის შტანდარტი. უძველესი მესოპოტამიური პროტოეტილი ორადგილიანი და ორლერძიანი იყო, ჰქონდა მაღალი ფარი წინიდან ეკიპაჟის დასაცავად, ეტლზე მაგრდებოდა ყუთი სასროლი შუბების ჩასალაგებლად. ამ პროტოეტილების ბორბლებს მანები არ ჰქონდა და მათი მანევრირება მეტად რთული იყო. შუმერული ეტლი ოთხცხენიანი იყო და მას შეტყვის დროს ქვეითი მხედრების გადასათელად იყენებდნენ. ეგვიპტელების ეტლები განსხვავებულია: კონსტრუქცია უფრო მსუბუქია, ეტლი ერთადგილიანია და მასში ერთ ან ორ ცხენს აბამდნენ. ისტორიაში ეტლებით ყველაზე დიდი ბრძოლა მოხდა ძვ. წ. 1299 წელს კადეშთან: ეგვიპტელებისა და ხეთების მხრიდან მასში 5 ათასი ეტლი მონაწილეობდა. საბრძოლო ეტლის განვითარებაში სიახლე იყო ასურელების გამოგონება: მათ ეტლის ბორბლებზე ცეცხლისებური დანები დაამაგრეს

ქვეითთა წინააღმდეგ საბრძოლო ველების განვითარების ბოლო საფეხური იყო სპარსელების მიერ ძვ. წ. V ს-დან ცხენების ჯავშნიანი მოსასხამით დაფარვა.

გაკვეთილი 23 სამეთუნეო მორგვი

განსავითარებელი უნარები: ფაქტების დახარისხების, წერიტი მეტყველების.

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებელს ამ გაკვეთილის ჩატარებას ვურჩევთ კ.ნ.ს. მეთოდის გამოყენებით. მასწავლებლის მითითებით მოსწავლეები წასაკითხი მასალის კიდებზე აკეთებენ ამ მეთოდით გათვალისწინებულ აღნიშვნებს, შემდეგ კი ავსებენ შესაბამის ცხრილს (15 წთ.).

შემდეგ ჯგუფებში ხდება აზრთა გაზიარება და იმართება დისკუსია მასწავლებლის მიერ დასმულ შეკითხვებზე:

- რა იყო ისეთი, რაც ტექსტის ნაკითხვამდე იცოდით?
- რა აღმოჩნდა ისეთი, რაც ტექსტის ნაკითხვამ გასწავლათ?
- რა იყო ისეთი, რისი საპირისპიროც იცოდით?
- რა შეკითხვები დაგებადათ? (10 წთ.)

გაკვეთილი 24 საქსოვი დაზგა

განსავითარებელი უნარები: ინფორმაციის დახარისხების, კითხვის დასმის, წერიტი მეტყველების.

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს გაიხსენონ, თუ რა სმენიათ საქსოვი დაზგის შესახებ. მოსწავლეთა პასუხებს მასწავლებელი წერს დაფაზე, წინასწარ მომზადებულ გრაფაში “ვიცი” (3-5 წთ.), შემდეგ სთხოვს მოსწავლეებს უკარნახონ, რისი გაგება სურთ. მოსწავლეთა პასუხებს წერს გრაფაში “მინდა ვიცოდე” (5 წთ.), ამის შემდეგ მასწავლებლის მითითებით მოსწავლეები ეცნობიან სახელმძღვანელოში მოცემულ ტექსტსა და წყაროებს (10 წთ.) და ავსებენ გრაფას “ვისწავლე” (10 წთ.). გრაფის შევსების შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს კიდევ ერთხელ მიუბრუნდნენ გრაფას “მინდა ვიცოდე” და დაუკვირდნენ, გაეცა თუ არა პასუხები მათთვის სასურველ კითხვებს. შეძლებისდაგვარად გაკვეთილზევე უნდა გაეცეს პასუხები მოსწავლეთათვის საინტერესო კითხვებს თემასთან დაკავშირებით (3-5 წთ.).

მასწავლებლის მითითებით მოსწავლეები კლასში მართავენ მინი-დისკუსიას – რომელს ვამჯობინებდი, საქსოვ დაზგაზე თუ ხელით მოქსოვილს? საკუთარი მოსაზრების გასამყარებლად მოიტანონ 2-3 არგუმენტი (5-6 წთ.).

გაკვეთილი 25/26 რვალისა და რკინის მჭედლები

განსავითარებელი უნარები: წყაროებზე მუშაობის, დაკვირვების, ლოგიკური დასკვნების გამოტანის, საკუთარი მოსაზრების გადმოცემისა და დასაბუთების, წერიტი აზროვნების.

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებლის მითითებით მოსწავლეები მუშაობენ გაკვეთილის ტექსტზე (10 წთ.). ტექსტზე მუშაობის დროს ევალუაბთ მათთვის საინტერესო უცნობი ინფორმაციის რვეულებში ამონერა (10

ნო.). შემდეგ მასწავლებელი კლასს ჯგუფებად ყოფს და ისინი მუშაობენ ა და ბ წყაროებსა და შემავარჯშებელ სავარჯიშოებზე. პასუხების შემოწმებას და პრეზენტაციას 10 წუთი ეთმობა. დარჩენილ დროში მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად აჯამებს ახალ მასალას (10 წთ.).

კომენტარი ქვეთავისთვის “სპილენძ-ბრინჯაოს დამუშავებაზე გადასვლა”: ნეოლითის ხანაში ადამიანი ამზადებდა ქვის, ძვლის, რქისა და ობსიდიანის მრავალფეროვან და მრავალრიცხოვან სამინათმოქმედო იარაღს: თოხისებრი, წერაქვისებრი, სახნისისებრი იარაღები; აგრეთვე დიდი ზომის ქვის იარაღები, რომლებზეც შესაძლებელია ხის ტარის დამაგრება; სამკალი დანები და ნამგლების ჩასართავი მცირე ზომის ქვის მჭრელი ფირფიტები (ე. წ. მიკროლითები). ენეოლითის ხანაში იარაღი არის სამეურნეო და საბრძოლო, მზადდება სამკაული. ადრეულ ეტაპზე ქვის, ძვლისა და ხის იარაღიც არის შენარჩუნებული. მოგვიანებით ბრინჯაომ და რკინამ გამოდევნა ისინი ხმარებიდან. ენეოლითის ხანაში შეინიშნება ხელოვნური მორწყვის გამოყენება. მინას ამუშავებენ პრიმიტიული სახნავით. ბრინჯაოს იარაღების გამოყენებამ უფრო გააუმჯობესა სამეურნეო საქმიანობა. მინათმოქმედება და მესაქონლეობა საკმაოდ დანიშნულა. ადამიანმა ხელი მოკიდა მეთუნეობასაც. მეტალურგია უკვე ცალკე საქმიანობის სფეროა, რასაც მოწმობს ლითონის სადნობი სახელოსნოების ნაშთებისა და ყალიბების აღმოჩენა.

თავდაპირველად მზადდება ამა თუ იმ ნივთის ყალიბი. ყალიბები მზადდებოდა ქვისგან ან თიხისგან. კერძაზე სპეციალურ ჭურჭელში აცხელებდნენ სპილენძს. მასში ურევდნენ დარიშხანს, ანთიმონს ან კალას. ცხელ ნარევს ასხამდნენ ყალიბში, როდესაც ლითონი გაცივდებოდა, ყალიბს გახსნიდნენ და მიღებულ ნივთს გააპირილებდნენ.

მტკვარ-არაქსის კულტურა	
გავრცელების არეალი	სამხ. კავკასია, ჩრდ.-აღმ. კავკასია, აღმ. ანატოლია, ჩრდ. ირანი
მეურნეობის დარგები	მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, მეთუნეობა, ბრინჯაოს მეტალურგია
სამოსახლოების სახეობა	ოთხკუთხა, მომგვალეულ კუთხეებიანი შენობები ბრტყელი გადახურვით
ადამიანთა საქმიანობის სფეროები	მიწის დამუშავება, ცხოველების მოვლა-მოშენება, თიხის ჭურჭლის დამზადება, ბრინჯაოს მეტალურგიის ათვისება, სამკაულებისა და ტანსაცმლის დამზადება, ნადირობა, მეთევზეობა.
გათხრების შედეგად აღმოჩენილი ნივთები	საბრძოლო (ისრისპირები, სატყვრები), სამეურნეო (დანები, სადგისები, მახათები, სახვრეტები, ნამგლები, ცულები) მეტალურგიული (უროები, ჩუგლუგები, სადნობი ქურები, ნაღვნი წიდეები, თიხის ყალიბები) სამკაული (დიადემები, სამაჯურები, საკიდები, ჭინძისთავები, მძივები), სხვადასხვა დანიშნულების თიხის ჭურჭელი
ბრინჯაოს ტექნოლოგია	ბრინჯაოს იღებდნენ ცეცხლზე გამდნარ სპილენძში სხვადასხვა ნივთიერების შერევით (დარიშხანი ანთიმონი, კალა). ამ გზით სპილენძი მაგრდებოდა. გამდნარ ბრინჯაოს სასურველ ყალიბში ასხამდნენ და ასე იღებდნენ საჭირო ნივთს.

კომენტარი ქვეთავისთვის “რკინის დამუშავებაზე გადასვლა”: თავდაპირველად რკინის ნივთები უმ-

ნიშნელო რაოდენობით მზადდებოდა, რადგან რკინის მიღება უფრო ძნელი იყო. მადნიდან მის გამოდნობას გაცილებით მაღალი ტემპერატურა სჭირდებოდა, ვიდრე ბრინჯაოს მიღებას. რთული იყო შემდგომი დამუშავებაც (დანახშირბადება, მადნის დანურვა, წილის ნაშთების მოცილება, გამოჭედვა, წრთობა და სხვა). ამ ტექნიკური ხერხების ათვისება თანდათანობით მოხდა. რკინის მეტალურგიის საფუძველს ბრინჯაოს მეტალურგია წარმოადგენდა. იგივე ოსტატები ეუფლებოდნენ რკინის დამუშავებას, სავარაუდოდ იყენებდნენ იგივე ყალიბებს, რაც ბრინჯაოს ნივთებისთვის იყო საჭირო. ყოველივე ეს მოწმობს რკინის მეტალურგიის ადგილზე ათვისებას.

რკინის გამოსადნობად მზადება	გამოდნობის პროცესი	გამოდნობის შედეგი
<ul style="list-style-type: none"> • ცეცხლგამძლე თიხის მიღების დამზადება • მადნის დაწურვა • მადნის მოპოვება • ნახშირის დამზადება • მადნის საბადოდან ჭურამედ მისასვლელი გზის გაყვანა • სადნობი ქურის აგება • საწვავის დასამზადებლად საჭირო სათანადო ჯიშის ხეების მოჭრა • მადნის გადახიდევა • საბურველის დამზადება • მადნის გადასახიდი ინვენტარის (გიდელი, გოდორი, გობი, კალათი) დამზადება • უალიბების დამზადება 	<ul style="list-style-type: none"> • ნახშირის ჩაურა ქურში • უანგზადის მიწოდება ქურში 	<ul style="list-style-type: none"> • ნივთის დამშვენება ორნამენტით • დამზადებული ნივთის გატანა გასაყვად

მეტალურგიის განვითარებამ გამოიწვია ახალი ხელოვნების გაჩენა. სამთამადნო საქმეშიც კი ცალ-ცალკე იქნებოდნენ მადნის მთხრელები, მადნის მზიდავები, მადნის გამამდიდრებელი, აგრეთვე შეშის მჭრელი, გზის გამყვანები. სათანადო ცოდნას მოითხოვდა მადნის დანურვა, სამსხმელო ყალიბების დამზადება და თვით ჩამოსხმის პროცესი, დამზადებული ნივთის მხატვრული სახეებით შემკობა და ა. შ. ლითონის ნაწარმის პირველი მოთხოვნილების საგნად გადაქცევამ გააჩინა ჯგუფი ადამიანებისა, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებდა მწარმოებელსა და მომხმარებელს. შემდგომ მათი პროფესია ვაჭრობა გახდა.

ძვ. წ. II ათასწლეულში რკინის ათვისებას დაუკავშირდა რამდენიმე სიახლე, რომლებმაც ადამიანთა ცხოვრებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია. ამ პერიოდში საბოლოოდ დამკვიდრდა სამეთუნეო მორგვი, რამაც გააადვილა კერამიკული ჭურჭლის დამზადება. ამავე პერიოდში საქართველოში დაიწყო ცხენის მოშენება. ცხენს იყენებდნენ როგორც მეურნეობაში, ისე სამხედრო საქმეში. ცხენის მეოხებით გაადვილდა ურთიერთობა სხვადასხვა ადგილზე დასახლებულ ტომებს შორის, გააქტიურდა და გაადვილდა სავაჭრო-კულტურული კავშირები. ცხენის გამოყენებამ ხელი შეუწყო საიალალო მესაქონლეობას: მწყემსები ადვილად უვლიდნენ გარს ფარებსა და ჯოგებს, მიერეკებოდნენ საქონელს შორეულ იალალებსა და საძოვრებზე. მთა და ბარი უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა ერთმანეთს, რადგან მესაქონლეობა და მინათმოქმედება მჭიდროდ გაემიჯნა ურთიერთს. გარდა ამისა, ლითონის საბადოების მეტი ნაწილი სწორედ მთაში იყო და მუდმივი კონ-

ტაქტი აუცილებელი იყო ნედლეულისა (ლითონი) და პროდუქციის (რძის პროდუქტები, ხორცი, მარცვლეული) გასაცვლელად. სამხედრო საქმეში გარდატეხა გამოიწვია ცხენის გამოყენებამ: გრძელი მახვილით შეიარაღებული მხედარი ადვილად უსწორდებოდა მოკლე სატევრით შეიარაღებულ ქვეითებს. ცხენოსანთა თავდასხმები ამდიდრებდა ცალკეული გვარების წარმომადგენლებს, რომლებიც ხელთ იგდებდნენ საქონელსა და იარაღს. გაუმჯობესებულმა სამეურნეო იარაღმა საშუალება მისცა ადამიანებს მიეღოთ უკეთესი და უხვი მოსავალი. ადამიანმა მემინდვრობის გარდა ხელი მიჰყო მებოსტნეობას, მებაღეობას, ყურძნის მოშენებასა და ღვინის დაყენებას. დემოგრაფიულ მატებასა და ცხოვრების უკეთესი პირობების შექმნას მოწმობს დიდი დასახლებების აღმოჩენა ვრცელი სამაროვნებით და ერთ ადგილზე დიდხანს ცხოვრების ნაკვალევი. ხელოსნობაც ცალკე სამეურნეო დარგად ყალიბდება მრავალი სპეციალობით. საზოგადოებაში თანდათან იკვეთება ის ჯგუფი, რომელიც თავს უყრის მოსავლის ნამატს, ხელთ იგდებს ლითონის წარმოებასა და გასაღებას. თანდათანობით ირღვევა ადრე არსებული, თანასწორობაზე დაფუძნებული კავშირები და იქმნება სახელმწიფოს ჩამოყალიბების პირობები.

კომენტარი ქვეთავისთვის “დიდი ცვლილებები”: მეურნეობაში მომხდარმა სიახლეებმა ხელი შეუწყო მოსავლიანობის ზრდას. სამონათმოქმედო მეურნეობა დასახლების ახლომახლო მდებარე მიწებზე წარმოებდა. საქონელსაც დასახლების ახლოს აძოვებდნენ. იმავდროულად ერთი დასახლება დროთა განმავლობაში ფართოვდებოდა და სახლებს მიმდებარე გორებზე აშენებდნენ. თუმცა, დასახლების ცენტრად რჩებოდა თავდაპირველი გორა, სადაც იყო თავშეყრის მოედანი და მთავარი სალოცავი. მომრავლებული საქონელი, სოფლის მეურნეობის პროდუქტი და ლითონის იარაღი ცალკეული გვარისა თუ თემის ხელში იყრიდა თავს. გახშირდა შეტაკებები მეზობელ გვარებთან/თემებთან ახალი საძოვრების, მიწებისა თუ ლითონის მოპოვების ადგილის ხელში ჩასაგდებად. გაიზარდა მამაკაცის, როგორც მეომრისა და ლითონის მომპოვებლის როლი. ადამიანებმა ისწავლეს უკეთესი იარაღის დამზადება, მრავალფეროვანი გახდა მისი სახეობები, დაიწყო ნატიფი სამკაულების დამზადება. გაუმჯობესებული იარაღის წყალობით მოიმატა მოსავლიანობამ და ადამიანი უკეთ იკვებება, რადგან ითვისებს მცენარეთა ახალ სახეობებს. გათხრების შედეგად აღმოჩენილია სხვადასხვა სახეობის მარცვლეული: ხორბლის რამდენიმე სახეობა, მათ შორის საქართველოსთვის ენდემური ჯიში – მახა; აგრეთვე ქერი, ფეტვი, შვრია; პარკოსნებიდან ოსპი და ბარდა, ბალჩიული მცენარეებიდან ნესვი და მჟაუნა; აგრეთვე ყურძნის ნიჰები.

გაკვეთილი 27 რა არის ხელოსნობა?

განსავითარებელი უნარები: ინფორმაციის შეკრებისა და დაჯგუფების, დასკვნების გაკეთების, ასოციაციების შექმნის, შემოქმედებითი და ლოგიკური აზროვნების.

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს ა.კ.რ მეთოდით. დაფის ცენტრში წერს სიტყვას “ხელოსნობა” და მოსწავლეებს ეკითხება, თუ რას მოაგონებს მათ ეს სიტყვა. მასწავლებელი მოსწავლე-

ების მიერ ნათქვამს (მაგ., სახლის აგება, ჭურჭლის დამზადება, შრომის იარაღები, საბრძოლო იარაღი, ტანსაცმელი, შრომა) მიანერს სიტყვა “ხელოსნობიდან” გამოყვანილი “სხივების” ბოლოებში (3-5 წთ.). შემდეგ მასწავლებლის მითითებით მოსწავლეები ეცნობიან სახელმძღვანელოში მოცემულ ტექსტსა და წყაროებს, ყურადღებით აკვირდებიან 1-2 წყაროებზე გამოსახულ ფოტოებს (10 წთ.) და პასუხობენ მასწავლებლის მიერ დასმულ შეკითხვებს: როგორ და რა ვითარებაში ჩამოყალიბდა ხელოსნობა და რამ შეუწყო ხელი მის განვითარებას? რაზე მიუთითებს ხელოსნობის განვითარება? (5-6 წთ.).

შემდეგ წვეილებად ან ჯგუფებად დაყოფილი მოსწავლეები მუშაობენ ცხრილზე (გვ. 76). ცხრილზე მუშაობისას სახელმძღვანელოში მოცემულ მასალასთან ერთად გამოიყენებენ საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებასაც (10 წთ.).

რუსურსი	საგანი	დანიშნულება	საგანი	დანიშნულება
თიხა	დოქი	წულის ჭურჭელი	კრამიტი	სახლის სახურავი
ქვა				
ხე				
სული				
ტყავი				
ზრინჯაო				
აბრეშუმი				
წნელი				
ჩალა				
ალიზი				

სამუშაოს დასრულების შემდეგ ხდება პრეზენტაცია (10 წთ.).

პასუხები ზოგიერთი სავარჯიშოსთვის:

1-ლი შემაჯამებელი საფ. მქსოველი, მკერავი, მე-თუნე, ქვის მჭრელი, დურგალი, მშენებელი, მევავეჯე და სხვ.

გაკვეთილი 28 რას ნიშნავს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი?

განსავითარებელი უნარები: ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების, სხვისი აზრის მოსმენის, საკუთარი თვალსაზრისის გადმოცემის, თანამშრომლობის, სიტუაციის შეფასების და დასკვნების გამოტანის.

გაკვეთილის მსვლელობა: ახალი თემისათვის განწყობის შესაქმნელად მასწავლებელი გამოიყენებს გ.ი. მე-თოდს და კლასს მიმართავს კითხვით: როგორ გესმით ტერმინის “სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი” მნიშვნელობა (5 წთ.). მოსწავლეებისაგან მიღებული ინფორმაციის შემდეგ მასწავლებელი ამატებს, რომ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი ნიშნავს მეცნიერებისა და ტექნიკის ურთიერთგანპირობებულ განვითარებას, როდესაც თეორიულმა და ტექნიკურმა მოღვაწეობამ დაახლოება დაიწყო, მანამდე კი მეცნიერება და ტექნიკა წარმოადგენდა ადამიანის საქმიანობის ორ შედარებით დამოუკიდებელ სფეროს (ნათქვამს მაგალითებით განამტკიცებს) (5 წთ.).

შემდეგ მასწავლებლის მითითებით მოსწავლეები ეცნობიან ცნობა №1-ს, 1 და 2 წყაროებს და ჯგუფებში ან წვეილებში იწყებენ მსჯელობას:

I – როგორ წარმოგიდგენიათ პურის ცხოვა ძველად და ახლაც;

II – ქვიშის საათისა და სანთლის “შთამომავალი”;

III – ხის ნიჩბებიანი ნავის “შთამომავალი”;

IV – ტელეფონის შორეული წინამორბედი.

მოსწავლეებმა უნდა განმარტონ, თუ რა ცვლილებები განიცადეს დასახელებულმა ნივთებმა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის შედეგად (8 ნთ.), სამუშაოს დასრულების შემდეგ ხდება პრეზენტაცია (7-8 ნთ.).

ამის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს აწვდის ინფორმაციას ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენება-ბაზრობების შესახებ, სადაც ხდება უახლესი მიღწევების ჩვენება, რეკლამირება და ყიდვა-გაყიდვა (3-5 ნთ.), რის შემდეგაც მოსწავლეები ეცნობიან ღ წყაროზე გამოსახულ ორივე ფოტოს და კლასში მართავენ დისკუსიას, ერთმანეთს უზიარებენ აზრს ტექნიკასა და ტექნოლოგიასთან დაკავშირებული იმ ბაზრობა-გამოყენების შესახებ, რომელსაც თვითონ დასწრებიან. შეუძლიათ ასევე მეგობრებს გაუზიარონ აზრი ახალი ავტომობილების, ტელევიზორების, მობილურების შესახებ და ა. შ. (10 ნთ.).

გაკვეთილი 29 სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დადებითი და უარყოფითი შედეგები

განსავითარებელი უნარები: ლოგიკური და ანალიტიკური მსჯელობის, სხვისი აზრის მოსმენის, საკუთარი თვალსაზრისის გადმოცემის.

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს გაეცნონ სახელმძღვანელოში მოცემულ ტექსტსა და წყაროებს (7 ნთ.), რის შემდეგაც მოსწავლეები მსჯელობენ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მხოლოდ დადებით მხარეებზე. სახელმძღვანელოში მოცემულ მასალას წერილობით ამდიდრებენ ცხოვრებისეული მაგალითებით, კერძოდ მსჯელობენ იმის შესახებ, თუ რა შეხება აქვთ მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესთან (8 ნთ.), შემდეგ რამდენიმე მოსწავლის ნამუშევარს ეცნობა კლასი (5 ნთ.).

პირველი დავალების შესრულების შემდეგ მასწავლებელი კლასს ყოფს ჯგუფებად და სთხოვს გაეცნონ ბ-ღ წყაროებზე გამოსახულ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევებს და მათ მიერ გამოწვეულ უარყოფით შედეგებს. მოსწავლეებს ავალეს ცხრილის შევსებას და დისკუსიის გამართვას არგუმენტირებული მსჯელობით (სასურველია T-სქემის გამოყენება) (10 ნთ.), სამუშაოს დასრულების შემდეგ ხდება პრეზენტაცია (10 ნთ.).

კომენტარი წყარო ღ-სთვის: ატომური აფეთქებით გამოწვეულმა რადიაციამ სამუდამოდ დააზიანა პიროსიმას გადარჩენილ მცხოვრებელთა ჯანმრთელობა. დღეს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი კრძალავს განურჩეველი ხასიათის მოქმედების მქონე იარაღის გამოყენებას. ეს ისეთი იარაღია, რომელსაც ვერ მართავ კონკრეტული სამხედრო ობიექტისკენ და მის მოქმედებას მშვიდობიან მოსახლეობაშიც მსხვერპლი მოყვება. გარდა ამისა, იკრძალება ისეთი მეთოდებისა და საშუალებების გამოყენება, რომლისგანაც მოსალოდნელია გარემოს ფართომასშტაბიანი, გრძელვადიანი და სერიოზული დაზიანება.

გაკვეთილი 30 საქართველოს ეკონომიკის დარგები

განსავითარებელი უნარები: წყაროებზე და სქემაზე მუშაობის, ლოგიკური აზროვნებისა და დასკვნების გამოტანის, მსჯელობის.

გაკვეთილის მსვლელობა: შესავალი ფრაზის, გაკვეთილის პირველი აბზაცისა და წყარო ა-ს გაცნობის შემდეგ მასწავლებლის თხოვნით მოსწავლეები აყალიბებენ ეკონომიკის მარტივ განმარტებას, რომელიც დაფაზე იწერება (10 ნთ.). შემდეგ ცდილობენ საკუთარი ოჯახის წევრებისა თუ ნაცნობების საქმიანობის სფერო დააკვირონ წყარო ა-ზე წარმოდგენილ ეკონომიკის რომელიმე დარგთან (10 ნთ.). მასწავლებლის თხოვნით მოსწავლეებს რეულში გადააქვთ წყარო ბ და გაკვეთილის წყაროების აღმნიშვნელ ასო-ნიშნებს (ბ, გ, დ, ე, ვ, ზ, თ, ი, კ) წყარო ა-ს შესაბამის უჯრაში წერენ (10 ნთ.). პასუხების პრეზენტაციას ეთმობა 5 ნთ. გაკვეთილის მიწურულს მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად აჯამებს გაკვეთილს. საშინაო დავალებად ეძლევათ წყაროების ქვეშ მოთავსებული სავარჯიშოები.

გაკვეთილი 31 ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა

განსავითარებელი უნარები: შედარების, დასკვნების გამოტანის, სინთეზისა და არგუმენტირებული მსჯელობის.

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს დავალების შემოწმებით (5 ნთ.). შემდეგ მოსწავლეებს სთხოვს გაიხსენონ ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის რა სახეებია მათთვის ცნობილი. დაფაზე ხაზავს ვ.მ.ვ. მეთოდის ცხრილს და მათ პასუხებს წერს გრაფაში “ვიცი” (5 ნთ.). შემდეგ მოსწავლეებს ეკითხება, რისი გაგება სურთ ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის შესახებ. პასუხებით ავსებს გრაფას “მინდა ვიცოდე” (5 ნთ.).

მისი თხოვნით მოსწავლეები ეცნობიან გაკვეთილის ტექსტსა და წყაროებს, ავსებენ გრაფას “ვისწავლე” (10 ნთ.). მოსწავლეები ამის შემდეგ წყაროების საფუძველზე ათვისებული მასალის პრეზენტაციას ახდენენ (10): უბრუნდებიან გრაფას “მინდა ვიცოდე” და აჯამებენ, გაეცა თუ არა პასუხი მათთვის საინტერესო კითხვებს. გაკვეთილის მიწურულს მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად აჯამებს გაკვეთილს. შინ სამუშაოდ ეძლევათ შემაჯამებელი დავალებები.

გაკვეთილი 32 უძველესი სახელმწიფოები საქართველოს ტერიტორიაზე

განსავითარებელი უნარები: წყაროებზე მუშაობის, დაკვირვების, ფაქტების გაანალიზებისა და დასკვნის გამოტანის.

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს მინი-ლექციით კოლხეთისა და დიოხის სამეფოების შესახებ (5 ნთ.). შემდეგ მოსწავლეებს სთხოვს გაეცნონ გაკვეთილის ტექსტსა და წყაროებს (15 ნთ.). კლასი ერთობლივად აყალიბებს პასუხებს წყაროების ქვემოთ დართული სავარჯიშოებისთვის. პასუხები დაფაზე იწერება და შემდეგ რეულში გადააქვთ (10 ნთ.). დარჩენილი დრო შემაჯამებელი სავარჯიშოების

მომზადებას ეთმობა, პასუხების პრეზენტაციისთვის 5 წუთი.

კომენტარი წყარო ა-სთვის: წყაროზე წარმოდგენილი სამოსახლოების გავრცელებას ხელი შეუწყო კოლხეთის ქაობიანმა და ქარბტენიანმა გარემომ. ამას გარდა, კოლხეთში მრავლად იყო ტყეები და ხე ძირითად მასალას წარმოადგენდა მშენებლობისთვის. მიწაში ამოთხრილ ორმოებში დებდნენ ხის ძელებს, მათ შორის არსებულ მანძილებს ქვებით ამოვსებდნენ. ასეთი ნამოსახლარები განსაკუთრებით მრავლად აღმოჩენილი ბზიფსა და კოდორს შორის მოქცეულ არეალში. ისინი გვხვდება აგრეთვე ენგურის, ცხენისწყლის, რიონის ნაპირებზე, კოლხეთის დაბლობის დანარჩენ ტერიტორიებზე. ამ ეპოქის კულტურას “კოლხური ბრინჯაოს კულტურას” უწოდებენ.

გავრცელების არეალი	რიონის, ჭოროხისა და ენგურის აუზები
მეურნეობის დარგები	მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, მეტალურგია, მეთუნეობა.
სამოსახლოების სახეობა	ხელოვნური ბორცვები, ბუნებრივ ბორცვებზე აგებული საცხოვრისები, დიუნური სადგომები, ზღვისპირა და მდინარისპირა ტერასებზე გამართული ნამოსახლარები, მღვიმეში გამართული სადგომები.
აღმნიშნავი საქმიანობის სფეროები	მიწის დამუშავება მარცვლეულისა და ხილბოსტნეულის მოსაყვანად, შინაური ცხოველების მოშენება, ლითონების მოპოვება და საომარი/სამეურნეო იარაღების დამზადება, ხე-ტყის წარმოება, დურგლობა, საფეიქრო საქმე, ტანსაცმლის დამზადება და საგანმანათლებლო საგნებისა და სამკაულების დამზადება.
გათხრების შედეგად აღმოჩენილი ნივთები	სამეურნეო, საომარი იარაღი, ჭურჭელი, ტანსაცმლის მოსართავები, სამკაული, პურის საცხობი კეცები, ხელსაფაჭავები.
ბრინჯაოს ტექნოლოგია	ნივთების ჩამოსხმა სპეციალურ ჭვის ან თიხის ყალიბში, კვერვა-ჭედვა, შედუღება, ტვიფრა

წყაროზე წარმოდგენილი ნალდი და თოხი გამოიყენებოდა მინათმოქმედებისა და სატყეო სამუშაოებისთვის, შუბისპირი და სატყეარი საომარი იარაღები. ჭურჭლის აღმოჩენა მოწმობს მემცენარეობის, მებოსტნეობის, მეღვინეობის განვითარებას, რძის ნაწარმის დამზადებას. ჭურჭელი მარცვლეულის, ბოსტნეულის, ხორცის, ღვინის, რძის ნაწარმის შესანახად გამოიყენებოდა, ხოლო სასმისი – სუფრაზე სასმელის მისატანად და დასალევად.

გაკვეთილი 37 ქართლის სამეფო და რომის იმპერია

განსავითარებული უნარები: რუკაზე და წყაროებზე მუშაობის, დაკვირვების, წერიტი და ზეპირი მეტყველების.

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს მინი-ლექციით რომის იმპერიის შესახებ და მოსწავლეებთან ერთად განიხილავს წყარო ა-ს. შემდეგ მოკლედ აცნობს მათ ქართლის სამეფოს პოლიტიკას რომის იმპერიასთან ურთიერთობის თვალსაზრისით (10 წთ.). შემდეგ მოსწავლეები დამოუკიდებლად ან წყვილებში მუშაობენ გაკვეთილის ტექსტსა და წყაროებზე. ისინი აყალიბებენ პასუხებს სავარჯიშოებისთვის (10 წთ.). დარჩენილი 20 წუთის განმავლობაში

მასწავლებელი ამოწმებს მოსწავლეების ცოდნას და პასუხებს. მოსწავლეები რვეულებში ასწორებენ შეცდომებს.

ზოგადი კომენტარი მასწავლებლისთვის: რომის იმპერია ძვ.წ. I საუკუნიდან აქტიურად ერევა მცირე აზიის საქმეებში. იგი მცირე აზიას საკუთარი ინტერესების სფეროდ მიიჩნევდა. ამ დროს ქართლი, სომხეთი და ალბანეთი რომის წინააღმდეგ მებრძოლი პონტოს სამეფოს მოკავშირეებად გამოდიოდნენ. ამ გზით ცდილობდნენ ისინი რომის ძლიერი იმპერიის გავლენის ქვეშ მოქცევისთვის თავის არიდებას. პონტოს სამეფოს დამარცხების შემდეგ რომმა სამხრეთი კავკასიის ქვეყნებზე საკუთარ გავლენას დაუმორჩილა. მორჩილების ერთ-ერთი ფორმა იყო “რომის მოკავშირისა და მეგობრის” ტიტულის მინიჭება ამა თუ იმ ქვეყნისთვის. ასეთ ქვეყანაში მეფობა შენარჩუნებული იყო, თუმცა მეფეს რომის იმპერატორი ამტკიცებდა. როდესაც რომის იმპერიას პართია დაუპირისპირდა, იმპერიისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა შეიძინა აღმოსავლური პროვინციების დაცვამ ალან-ოსებისა და სხვა მომთაბარე ხალხების თავდასხმებისგან. ამას უზრუნველყოფდა ქართლის მეფე, რომელიც კეტავდა დარიალის გადმოსასვლელებს. ფარსმან II-ის დროს ქართლის სამეფომ გააფართოვა საკუთარი საზღვრები. ქვეყანაში შემოსული სიმდიდრის წყალობით მოხდა ეკონომიკური წინსვლა და წარმოების სწრაფი დანიაურება. III ს-ში შექმნილმა სასანიანთა ირანის სამეფოს შექმნამ, რომელმაც დაამხო პართია და თავისი ექსპანსიის ობიექტად სამხრეთი კავკასია აირჩია, გააუარესა ქართლის სამეფოს მდგომარეობა. რომის მოკავშირეობა მას ველარ დაეხმარებოდა, რადგან III საუკუნის რომში შიდა-პოლიტიკური ვითარება მეტისმეტად გართულდა.

გაკვეთილი 32 მეფე ვახტანგ გორგასალი (V საუკუნის II ნახევარი)

განსავითარებული უნარები: რუკაზე და წყაროებზე მუშაობის, დაკვირვების, შედარების, ლოგიკური დასკვნების გამოტანის, არგუმენტირებული მსჯელობისა და წერიტი მეტყველების უნარ-ჩვევების გამოუმუშავება.

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს მინი-ლექციით V ს-ის ვითარებისა და ვახტანგ გორგასლის შესახებ (10 წთ.). შემდეგ მოსწავლეები ეცნობიან სახელმძღვანელოში მოცემულ ტექსტსა და წყაროებს (10 წთ.). მასწავლებელი კლასს ყოფს ჯგუფებად სავარჯიშოების (მათ შორის – შემაჯამებელი აქტივობების) შესასრულებლად. ჯგუფების თითო წარმომადგენელი კლასს აცნობს ნამუშევარს (მუშაობისთვის 15 წთ., პრეზენტაციისთვის – 5 წთ.). გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად არგუმენტირებულად აფასებს საუკეთესო ნამუშევრებს და გაკვეთილის მიმდინარეობას.

კომენტარი ქვეთავისთვის “მეფობის პირველი წლები”:

ვახტანგ მეფე V-ის 30-50 წლებში ქართლის მეფის, მირდატ არჩილის ძისა და რანის (ისტ. ალბანეთი) ირანელი მოხელის, ბარზაბოდის ასულის, საგდუხტის შვილი იყო. მას ცოლად ჰყავდა ირანის შაჰის, ჰორმიზდ III-ის ასული, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ – ბიზანტიის იმპერატორის, ლეონ I-ის შვილი ელენე.

ვახტანგი 7 წლის იყო, როდესაც მამამისი გარდაიცვალა. მცირეწლოვანი ვახტანგის გამეფების პირველ-

სავე ნლებში საქართველოს ჩრდილოეთიდან თავს დაესხნენ ალან-ოსები და ჰუნები. მათ მოარბიეს ქვეყანა, აიღეს ქალაქი კასპი და ტყვედ წაიყვანეს ვახტანგის 3 წლის და მირანდუხტი. მას შემდეგ, რაც ვახტანგი სრულწლოვანი შეიქნა, მან გადაწყვიტა კავკასიონის გადმოსასვლელების ხელში ჩაგდება და გამაგრება. ეს არა მხოლოდ სამეფოსთვის იყო სასარგებლო, არამედ ირანელებისთვისაც, რადგან მათ ტერიტორიებსაც ექმნებოდა საფრთხე. ვახტანგმა ირანელი მარზპანისგან მიიღო დამხმარე ძალა და ჩრდილო კავკასიაში დიდი ლაშქრობა მოაწყო. ქართველებმა დაამარცხეს ალან-ოსები, ხელთ იგდეს დიდძალი სიმდიდრე, ოსთა მთავარი აიძულეს გაეთავისუფლებინა ვახტანგის და. ამ ლაშქრობის შემდეგ ქართლის მეფის კონტროლის ქვეშ მოექცა კავკასიონის გადმოსასვლელები. ვახტანგმა დარიალის კართან ააგებინა მაღალი ციხე-კოშკი და მცველად მახლობლად მცხოვრები მთიელები დაადგინა.

კავკასიონის გადმოსასვლელების გამაგრების შემდეგ ვახტანგი გადავიდა დასავლეთ საქართველოში, უშუალოდ დაიქვემდებარა სვანეთი და ეგრისის ნაწილი, დააარსა რამდენიმე საერისთავო, ხოლო ეგრისის მეფე მას დამორჩილდა. მან ქართლს შემოუერთა სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ნაწილი – კლარჯეთი, რომელსაც IV ს-ის II ნახევრიდან ბიზანტიელები ფლობდნენ. მან კლარჯეთი საერისთავოდ და მის ცენტრად არტანუჯი აქცია. 463 წელს ირანელების მიერ ალბანეთში მეფობის გაუქმებით ისარგებლა და შემოიერთა ჰერეთი (ალბანეთის დასავლეთი ნაწილი), შექმნა ჰერეთის საერისთავო, რომელშიც შევიდა კამბეჩანის ტერიტორიაც. ამ საერისთავოს ცენტრი გახდა ვახტანგის მიერ აშენებული ხორნაბუჯი. გარდა ამისა, ვახტანგმა სამეფოს შემოუერთა ჰერეთის ჩრდილოეთით მდებარე დაღესტნის მთიანეთის ნაწილი – ნუქეთი – და აქაც ცალკე საერისთავო შექმნა.

კომენტარი წყარო ო-სთვის:

უჯარმაში ციხე-ქალაქი არსებობდა ვახტანგის ეპოქამდეც. მაგრამ მის სახელს უკავშირდება დიდი სამშენებლო სამუშაოები ქალაქში, მძლავრი ციხესიმაგრის, გალავნისა და სასახლის აგება. მართალია სამეფოს დედაქალაქი ჯერ ისევ მცხეთა იყო, მაგრამ ვახტანგი უჯარმაში დასახლდა და აქედან მართავდა ქვეყანას. დღეისთვის შემორჩენილია ციხე და შენობათა ნაწილი. ერთ-ერთი სამსართულიანი შენობის პირველ სართულზე აღმოჩნდა სარდაფი და მარანი. სავარაუდოდ, ეს სასახლის ნაშთია. ქალაქმა უჯარმამ იარსება არაბთა შემოსევებამდე. შემდეგ მხოლოდ ციხე იყო დარჩენილი.

ზოგადი კომენტარი:

ვახტანგ გორგასალი ირანელთაგან ქართლის გათავისუფლებისთვის იბრძოდა. V ს-ის 60-იან წლებში იგი ირანელებმა გაიწვიეს შუა აზიაში საომრად. 7 წლის შემდეგ ლაშქრობიდან დაბრუნებულმა დაიწყო მოქმედება სამეფო ხელისუფლების ცენტრალიზაციისათვის.

ვახტანგ გორგასალმა გაატარა სამხედრო რეფორმა და ქართული ჯარი ახლებურად გააწყო: წინა რიგში იდგნენ მძიმედ შეჯავშნული მხედრები ანუ თოროსნები. თოროსნებს ძლიერი და პირდაპირი დარტყმით უნდა გაერღვიათ მოწინააღმდეგის რიგები. თოროსნებს

მოსდევდა ქვეითი ლაშქარი, რომელიც ჯარის ძირითად საომარ ძალას წარმოადგენდა. გაქცეულ მტერს უნდა დასდევნებოდა მსუბუქად აღჭურვილი კავალერია. რაც შეეხება მეფის გვარდიას, ეს იყო რჩეული მხედრობა და იგი თავად ვახტანგის სარდლობით ბრძოლის ველზე იქ ჩნდებოდა, სადაც ყველაზე მეტად უჭირდა ჯარი.

მას ქვეყანაში ძლიერი ოპოზიცია ჰყავდა ქართლის დიდ ფეოდალებს შორის. ვახტანგმა საეკლესიო რეფორმა ჩაატარა, შეცვალა ქართლის ეკლესიის მეთაური და დაანესა კათალიკოსობა, ქართულ ეკლესიას ავტოკეფალია მოუპოვა, შექმნა ახალი საეპისკოპოსოები. ამ რეფორმის შედეგად ეკლესია მეფის ხელისუფლებისადმი დაქვემდებარებული აღმოჩნდა. ვახტანგმა ხელთ იგდო მანამდე ირანელების მიერ დაკავებული კავკასიონის გადმოსასვლელები და დაუკავშირდა ჩრდილო კავკასიაში ჰუნებს. ირანში გართულებული ვითარების გამო 482 წელს მან აჯანყება წამოიწყო ირანელთა ქართლიდან განდევნის მიზნით, მაგრამ ვერ მიიღო დაპირებული დახმარება ჰუნებისგან და არც ბიზანტიის იმპერატორი დაეხმარა. ამას გარდა, ქვეყნის შიგნით არსებულმა დაპირისპირებამ მისი მდგომარეობა გაართულა და 483-484 წლების აჯანყება მარცხით დასრულდა. ვახტანგ გორგასლის სახელს უკავშირდება უჯარმის, ჭერემის, ხორნაბუჯისა და არტანუჯის მშენებლობა. მცხეთის სვეტიცხოველში მირიან მეფის დროს აგებული სვეტიცხოვლის ადგილზე ააგო ქვის ეკლესია. მან გადაწყვიტა დედაქალაქის თბილისში გადმოტანა და შესაბამისი მშენებლობაც წამოიწყო. გარდაიცვალა 502 წელს, ბრძოლაში მიღებული ჭრილობისგან. დაკრძალეს მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში. XI ს-ში ახლად აშენდა სვეტიცხოვლის ტაძარი და ერთი საფლავი დღესაც გორგასლისეულად მიიჩნევა. ქართულმა ეკლესიამ ვახტანგ მეფე წმინდანად შერაცხა. მისი ხსენების დღეა 30 ნოემბერი (13 დეკემბერი).

გაკვეთილი 40 ეგრისის სამეფო VI საუკუნეში

განსავითარებელი უნარები: წყაროებსა და რუკაზე მუშაობის, ლოგიკური აზროვნების, წერიითი და ზეპირი მეტყველების.

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს მინი-ლექციით, რომელიც შეახსენებს VI ს-ში არსებულ ვითარებას (5 წთ.). შემდეგ სთავაზობს მოსწავლეებს გაეცნონ გაკვეთილის ტექსტს (10 წთ.). კლასი მუშაობს წყაროებზე და შემაჯამებელ სავარჯიშოებზე (15 წთ.). პასუხების პრეზენტაციას ეთმობა 10 წუთი. გაკვეთილის მინურულს მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად აფასებს გაკვეთილის მიმდინარეობასა და საუკეთესო პასუხებს.

კომენტარი მასწავლებლისთვის:

V ს-ის II ნახევარში დას. საქართველო ქართლისა და, მისი მეშვეობით, ირანელთა ბატონობის ქვეშ მოექცა. დასავლეთი საქართველო ბიზანტიელთა გავლენის ქვეშ გადავიდა 532 წელს დადებული ე. წ. “უვადო ზავის” შედეგად. ბიზანტიელებმა ეგრისში საკუთარი ჯარები შეიყვანეს, რითაც ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვიეს. მათი მთავარი გარნიზონი იდგა ციხე-ქალაქ პეტრაში. აქვე იჯდა ეგრისში მყოფი ბიზანტიელთა ჯარის სარდალი – სტრატეგოსი. ამ უკა-

ნასკნელის მოვალეობაში შედიოდა თვალყური ედევნებინა ეგრისის მეფის მოქმედებისთვის. ბიზანტიელი მოხელეების სიხარბემ, მომხვეჭელობამ და თაღლითობამ უკიდურესად დაძაბა ეგრისელებთან ურთიერთობა. განსაკუთრებით გამოიჩინა ამ მხრივ თავი სტრატეგოსმა იოანე ციბემ. მის მიერ დანესებულმა საეჭრო მონოპოლიამ შემოსავლის წყარო მოუხსო მეფეს, წარჩინებულებსა და მოსახლეობას, რადგან ეგრისის ეკონომიკაში წამყვანი სწორედ ვაჭრობა იყო. ეგრისის მეფე გუბაზ II-მ გადაწყვიტა ბიზანტიელთა განდევნა სამეფოდან ირანელების დახმარებით. 542 წელს ირანელთა ჯარი შაჰის, ხოსრო I ანუშირვანის სარდლობით, ქართლიდან ეგრისში გადავიდა, აიღო პეტრა და შიგ ირანელთა გარნიზონი ჩაღდა. ირანელებმა სხვა ციხეებიც აიღეს, მაგრამ ირანში ბიზანტიელთა სარდლის, ველიზარის შეჭრის გამო ხოსრო უკან გაბრუნდა. 545 წელს ახალი ხუთწლიანი ზავი დაიდო ბიზანტიასა და ირანს შორის. ამ ხნის განმავლობაში ხოსრომ განამტკიცა თავისი მდგომარეობა ეგრისში. მას სურდა ეგრისელთა აყრა და მათ მიწაზე თავისი ერთგული ტომების დასახლება. ამისთვის კი ეგრისის მეფის თავიდან მოშორება იყო საჭირო. მისი მითითებით დაუკავშირდნენ გუბაზის მონინალმდევე ეგრისელ დიდებულს ფარსადანს და დახმარება სთხოვეს მეფის მოკვდინებაში. ფარსადანმა დაუყოვნებლივ აცნობა გუბაზს ირანელთა განზრახვა. გუბაზმა არჩია, კვლავ ბიზანტიელებს დაკავშირებოდა. 549 წელს ბიზანტია-ირანს შორის ახალი ომი გაჩაღდა ეგრისის დასაუფლებლად. ხანგრძლივი ბრძოლების შედეგად ირანელები მხოლოდ პეტრაში დარჩნენ. ეგრისელთა მოთხოვნის მიუხედავად, ბიზანტიელი სარდალი დაგისტე არ თანხმდებოდა პეტრაზე შეტევას. ეგრისელთა მოთხოვნით იმპერატორმა დაგისტე კონსტანტინოპოლში გაიწვია და ციხეში ჩააგდო, ეგრისში ახალი სარდალი ბესა გამოგზავნა. ბიზანტიელებმა დაიმორჩილეს ირანელთა მომხრე აბაზგია და აფშილეთი, 551 წელს პეტრა აიღეს. ირანელები მაინც არ თმობდნენ ეგრისს. ეს ბრძოლები ჭიანჭურდებოდა ბიზანტიელი სარდლების უნიათობის გამო. 552 წელს ისევ ახალი ზავი დაიდო ბიზანტიასა და ირანს შორის. მეფე გუბაზი უკმაყოფილო იყო ბიზანტიელი სარდლების ქმედებით და ამას ატყობინებდა იმპერატორს. 554 წელს სარდლებმა იგი მოტყუებით მიიწვიეს თითქოსდა ონოგურისის ციხის ასაღებად გამართულ თათბირზე და მოაკვლევინეს. ამის შემდეგ ციხის ასაღებად გაემართნენ, მაგრამ სასტიკად დამარცხდნენ. ეგრისის მოსახლეობა აღაშფოთა მომხდარმა მკვლელობამ. მოსალაპარაკებლად შეიყარნენ მთელი ეგრისის დიდგვაროვნები. კრებაზე ორი აზრი გამოიკვეთა: დიდებულ აიეტის აზრით, საჭირო იყო ირანელთა მორჩილების აღიარება. ხოლო დიდებული ფარტაძი თვლიდა, რომ ირანელები ვერასოდეს შეეგუებოდნენ ეგრისელთა ქრისტიანობას, ამიტომ უმჯობესი იყო ბიზანტიის იმპერატორისთვის დამნაშავეთა დასჯა ეთხოვათ. საბოლოოდ, ფარტაძის აზრმა გაიმარჯვა. იმპერატორმა იუსტინიანემ ეგრისის მეფედ გუბაზის უმცროსი ძმა, ნათე დაამტკიცა მეფედ, ხოლო ეგრისში პატიოსნებით ცნობილი სენატორი ანასტასი გამოგზავნა. ანასტასის მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად დამნაშავე სარდლები დააპატიმრეს, გაასამართლეს და სიკვდილით დასაჯეს. 562

წელს ქალაქ დარაში დადებული ზავის შედეგად ირანმა საბოლოოდ აიღო ხელი ეგრისზე.

გუბაზ II ეგრისში მეფობდა VI ს-ის 40-50-იან წლებში. მისი უმცროსი ძმა ნათე კონსტანტინოპოლში ცხოვრობდა. იგი მეფედ დაამტკიცეს 555 წელს. ნათეს მეფობის დროს კვლავ გრძელდებოდა ბრძოლა ეგრისისთვის ირანსა და ბიზანტიას შორის. 562 წლის ზავის შემდეგ ბიზანტიელებმა იმდენად განიმტკიცეს მდგომარეობა, რომ გააუქმეს მეფის ხელისუფლება ეგრისში. ქვეყნის სათავეში იდგნენ ადგილობრივი მთავრები “ლაზეთის პატრიკიოსის” ტიტულით. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ისინი სამეფო დინასტიის წარმომადგენლები იყვნენ. როდესაც VII ს-ის ბოლოს არაბებმა დაიპყრეს დას. საქართველოს დიდი ნაწილი, ლაზეთის პატრიკიოსები აფხაზეთში გამაგრდნენ და იქიდან დაიწყეს ბრძოლა არაბთა წინააღმდეგ. VIII ს-დან მათ ერისთავის ტიტული მიიღეს.

გაკვეთილი 41 არაბთა სახალიფო და საქართველო

განსავითარებელი უნარები: ტექსტზე და წყაროებზე მუშაობის, დასკვნების გამოტანის, მსჯელობის, სხვისი აზრის მოსმენისა და პატივისცემის.

გაკვეთილის მსვლელობა: ამ გაკვეთილის ჩასატარებლად სასურველია კ.ნ.ს. მეთოდის გამოყენება. ამ მიზნით მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს გაკვეთილის ტექსტის გაცნობისას წასაკითხი მასალის კიდებზე ფანქრით აღნიშვნების (+, -, ?) გაკეთებას. შემდეგ ეტაპზე მასწავლებლის თხოვნით მოსწავლეები ავსებენ ცხრილს (კიდებზე მონიშნული ტექსტის გადატანა ნიშნების შესაბამის გრაფაში) (15 წთ.). ამის შემდეგ ჯგუფებში აზვებრთა გაზიარება ხდება და კლასში დისკუსია იმართება მასწავლებლის მიერ დასმულ შეკითხვებზე:

რა იყო ისეთი, რაც ტექსტის ნაკითხვამდე იცოდით?

რა აღმოჩნდა ისეთი, რაც ტექსტის ნაკითხვამ გასწავლათ?

რა იყო ისეთი, რისი საპირისპიროც იცოდით?

რა შეკითხვები დაგებადათ? (10-15 წთ.).

გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეები აფასებენ ერთმანეთის პასუხებს.

ზაგადი კომენტარი მასწავლებლისთვის

სტეფანოზ II ქართლის ერისმთავარი იყო VII ს-ის შუაწლებსა და II ნახევარში. იგი მოხსენიებულია მცხეთის ჯვრის ქტიტორულ წარწერებში. ტაძრზე გამოსახულია მისი ორი რელიეფური ქანდაკება: აღმოსავლეთის ფასადზე მამასთან, ადარნასესთან ერთად, ხოლო სამხრეთის ფასადზე ცალკე, 10-12 წლის მოზარდის სახით. XI ს-ის ისტორიკოსი ჯუანშერი მას მიიჩნევს ენერგიულ და გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწედ, რომელმაც ააშენა ეკლესიები და “განწმინდა სჯული”. სტეფანოზმა ისარგებლა ჰერაკლე კეისრის მიერ ირანის დამარცხებით და დამოუკიდებელი მმართველი გახდა. ბიზანტიასთან მისი კავშირის დადასტურება იყო პატრიკიოსის ტიტულის მიღება. სტეფანოზის მმართველობის დროს ქართლში პირველად გამოჩნდნენ არაბები. მათთან ომს სტეფანოზმა მოლაპარაკება არჩია.

გაკვეთილი 42 X საუკუნე: დავით დიდი კურაპალატი

განსავითარებული უნარები: წყაროებზე და რუკებზე მუშაობის, დაკვირვების, ლოგიკური დასკვნების გამოტანის, წერიტი მეტყველების.

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებელი გაკვეთილის იწყებს მინი-ლექციით (10 წთ.). იგი მოსწავლეებს ინფორმაციას აწვდის საქართველოს გაერთიანებისთვის ბრძოლისა და საქართველოს ერთიანობის იდეის შესახებ. მისი თხოვნით მოსწავლეები დაკვირვებით ეცნობიან გაკვეთილის ტექსტსა და წყაროებს (10 წთ.). წერილობით მუშაობენ სავარჯიშოებზე და ავსებენ კონტურულ რუკას (15 წთ.). გაკვეთილის მიწურულს მასწავლებელი აფასებს ჯგუფებისა და ცალკეული მოსწავლეების მუშაობას.

კომენტარი მასწავლებლისთვის:

X ს-ის I ნახევარში ტაო-კლარჯეთის სამფლობელოები მდ. არაქსის ზემო ხეობამდე აღწევდა და ესაზღვრებოდა ბიზანტიის იმპერიის სამფლობელოებს. აშოტ I დიდი კურაპალატი ბიზანტიის ვასალად ითვლებოდა. მაგრამ შემდეგში ბიზანტიისადმი დამოკიდებულება შესუსტდა და ფორმალურ ხასიათს ატარებდა. ბაგრატიონთა საგვარეულოს ცალკეული წარმომადგენლები იღებდნენ ბიზანტიურ საკარისკაცო ტიტულებს, თუმცა ფაქტობრივად დამოუკიდებლები იყვნენ. ეს დაამტკიცა ადარნასე II-ის მიერ “ქართველთა მეფის” ტიტულის მიღებამ. სოციალური თვალსაზრისით ტაო-კლარჯეთში პატრონყმური სისტემა არსებობდა. მეფეს იერარქიულად მოსდევდნენ ერისთავთ-ერისთავები და ერისთავები. ისინი ძირითადად ბაგრატიონთა გვარს ეკუთვნოდნენ. ცალკე იდგნენ “მამფალები” ანუ მამაუფლები, რომლებმაც სამფლობელოები მიიღეს არა მხოლოდ მემკვიდრეობით, არამედ ბრძოლაში გამორჩენილი სიმამაცის წყალობით. თეორიულად, ბაგრატიონთა შორის ძირითადი შტო იყო ბაგრატი I-ის შთამომავლობა, რომელმაც დაიმკვიდრა “ქართველთა მეფის” ტიტული. მაგრამ ზოგჯერ მათ შორის პირველობა არა ის, ვინც ამ ტიტულს ატარებდა, არამედ ის, ვისაც რეალური ძალაუფლება და ავტორიტეტი ჰქონდა. X ს-ის II ნახევარში ასეთი პიროვნება იყო ტაოს მფლობელი დავით III, ერისთავთ-ერისთავი და კურაპალატი. მის დროს “ქართველთა მეფის” ტიტულს ატარებდა ბაგრატი II “რეგენი”. მაგრამ ბაგრატის გავლენა ნომინალური იყო, დავითს კი “დიდს” უწოდებდნენ. დავითის სახელი ცნობილი იყო მთელს აღმოსავლეთში. მისი ავტორიტეტი განსაკუთრებით გაიზარდა მას შემდეგ, რაც მან მონაწილეობა მიიღო ბიზანტიის იმპერატორის წინააღმდეგ აჯანყებული ბარდა სკლიაროსის დამარცხებაში. ახალგაზრდა იმპერატორ ბასილ II-ს (976-1025) აუჯანყდა იმპერიის ერთ-ერთი უძლიერესი სარდალი ბარდა სკლიაროსი. მან რამდენჯერმე დაამარცხა ბასილის ჯარები და თავი იმპერატორად გამოაცხადა. სკლიაროსის ჯარები ტაო-კლარჯეთის სამფლობელოების მახლობლად დათარეშობდნენ და საფრთხეს უქმნიდნენ ტაოსაც. ამიტომ დავითი დათანხმდა მის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობას. დავითთან შუამავლობისთვის ბასილ II-მ გამოგზავნა ათონის მთაზე ბერად შემდგარი იოანე – ერისკაცობაში ცნობილი ქართველი დიდებული და სარდალი თორნიკე ერისთავი. თორნიკესა და ჯოჯიკის სარდლობით 12 ათასმა ქართველმა მეომარმა იმპერატორის ჯარ-

თან ერთად დაამარცხა სკლიაროსი. ბასილ II-მ დავითს გადასცა ბიზანტიის მფლობელობაში არსებული, აგრეთვე მაჰმადიანთა კუთვნილი ტერიტორიები. თორნიკე ერისთავი კი ისე უხვად დაასაჩუქრა, რომ მან ამ თანხით ათონის მთაზე ააგო ათონის ივერთა მონასტერი. დავითი წარმატებით ომობდა სამხრეთში. მან 998 წელს დაამარცხა მის წინააღმდეგ გამოსული მაჰმადიანთა კოალიცია.

გაკვეთილი 43 ერთიანი საქართველოს მეფე ბაგრატი III (975-1014 წწ.)

განსავითარებული უნარები: ქრონოლოგიურ სკალაზე, წყაროებსა და რუკებზე მუშაობის, ლოგიკური აზროვნების, დასკვნების ჩამოყალიბების.

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებელი გაკვეთილის იწყებს მინი-ლექციით (10 წთ.). იგი შეასვენებს მოსწავლეებს წინა გაკვეთილზე დანყებულ საუბარს საქართველოს გაერთიანებისთვის ბრძოლის შესახებ და მოკლედ მოუთხრობს, კონკრეტულად როგორ განხორციელდა ეს იდეა. მისი თხოვნით მოსწავლეები დაკვირვებით ეცნობიან გაკვეთილის ტექსტსა და წყაროებს (10 წთ.). წერილობით მუშაობენ სავარჯიშოებზე და ავსებენ კონტურულ რუკას (15 წთ.). გაკვეთილის მიწურულს მასწავლებელი აფასებს ჯგუფებისა და ცალკეული მოსწავლეების მუშაობას.

კომენტარი მასწავლებლისთვის:

დავითმა იშვილა აფხაზეთის მეფის დისწული, ბაგრატი ბაგრატიონი. ბაგრატი მემკვიდრე იყო აფხაზეთის უსინათლო მეფის თეოდოსის და “ქართველთა მეფის”, გურგენის ვაჟი იყო. მისმა პიროვნებამ დააინტერესა გაერთიანების მხარდამჭერი სახელმწიფო მოღვაწეები. ქართლის ერისთავმა იოანე მარუშისძემ წინადადებით მიმართა დავითს, ან თავად გამეფებულიყო ქართლში, ან ბაგრატის გამეფებისთვის შეეწყო ხელი. დავითმა ბაგრატის გამეფებას დაუჭირა მხარი: 975 წელს ბაგრატი გაამეფა ქართლში, ხოლო 978 წელს აფხაზეთის მეფედ გამოაცხადა. 1001 წელს დავითის გარდაცვალების შემდეგ ბაგრატი ერთიანი საქართველოს მეფე გახდა.

მცირეწლოვანი ბაგრატის მეფობის დასაწყისში თავი იჩინა დიდგვაროვნთა უკმაყოფილებამ. ქართლის საზღვართან მას დახვდნენ განდგომილი დიდგვაროვანი აზნაურები ქავთარ ტბელის მეთაურობით და ომი აუტეხეს. მეფემ დაამარცხა ისინი, შევიდა ქართლში და უფლისციხეში დადგა. 989 წელს ბაგრატი დაიმორჩილა კლდეკარის ერისთავი რატი ბაღვაში. 1008 წელს გარდაიცვალა ბაგრატის მამა, გურგენ მეფე და მის უშუალო გამგებლობაში მყოფი შავშეთ-კლარჯეთი, სამცხე და ჯავახეთი ბაგრატი III-ის სამფლობელოს შეუერთდა. ამის შემდეგ ბაგრატი იწოდებოდა “აფხაზეთა და ქართველთა მეფედ”. 1010 წელს მან შეიერთა კახეთ-ჰერეთი და უკვე იწოდებოდა “მეფედ აფხაზეთა, ქართველთა, რანთა და კახთა”. ბაგრატი III-ის დროს ძველი შინაარსი დაიბრუნა ერისთავობამ: ეს აღარ იყო მემკვიდრეობით მფლობელობამიღებული მმართველი, არამედ მეფის მიერ ტერიტორიის საგამგებლოდ დანიშნული მოხელე.

გაკვეთილი 44 დავით აღმაშენებელი (1089-1125)

განსავითარებელი უნარები: არგუმენტირებული მსჯელობის, ნაცნობი და უცნობი მასალის ერთმანეთთან დაკავშირების, ლოგიკური დასკვნების გამოტანის.

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს “ვიცი, მინდა ვიცოდე, ვისწავლე” მეთოდის გამოყენებით. მოსწავლეებს სთხოვს გაიხსენონ, რა იციან დავით აღმაშენებლის შესახებ. მოსწავლეთა პასუხებს მასწავლებელი წერს დაფაზე გრაფაში “ვიცი”. შემდეგ სთხოვს უკარნახონ, რისი გაგება სურთ ამ საკითხთან დაკავშირებით და პასუხები შეაქვს გრაფაში “მინდა ვიცოდე” (5 წთ.). ამის შემდეგ მასწავლებლის მითითებით მოსწავლეები ეცნობიან სახელმძღვანელოში მოცემულ ტექსტს (6 წთ.) და თან ავსებენ გრაფას “ვისწავლე”. სამივე გრაფის შევსების შემდეგ მასწავლებელი უბრუნდება გრაფას “მინდა ვიცოდე” და სთხოვს მოსწავლეებს დააკვირდნენ, გაეცა თუ არა პასუხები მათთვის საინტერესო კითხვებს (4 წთ.).

სასურველია პასუხები ყველა დასმულ კითხვას გაკვეთილზევე გაეცეს. წყაროებზე მუშაობისა და სავარჯიშოების შესრულების შემდეგ (7 წთ.) მოსწავლეები მუშაობენ შემაჯამებელ სავარჯიშოებზე. (7 წთ.). გაკვეთილის დასასრულს პასუხების პრეზენტაციისთვის ეთმობათ 6 წუთი.

კომენტარი გაკვეთილის ტექსტისთვის:

დავით IV ტახტზე ავიდა 16 წლის ასაკში: მისმა მამამ, გიორგი II-მ თავი ვერ გაართვა სამეფოს მართვას და გადადგა. დავითს მიმე მემკვიდრეობა ერგო: ქვეყანა დარბეული იყო თურქ-სელჩუკთა შემოსევებისგან, მომთაბარე ტომები ჩამოსახლდნენ დაპყრობილ მიწებზე, რეალური იყო ქართველი ხალხის ფიზიკური გადაშენების საფრთხე. ამ მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა დიდგვარიან ფეოდალთა მეფისადმი დაუმორჩილებლობა და მტერთან დაზავება. რეალურად, საქართველოს მეფის ხელისუფლება ლიხის ქედის აღმოსავლეთით აღარ ვრცელდებოდა. ამიტომ დავითმა გამეფებისთანავე სანდო და კარგად ორგანიზებული სამხედრო რაზმები ჩამოაყალიბა ჩამოსახლებული მომთაბარეების ქვეყნიდან გასარეკად. მოლაღატე ფეოდალების წინააღმდეგ ბრძოლა კლდეკარის ერისთავის, ლიპარიტ ბაღვაშის დაპატიმრებით დაიწყო. ლიპარიტმა მოინანია დანაშაული და მეფემ იგი გაათავისუფლა, მაგრამ კლდეკარის ერისთავი კვლავ ურჩობდა. დავითმა იგი ბიზანტიაში გააძევა, ხოლო მისი საერისთავო გააუქმა და მიწები სამეფოს საკუთრებად გამოაცხადა. ასევე მკაცრად გაუსწორდა მუხრანისა და ზედაზნის მფლობელ ერისთავებს. მეფემ თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოს დასუსტებით ისარგებლა და 1099 წელს ხარკის მიცემა შეუწყვიტა. ქვეყნის გაერთიანებისთვის ბრძოლის პარალელურად დავითმა მნიშვნელოვანი რეფორმები ჩაატარა სამეფო ხელისუფლების გასაძლიერებლად. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო 1105 წელს რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მოწვევა და მის მიერ მიღებული დადგენილება, რომლის ძალით აღმოიფხვრა ქართველის ხალხის სხვადასხვა სფეროში არსებული უწესრიგობანი. კრების გადაწყვეტილებით ეკლესიიდან გააძევეს უღირსი, ქრთამით დანიშნული მღვდელმთავრები. დავითის ინიციატივით შემოღებულ იქნა მნიშვნელოვანი რეფორმების თანამდებობა. იგი ხდებოდა მეფის უახლოესი მრჩეველი და

მისი სამნიგნობროს (კანცელარიის) ხელმძღვანელი. როგორც წესი, მნიგნობართუხუცესი ბერი იყო, მაგრამ უაღრესად განსწავლული და სამეფო საქმეებში კარგად ჩახედული. მას, როგორც ბერს, საკუთარი სამამულო და სამემკვიდრეო ინტერესი არ გააჩნდა და უაღრესად ერთგული იყო მეფისა და სახელმწიფოსი. მნიშვნელოვანი სიახლე იყო უმაღლესი სააპელაციო სასამართლოს – ე. წ. “სააჯო კარის” შექმნა. ეს სასამართლო, რომელსაც სათავეში მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი ედგა, განიხილავდა სასამართლოს გადაწყვეტილებით უკმაყოფილოთა საჩივრებს. დავით IV-მ შექმნა მძლავრი სახელმწიფო სადაზვერვო დაწესებულება მსტოვართა ინსტიტუტის სახით. მისი მუშაობის წყალობით მეფე ინფორმირებული იყო სამეფოს შიგნით თუ მეზობელ ქვეყნებში მიმდინარე მოვლენების თაობაზე. სახელმწიფოს ცალკეული კუთხეების გამგებლებად ერისთავების სანაცვლოდ დავითმა დააყენა მოსაკარგავენი ანუ მოხელე-გამგებლები. მათ ხელფასს სამეფო ხაზინა უზღიდა. საქართველოს გაზრდილი სამეფო დომენის მიწის ფონდს მეფე გასცემდა მოსაკარგავეებზე არა სამემკვიდროდ ან საერისთავოდ, არამედ საკარგავად: მიწა სამოხელეო განკარგვისთვის ეძლეოდა ქვეყნის სამსახურში თავგამორჩენილ პირებს.

თურქ-სელჩუკებზე მოპოვებული გამარჯვების შედეგად გაიზარდა საქართველოს სამეფოს საზღვრები და საერთაშორისო ავტორიტეტი. დავითი იწოდებოდა მეფედ “აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შარვანშად და შაჰანშად”. ამ ტიტულატურაში აისახა საქართველოს სამეფოს საზღვრების თანდათანობითი გაფართოება. გარდა ამისა, დავითის მიერ მოჭრილ მონეტაზე არაბულად ეწერა “მეფეთა მეფე დავით, ძე გიორგისი, მესიის მახვილი”. ამ წარწერით მეფე აცხადებდა, რომ მისი სახით თვით ღმერთი მოქმედებს, რომ იგი ქრისტიანთა მცველი და ქომაგია. დავითის დროის დროშა, რომელსაც “დავითიანი” ეწოდებოდა, ვახტანგ გორგასლის დროშასთან (“გორგასლიანი”) ერთად საქართველოს ერთიანობისა და ძლიერების სიმბოლოდ იქცა.

დავითის სახელს უკავშირდება ქართული კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერის – გელათის აკადემიის დაარსება. მან თავი მოუყარა სახელგანთქმულ ქართველ მოღვაწეებს. მათგან გამორჩეული იყო დიდი ქართველი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი. კახეთში დააარსა იყალთოს აკადემია, რომელსაც არსენი ედგა სათავეში. დავითმა გააძლიერა შიომღვიმის სავანე. დავით მეფის ფრესკა შემონახულია გელათის ტაძრის კედელზე. თავად დავითი კარგად იცნობდა მსოფლიო ლიტერატურას, როგორც ქრისტიანულს, ისე მულსიმურს. იცოდა არაბული და სპარსული ენები, იცნობდა ყურანსა და ისლამის დოგმებს. ლაშქრობებში მუდამ თან ატარებდა წიგნებს. დავითი ავტორია ორიგინალური პოეტური ნაწარმოების “გალობანი სინანულისანი”, რომელიც ქართული ჰიმნოგრაფიის მნიშვნელოვანი ძეგლია. დავითი მოულოდნელად გარდაიცვალა თბილისში, 1125 წლის 27 იანვარს, შაბათს, 52 წლის ასაკში. დაკრძალეს გელათის ეზოს მთავარ შესასვლელთან. არსენ ბერს ეკუთვნის ეპიტაფია, თუმცა ის დავითის საფლავზე არ არის ამოკვეთილი: “ვის ნაჭარმაგვეს მეფენი შვიდნივე პურად დამეხსნეს, /თურქნი, სპარსნი და არაბნი, საზღვართა იქით გამეხსნეს, /თევზნი ამერთა წყალთაგან, იმერთა წყალში

შთამხსნეს, /ანე ამათსა მოქმედსა, ხელნი გულზედა დამეხსნეს“. შუა საუკუნეების ევროპაში გავრცელებული იყო ლეგენდები აღმოსავლეთის ძლევაშობილი ქრისტიანი მეფე-მღვდელმთავრის შესახებ. ამ მეფეს მოიხსენიებდნენ იოანე პრესბიტერის (ხუცესი მღვდელი) სახელით. არის მოსაზრება, რომ იოანე პრესბიტერში დავით აღმაშენებელი იგულისხმება.

პირველად დავით IV-ის ზედწოდება “აღმაშენებელი” XV ს-ის ისტორიულ წყაროშია მოხსენიებული. ეს არის 1452 წლის ავმანდაძეების სიგელი, რომელშიც ნათქვამია, რომ “როდეს აღმაშენებელი გელათს აშენებდა”, ხარაჩოდან გადმოვარდნილა, დამტვრეულა და იგი ავმანდაძეებმა მოარჩინეს. XVII ს-ის ისტორიკოსმა ფარსადან გორგიჯანიძემ დავითი აღმაშენებლად მოიხსენია თავის ნაშრომში “საქართველოს ისტორია”. იგივე ზედწოდება მეორდება “ახალ ქართლის ცხოვრებასა” და ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებაში (“აღწერა სამეფოსა საქართველოსა”). ქართულმა ეკლესიამ დავით IV წმინდანად შერაცხა. მისი ხსენების დღედ დაწესებულია 26 იანვარი (ახალი სტილით 8 თებერვალი).

გაკვეთილი 46 თამარ მეფე (1184-1213)

განსავითარებელი უნარები: ქრონოლოგიურ სკალაზე, ტექსტსა და წყაროებზე მუშაობის, დასკვნების გამოტანის, მსჯელობის, სხვისი აზრის მოსმენისა და პატივისცემის.

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს “ვიცი, მინდა ვიცოდე, ვისწავლე” მეთოდის გამოყენებით: მოსწავლეებს სთხოვს გაიხსენონ, რა იციან თამარ მეფის შესახებ. მოსწავლეთა პასუხებს მასწავლებელი წერს გრაფაში “ვიცი”. შემდეგ სთხოვს უკარნახონ, რისი გაგება სურთ ამ საკითხთან დაკავშირებით და პასუხები შექვს გრაფაში “მინდა ვიცოდე” (5 წთ.). ამის შემდეგ მასწავლებლის მითითებით მოსწავლეები ეცნობიან სახელმძღვანელოში მოცემულ ტექსტს (6 წთ.) და თან ავსებენ გრაფას “ვისწავლე”. სამივე გრაფის შევსების შემდეგ მასწავლებელი უბრუნდება გრაფას “მინდა ვიცოდე” და სთხოვს მოსწავლეებს დააკვიდნენ, გაეცა თუ არა პასუხები მათთვის საინტერესო კითხვებს (4 წთ.). სასურველია პასუხები ყველა დასმულ კითხვას გაკვეთილზევე გაეცეს. წყაროებზე მუშაობისა და სავარჯიშოების შესრულების შემდეგ (7 წთ.) მოსწავლეები მუშაობენ შემაჯამებელ სავარჯიშოებზე (7 წთ.). გაკვეთილის დასასრულს პასუხების პრეზენტაციისთვის ეთმობათ 6 წუთი.

პასუხი მე-3 ბულიტიანი სავარჯიშოსთვის ქვეთავის “შამქორის ბრძოლა” ქვეშ:

სწორი პასუხია იარაღი, ვინაიდან საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის თანახმად, შეიძლება მხოლოდ იმ ნივთების მითვისება, რომლებიც მონიანაღმდეგის სამხედრო პოტენციალის ზრდას ან შენარჩუნებას ემსახურება.

პასუხი მე-4 ბულიტიანი სავარჯიშოსთვის წყარო ბ-ს ქვეშ: საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების თანახმად, აკრძალულია ტყვეების შეურაცხყოფა, მათი სიცოცხლის ხელყოფა, წამება ან ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენება. ტყვეები დაცული უნდა იყვნენ ბრბოს ცნობისმოყვარეობისგან. საბრძოლო მოქმედებების შემდეგ ტყვეები უნდა გაიცვალოს პრინციპით “ყველა ყველაზე” ან გათავისუფლდნენ. ამრი-

გად, ტყვეების ჩამოტარება არ ემთხვევა დღევანდელ წესებს. “შენყალბა და კეთილად გასტუმრება” საბრძოლო მოქმედებების შემდეგ ემთხვევა თანამედროვე საერთაშორისო წესებს, ხოლო საბოძვარის გაცემას ეს წესები არ ითვალისწინებს.

გაკვეთილი 47 ადამიანი და საზოგადოება

განსავითარებელი უნარები: წყაროებზე მუშაობის, ლოგიკური დასკვნების გამოტანის, არგუმენტირებული მსჯელობის.

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს მინი-ლექციით და მოსწავლეებს ინფორმაციას აწვდის შუა საუკუნეების ეპოქაში სოციალური თავისუფლებისა და ადამიანთა ვალდებულებების შესახებ, სთხოვს გაიხსენონ ნაკითხული ლიტერატურული მასალიდან სათანადო ნაწარმოებები და ნაწარმოებთა პერსონაჟები (10 წთ.). მისი მითითებით მოსწავლეები ეცნობიან სახელმძღვანელოში მოცემულ ტექსტს (10 წთ.). ტექსტზე მუშაობის დროს ევალუბათ მათთვის უცნობი ინფორმაციის რვეულში ამონერა (5 წთ.). შემდეგ მასწავლებელი სახელმძღვანელოში მოცემულ დავალებებს უნანილებს მოსწავლეებს და სთხოვს რვეულში წერილობით შეასრულონ სამუშაო. მუშაობა სასურველია წარიმართოს წყვილებად (10 წთ.). პასუხების პრეზენტაციისთვის ეთმობათ 5 წუთი.

კომენტარი მასწავლებლისთვის: ამ გაკვეთილის მიზანია მოსწავლეს გავაგებინოთ სოციალური თავისუფლების არსი შუა საუკუნეებში. აქ ლაპარაკია არა პიროვნულ, შემოქმედებით თავისუფლებაზე ან ასეთის არქონაზე, არამედ სწორედ სოციალურზე. იმაზე, თუ რამდენად ქმნის შუა საუკუნეების აზროვნება, მსოფლმხედველობა, საზოგადოებრივი და მატერიალური გარემო სივრცეს კოლექტიური ან ინდივიდუალური ცნობიერებისთვის. ამ საკითხებში ჩახედვა მოსწავლეს მისცემს კიდევ ერთ საშუალებას დაინახოს დიდი განსხვავება, რომელიც აცილებს თანამედროვე ადამიანს შუა საუკუნეებისგან. შუა საუკუნეებში ადამიანი თავს აღიქვამს რომელიმე ვიწრო ჯგუფის (პატრონის ქვეშევრდომთა წრე, ეკლესიის მრევლი, ვაჭარ-ხელოსანთა კორპორაცია, ბერმონაზვნობა, წარჩინებული დიდგვაროვნები, საშუალო/დაბალი რანგის ფეოდალები, მთის თავისუფალი მეთემეები, ყმა-გლეხები, მოლაშქრეები, მათხოვრები) წევრად. ამ კოლექტივებისგან გამოყოფა ადამიანს უმწეო მდგომარეობაში ამყოფებდა, საერთოდ, საზოგადოების მიღმა ტოვებდა. ქართული სინამდვილიდან არაერთი შემთხვევაა ცნობილი, როდესაც რომელიმე არათავისუფალი (ყმა-გლეხი/მსახური/აზნაური) რაიმე გარემოების გამო თავისუფლებას იღებდა, იგი ისევ ახალ პატრონს უწყებდა ძებნას. ადამიანმა იცოდა თავისი ადგილი, იგი ეკუთვნოდა რომელიმე ჯგუფს და “დაპროგრამებული” იყო ამ ჯგუფის ცხოვრების წესით. მისგან დაშორება დემორალიზაციას იწვევდა. შუა საუკუნეებში ინდივიდუალური ცნობიერების ჩამოსაყალიბებლად არც მსოფლმხედველობა, არც სოციალური წყობა, არც საოჯახო ურთიერთობები, არც საკუთრების ფორმები არ არსებობდა. ადამიანის სიქველედ აღიქმებოდა მისი “მიყოლა” დაბადებიდანვე რგებული ბედისადმი (“ვეფხისტყაოსანი”), ხოლო წესიდან გადახვევა დანაშაულად და ავანტიურად აღიქმებოდა (ე. წ. “უგვარონი”, “ალუდა ქეთელაური”).

მოყვანილი მაგალითები თამარის ეპოქიდან მხოლოდ იმას მოწმობს, რომ საზოგადოება ვერ ეგუებოდა პიროვნულ თავისუფლებას. არსებული წესრიგი, მათ წარმოდგენაში, არასოდეს უნდა შეცვლილიყო. აღრევა წესისა ღირსების დაცვამად აღიქმებოდა. არსებული წარმოდგენების ფარგლებში იყვნენ მეტად თავისუფალნი და ნაკლებად თავისუფალნი. რაც უფრო მაღლა იდგა საგვარეულო იერარქიულ კიბეზე, მით მეტი თავისუფლების უფლებას ანიჭებდა თავს, თუმცა ეს თავისუფლება ისევე ძველი წესრიგის განუხრელ დაცვაში გამოიხატებოდა. ასეთი ცნობიერების საზოგადოება იყო საქართველოში თვით XIX საუკუნეშიც. ეს ახასიათებდა ფეოდალურ არისტოკრატის ყველგან, მაგრამ სხვა ქვეყნებში (რენესანსის ეპოქა დასავლეთში, XIX ს. II ნახ. რუსეთში) ამის საპირისპიროდ სხვა პროცესები მიმდინარეობს, რამაც ხელი შეუწყო ადამიანის ინდივიდუალიზაციას. საგულისხმოა, რომ საქართველოში ცალკეული “უგვარი” პირების გამოჩენის, მათი საზოგადოებრივ იერარქიაში დანიშნულების პრეცედენტები პოლიტიკურად ძლიერი სახელმწიფოსა და განვითარებული საქალაქო ცხოვრების პირობებში (XI-XIII სს.) ჩნდება. თუ ამ დროს პიროვნული მისწრაფებებისთვის ანგარიშის განების რაღაც ტენდენცია მაინც ჩანს, უფრო გვიან, პოლიტიკური და სოციალური სტაგნაციის პირობებში, იგი საერთოდ ქრება. საზოგადოება კიდევ უფრო შეურიგებელია სოციალური თავისუფლებისადმი (ამას მოწმობს სააკაძის მაგალითი). ამ ზოგად ვითარებასთან არის დაკავშირებული ქორწინება თანასწორთა შორის. როდესაც XIX საუკუნეში ეს წესი ხანდახან ირღვეოდა, ასეთი შემთხვევები საზოგადოების მხრიდან დაცინვისა და ირონიის საგანი ხდებოდა (გერისთავის კომედიები).

მოსწავლემ უნდა გაიგოს, რომ XI საუკუნიდან პატრონცმოვა მზარდი ქართული სახელმწიფოს სოციალური მოწყობის საფუძვლად იქცა. მოხმობილი წყაროების მიხედვით, პატრონცმოვის მექანიზმებს საქართველოს მეფეები ეფექტურად იყენებდნენ მეზობელ ქვეყნებთან მშვიდობიანი თანაარსებობის შესანარჩუნებლად. ლიტერატურული მასალის (“ვეფხისტყაოსანი”) და ისტორიული ცნობების ურთიერთშეჯერებით მოსწავლეს საშუალება ეძლევა გამოკვეთოს აღზრდისა და ნათესაობის (მათ შორის ხელოვნურის) დადებითი როლი სისტემის ქმედითუნარიანობისთვის, განსაზღვროს პატრონისა და ყმის უფლება-მოვალეობები, დაახასიათოს პატრონცმული ურთიერთობების ძლიერი და სუსტი მხარეები. წყაროების დახმარებით მოსწავლეს უნდა განემარტოს, რომ ფეოდალური მონარქის ძლიერება დამოკიდებული იყო ერთგულ ყმებზე, რომლებსაც მეფე ერთგულების სანაცვლოდ მიწა-წყალს ურიგებდა. დროთა განმავლობაში ეს ყმები მიწა-წყალს იმკვიდრებენ, ყალიბდება ძირძველი საგვარეულოები თავ-თავიანთი მამულებით, რომლებსაც შეუძლიათ დამოუკიდებელი არსებობა. მეფეს აღარ შეუძლია ერთგულ ყმათა ახალი კონტინგენტის შექმნა, რადგან დასარიგებელი მიწების ფონდიც ელევად იგი თავად ხდება დამოკიდებული ძირძველ საგვარეულოებზე. ეს ყოფილი “ერთგული ყმები” ადვილად გადადიან მეფის ოპოზიციაში, თუკი საფრთხე დაემუქრება მათ ქონებას – მიწა-წყალს. საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლა მაშინ დაიწყო, როდესაც პატრონცმოვამ თავისი შესაძლებლობები ამოწურა.

გაკვეთილი 48 სამღვდლოება

განსავითარებელი უნარები: წყაროებზე მუშაობის, ანალიტიკური აზროვნების, ლოგიკური დასკვნების გამოტანისა და არგუმენტირებული მსჯელობის, წერილი მეტყველებისა და საკუთარი აზრის გამოთქმის.

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებელი გაკვეთილის იწყებს მინი-ლექციით (10 წთ.). იგი მოსწავლეებს უყვება სამღვდლოების როლის შესახებ შუა საუკუნეების საზოგადოებაში. მისი თხოვნით მოსწავლეები დაკვირვებით ეცნობიან გაკვეთილის ტექსტსა და წყაროებს (10 წთ.). წერილობით მუშაობენ საგარეოგანობებზე და ავსებენ კონტურულ რუკას (15 წთ.). გაკვეთილის მიწურულს მასწავლებელი აფასებს ჯგუფებისა და ცალკეული მოსწავლეების მუშაობას.

კომენტარი გაკვეთილისთვის:

ქართულმა ბერმონაზვნობამ წარსულში უდიდესი როლი შეასრულა ქვეყნის წინაშე. ამ ნოდებას ხვდა წილად ეზიდა ინტელექტუალური და მორალური ტვირთი ქართული საზოგადოების წინაშე, საქართველოში შემოეტანა თანადროული მონიწივე აზროვნება, სამეცნიერო და ფილოსოფიური აზრი თუ პრაქტიკული ცოდნა. ქართველი მეფეები და ფეოდალური ელიტა კარგად გრძობდნენ მათ როლს და ცდილობდნენ მათთვის ხელსაყრელი პირობები შეექმნათ ადგილზე სამოღვაწეოდ.

შუა საუკუნეების ქრისტიანულ ქვეყნებში მონასტრები წარმოადგენდნენ განათლების უმთავრეს კერებს. ქრისტიანულ აღმოსავლეთში საერთაშორისო მნიშვნელობის სამონასტრო ცენტრები იყო ულუმბოზე, კონსტანტინოპოლში, ათონზე, ანტიოქიაში, პალესტინაში, იერუსალიმში და სხვ. ამ ცენტრებში ნამყვანი პოზიციები ეკავათ ბერძნებს, როგორც ბიზანტიის იმპერიის წარმომადგენლებს და, მათივე არცთუ უსაფუძვლო წარმოდგენით, როგორც მაღალი კულტურის მემკვიდრეებს. სხვა ხალხების წარმომადგენლებს ისინი ძველებურად ბარბაროსებად მიიჩნევდნენ და დიდად ავიწროვებდნენ. ქართველ ბერებს არაერთხელ დასჭირვებიათ ბერძენთა წინაშე საკუთარი ქვეყნის ღირსების დაცვა. მიუხედავად ამისა, ბერძნული მონასტრები ანდამატივით იზიდავდა ინტელექტუალური მიდრეკილებების ბერმონაზვნობას, რადგან განათლებულობის საზომად “ბერძნული” ცოდნა მიიჩნეოდა. ბერძნულ ენაზე იქმნებოდა უმდიდრესი ქრისტიანული მწერლობა, რომელსაც არაბერძნული წარმომავლობის ბერები დიდი ინტერესით სწავლობდნენ და თავიანთ ენებზე თარგმნიდნენ. ცოდნის დაგროვებამ, განათლებული ადამიანების რიცხვის გაზრდამ ქართველებს ბერძენებთან ერთგვარი შეჯიბრებითობის გრძნობა გაუღვივა. ეს “გაჯიბრებისკენ” სწრაფვა გამოხატული ტენდენციაა X-XI საუკუნეების ქართული განათლებული საზოგადოებისა. გამოთქმა “სწავლულებით ბერძენი” ამ ტენდენციის გამოხატულებაა.

მიუხედავად ბიზანტიასთან პერიოდულად გამწვავებული პოლიტიკური ურთიერთობებისა, ქართული კულტურის განვითარებისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მასთან სიახლოვეს. ბიზანტიის მეზობლობამ განსაზღვრა ქართული ქრისტიანული კულტურის დინამიური განვითარება, შემოქმედებითი ადამიანების დარაზმვა ქართული კულტურის მუდმივი განახლება-

გამდიდრებისათვის, თანამედროვე ტემინოლოგიით, დასავლური მიმართულების დამკვიდრება.

ქრისტეს მოძღვრება მიმდევრებში აღძრავდა ზიზღს მინიერი ცხოვრებისადმი, ხოლო მინიერი ცხოვრებაში იგულისხმებოდა როგორც მატერიალური სიკეთე, ისე ახლობლებისადმი მიჯაჭვულობა. ქრისტეს ჭეშმარიტ მიმდევარს ორივე უნდა დაეთმო. აქედან – უკიდურესი ასკეზა.

ასურელი მამების საქართველოში მოსვლა მისიონერულ მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული. დღეს მეცნიერებაში საეჭვოდ აღარ ითვლება, რომ წმინდა ნინოს მისიით და მირიანის აქტით არ დასრულებულა საქართველოში ქრისტიანობის გავრცელება. ეს იყო ხანგრძლივი პროცესი, რომელიც, პერიოდულად, ზოგიერთ რეგიონში ადგილობრივი კულტებისა და ირანული მახდენობის გავლენით უკან იხევდა. ამიტომ საქართველოში ქრისტიანობას განმტკიცება ესაჭიროებოდა.

ასურელ მამათა მოღვაწეობის დანების შემდეგ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ცალკეული მონასტრები, მართალია, შენდებოდა, მაგრამ ის, რაც გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის პერიოდში (VIII ს-ის ბოლო IX ს.) ტაო-კლარჯეთში დაიწყო, თავისი არსით საზოგადოებრივი მოძრაობა იყო. გრიგოლი თბილისში აღიზარდა, მისი პირველი თანამოაზრენიც, როგორც ჩანს, თბილისიდან თუ არა, ქართლიდან არიან, მაგრამ ისინი ქართლს არ ირჩევენ სამოღვაწეოდ, რადგან ქართლში არაბები ისხდნენ. ჩვენ, მართალია, ვასწავლით, რომ არაბები საერთოდ რელიგიურ შემწყნარებლობას იჩენდნენ, მაგრამ ისიც უნდა ვუთხრათ მოსწავლეებს, რომ არაბები, განსაკუთრებით VIII საუკუნიდან, ჯვარხატების გამოსვენებას, ღვთისმსახურთა და მორწმუნე მრევლის საჯარო მსვლელობებს, ახალი ეკლესიების მშენებლობებს კრძალავდნენ. ასეთ პირობებში გრიგოლი ქართლს გაეცალა და კლარჯეთში ჩავიდა, საიდანაც დაიწყო ამ აოხრებული კუთხის სამონასტრო კოლონიზაცია და ქართული ეკლესიის აღმავლობა.

გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების მონობით, ბერული ცხოვრების წესი – უარის თქმა ცხოვრებით ტკობაზე – თავისთავად დიდ შინაგან თავისუფლებას ანიჭებდა ადამიანს. ბერები იყვნენ მონასტრების შენების ინიციატორნი, ასე ვთქვათ, “იდვის ავტორნი” და ორგანიზატორნი. მართალია, მშენებლობისთვის მატერიალურ შეწევნას მეფეებისგან იღებდნენ, მაგრამ არჩეული გზა მათ საკუთარი მორალური და სულიერი უპირატესობის განცდას ანიჭებდა და თამამადაც გამოხატავდნენ ამას. ნურც ის დაგვაინცდება, რომ წარმომავლობით ისინი უმაღლეს არისტოკრატიას ეკუთვნოდნენ და სათანადო სოციალური თვითშეგნება ჰქონდათ. მეფეებიც, ხედავდნენ რა მათ სულიერ ღვაწლს, ადასტურებდნენ მათ პირველად როლს. ბერებისა და მეფეების/ახნაურების თანამშრომლობა “სულიერის” და “ხორციელის” “შეზავების” პრინციპზე აიგო, სადაც ორივე მხარე აღიარებდა “სულიერის” უპირატესობას.

“ეფთვიმე მთანმიდელის ცხოვრება” საუკეთესოდ გვიჩვენებს, როგორ ზრუნავდნენ ქართველი საერო და სასულიერო მოღვაწენი საქართველოში განათლების და წიგნიერი კულტურის დონის ამაღლებაზე (სხვა წყაროებიც უჩვენებენ, რომ მთელი იმდროინდელი ელიტა – ფეოდალური არისტოკრატია მოცული იყო ამ საზრუნავით, თვით ფეოდალური ოპოზიციაც). წყაროს

მიხედვით, ქართველებს ქართულ ენაზე უნდა ჰქონოდათ იმდროინდელი ბიზანტიური მწერლობის გაცნობის შესაძლებლობა, – ასეთი იყო დროის მოთხოვნა.

გაკვეთილი 49 მეომრის აღზრდა

განსავითარებელი უნარები: ტექსტზე და წყაროებზე მუშაობის, დასკვნების გამოტანის, მსჯელობის, სხვისი აზრის მოსმენისა და პატივისცემის.

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს “ვიცი, მინდა ვიცოდე, ვისწავლე” მეთოდის გამოყენებით: მოსწავლეებს სთხოვს გაიხსენონ, რა იციან შუა საუკუნეების მეომართა ცხოვრების წესის შესახებ. მოსწავლეთა პასუხებს მასწავლებელი წერს გრაფაში “ვიცი”. შემდეგ სთხოვს უკარნახონ, რისი გაგება სურთ ამ საკითხთან დაკავშირებით და პასუხები შექვს გრაფაში “მინდა ვიცოდე” (5 წთ.). ამის შემდეგ მასწავლებლის მითითებით მოსწავლეები ეცნობიან სახელმძღვანელოში მოცემულ ტექსტს (6 წთ.) და თან ავსებენ გრაფას “ვისწავლე”. სამივე გრაფის შევსების შემდეგ მასწავლებელი უბრუნდება გრაფას “მინდა ვიცოდე” და სთხოვს მოსწავლეებს დააკვიდნენ, გაეცა თუ არა პასუხები მათთვის საინტერესო კითხვებს (4 წთ.). სასურველია პასუხები ყველა დასმულ კითხვას გაკვეთილზე გაეცეს. წყაროებზე მუშაობისა და სავარჯიშოების შესრულების შემდეგ (7 წთ.) მოსწავლეები მუშაობენ შემაჯამებელ სავარჯიშოებზე (7 წთ.). გაკვეთილის დასასრულს პასუხების პრეზენტაციისთვის ეთმობათ 6 წუთი.

განმარტება წყარო 1-სთვის: ყველა დროში არსებობდნენ მებრძოლეები, რომლებიც იცავდნენ ან არღვევდნენ ამ წესებს. ასეა დღესაც. მაგრამ ეს წესები თანამედროვე საერთაშორისო საზოგადოებრიობამ შეიმუშავა. თითქმის ყველა სახელმწიფოს აქვს ხელი მონერილი ფენევის 1949 წლის კონვენციებზე (საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ძირითადი დოკუმენტები დამატებით ოქმებთან ერთად). დამრღვევნი პასუხს აგებენ საერთაშორისო ჰუმანიტარული ნორმების თანახმად.

გაკვეთილი 51 ცოტნე დადიანი და დემეტრე თავდადებული

განსავითარებელი უნარები: არგუმენტირებული მსჯელობის, წყაროებზე მუშაობის, ლოგიკური დასკვნების გამოტანის.

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს მინი-ლექციით მონღოლების და მათი შემოსევების შესახებ (5 წთ.). შემდეგ მოსწავლეებს სთხოვს გაიხსენონ, რა იციან ცოტნე დადიანისა და დემეტრე თავდადებულის შესახებ. მათი პასუხებით დაფაზე ავსებს ცხრილის გრაფას “ვიცი” (3 წთ.). შემდეგ სთხოვს უკარნახონ, რისი გაგება სურთ ამ საკითხთან დაკავშირებით და პასუხები შეაქვს გრაფაში “მინდა ვიცოდე” (3 წთ.). მოსწავლეები დამოუკიდებლად ეცნობიან გაკვეთილის ტექსტს და წყაროებს (10 წთ.) და ავსებენ გრაფას “ვისწავლე” (5 წთ.). სამივე გრაფის შევსების შემდეგ მასწავლებელი უბრუნდება გრაფას “მინდა ვიცოდე” და სთხოვს მოსწავლეებს დააკვიდნენ, გაეცა თუ არა პასუხი მათთვის სასურველ კითხვებს (4 წთ.). წყაროებზე მუშაობისა და სავარჯიშოების შესრულებ

ბის შემდეგ მოსწავლეები მუშაობენ შემაჯამებელ სავარჯიშოებზე (14 წთ.).

კომენტარი მასწავლებლისთვის:

გიორგი IV ლაშა დედამისის თანამოსაყდრე იყო 1206 წლიდან. თამარის გარდაცვალების შემდეგ გამეფებულს ყმადნაფიცმა ქვეყნებმა ურჩობა გამოუცხადეს. მაგრამ მეფემ წარმატებით ილაშქრა განჯასა და ხლათში, ეს ქვეყნები კვლავ ყმადნაფიცობის პირობით შემოუერთა სამეფოს. გარდა ამისა, დაიმორჩილა არზრუმისა და ნახიჩევანის მფლობელები. გიორგი IV ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობის მისაღებად ემზადებოდა, როდესაც 1220 წელს საქართველოს სამეფოს საზღვრებთან მანამდე უცნობი დამპყრობელი გამოჩნდა. მონღოლები ირანსა და კავკასიაში მათ წინააღმდეგ აჯანყებული ხორეზმშაჰ მუჰამედისა და მისი შვილის, ჯალალ-ად-დინის დევნამ მოიყვანა. პირველ შეტაკებაში ჯებესა და სუბუდაის სარდლობით გამოგზავნილ ჯართან ქართველები დამარცხდნენ. ამ პირველი შეტაკების შემდეგ მონღოლები ქვეყნის შიგნით არ შესულან, გაიარეს დარუბანდი და კასპიის ზღვის შემოვლით დაბრუნდნენ ჩინგიზ-ყაენთან. ამ ბრძოლაში მეფე დაიჭრა. 1223 წელს თავისი დის, რუსუდანის შარვან-შაჰზე დასანიშნად ბაგავანს გამგზავრებული გიორგი IV იქვე გარდაიცვალა, საგარაუდოდ მონღოლებთან ბრძოლაში მიღებული ჭრილობისგან. გიორგის ერთი მემკვიდრე ჰყავდა, მაგრამ მისი ქორწინება დაბალი წრის ნოდევისა და თანაც უკვე გათხოვილ ქალთან სამღვდლოებამ არ აკურთხა. მისი ძე სამეფო ტახტის მემკვიდრედ არ მიიჩნეოდა. ამიტომ 1223 წელს გიორგი IV-ის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ავიდა მისი და, რუსუდანი. 1225 წლის აგვისტოში საქართველოს საზღვარი გადმოლახა ჯალალ-ად-დინმა. გადამწყვეტი ბრძოლა ქალაქ გარნისთან მოხდა. ქართველთა ჯარის მთავარსარდალმა ივანე ათაბაგმა დროზე არ მიაშველა დამხმარე ჯარი მტრის წინააღმდეგ მებრძოლი მენინავე ლაშქრის სარდლებს – ივანე და შალვა ახალციხელებს. ივანე ბრძოლაში დაიღუპა, ხოლო შალვა, რომელსაც ბოლოს ხელთ ხმლის ვადალა შერჩა, ტყვედ ჩაიგდეს. გამაჰმადიანების მოთხოვნაზე შალვამ უარი განაცხადა. გარდა ამისა, იგი ქართველებს ფარულად ატყობინებდა მტრის ლაშქრის მოძრაობას. ამიტომ იგი სიკვდილით დასაჯეს. მისი სახელი შემონახულია სიმღერაში “შავლეგო”. ქართველთა ჯარი გარნისთან დამარცხდა. მომდევნო წელს, 1226 წლის მარტში ჯალალ-ად-დინმა თბილისის ზოგიერთი მაჰმადიანი მცხოვრების ღალატის წყალობით აიღო ქვეყნის დედაქალაქი. რუსუდანი ქუთაისში გადავიდა. მტერმა ამოჟლიტა მცხოვრებნი, დაანგრია ქალაქი. 100 ათასზე მეტმა თბილისელი უარი თქვა ხვარაზმელთა მოთხოვნაზე, ფეხით შემდგარიყვნენ სიონის ტაძრიდან გამოტანილ მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ხატებზე და მოწამებრივი სიკვდილი არჩია. ქალაქის ძარცვა-რბევის დროს არც მაჰმადიანები დაინდეს და მათ სანანებელი გაუხდათ ქართველების ღალატი. თბილისიდან ჯალალ-ად-დინის ჯარი ორ ნაწილად გაიყო ანისისა და კარის დასალაშქრად, მაგრამ დამარცხდა. ვერც ხლათის აღება მოახერხეს. 1227 წელს ქართველებმა თბილისი დაიბრუნეს. ამის გამო ხვარაზმშაჰი კვლავ თბილისისკენ დაიძრა. ქართველებმა ქალაქის დაცლა და მისი გადანვა ამჯობინეს. ჯალალ-ად-დინის თარეში ხუთ წელს გრძელდე-

ბოდა. 1235 წლიდან დაიწყო მონღოლთა დაპყრობითი ბრძოლები. რუსუდანი კვლავ დასავლეთ საქართველოში გადავიდა. ჯარის მთავარსარდალობამ წინააღმდეგობა ვერ გაუწია მტერს, ხოლო დიდებულთა უმეტესი ნაწილი საკუთარ ციხეებში შეიკეტა. 1243 წელს რუსუდანმა ზავი ითხოვა. დასწეულებული რუსუდანი 1245 წელს გარდაიცვალა. მისი ძე მეფედ დასამტკიცებლად ყაენთან იყო გაგზავნილი. მისი ჩამოსვლა დაგვიანდა. ამიტომ, ქართველ დიდებულთა ნაწილმა რუსუდანის მიერ რუმის სულთნის კარზე გაგზავნილი დავით გიორგის ძე საქართველოში ჩამოიყვანა და მეფედ დასამტკიცებლად ბათო ყაენთან გაგზავნა. უმეფობის პერიოდში მონღოლებმა ქვეყანა დუმნებად დაყვეს და მათ სათავეში ქართველი ფეოდალები ჩააყენეს. მონღოლთა სამსახურში ჩამდგარი ქართველი დიდებულები მალე მიხვდნენ, რა საშიშროებას უქადა ქვეყანას მონღოლთა ბატონობა და აჯანყებისთვის მზადება დაიწყეს. კობტასთავის შეთქმულების ამბავი ფართოდ გავრცელდა. მის შესახებ ინფორმაცია აქეს 1246 წელს ყარაყორუმში მყოფ რომის პაპის ელჩს, პლანო კარპინის. 1246 წელს ყარაყორუმში ერთმანეთს შეხვდნენ ბიძაშვილ-მამიდაშვილები: დავით გიორგის ძე და დავით რუსუდანის ძე. ახალმა ყაენმა გუიუქმა 1246 წელს ორივე მათგანი მონღოლური წესის გათვალისწინებით მეფედ დაამტკიცა და ასაკით უფროს დავით გიორგის ძეს (ულუს) დაუქვემდებარა ასაკით უმცროსი დავით რუსუდანის ძე (ნარინი). საქართველოში დაბრუნების შემდეგ ორივე დავითი თბილისში იჯდა და ერთად განაგებდა ქვეყანას. ქვეყნის დუმნებად დაყოფა გაუქმდა. 1254 წელს მონღოლებმა საქართველოში მოსახლეობის აღწერა ჩაატარეს. აღწერის შედეგად გაირკვა, რომ საქართველოს სამეფოში ხუთ მილიონამდე მცხოვრები იყო. იმდროინდელ საქართველოში მოიაზრება სომხეთიც, მაგრამ აღარ იგულისხმება ყმადნაფიცი ქვეყნები. ორივე დავითი ურთიერთშეთანხმებით მოქმედებდა 1259 წლამდე.

კომენტარი წყარო ს-თვის: მონღოლების სამშობლო ციბირია. ისინი ცხოვრობდნენ ტერიტორიაზე ბაიკალის ტბიდან მდინარე ენისეის ზემო წელამდე, მდინარე ირტიშის გაყოლებით. მონღოლები მომთაბარე მესაქონლეობას მისდევდნენ და მათ მეურნეობაში უმთავრესი ადგილი ცხენს ეკავა. მათი ძირითადი საკვები ხორცი და რძე იყო. მონღოლები ცხოვრობდნენ ქერის კარვებში, რომლებსაც შემოდებდნენ ურემზე და ისე მოგზაურობდნენ. მათი მთავარი იარაღი მშვილდ-ისარი, შუბი და ხმალი იყო. ისინი მამაცი მეომრები იყვნენ, სძულდათ ტყუილი და პატივისცემით ეკიდებოდნენ გულად ვაჟკაცებს. მონღოლთა სარწმუნოება იყო შამანიზმი. მხოლოდ XIII ს-ის ბოლოს გამოაცხადეს ისლამი სახელმწიფო რელიგიად. მონღოლები ცხოვრების მომთაბარე წესის გამო შეჩვეული იყვნენ ცხოვრების მკაცრ პირობებს (სიცივეს, სიციხეს, შიმშილს, გაჭირვებას), ლაშქრობაში ამტანები იყვნენ და ადვილად უძლებდნენ ყველა სიძნელეს.

მონღოლებმა ადვილად დაიპყრეს რუსეთის ევროპული ნაწილი, ცომბირი და აღმოსავლეთი, ჩინეთი, ტიბეტი, შუა აზია, მცირე აზია, კავკასია, სპარსეთი. მათი გამარჯვების ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ მათ დაძაბუნებული ან სამთავროებად დაშლილი ქვეყნების წინააღმდეგ უხდებოდათ ბრძოლა.

კომენტარი წყარო ბ-სთვის:

ილხანთა ულუსი მოიცავდა ირანს, ავღანეთს, თურქმენეთს, კავკასიის დიდ ნაწილს, ერაყს, მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილს. მისი ვასალები და მოხარკეები იყვნენ საქართველო, ტრაპიზონის იმპერია, კონიის სასულთნო, კილიკიის სომხური სამეფო, კვიპროსის სამეფო. ულუსის დედაქალაქი იყო ჯერ მარაღა, შემდეგ თავრიზი, ბოლოს – სოლთანიე.

გაკვეთილი 52 გიორგი V ბრწყინვალე (1318-1346) და მონღოლთა ბატონობის დასასრული

განსავითარებელი უნარები: წყაროებზე მუშაობის, ლოგიკური დასკვნების გამოტანის, არგუმენტირებული მსჯელობის.

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს მინი-ლექციით და ინფორმაციას აწვდის საქართველოში მონღოლთა ბატონობის ბოლო პერიოდისა და გიორგი V-ის შესახებ (10 ნთ.). მისი მითითებით მოსწავლეები ეცნობიან სახელმძღვანელოში მოცემულ ტექსტს (10 ნთ.). ტექსტზე მუშაობის დროს ევალუაბათ მათთვის უცნობი ინფორმაციის რვეულში ამონერა. შემდეგ მასწავლებელი სახელმძღვანელოში მოცემულ დავალებებს უნაწილებს მოსწავლეებს და სთხოვს რვეულში წერილობით შეასრულონ სამუშაო. მუშაობა სასურველია წარმართოს წყვილებად (10 ნთ.). პასუხების პრეზენტაციისთვის ეთმობათ 10 წუთი.

კომენტარი მასწავლებლისთვის

1259 წელს დავით ნარინის მეთაურობით მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყებამ იფეთქა. მონღოლები თავიდან დამარცხდნენ, მაგრამ ყაენმა დიდი ჯარი გამოგზავნა და დავით ნარინმა დასავლეთ საქართველოს შეაფარა თავი. დავით ულუს ყაენმა ეგვიპტეში სალაშქროდ მომზადება უბრძანა. დავითმა გადაწყვიტა არ დამორჩილებოდა ამ ბრძანებას და აჯანყდა. ქართველ დიდებულთა ნაწილი მონღოლებს ეახლა. დავითი სამცხეში გადავიდა. დავით ულუმ გვანცა დედოფალი და უფლისწული დემეტრე ბიჯნისის ციხეში გახიზნა. არლუნ ნოინი შეესია სამცხეს, მაგრამ მთავარი ციხის (ციხისჯვარი) აღება ვერ შეძლო. ნოინმა დაატყვევა დედოფალი და ყაენთან გაგზავნა. გვანცა დედოფალი და ზაქარია ამირსპასალარი სიკვდილით დასაჯეს. დავით ულუც დასავლეთ საქართველოში გადავიდა. მისი იქ ყოფნის დროს მონღოლებმა აღმოსავლეთი საქართველო სომეხ დიდვაჭარს, შადინს ჩააბარეს. 1262 წელს დავით ულუ აღმოსავლეთ საქართველოში გადავიდა და სარგის ჯაყელთან ერთად ყაენთან გაემგზავრა. სარგის ჯაყელმა მთელი ბრალდება თავის თავზე აიღო. ქართველები დასჯას გადაარჩინა ილხანთა ულუსზე ოქროს ურდოს თავდასხმამ. ყაენის ბრძანებით დავით ულუსა და სარგის ჯაყელს ბრძოლაში მონაწილეობა დაევალებათ. მოგვიანებით, მონღოლთა მეცადინეობით, განხეთქილება მოხდა სარგისსა და დავითს შორის. 1266 წელს სამცხე ჩამოშორდა საქართველოს მეფის ქვეშევრდომობას და უშუალოდ დაექვემდებარა ყაენს. სამცხე დაცული იყო მონღოლთა თარეშისგან და აქ თავს აფარებდნენ აღმოსავლეთი საქართველოს მცხოვრებნი. მთავრები სარგისი, ბექა და მისი შვილები წარმატებით იცავდნენ მხარეს, აღმშენებლობასა და საკანონმდებლო საქმიანობას ეწეოდნენ. ამრიგად, XIII ს-ის 60-იანი წლების-

თვის საქართველო ორ სამეფოდ გაიყო და ცალკე ერთეულად ჩამოყალიბდა სამცხე. დავით ულუ 1270 წელს გარდაიცვალა. რაც შეეხება დავით ნარინს, მას კავშირი ჰქონდა მონღოლების მტრებთან, ერეოდა მონღოლთა შინაურ შფოთსა და არეულობებში. მის კარზე თავს აფარებდნენ ყაენის წინააღმდეგ განწყობილი და აჯანყებულები. დავითმა ქართველთა გავლენა აღადგინა მონღოლთა მიერ დაპყრობილ ტრაპიზონის სამეფოზე. იგი ისე გარდაიცვალა 1293 წელს, რომ მონღოლებმა მისი დამორჩილება ვერ მოახერხეს.

1289-1292 წლებში აღმოსავლეთი საქართველოს მეფე გახდა დავით ნარინის ძე, ვახტანგ II. იგი მამისგან მემკვიდრეობით დასავლეთ საქართველოსაც მიიღებდა და მთელ საქართველოს გააერთიანებდა, მაგრამ 1292 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა. დაკრძალულია გელათის მონასტერში. 1293-1311 წლებში საქართველოს მეფე ხდება დავით VIII, დემეტრე II-ის ძე. აღმოსავლეთ საქართველოში მის გარდა მეფობდნენ მისი ძმა ვახტანგ III (1298, 1302-1308) და ნახევარძმა გიორგი V (1299, 1318-1346), აგრეთვე ძე – გიორგი VI მცირე (1308, 1314-1318). დასავლეთ საქართველოშიც ორი მეფეა – დავით ნარინის ვაჟები, იმერთა მეფე კონსტანტინე (1293-1327) და რაჭა-არგვეთის მეფე მიქელი (1327-1329). 1293 წელს ყაენმა საქართველოს (რეალურად კი აღმოსავლეთი საქართველოს) მეფედ დავით VIII დაამტკიცა, რომელიც მას ეხმარებოდა მცირე აზიაში მომხდარი აჯანყების ჩახშობაში. დავითმა აქტიური მონაწილეობა მიიღო საყაენოში მომხდარ აშლილობაში, რისთვისაც მას სასჯელი ელოდა. იგი აჯანყდა და მთიულეთს შეაფარა თავი 1297-1302 წლებში მონღოლები მის ხელში ჩაგდებას ამაოდ ცდილობდნენ. საბოლოოდ, დავითს ყაენმა საგამგებლოდ გადასცა ჯავახეთი და ალასტანი. დავითმა დიპლომატიური მოლაპარაკება დაიწყო იერუსალიმის ჯვრის მონასტრის დასაბრუნებლად. მან ელჩების მეშვეობით ურთიერთობა დაამყარა ეგვიპტესთან და კონსტანტინოპოლთან. 1305 წელს ქართველთა ელჩობა ეგვიპტეში წარმატებით დასრულდა. იერუსალიმის ჯვრის მონასტერი გადაეცათ ქართველებს და აღდგენილ იქნა იერუსალიმში გაშლილი ეროვნული დროშებით შესვლა, გათავისუფლება ყოველგვარი გადასახადებისგან. 1331 წელს დავით VIII გარდაიცვალა.

ვახტანგ III 1298 წელს ყაზან ყაენმა მეფედ დაამტკიცა დავით VIII-სთან დაპირისპირების მიზნით. რეალურად ვახტანგის ხელისუფლება ვრცელდებოდა თბილისსა და მის სამხრეთ ნაწილზე დმანის-სამშვილდის ჩათვლით. დავით VIII-მ შეიპყრო ვახტანგი და მხოლოდ ივანე ბურსელის შუამდგომლობის შემდეგ გაათავისუფლა. 1302 წელს ყაენმა ვახტანგი ხელახლა დაამტკიცა მეფედ. 1299 წლიდან მოყოლებული იგი მონაწილეობდა მონღოლთა ბრძოლებში. გარდაიცვალა 1308 წელს.

გიორგი VI მცირე მონღოლებმა ჯერ კიდევ მამამისის, დავით VIII-ის სიცოცხლეში გაამეფეს 1308 წელს და მეურვედ დაუნიშნეს დემეტრე II-ის ვაჟი გიორგი (შემდგომში გიორგი V). 1314 წელს იგი ხელახლა დაამტკიცეს მეფედ. ცნობილია, რომ 1316-1317 წლებში მან წარუმატებლად ილაშქრა დვალეთში, სხვა ცნობები მის შესახებ არ მოიპოვება.

გიორგი V ჯერ კიდევ მცირეწლოვანი იყო, როდესაც 1299 წელს მონღოლებმა მეფედ დანიშნეს და დაუპირისპირეს აჯანყებულ დავით VIII-ს. ამ პერიოდში გიორგის ხელისუფლება მხოლოდ ფორმალური იყო და არ სცდებოდა თბილისის ფარგლებს. გიორგის სახელს უკავშირდება წარმატებული ელჩობა ეგვიპტის სულთანთან იერუსალიმის ჯვრის მონასტრის დაბრუნებასთან დაკავშირებით. 1318 წელს გიორგი მეორედ და საბოლოოდ იკავებს ტახტს. 1320 წელს მან ახალი ელჩობა გაგზავნა ეგვიპტის სულთანთან იერუსალიმის მონასტრის ხელახლა შეკავშირებისა და სხვა ქართული სალოცავების განახლება-მშენებლობის საკითხთან დაკავშირებით. გიორგი V-მ მონღოლთა ყაენისგან უფლება მიიღო თავად აეკრიფა ხარკი. აღნიშნულის შემდეგ ქვეყანაში შეწყდა მონღოლი ბასაკების (ხარკის ამკრეფი მოხელეების) თარეში. სამი წლის ალყის შედეგად გორიდან განდევნა ოსები. ურჩი ფეოდალების ასალაგმავად მეტად რადიკალური ნაბიჯი გადადგა: კახეთში, ცივის მთაზე სადარბაზოდ მინვეული დიდებულები შეაპყრობინა და სიკვდილით დასაჯა. 1329 წელს გარდაიცვალა დასავლეთი საქართველოს მეფე მიქელი. გიორგი გადავიდა დასავლეთში და აიღო ქუთაისი. დასავლეთი საქართველოს მთავრებმა და ერისთავებმა მას მორჩილება გამოუცხადეს. 1334 წელს სამცხის მთავრის, სარგის II ჯაყელის გარდაცვალების შემდეგ გიორგიმ ეს მხარეც შემოიერთა და ათაბაგობა უბოძა სარგისის ძეს, ყვარყვარეს. გიორგი V-ის ბრძანებითა და აქტიური მონაწილეობით შეიქმნა ორი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი: “ძეგლის დადება” და “ხელმწიფის კარის გარიგება”. პირველი მათგანი 46 მუხლისგან შემდგარი კოდექსია, რომელიც ქართლის მთიანეთისთვის იყო განკუთვნილი. მეორე სახელმწიფო სამართლის ძეგლია და განსაზღვრავდა სამეფო კარის ეტიკეტს, სხვადასხვა მოხელეთა უფლებებსა და მოვალეობებს. 1322 წელს საყაენოში დაწყებული არეულობით ისარგებლა და ასწლიანი ბატონობის შემდეგ მონღოლები საქართველოდან გააძევა. გიორგის დროს ჩატარდა საფინანსო რეფორმა და მოიჭრა ახალი ვერცხლის ფული – “გიორგაული თეთრი”. მეფე აქტიურ საგარეო პოლიტიკას აწარმოებდა. იგი ჩაერია ტრაპიზონის სამეფოს საქმეებში და მხარი დაუჭირა პროქართულ დაჯგუფებას. მიმონერა ჰქონდა რომის პაპ იოანე XXII-სთან. პაპის ბრძანებით კათოლიკური საეპისკოპოსო ცენტრი ქალაქ სმირნადან თბილისში იქნა გადმოტანილი. საქართველოში დაინიშნენ კათოლიკე ეპისკოპოსები: იოანე ფლორენციელი თბილისში და პეტრე გერალდი სოხუმში. დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდა საფრანგეთის მეფე ფილიპე VI ვალუასთან, რომელსაც “წმინდა მიწის” გათავისუფლებისთვის ბრძოლაში 30 ათასი მეომრით დახმარებას შეჰპირდა. გიორგი V-ის დროს საქართველოს აქტიური სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა ვენეციასა და გენუასთან. ეგვიპტის სულთანმა კი გაითვალისწინა ქვეყნის მნიშვნელობა და მეფის ავტორიტეტი და ქართველებს იერუსალიმში ახალი ტაძრის მშენებლობის უფლება მისცა.

გაკვეთილი 53 საქართველო თემურ ლენგის პირისპირ

განსავითარებული უნარები: წყაროებსა და ტექსტზე მუშაობის, დამოუკიდებელი აზროვნების.

გაკვეთილის მსვლელობა: თავდაპირველად მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს დაფიქრდნენ და უპასუხონ კითხვას: რა ასოციაციას იწვევს მათში სახელი “თემურ-ლენგი”. მოსწავლეთა პასუხებს მასწავლებელი ჩამოწერს დაფაზე (5 წთ.). პასუხების შეჯამების შემდეგ (5 წთ.) სთხოვს მათ გაეცნონ გაკვეთილის ტექსტს (10 წთ.). შემდეგ მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფებში წყაროების ქვეშ მოთავსებულ სავარჯიშოებზე (10 წთ.). გაკვეთილის ბოლოს კლასი ერთობლივად მუშაობს შემაჯამებელ აქტივობაზე (10 წთ.). მასწავლებელი მოსწავლეების მუშაობასა და გაკვეთილის მიმდინარეობას შეაფასებს გაკვეთილის მიწურულს.

კომენტარი მასწავლებლისთვის

1346-1360 წლებში ერთიანი საქართველოს ტახტზე ავიდა გიორგი V-ის ძე დავით IX. მის დროს მძვინვარებდა ქვეყანაში შავი ჭირის ეპიდემია (1348 წელი). დავითი 1360 წელს გარდაიცვალა გეგუთში. დაკრძალულია გელათში.

1360-1393 წლებში მეფობდა დავითის ძე ბაგრატ V. მის დროს კვლავ იჩინა თავი შავი ჭირის ეპიდემიამ. 1386 წელს იგი დაატყვევა მუღლეთან ანასთან და შვილ დავითთან ერთად თემურ-ლენგმა. მხოლოდ გამაჰმადიანების შემდეგ გამოუშვა საქართველოში. თან გამოაყოლა 12-ათასიანი ლაშქარი ქვეყნის ასაოხრებლად. ბაგრატი თავის ძეს, გიორგის დაუკავშირდა და დახმარება სთხოვა. გიორგი ჯარით მოხერხებულ ადგილზე ჩაუსაფრდა მტერს და მთლიანად გაანადგურა მონღოლთა ჯარი. 1387 წელს თემურ-ლენგმა კვლავ ილაშქრა საქართველოში, მაგრამ ბაგრატი მომზადებული დაუხვდა. მართალია ქართველები ამ შეტაკებაში დამარცხდნენ, მაგრამ ეს კიდევ არ იყო ქვეყნის საბოლოოდ დაპყრობა. ბაგრატი 1393 წელს გარდაიცვალა.

1393-1407 წლებში მეფობდა ბაგრატის ძე გიორგი VII. მიუხედავად არაერთი შემოსევისა, თემურ-ლენგმა ვერ მოახერხა მეფის ხელში ჩაგდება. 1403 წელს დაიდო შამქორის ზავი, რომლის თანახმადაც ქართველებმა იკისრეს ხარკის გადახდა, ჯარის გამოყვანა, სამიმოსვლო გზების დაცვა. სანაცვლოდ, თემურ-ლენგი აღიარებდა საქართველოს ხელშეუხებლობას და ცნობდა, როგორც ქრისტიანულ ქვეყანას. გიორგი VII 1407 წელს თურქმან ტომებთან ბრძოლისას დაიღუპა.

1407-1412 წლებში ტახტზე იყო გიორგის ძმა, კონსტანტინე I. იგი 1401 წელს მონაწილეობდა შამქორის საზავო მოლაპარაკებებში. 1411 წელს კონსტანტინე შარვანშაჰთან ერთად იბრძოდა თურქმანთა წინააღმდეგ და დამარცხებული ტყვედ ჩავარდა. მას თავი მოჰკვეთეს.

კონსტანტინეს შემდეგ ტახტზე ავიდა ალექსანდრე I დიდი (1412-1442). მან დაამარცხა გაურჩეული ივანე ათაბაგი, სამეგრელოს მთავრის ძე და აფხაზეთის მთავარი შერვაშიძე. 1431 წელს დაიკავა ლორე და ლორეს ველი, რომელიც თურქმან მომთაბარეებს ეპყრათ. 1434-1435 წლებში შემოიერთა სივნიეთის მხარე. ალექსანდრემ დაიწყო აოხრებული ქვეყნის აღდგენა. 1425 წელს მან შემოიღო სპეციალური საკომლო გადასახადი, რომლის მეშვეობითაც აღადგინა სვეტიცხოველი, რუისის ეკლესია და სხვა ციხეები თუ ტაძრები. ეს გადასახადი გაუქმდა 1440 წელს. 1440 წელს საქართველოს შემოესია შავბატკნიან თურქმანთა ლაშქარი, რომელმაც აიღო სამშვილდე და თბილისი. ალექსანდრე I-ის დროს მეფის ხელისუფლების შესუსტებას მოწმობს

სამეფო დოკუმენტების ხელმოწერა მეფის, დედოფლისა და უფლისწულების სახელით. 1442 წელს სამეფოში შექმნილი რთული ვითარების გამო ალექსანდრე I ტახტიდან გადადგა და ათანასეს სახელით ბერად აღიკვეცა.

ალექსანდრემ ტახტზე დაადგინა უფროსი ვაჟი ვახტანგი (1442-1446). ვახტანგ IV-ის მეფობა ხანმოკლე გამოდგა. იგი მეუღლესთან, ფანასკერტელის ასულ სითხათუნთან ერთად დაკრძალულია ბანაში.

კომენტარი შემაჯამებელი სავარჯიშოსთვის:

წვავდნენ და ანადგურებდნენ სახნავ-სათეს ფართობებს, ვენახებსა და ხეხილის ბაღებს, რომ საკვები აღარ ჰქონოდა მოსახლეობას და მოსპობილიყო მეურნეობა, ჩეხდნენ თუთის ხეებს (აბრეშუმის წარმოება რომ ამოეძირკვათ) და კაკალს. ანგრევდნენ ეკლესიებს, ახალგაზრდა ქალებსა და ვაჟებს ტყვეებად მიერეკებოდნენ, დანარჩენებს ხოცავდნენ. დაპყრობილ ტერიტორიებზე ხდებოდა მომთაბარეთა ოჯახების ჩასახლება. განვითარებული მეურნეობის არსებობა მათთვის ხელისშემშლელი იყო, რადგან მთავარი ინტერესი ჯოგებისთვის იალალებისა და საზამთრო სადგომების უზრუნველყოფა იყო.

გაკვეთილი 56 შაჰ აბას I-ის შემოსევები კახეთში

განსავითარებელი უნარები: რუკაზე და წყაროებზე მუშაობის, დაკვირვების, შედარების, ლოგიკური დასკვნების გამოტანის, არგუმენტირებული მსჯელობისა და წერილი მეტყველების უნარ-ჩვევების გამომუშავება.

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს მინი-ლექციით: იგი მოსწავლეებს ინფორმაციას აწვდის შაჰ-აბასის და საქართველოში მისი ლაშქრობების შესახებ (5 წთ.). შემდეგ მასწავლებლის მითითებით მოსწავლეები დაკვირვებით ეცნობიან სახელმძღვანელოში მოცემულ ტექსტს სავარჯიშოებს (15 წთ.). პასუხების პრეზენტაციას 5 წუთი ეთმობა. გაკვეთილის მიწურულს მასწავლებელი აფასებს გაკვეთილის მიმდინარეობასა და მოსწავლეთა მონაწილეობას. საშინაო დავალებად ეძლევათ 1-ლი და მე-2 შემაჯამებელი სავარჯიშოები.

კომენტარი მასწავლებლისთვის: შაჰ-აბასის შემოსევების შედეგად კახეთმა დაკარგა თავისი მოსახლეობის ორ მესამედზე მეტი: 100 ათასი ბრძოლაში დაიღუპა, 200 ათასი გადაასახლეს ირანში. ირანში კახელთა გადასახლებით შაჰი იმედოვნებდა ინტენსიური სოფლის მეურნეობის წარმოებით ირანის ეკონომიკის გამოცოცხლებას. კახეთში ჩასახლებული თურქმანები ირანის დასაყრდენი იქნებოდა. კახეთის აოხრებით შაჰი ფიქრობდა, რომ საბოლოოდ გატეხდა ქართველთა წინააღმდეგობას და კახეთთან ერთად ქართლსაც ყიზილბაშურ პროვინციად გადააქცევდა.

1600-1606 წლებში ქართლში მეფობდა სვიმონ I-ის ძე გიორგი (X). 1598-1599 წლებში იგი აქტიურად მონაწილეობდა ქართლის აჯანყებებში ოსმალთა წინააღმდეგ. 1600 წელს ნახიდურთან ბრძოლაში ქართველთა დამარცხებისა და სვიმონის დატყვევების ამბავი გორში დაბანაკებულმა გიორგი ბატონიშვილმა მხოლოდ მეორე დღეს გაიგო. გაქცეულ მტერს თავისი მხედრები დაადევნა, მაგრამ ტყვეთა გათავისუფლება ვერ შეძლო. ქართლის ტახტზე ასული გიორგი X შეეცადა დიდი გამოსასყიდის საფასურად მამა დაეხსნა, თავისი ვაჟი

მძევლად გააგზავნა სტამბოლში, მაგრამ უშედეგოდ. 1602-1612 წლების ირან-ოსმალეთის ომის დროს იძულებული იყო ყიზილბაშთა მხარეს ებრძოლა. აქტიური მონაწილეობა მიიღო ერევნის აღებაში, რისთვისაც შაჰ-აბას I-მა ირანში რამდენიმე სოფელი უბოძა, ფულადი ჯამაგირი დაუნიშნა და ირანში დატოვა. სანაცვლოდ ლორეს პროვინცია და მდ. დებუდას ხეობა გამოსთხოვა. 1604 წელს გიორგი X შაჰის ნებართვით ქართლში დაბრუნდა თბილისსა და ახალციხეში მდგარი ოსმალების წინააღმდეგ საბრძოლველად. გიორგი X-მ საფუძველი ჩაუყარა ქართლისა და რუსეთის პოლიტიკურ ურთიერთობას. 1605 წელს მან ელჩები გააგზავნა, მაგრამ გართულებული პოლიტიკური ვითარების გამო ისინი არაგვის ხეობიდან უკან გამობრუნდნენ. 1606 წელს მეჯვრისხევეში მყოფი მეფე მოულოდნელად გარდაიცვალა. ქართული ქრონიკის მიხედვით, როდესაც თავლს მიერთმევედა, მასში ფუტკარი აღმოჩნდა, რომელმაც დაკბინა და მეფე ნაკბენებისგან გარდაიცვალა. სხვა ვერსიის მიხედვით იგი იმ დროს საქართველოში მყოფმა შაჰ-აბას I-მა მოანამვლინა.

კახეთის მეფის, ალექსანდრე II-ის (1574-1605) დროს კახეთი ტრადიციულ პოლიტიკასა და მშვიდობას ინარჩუნებდა, მდიდარ, ეკონომიკურად და კულტურულად განვითარებულ ქვეყანას წარმოადგენდა. 1578 წელს ალექსანდრე კახეთისკენ დაძრულ მუსტაფა ლალა ფაშას შეეგება, მორჩილება აღუთქვა და ყოველწლიური ხარკი იკისრა. ოსმალებმა მიიღეს მისი პირობა და შაქის დაპყრობა დაავალეს. ალექსანდრემ მართლაც ილაშქრა შაქში და იქ თავისი ძე, ერეკლე დატოვა მმართველად. 1585 წელს კახეთში რუსეთის მეფის ელჩი დანილოვი ჩამოვიდა და თევდორე მეფის სიგელი ჩამოიტანა. რუსეთის მეფე მფარველობასა და მეგობრობას სთავაზობდა ალექსანდრეს. დიპლომატიური მოლაპარაკების შედეგად 1587 წლის 28 სექტემბერს ალექსანდრემ ხელი მოაწერა “ფიცის წიგნს”, რომლის ძალითაც რუსეთი თავის მფარველობაში იღებდა კახეთის სამეფოს და გარეშე მტრისგან დაცვას პირდებოდა. XVI ს-ის ბოლოსთვის კახეთის მეფე კავკასიის დაუფლებისთვის მებრძოლი სამივე სახელმწიფოს (რუსეთი, ოსმალეთი, ირანი) ვასალობას აღიარებდა სამფლობელოში მშვიდობის შენარჩუნების მიზნით. მაგრამ ალექსანდრეს ავადმყოფობის დროს მისმა ძემ დავითმა 1601 წელს ტახტი მიიტაცა და მამა აიძულა ბერად აღკვეცილიყო. ალექსანდრემ მეფობა მხოლოდ 1602 წელს დაიბრუნა. 1603 წელს ირან-ოსმალეთის ომის დაწყებისას მას შაჰმა ერევანზე ლაშქრობაში მონაწილეობა დაავალა. ალექსანდრე კახეთში მხოლოდ 1605 წელს დაბრუნდა. შაჰმა მას გამაჰმადიანებული კონსტანტინე გამოაყოლა, რომელმაც ერთი წლის შემდეგ ირანელთა საიდუმლო დავალება აღასრულა და მამა და ძმა მოაკვლევინა.

გაკვეთილი 58 იმერეთის მეფე სოლომონ I (1752-1784)

განსავითარებელი უნარები: ლოგიკური აზროვნების, წყაროებზე მუშაობის, საკუთარი თვალსაზრისის გამოხატვისა და არგუმენტირებულად დაცვის.

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს მინი-ლექციით და მოსწავლეებს ესაუბრება სახელმწიფო მოღვაწისა და პიროვნების როლზე ისტო-

რიაში (5 ნთ.). შემდეგ მოსწავლეები ეცნობიან სახელმძღვანელოში მოცემულ ტექსტსა და წყაროებს, პასუხობენ შესაბამის კითხვებს წყაროების ქვეშ (15 ნთ.). მასწავლებელი კლასს ყოფს ჯგუფებად შემაჯამებელი აქტივობების შესასრულებლად. ჯგუფების თითო წარმომადგენელი კლასს აცნობს ნამუშევარს (მუშაობისთვის 15 ნთ., პრეზენტაციისთვის – 5 ნთ.). გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად არგუმენტირებულად აფასებს საუკეთესო ნამუშევრებს და გაკვეთილის მიმდინარეობას.

გაკვეთილი 65 1918-1921 – დამოუკიდებლობის სამი წელი

ანსავითარებელი უნარები: წყაროებზე მუშაობის, ლოგიკური დასკვნების გამოტანის, არგუმენტირებული მსჯელობის.

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს მინი-ლექციით და მოსწავლეებს ინფორმაციას აწვდის 1918 წელს შექმნილი პოლიტიკური ვითარებისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ (10 ნთ.). მისი მითითებით მოსწავლეები ეცნობიან სახელმძღვანელოში მოცემულ ტექსტს (10 ნთ.). ტექსტზე მუშაობის დროს ევალუატი მათთვის უცნობი ინფორმაციის რვეულში ამოწერა (5 ნთ.). შემდეგ მასწავლებელი სახელმძღვანელოში მოცემულ დავალებებს უნაწილებს მოსწავლეებს და სთხოვს რვეულში წერილობით შეასრულონ სამუშაო. მუშაობა სასურველია წარმართოს წყვილებად (10 ნთ.). პასუხების პრეზენტაციისთვის ეთმობათ 5 წუთი. შემაჯამებელი აქტივობა საშინაო დავალებად ეძლევათ.

გაკვეთილი 66 საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში

განსავითარებელი უნარები: შედარების, ანალიტიკური აზროვნების, დასკვნების გამოტანის, რუკაზე მუშაობის.

გაკვეთილის მიმდინარეობა: მასწავლებელი წყაროების გამოყენებით ესაუბრება მოსწავლეებს საბჭოთა კავშირის შესახებ (8 ნთ.).

შემდეგ მასწავლებლის თხოვნით დამოუკიდებლად ეცნობიან გაკვეთილის ტექსტს (8 ნთ.). მასწავლებლის ინიციატივით იწყება დისკუსია საბჭოთა სახელმწიფოს შესახებ – როგორ იმართებოდა სახელმწიფო, რატომ იყენებდა ხელისუფლება მოსახლეობის მიმართ ტერორს. იყენებენ T-სქემას. იმავდროულად, პასუხობენ დასმულ კითხვებსა და სავარჯიშოებს (15 ნთ.). დარჩენილი დრო ეთმობა შემაჯამებელ სავარჯიშოებსა და მათი პასუხების პრეზენტაციას (9 ნთ.).

გაკვეთილი 69 მე, შენ, ჩვენ

განსავითარებელი უნარები: დაკვირვების, ლოგიკური დასკვნების გამოტანის, შედარებისა და საკუთარი აზრის გამოთქმის.

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებელი გაკვეთილის იწყებს გ.ი. მეთოდით. მოსწავლეებს სთხოვს გაიხსენონ რა კითხვები უჩნდებათ, როცა უცხო ადამიანს პირველად ხვდებიან და რისი გავება სურთ მის შესახებ. შემდეგ მასწავლებელი სვამს კითხვას, იციან თუ

არა თავად ვინ არიან, რადგან იმისათვის რომ კარგად გააცნობიერო რა გაქვს საერთო და რა განსხვავებული სხვა ადამიანებთან, პირველ რიგში უნდა გაიზრო, თავად ვინ ხარ. მასწავლებელი მოსწავლეებს უსვამს გაკვეთილში მოყვანილ კითხვებს და დაფაზე სრულდება დავალება, სადაც მოსწავლეებმა უნდა მიუთითონ ის განსაკუთრებული მახასიათებლები, რითაც გამოირჩევიან ადამიანები სხვა არსებებისგან (4 წუთი). შემდეგ მასწავლებელი კვლავ გ.ი. მეთოდის გამოყენებით ბავშვებს ეკითხება თუ იციან რაიმე გამონათქვამები ან ანდაზები ადამიანის შესახებ და შემდეგ მათ აცნობს არისტოტელეს, თომას ჰობსის, ჟან-ჟაკ რუსოსა და იმანუელ კანტის გამონათქვამებს (8 წუთი). მას შემდეგ რაც მასწავლებელი მოსწავლეებს ესაუბრება ადამიანებს შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებაზე, მოსწავლეების ასრულებენ სავარჯიშოს. მათ რვეულში უნდა გადახაზონ გაკვეთილში მოცემული ცხრილის ნიმუში და შეავსონ წყვილებში. შემდეგ მასწავლებელთან ერთად შეაჯამონ დავალება (8 წუთი.) მასწავლებელი მოსწავლეებს ესაუბრება იმ საერთო მახასიათებლებზე, რაც მოსწავლეებს აქვთ იმ საზოგადოებასთან, რომელშიც ცხოვრობენ. კერძოდ, ოჯახი, სკოლა, სამეზობლო, უბანი, სოფელი ან ქალაქი, კუთხე, რეგიონი, ქვეყანა და ასრულებენ დავალებას, შესაძლებელია ინდივიდუალურად ან ჯგუფურად (10 წუთი). დარჩენილი დრო (10 წუთი) ეთმობა ადამიანის საჭიროებების მოვლენას. გაკვეთილში დასახელებული ძირითადი საჭიროებების ჩამონათვალი მოსწავლეებმა თავად უნდა შეავსონ. მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ადამიანებს შორის ურთიერთობა, მზრუნველობა, უსაფრთხო გარემო.

გაკვეთილი 70 საზოგადოება და წესრიგი

განსავითარებელი უნარები: დაკვირვების, ლოგიკური დასკვნების გამოტანის, შედარების, საკუთარი აზრის გამოთქმის და წერილობით აზრის ჩამოყალიბებისა და დასაბუთების.

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებელი მოსწავლეებს უხსნის, რომ განსხვავებების მიუხედავად, ადამიანებს ყოველდღიურად უწევთ გვერდი-გვერდ ცხოვრება და შრომა. ასევე უხსნის თუ რა არის საზოგადოება (5 ნთ). შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს დავალებას, გაეცნონ წყარო 1-ში მოცემულ განმარტებებს და თითოეული განმარტებისთვის მოიტანონ შესაბამისი მაგალითი. შემდეგ კი, ამ განმარტებებზე დაყრდნობით, თავად მოიფიქრონ სიტყვა “საზოგადოების” განმარტება (10 ნთ). შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს უხსნის, რა აქცევს ადამიანთა ერთობას საზოგადოებად, რა არის კარგი და რა ბოროტება, რა მისაღები და რა მიუღებელი და მოსწავლეებს სთავაზობს გაეცნონ წყარო 2-ს (5 ნთ.) შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს უხსნის, რა არის ადათი და რა სამართალი. ადათზე საუბრისას შესაძლებელია მასწავლებელმა წინა წლებში ნასწავლი, რომელიმე კუთხის ადათი შეახსენოს მოსწავლეებს (5 ნთ). შემდეგ მოსწავლეების ეცნობიან წყარო 3-ს. და სქემა 1-ს (5 ნთ). დასასრულს მოსწავლეები ასრულებენ შემაჯამებელ დავალებას, რომელიც დეტალურად არის აღწერილი მოსწავლის ნიგნში (15 ნთ).

გაკვეთილი 71 ღირსება, თანასწორობა, თავისუფლება

განსავითარებელი უნარები: დაკვირვების, ძველი და ახალი მასალის ერთმანეთთან დაკავშირების, ლოგიკური დასკვნების გამოტანის, შედარების, საკუთარი აზრის გამოთქმის, ჩამოყალიბებისა და დასაბუთების.

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებელი გ.ი. მეთოდის გამოყენებით მოსწავლეებს სთხოვს გაიხსენონ ადამიანების საერთო ნიშან-თვისებები და აუცილებელი საჭიროებები (5 წთ.). შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს ესაუბრება ღირსებაზე, თანასწორობასა და თავისუფლებაზე და მოსწავლეები ეცნობიან ცნობა 1,2 და 3-ს და პასუხობენ დავალებაში მოცემულ კითხვებს (10 წთ). მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს ისტორიიდან ან ყოველდღიურობიდან გაიხსენონ სხვა მაგალითები (5 წთ.). შემდეგ მოსწავლეები ეცნობიან წყარო 2-ში მოყვანილ გამონათქვამებს. ამ შემთხვევაშიც შესაძლებელია, რომ მასწავლებელმა მოსწავლეებს სთხოვოს სხვა გამონათქვამების გახსენებაც (7 წთ.). მასწავლებელი მოსწავლეებს ახსენებს, თუ რა არის კონსტიტუცია, შესაძლებელია გ.ი. მეთოდის გამოყენება და აცნობს მათ საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლს და იმართება მცირე დისკუსია ამ მუხლის მნიშვნელობის შესახებ (8 წთ.). დასასრულს, მოსწავლეები ასრულებენ გაკვეთილის ბოლოს მოცემულ დავალებას (10 წთ.).

გაკვეთილი 72 როგორ აღსრულდება სამართალი?

განსავითარებელი უნარები: დაკვირვების, ძველი და ახალი მასალის ერთმანეთთან დაკავშირების, ოფიციალური დოკუმენტის გაცნობის და ლოგიკური დასკვნების გამოტანის, შედარების, საკუთარი აზრის გამოთქმის, ჩამოყალიბებისა და დასაბუთების.

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებელი გ.ი. მეთოდის გამოყენებით მოსწავლეებს სთხოვს გაიხსენონ 70-ე გაკვეთილში მოცემული სქემა, სადაც ასახულია კავშირი მორალს, ადათსა და სამართალს შორის და შემდეგ მოსწავლეებს აწვდის ინფორმაციას პირველი წერილობითი სამართლებრივი დოკუმენტის შესახებ და დისკუსიის მეთოდის გამოყენებით მოსწავლეები პასუხობენ წყარო 1-ს შემდეგ მოცემულ კითხვებს. შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს უხსნის, თუ რა საჭიროა სამართალი და რისთვის იქმნება კანონები (8 წუთი). გაკვეთილის შემდეგ 15 წუთი ეთმობა სავარჯიშოს შესრულებას. მასწავლებელი მოსწავლეებს ყოფს ხუთ ჯგუფად და თითოეულ ჯგუფს აძლევს დამოუკიდებელ დავალებას. ჯგუფების დავალებები აღწერილია მოსწავლის წიგნში. მოსწავლეები უნდა გაეცნონ “მოსწავლეთა ქცევის კოდექსის” მუხლებს, უპასუხონ მათი ჯგუფისთვის განსაზღვრულ კითხვებს და მოამზადონ მცირე ზომის პრეზენტაცია. 15 წუთის გასვლის შემდეგ ჯგუფები თანმიმდევრობით აწყობენ პრეზენტაციას. თითოეული პრეზენტაციის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 3-4 წუთს და ამის თაობაზე ინფორმაცია მასწავლებელმა წინასწარ უნდა მიანდოს. შემაჯამებელი დავალების დროს, თითოეული პრეზენტაციის შემდეგ მასწავლებელი მოკლედ აზოგადებს ჯგუფების ნამუშევრებს. ამ შემაჯამებელი დავალების მიზანია მოსწავლეებმა კარგად გაუგონ, რომ ნებისმიერი კანონი და ამ კონკრეტულ შემთხვევაში მოსწავ-

ლეთა ქცევის კოდექსი შექმნილია არა იმისთვის, რომ დასაჯოს მოსწავლეები, არამედ ყველა კანონისა და ამ კოდექსის მთავარი მიზანია დაიცვას ადამიანი-მოსწავლე, უზრუნველყოს მოსწავლისთვის უსაფრთხო და კეთილგანწყობილ გარემოში განათლების მიღება, განვითარება, გართობა და დასვენება.

გაკვეთილი 73 ბავშვის უფლებები

განსავითარებელი უნარები: დაკვირვების, ძველი და ახალი მასალის ერთმანეთთან დაკავშირების, ოფიციალური დოკუმენტის გაცნობის, ლოგიკური დასკვნების გამოტანის, შედარების, საკუთარი აზრის გამოთქმის, ჩამოყალიბებისა და დასაბუთების.

გაკვეთილის მსვლელობა: გ.ი. მეთოდის გამოტენებით მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს მოკლედ ჩამოყალიბონ საკუთარი უფლებები - მოვალეობები, როგორც სკოლაში, ისე მის გარეთ (5 წთ). შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს უხსნის, რა გულისხმობს ტერმინები “არასრულწლოვანი” და “სრულწლოვანი” (5 წთ.). შემდეგ მოსწავლეები რვეულში, დამოუკიდებლად ასრულებენ დავალებას და შემდეგ მასწავლებელთან ერთად დაფაზე აჯამებენ (8 წთ). მასწავლებელი მოსწავლეებს უამბობს გაეროსა და ბავშვის უფლებების კონვენციის შექმნისა და მათი მნიშვნელობის შესახებ (5 წთ.). შემდეგი 22 წუთი ეთმობა პრაქტიკულ სამუშაოს. მოსწავლეებმა კლასში უნდა შეასრულონ პირველი დავალება, ხოლო მეორე და მესამე დავალება – შინ, დამოუკიდებლად.

გაკვეთილი 74 უფლებები და მოვალეობები

განსავითარებელი უნარები: დაკვირვების, ძველი და ახალი მასალის ერთმანეთთან დაკავშირების, ლოგიკური დასკვნების გამოტანის, შედარების, საკუთარი აზრის გამოთქმის, ჩამოყალიბებისა და დასაბუთების.

გაკვეთილის მსვლელობა: თავდაპირველად მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს წარმოადგინონ საშინაო დავალება და მათთან ერთად აჯამებს 73-ე გაკვეთილს (10 წთ.). შემდეგ მოსწავლეები წვილდებიან და ასრულებენ დავალებებს (8 წთ.). შესრულებულ სამუშაოს მასწავლებელთან ერთად აჯამებენ დაფაზე და პარალელურად მასწავლებელი მოსწავლეებს უხსნის თუ ვის მიმართ შეიძლება ჰქონდეთ უფლება-მოვალეობები, რას გულისხმობს უფლების შეზღუდვა (8 წთ.). შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს წყარო 1-სა და წყარო 2-ს და მართავს მცირე დისკუსიას თემაზე: “შენი უფლება სრულდება იქ, სადაც სხვისი უფლება იწყება” (10 წთ.). დასასრულს, მოსწავლეები ასრულებენ გაკვეთილის ბოლოს მოცემულ შემაჯამებელ დავალებას.

გაკვეთილი 75 როგორ მოვაგვართ კონფლიქტები?

განსავითარებელი უნარები: დაკვირვების, ძველი და ახალი მასალის ერთმანეთთან დაკავშირების, ლოგიკური დასკვნების გამოტანის, შედარების, საკუთარი აზრის გამოთქმის, ჩამოყალიბებისა და დასაბუთების.

გაკვეთილის მსვლელობა: კონფლიქტები მოგვარების ხერხების ახსნამდე მასწავლებელს შეუძლია გაიხსენოს კლასში ან სკოლაში მომხდარი რაიმე კონფლიქ-

ტი ან კონფლიქტები, რომლებიც ცნობილია მოსწავლეებისთვის და მოსწავლეებს ჰკითხოს თუ ახსოვთ თუ როგორ დარეგულირდა აღნიშნული კონფლიქტები (5 წთ.). შემდეგ მასწავლებელი მაგალითის გამოყენებით მოსწავლეებს უხსნის თუ რა არის კონფლიქტი და რომელის მისი მოგვარების სამი მთავარი ხერხი. შემდეგ მოსწავლეები პასუხობენ კითხვებს (10 წთ.). შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს უხსნის, თუ როგორ ერევა სახელმწიფო კონფლიქტის მოგვარებაში და რა მნიშვნელობა აქვს სასამართლოს. მოსწავლეები პასუხობენ კითხვას, თუ რატომ არის მხარეთა მორიგება საუკეთესო შედეგად მიჩნეული (8 წთ.). მასწავლებელი მოსწავლეებს უხსნის, თუ რატომ ავალეს კანონმდებლობა მოსამართლეს ყველა ღონე იხმაროს დაპირისპირებული მხარეების მოსარიგებლად და აცნობს მათ წყარო 1-ს. ამის შემდეგ მოსწავლეებმა უნდა უპასუხონ წყარო 1-ს. ამის შემდეგ მოცემულ კითხვებს (8 წთ.). მასწავლებელი გ.ი. მეთოდის გამოყენებით მოსწავლეებს ახსენებს დავით აღმაშენებლის მოღვაწეობას და აცნობს მათ ცნობა 1-ს და მოსწავლეები მსჯელობენ მოცემულ საკითხზე და პასუხობენ კითხვებს (7 წთ.). დასასრულს, მოსწავლეები ასრულებენ შემაჯამებელ დავალებას (7 წთ.).

გაკვეთილი 87 უცხოელი მოგზაურები საქართველოში

განსავითარებელი უნარები: წყაროებსა და რუკაზე მუშაობის, დასკვნების ჩამოყალიბების, დამოუკიდებლად და ჯგუფური მუშაობის, წერიტი მეტყველების.

გაკვეთილის მიმდინარეობა: მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს მინი-ლექციით საქართველოში ნამყოფი უცხოელი მოგზაურების შესახებ (7 წთ.). შემდეგ ყოველი მოსწავლე რიგ-რიგობით ასახელებს რიცხვებს 1, 2, 3, 4, 5. ყოველი 1-ლი ნომერი კითხულობს ინფორმაციას შარდენის შესახებ, ყოველი მე-2 ნომერი – გიულდენშტედტის შესახებ, ყოველი მე-3 ნომერი – დიუმას შესახებ, ყოველი მე-4 ნომერი – ტილკეს შესახებ და ყოველი მე-5 ნომერი – სელას შესახებ. (10 წთ.).

შემდეგ მასწავლებელი ყველა 1-ლ ნომერს ერთ ჯგუფად დასვამს, ასევე ყველა მე-2 და მე-3 ნომერს. მომდევნო 5 წუთის განმავლობაში მათ უნდა შეაჯერონ შესრულებული დავალებები და თითოეულმა ჯგუფმა წარმოადგინოს პრეზენტაცია (5 წთ.). გაკვეთილის მიწურულს წერილობით მოკლედ უპასუხონ კითხვას: “რომელმა უცხოელმა მოგზაურმა დამინტერესა და რატომ?” (8 წთ.). საშინაო დავალებად ეძლევათ შემაჯამებელი სავარჯიშოები.

კომენტარი მასწავლებლისთვის: მოსწავლეებმა უნდა განსაზღვრონ უცხოელ მოგზაურთა ღვანლის მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნისათვის. სუსტი მოსწავლის მოსწავლეებმა სასურველია მასწავლებლის დახმარებით იმუშაონ ტექსტსა და წყაროებზე.

გაკვეთილი 88 ქართველი მოგზაურები

განსავითარებელი უნარები: წყაროებსა და რუკაზე მუშაობის, დასკვნების ჩამოყალიბების, დამოუკიდებლად და ჯგუფური მუშაობის, წერიტი მეტყველების.

გაკვეთილის მიმდინარეობა: მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს წინა გაკვეთილზე მიცემული დავალების შემოწმებით (5 წთ.). შემდეგ მოკლედ ესაუბრება სხვადასხვა დროის ქართველი მოგზაურებისა და საქართველოში ნამყოფი უცხოელი მოგზაურების შესახებ (5 წთ.). შემდეგ კლასს ავალეს ტექსტის ყურადღებით ნაკითხვას, რადგან შემდეგ რვეულებში წერილობით უნდა გადაიტანონ თითოეული მოგზაურობის მარშრუტი (10 წთ.).

გაკვეთილის დარჩენილი დროის განმავლობაში ჯგუფებად დაყოფილი კლასი ერთმანეთს ადარებს სამი მოგზაურის მარშრუტს და ეცნობა შემაჯამებელ დავალებას. პასუხების პრეზენტაციას 5 წუთი ეთმობა.

კომენტარი მასწავლებლისთვის: მოსწავლეებმა უნდა განსაზღვრონ ქართველ მოგზაურთა ღვანლის მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნისათვის. სუსტი მოსწავლის მოსწავლეებმა სასურველია მასწავლებლის დახმარებით იმუშაონ ტექსტსა და წყაროებზე.

X. თავების შემაჯამებელი სავარჯიშოების პასუხები

1-ლი თავის შემაჯამებელი სავარჯიშოების პასუხები

1 – გ, 2 – ბ, 3 – გ, 4 – გ, 5 – გ, 6 – გ, 7 – ა, 8 – ბ, 9 – ბ, 10 – გ, 11 – ბ, 12 – გ.

მე-2 თავის შემაჯამებელი სავარჯიშოების პასუხები

1. ა – შიდა ქართლი, ბ – სვანეთი, გ – ჯავახეთი, დ – სამეგრელო, ე – შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, კახეთი, სამცხე, ე – აჭარა.

2.

მდინარე	სათავე	სად ჩაედინება	გამოყენება
მტკვარი	თურქეთი	კასპიის ზღვა	მორწყვა, ამარაგებს ჰესებს, ფაბრიკა-ქარხნებს უზრუნველყოფს ტექნიკური წყლით, გამოიყენება საცურაოდ პატარა გემებისთვის მინგეჩაურიდან ზღვაში შერთვამდე, აცურებენ ხეტყეს ბორჯომის ხეობიდან თბილისამდე, თევზჭერა
რიონი	კავკასიონი	შავი ზღვა	მორწყვა, ამარაგებს ჰესებს,
ალაზანი	კავკასიონი	მინგეჩაურის წყალსაცავი	მორწყვა, ამარაგებს მინგეჩაურის წყალსაცავს
იორი	კავკასიონი	მინგეჩაურის წყალსაცავი	მორწყვა, ამარაგებს სიონისა და თბილისის წყალსაცავებს
ენგური	მყინვარი ენგური	შავი ზღვა	მორწყვა, ამარაგებს ენგურჰესს, აცურებენ ხეტყეს სოფელ ლახაშულიდან სოფელ შამგონამდე
ჭოროხი	თურქეთი	შავი ზღვა	მორწყვა, ამარაგებს მცირე ჰესებსა და დერინერის კაშხალს

3.

ტბა	მდებარეობა	განსაკუთრებული ნიშანი	გამოყენება
რიწა	აფხაზეთი, მდ. ბზიფის აუზი	სამხრეთი კავკასიის უღრმესი ტბა, სეზონების მიხედვით იცვლის ფერს, წყალი მეტად მტკნარია	ბინადრობს კალმახი, არის საკურორტო ადგილი
პალიასტომი	ქალაქ ფოთთან	გადამფრენი ფრინველების თავშეყრის ადგილი, კოლხეთის ეროვნული პარკის შემადგენლობაშია, წყლის სიმლაშემ მოიმატა ზღვასთან დამაკავშირებელი არხის გაყვანის შემდეგ	თევზჭერა, ხეტყის დაცურება
ბაზალეთი	ქალაქ დუშეთის სამხრეთით	მდიდარია თევზით, მრავლადაა წყლის მცენარეულობა და ლელქაში	თევზჭერა, მორწყვა, აგებულია ტურისტული კომპლექსი
ფარავანი	ჯავახეთის ზეგანი	ფართობით უდიდესი ტბაა საქართველოში	თევზჭერა
ტაბაწყური	სამცხე-ჯავახეთის მხარე	ყველაზე მეტი წყალუხვობით გამოირჩევა საქართველოში	თევზჭერა
ჯანდარი	გარდაბანთან, მდ. მტკვრის აუზი	მისი ნახევარი ახერბაიჯანის ტერიტორიაზეა, ტბის სწორი ფსკერი რუხი ლამითაა დაფარული	მორწყვა, თევზჭერა

4.

წყალსაცავი	მდებარეობა	გამოყენება
თბილისის	ივრის ზეგანი, თბილისის ჩრდილო-აღმოსავლეთით	მორწყვა, თბილისის წყალმომარაგება, თევზის რეწვა, წყლის სპორტული სახეობები, დასასვენებელი კომპლექსი

სიონის	ივრის ხეობა, სოფელ სიონთან	მორწყვა, თევზჭერა, მცირე ჰესები, დასასვენებელი ადგილი
წალკის	მდინარე ხრამი	მორწყვა, ამარაგებს ხრამჭესს, საქართველოს უდიდესი წყალსაცავია
შაორის	რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე	ამარაგებს შაორის ჰესს, დასასვენებელი ადგილი

5. შავი ზღვის მნიშვნელობა საქართველოსთვის

ტვირთების გადაზიდვა	ნავთობის გადაზიდვა	თევზჭერა	სუბტროპიკული და მარადმწვანე მცენარეების მოყვანა	კურორტი
ა	ბ	გ	დ, ე	ვ

6. ა – შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, კახეთი, იმერეთი, სამცხე, ჯავახეთი.
 ბ – თუშეთი, სვანეთი, აჭარა, იმერეთი, კახეთი, ქვემო ქართლი.

მე-3 თავის შემაჯამებელი სავარჯიშოები

- 1 – ბ, 2 – ა, 3 – ბ, 4 – ა, 5 – ბ, 6 – გ, 7 – გ, 8 – ა, 9 – ბ, 10 – ა.
 12. “სნორია”: ბ, გ, ვ, ი, კ. “მცდარია”: ა, დ, ე, ზ, თ.

მე-4 თავის შემაჯამებელი სავარჯიშოები

- 1 – ა 2 – ბ 3 – ა 4 – ბ 5 – ა 6 – ბ 7 – გ 8 – ბ 9 – ა 10 – ბ 11 – ა 12 – ა.

14. “გამოგონებები”

ტრანსპორტი	კომუნიკაციები	ყოველდღიური ცხოვრება
1872	1982	1863
1885	1890	1938
1903	1907	1950
1905	1930	1959
1937	1962	1963
	1989	1972
	1990	1988
	1991	

მე-5 თავის შემაჯამებელი სავარჯიშოები

1.
 ა – 4, ბ – 7, გ – 5, დ – 6, ე – 3, ვ – 2, ზ – 8, თ – 1.

5.

- ა) კოლხეთის ზღვისპირა ზოლზე ბერძნული ახალშენები დაარსდა ძვ.წ. VII-VI სს-ში.
 ბ) 1940 წელს აღმოჩენილი არმაზის ორენოვანი წარწერა შესრულებულია ბერძნულ და არამეულ ენებზე.
 გ) დღევანდელ ნოქალაქევს ბერძნულ წყაროებში ეწოდება “არქეოპოლისი”.
 დ) VIII ს-ში ქართლში არაბთა ბატონობის პერიოდს “არაბობა” ეწოდება.
 ე) მონამეთას ეკლესიაში დაკრძალეს დავით და კონსტანტინე მხეიძეები.
 ვ) მეფე ბაგრატ III-ის ტიტული იყო “მეფე აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა”.
 ზ) შუა საუკუნეებში ჯარის სარდალს ეწოდებოდა ამირსპასალარი.

- თ) კახეთიდან მოსახლეობის ნაწილი ირანის პროვინცია ფერეიდანში გადაასახლა შაჰ აბას I-მა.
- ი) ბასიანის ბრძოლაში საქართველოს ჯარს დაუპირისპირდა რუმის სულთანი რუქნ ად-დინი.
- კ) XVI ს-ში დასავლეთ საქართველოს დაეპატრონა ოსმალები.
- ლ) ცხრა ძმა ხერხეულიძე დაიღუპა მარაბდის ბრძოლაში.
- მ) 1795 წლის 10 სექტემბერს ალა მაჰმად ხანის წინააღმდეგ ბრძოლა მოხდა კრწანისის ველზე.
- ნ) 1801 წელს რუსეთის იმპერატორის მანიფესტით გაუქმდა ქართლ-კახეთის სამეფო.
- ო) “თერგდალეულებმა” მოღვაწეობა დაიწყეს XIX საუკუნის 60-იან წლებში.
- პ) საქართველოს პირველმა დამოუკიდებელმა რესპუბლიკამ სამ წელიწადს იარსება.
- ჟ) სსრკ დაიშალა 1991 წელს.
- რ) საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1991 წელს.

მე-6 თავის შემაჯამებელი სავარჯიშოები

1 – გ, 2 – ბ, 3 – გ, 4 – ბ.

5. თავისუფალია, თანასწორია, ენისა, რელიგიისა, ეროვნული, წარმოშობისა, საცხოვრებელი ადგილისა.

6.

მოსწავლის ქცევის კოდექსი	ბავშვის უფლებათა კონვენცია
ა, დ, გ, ზ, კ, ლ	ბ, გ, ე, თ, ი, მ

მე-7 თავის შემაჯამებელი სავარჯიშოები

1 – გ, 2 – ბ, 3 – გ, 4 – ა, 5 – ბ, 6 – ა, 7 – ა, 8 – ბ, 9 – ბ, 10 – ა, 11 – ბ, 12 – ა, 13 – ბ, 14 – გ 15 – ა, 16 – გ, 17 – ბ.

XI. ბიბლიოგრაფია

თავი 1. დრო და ისტორია

1. ვილჰელმ კოპალეიშვილი, მითებიდან კალენდრებამდე, თბ., 1991
2. ჯანსუღ კეკელია, დრო და კალენდარი, თბ., 2007
3. ერის უბელაკერი, დრო და კალენდარი, სერია “რა არის რა”, გამომც. “ელფი”, თბ., 2009

თავი 2. გარემო და ადამიანი

1. საქართველოს გეოგრაფია, ნაწილი I, (ფიზიკური გეოგრაფია), გეოგრაფიის ინსტიტუტის გამოცემა, თბ., 2000
2. გიორგი აფრასიძე, საქართველოს შუა საუკუნეების ქალაქები, თბ., 1984
3. გიორგი ბაგრატიონ-დავითაშვილი, ლია შალვაშვილი, ტრადიციული დასახლება და საცხოვრებელი ნაგებობანი საქართველოში, თბ. 2010
4. პაატა ბუხრაშვილი, საცხოვრისი ქართველი ერის ყოფასა და კულტურაში ძველად, თბ., 2005
5. ელიზბარ ელიზბარაშვილი, საქართველოს კლიმატური რესურსები, თბ., 2007

თავი 3. საქართველოს მოსახლეობა

საქართველოს გეოგრაფია, ნაწილი II, (სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია), გეოგრაფიის ინსტიტუტის გამოცემა, თბ., 2003

თავი 4. ადამიანის საქმიანობა წარსულში და დღეს

1. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, გიორგი მელიქიშვილის რედაქციით, თბ. 1970
2. საქართველო პირველი ევროპელის სამშობლო, თბ., 2000
3. საქართველოს არქეოლოგია, ტომი I, თბ., 1991; ტომი II, თბ., 1992
4. ქართველი ხალხის ეთნოგენეზი, თბ., 2002
5. ქართლის ცხოვრება, I, სიმონ ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1955
6. ენციკლოპედია “საქართველო”, ტომი I, თბ., 1997
7. საქართველოს ისტორიის ატლასი, მთ. რედაქტორი დავით მუსხელიშვილი, თბ., 2003
8. საქართველოს ეროვნული მუზეუმის საგანძურიდან, მუზეუმის კატალოგი
9. ნინო ბრაილაშვილი, საქართველოს ეთნოგრაფია, თბ., 1990
10. მიხეილ გეგეშიძე, ქართული ხალხური ტრანსპორტი, I, (სახმელეთო საზიდი საშუალებები), თბ., 1956
11. ქიშვარდ ისაკაძე, საფეიქრო საქმე საქართველოში უძველესი დროიდან მეცხრამეტე საუკუნემდე, თბ., 1970
12. ცისანა კაკაბაძე, შროშული კერამიკა, თბ., 1982
13. ოთარ ლორთქიფანიძე, ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან, თბ., 2002
14. ოთარ ლორთქიფანიძე, არგონავტიკა და ძველი კოლხეთი, თბ., 1986
15. ოთარ ლორთქიფანიძე, ვანის ნაქალაქარი, თბ., 1972
16. ოთარ ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბ., 1966
17. აკაკი ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., 1964
18. ივანე ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტომად, ტომი I, თბ., 1979
19. ოთარ ჯაფარიძე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, ქართველი ტომების ისტორიისათვის ძვ.წ. II ათასწლეულში, თბ., 1969
20. ოთარ ჯაფარიძე, საქართველოს ისტორიის სათავეებთან, თბ., 2000
21. ოთარ ჯაფარიძე, ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან, თბ., 2006

თავი 5. ადამიანი და სახელმწიფო

ლიტერატურა

1. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, გიორგი მელიქიშვილის რედაქციით, თბ. 1970
2. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, შოთა მესხიას რედაქციით, თბ., 1973
3. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, ზურაბ ანჩაბაძის და ვახტანგ გუჩუას რედაქციით, თბ., 1979
4. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, მამია დუმბაძის რედაქციით, თბ., 1979
5. პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტომი I, თბ., 1991; ტომი II, 1993; ტომი III, 2005
6. საქართველოს მეფეები, თბ., 2007
7. საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ., 1993
8. შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, ივ. ჯავახიშვილის რედაქციით, თბ., 1938
9. საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კრებულები
10. ქართული წყაროთმცოდნეობა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის

- სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კრებულები
11. საქართველოს ისტორია, XIX საუკუნე, თსუ-ს გამოცემა, თბ., 2004
 12. საქართველოს ისტორია, XX საუკუნე, თსუ-ს გამოცემა, თბ., 2003
 13. საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო ორ ტომად, თსუ-ს გამოცემა, თბ., 2006
 14. საქართველოს სახელმწიფო დროშები და გერბები, თბ., 1990
 15. საქართველო ათასწლეულების გასაყარზე, თბ., 2005
 16. კარგ ქართველთა ხსოვნისათვის, თბ., 2006
 17. დიდი მცხეთა და ქვეყანა მისი, თბ., 2004
 18. XIX საუკუნის ქართველი მოღვაწენი, თბ., 2009
 19. საქართველოს პრეზიდენტების საინაუგურაციო სიტყვები, თბ., 2007
 20. ივანე ჯავახიშვილი, საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია, თბ., 1993 (1095 წლის გამოცემის რეპრინტი)
 21. ივანე ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტომად, ტომი I, თბ., 1979
 22. შოთა მესხია, საისტორიო ძიებანი, ტ. I, თბ., 1982; ტ. II, თბ., 1983; ტ. III, თბ. 1986
 23. ნიკო ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი II, თბ., 1965; წიგნი III, თბ., 1966; წიგნი IV, თბ. 1968; წიგნი VI, თბ., 1973
 24. სარგის კაკაბაძე, საქართველოს მოკლე ისტორია, ტფ., 1920
 25. სარგის კაკაბაძე, ქართველი ხალხის ისტორია (1783-1921), თბ. 1997
 26. გიორგი ანჩაბაძე, საქართველოს ომების ქრონოლოგია, თბ., 1998
 27. დავით მუსხელიშვილი, ფეოდალიზმის ხანის საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციისათვის (V-X სს.), მაცნე, ისტორიის სერია, 2, თბ., 1980
 28. დავით მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ., 1977
 29. მზია სურგულაძე, ბაგრატიონთა სამეფო სახლი, გენეალოგიური ტაბულის შემდგენლები მზია სურგულაძე, მიხეილ ქავთარია, თბ., 1991
 30. დავით ნინიძე, მუხრანბატონები, თბ., 1997
 31. დავით ნინიძე, "პროვინციის მეფეები" XIV-XV საუკუნეების საქართველოში, თბ., 1995
 32. გიორგი დუნდუა, თედო დუნდუა, ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 2007
 33. ნიკოლოზ ჯანაშია, ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ნარკვევები, თბ., 1986
 34. კორნელი კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი I, თბ., 1960; ტომი II, თბ., 1958
 35. ნოდარ ლომოური, ძირძველი ქართული მხარის, აფხაზეთის ისტორიისათვის, თბ., 2008
 36. დიმიტრი ლეთოდანი, ძიებანი, თბ., 2003
 37. დავით ხომტარია, ტაო-კლარჯეთის ეკლესია-მონასტრები, თბ., 2005
 38. აკაკი სურგულაძე, პაატა სურგულაძე, საქართველოს ისტორია (1783-1990), საკითხავი წიგნი, თბ., 1991
 39. ვალერი სილოგავა, კახა შენგელია, საქართველოს ისტორია, თბ., 2006
 40. ვაჟა შუბითიძე-მაჭარაშვილი, დავით ბოლქვაძე, ქართული ციხესიმაგრეები და ეკლესია-მონასტრები, თბ., 2008
 41. თენგიზ პაპუაშვილი, საინგილოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 2008
 42. გიგი თევზაძე, საქართველო: ძალაუფლების დაბრუნება, თბ., 2003
 43. სიმონ მასხარაშვილი, მატთანე ქართველთა, თბ., 2006
 44. ანდრია აფაქიძე, გიორგი კალანდაძე, ალექსანდრე ლომთათიძე, მცხეთა (არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები), ტომი I, თბ., 1955
 45. გიორგი ლომთათიძე, საქართველოს მოსახლეობის კულტურა და ყოფა I-XIII სს., თბ., 1982
 46. ლ. ფანცხავა, კოლხური კულტურის მხატვრული ხელოსნობის ძეგლები, თბ., 1988
 47. გიორგი მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1967
 48. კიაზო ფიცხელაური, აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ. წ. XV-VII სს.), თბ. 1973
 49. მერი ინაძე, ძველი კოლხეთის საზოგადოება, თბ., 1994
 50. გიორგი წერეთელი, არმაზის ბილინგვა, თბ., 1949
 51. გელა გამყრელიძე, მარინე ფირცხალავა, გურამ ყიფიანი, ძველი საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები (გარემო, წერილობითი წყაროები, პოლიტიკური სიტუაცია, ფორტიფიკაცია, შეიარაღება), თბ., 2005
 52. გელა გამყრელიძე, კოლხეთი (კულტურულ-ისტორიული ნარკვევი), თბ., 2002
 53. გელა გამყრელიძე, ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები, თბ., 1982
 54. გელა გამყრელიძე, ომი და შეიარაღება იბერია-კოლხეთში, თბ. 2010
 55. აკაკი ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., 1964
 56. თამაზ ბერაძე, ნაოსნობა ძველ საქართველოში, თბ., 1982
 57. ირაკლი სურგულაძე, ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა, თბ., 1986
 58. დავით კაკაბაძე, ქართული ორნამენტის გენეზისი, თბ. 2003
 59. მანანა ხიდაშელი, სამყაროს სურათი არქაულ საქართველოში, თბ., 2001
 60. ნოდარ ლომოური, ეგრისის სამეფოს ისტორია (წარმოქმნიდან V ს-ის ბოლომდე), თბ., 1968

61. მარიამ ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება (IX-X სს.), თბ., 1963
62. მარიამ ლორთქიფანიძე, დევი ბერძენიშვილი, საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები, თბ., 2005
63. სარგის კაკაბაძე, ვახტანგ გორგასალი, თბ., 1959
64. როინ მეტრეველი, დეკლასირებული ელემენტები შუა საუკუნეების საქართველოში (V-XIII სს.) (გლახაკები), თბ., 1976
65. როინ მეტრეველი, შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალური ხანის საქართველოში, თბ., 1973
66. გურამ მამულია, პატრონცმობა, თბ., 1987
67. ქველი ჩხატარაიშვილი, თავისუფალნი ფეოდალურ საქართველოში, თბ., 1991
68. ვახტანგ კოპალიანი, საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში, თბ., 1969
69. თეიმურაზ პაპუაშვილი, რანთა და კახთა სამეფო (VIII-XI სს.), თბ., 1982
70. ვახტანგ გვილაძე, აბრეშუმის დიდი სავაჭრო გზა და საქართველო, თბ., 1997
71. თეიმურაზ მიჩხუანი, აფხაზეთის მეფეები და მთავრები, თბ. 1997
72. ნოდარ შენგელია, სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში, თბ., 1968
73. როინ მეტრეველი, დავით IV აღმაშენებელი, თბ., 1990
74. ჯემალ სტეფანაძე, მეფეთ-მეფე გიორგი მესამე, თბ., 1999
75. მზია სურგულაძე, ქართული საისტორიო აქტები (XI-XV სს.), თბ., 2006
76. როინ მეტრეველი, თამარ მეფე, თბ., 1991
77. ნუნუ მამუკაშვილი, დავით მეოთხე აღმაშენებელი, თბ., 2005
78. ივანე შაიშველაშვილი, შამქორი, ბასიანი, თბ., 1981
79. ჯემალ სტეფანაძე, საქართველო XII ს და XIII ს-ის პირველ მეოთხედში, თბ., 1985
80. შოთა ბადრიძე, საქართველო და ჯვაროსნები, თბ., 1985
81. ვახტანგ კოპალიანი, ურთიერთობა ბიზანტიასთან, ჯვაროსნებთან, თბ., 1969
82. ბეჟან ლომინაძე, გელათი, თბ., 1955
83. გულჩინა აკოფაშვილი, რაინდობა შუა საუკუნეების საქართველოში, თბ., 1992
84. იასე ცინცაძე, მონღოლები და მონღოლთა დაპყრობები, თბ., 1966
85. ციალა ღვაბერიძე, საქართველოს ურთიერთობა ილხანთა ირანთან და ჯელაირთა სახელმწიფოსთან, თბ., 1986
86. ალექსანდრე აბდალაძე, ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა IX-XI საუკუნეებში, თბ., 1988
87. დავით კაციტაძე, საქართველო XIV-XV სს. მიჯნაზე, თბ., 1975
88. ვაჟა კიკნაძე, საქართველო XV საუკუნეში, თბ., 1989
89. დავით პაიჭაძე, ევროპის ქვეყნების ანტიოსმალური კოალიცია და საქართველო, თბ., 1989
90. გივი ჯამბურია, გიორგი სააკაძე, თბ.
91. დოდო ლომიძე, ყიზილბაშობა 1735-1749 წლების აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 2007
92. იასე ცინცაძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, თბ. 1956
93. ივანე ჯავახიშვილი, დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII ს-ში, თბ., 2006
94. ვალერიან მაჭარაძე, ასპინძის ბრძოლა, თბ., 1957
95. იასე ცინცაძე, 1783 წლის მფარველობით ტრაქტატი, თბ., 1960
96. სარგის კაკაბაძე, კრწანისის ომი, თბ., 1991
97. იასე ცინცაძე, ალა-მაჰმად-ხანის თავდასხმა საქართველოზე (1795 წელი), თბ., 1969
98. თეიმურაზ პეტრიაშვილი, კრწანისის ნაბრძოლი ხმალი და ბატის ფრთის კალამი იოანე ბატონიშვილისა, თბ., 2006.
99. დიმიტრი შველიძე, ევროპული ცნობები ერეკლე მეორის შესახებ, თბ., 2005
100. ალექსანდრე ხახანაშვილი, მეფე იმერეთისა სოლომონ II, ტფ., 1910
101. მამია გონიკაშვილი, ბაგრატიონთა დასახლება და მოღვაწეობა რუსეთში, თბ., 1986
102. ლევან თოიძე, 25 თებერვლის შემდეგ, მაცნე, ისტორიის სერია, თბ., 1990
103. ნოდარ მათიკაშვილი, მ. კვალიაშვილი, იუნკრები, მაცნე, ისტორიის სერია, თბ., 1990
104. აკაკი გელაშვილი, კახეთის 1812 წლის აჯანყება, თბ., 2003
105. როსტომ ჩხეიძე, წერილები ისტორიის ნისქვილიდან (არჩილ ჯორჯაძის ცხოვრების ქრონიკა), თბ., 2008
106. გურამ თევზაძე, სოლომონ დოდაშვილი თბ., 2005
107. პაატა ნაცვლიშვილი, ნიკო ნიკოლაძის სიკვდილი და გარდაცვალება, თბ., 2004
108. როსტომ ჩხეიძე, საშვილიშვილო მოკავშირე – დიმიტრი ყიფიანი, თბ., 2007
109. თამილა ქადარია, სამეგრელოს სამთავრო XIX საუკუნის I ნახევარში, თბ., 2003
110. ლიანა ანთელავა, დედოფალი, თბ., 2008
111. ვახტანგ ფერაძე, ლევან მუშლაძე, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიის ნარკვევები X-XXI საუკუნეებში, თბ., 2008
112. ხალილ უმაროვ-გოზალიშვილი, მესხთა ტრაგედია, თბ., 2005
113. გიორგი კალანდია, გაძარცვული საგანძური, თბ., 2006
114. ლევან დოლიძე, გენერლები საქართველოდან, თბ., 2003

115. ირაკლი მახარაძე, გურული მხედრები ამერიკაში, თბ., 2007
116. ირაკლი მახარაძე, გურული ფირალები, თბ., 2008
117. რევაზ კვერენჩილაძე, საბუთები ლალადებენ, თბ., 2007
118. ლაშა ბაქრაძე, გერმანულ-ქართული ურთიერთობები პირველი მსოფლიო ომის დროს, თბ., 2010
119. ჯაბა სამუშია, საბჭოთა კავშირის პრეტენზიები თურქეთისადმი, თბ., 2003
120. როლანდ კალანდაძე, რუსეთის ქართული კოლონიებისა და სავანეების ისტორიიდან, თბ., 2008
121. ირაკლი მახარაძე, ლაშა ხეცურიანი, რუსულ-ქართული ტერორი, თბ., 2009
122. ფრანსუა და რევაზ ნიკოლაძეები, ქართველები საფრანგეთისთვის ბრძოლებში, თბ., 2009
123. რუსუდან ჯავახიშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, თბ., 2010
124. რონალდ ასმუსი, პატარა ომი, რომელმაც შეძრა მსოფლიო, თბ., 2010
125. ფული საქართველოში, საქართველოს ეროვნული ბანკის გამოცემა, თბ., 2003

წყაროები

1. თინათინ ყაუხჩიშვილი, ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1960
2. თინათინ ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1957
3. თინათინ ყაუხჩიშვილი, აპიანე, მითრიდატეს ომების ისტორია, თბ., 1959
4. თინათინ ყაუხჩიშვილი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, I, 1967; II, 1969; III, 1976; IV, 1980; V, 1983; VI, 1987
5. თინათინ ყაუხჩიშვილი, საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბ., 1976
6. თინათინ ყაუხჩიშვილი, ჰიპოკრატეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბ. 1965
7. თინათინ ყაუხჩიშვილი, საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი, I, დასავლეთი საქართველო, თბ., 1999
8. ჰეროდოტე, ისტორია, თარგმანი ს. ყაუხჩიშვილისა, თბ., ტომი I, 1975; ტომი II, 1976
9. ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, ნ. კეჭალაძის გამოცემა, თბ., 1961
10. აპიანე, მითრიდატეს ომების ისტორია, ნ. ლომოურის გამოცემა, თბ., 1966
11. თეიმურაზ მიქელაძე, ქსენოფონტის “ანაბაზისი”, თბ., 1967
12. ტაციტუსის ცნობები საქართველოს შესახებ, ალ. გამყრელიძის გამოცემა, თბ., 1973
13. დიონ კასიუსის ცნობები საქართველოს შესახებ, ნ. ლომოურის გამოცემა, თბ., 1966
14. აპოლონ როდოსელი, არგონავტიკა, ა. ურუშაძის გამოცემა, თბ., 1970
15. ნოდარ ლომოური, ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები ქართველი ტომების შესახებ, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 35, თბ., 1963
16. პლუტარქე, I, ა. ურუშაძის გამოცემა, თბ., 1957
17. კლავდიუს პტოლემეისი, გეოგრაფიული სახელმძღვანელო, ცნობები საქართველოს შესახებ, ნ. ლომოურის გამოცემა, თბ., 1955
18. ალექსანდრე გამყრელიძე, პომპონიუს მელას ცნობები საქართველოს შესახებ, ქართული წყაროთმცოდნეობა, კრებული I, თბ., 1965
19. ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1963
20. რისმაგ გორდეზიანი, ჰეროდოტეს ცნობა კოლხთა წარმომავლობის შესახებ, თსუ შრომები, 162, თბ., 1975
21. ვანი I, კრებული, რედ. ო. ლორთქიფანიძე, თბ., 1972
22. ვანი II, თბ., 1976
23. ვანი III, თბ., 1977
24. ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1955
25. ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1959
26. ქართლის ცხოვრება, IV, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1973
27. ლაპიდარული წარწერები, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980
28. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი (IX-XIII სს.), თბ., 1984
29. ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ნიგნი I, ილ. აბულაძის რედაქციით, თბ., 1955
30. სიმონ ყაუხჩიშვილი, გეორგიკა (ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ), ტ. I, თბ., 1961; ტ. II, თბ., 1934; ტ. III, 1936; ტ. IV (ნაკვ. I და II) 1941
31. ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატეიანე, რ. კიკნაძის გამოცემა, თბ., 1987
32. ძეგლის დადება გიორგი V-ის ბრწყინვალისა, დ. ფურცელაძის გამოცემა, თბ., 1988
33. ძეგლი ერისთავთა, შ. მესხიას გამოცემა, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ., 1954
34. სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XIII-XIV სს.), ქრისტინა შარაშიძის გამოცემა, თბ., 1982
35. ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, მ. შანიძის გამოცემა. თბ., 1992
36. შატბერდის კრებული, მოქცევაი ქართლისაი, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, თბ., 1979
37. პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, ელ. ცაგარეიშვილი გამოცემა, თბ., 1981
38. ომან ხერხეულიძე, მეფობა ირაკლი მეორისა, ლ. მიქიაშვილის გამოცემა, თბ., 1989
39. ნიკო დადიანი, ქართველთა ცხოვრება, შ. ბურჯანაძის გამოცემა, თბ., 1962
40. თეიმურაზ ბაგრატიონი, დავით ბაგრატიონის ისტორია, თ. ენუქიძის გამოცემა, თბ., 1972

41. თეიმურაზ ბაგრატიონი, ახალი ისტორია, ლ. მიქიაშვილის გამოცემა, თბ., 1983
42. ბაგრატი ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, თ. ლომოურის გამოცემა, თბ., 1941
43. იოანე ბაგრატიონი, სჯულდება (ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმირების პროექტი), ი. სურგულაძის გამოცემა, თბ., 1957
44. იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, თ. ენუქიძის და გ. ბედოშვილის გამოცემა, თბ., 1986
45. ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდის სამთავროებისა (1466-1770), წიგნი I, შ. ბურჯანაძის გამოცემა, თბ., 1958
46. ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსვლა, ელ. მეტრეველის გამოცემა, თბ., 1956
47. იოანე ქართველიშვილის მემუარები, ა. იოსელიანის გამოცემა, თბ., 1952
48. რაფიელ დანიბეგაშვილის მოგზაურობა ინდოეთში, ბირმასა და აზიის სხვა ქვეყნებში (1795-1827) (რუსულ ენაზე), ლ. მარუაშვილის გამოცემა, მოსკოვი, 1969
49. გეორგიევსკის ტრაქტატი, ვ. მაჭარაძის გამოცემა, თბ., 1983
50. ქრისტინა შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIII სს.), მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ., 1954
51. ზაზა ალექსიძე, ეპისტოლეთა წიგნი (სომხური ტექსტი ქართული თარგმანიტურთ), თბ., 1968
52. ნოდარ ჯანაშია, ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1962
53. მარიამ ლორთქიფანიძე, ჰაბიბ იბნ-მასლამას დაცვის სიგელი, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 29, თბ., 1951
54. ნოდარ ასათიანი, მასალები XVII ს-ის საქართველოს ისტორიისათვის, თბ., 1973
55. ილია ტაბალუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, ტომი I, თბ., 1984; ტომი II, თბ., 1986; ტომი III, თბ., 1987
56. ალექსანდრე აბდალაძე, სომხურ ხელნაწერთა ანდერძმინანერების ცნობები საქართველოს შესახებ (X-XIII სს.), თბ., 2005
57. ნათელა ვაჩნაძე, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, როგორც საისტორიო წყარო. თბ., 1975
58. მარიამ ლორთქიფანიძე, რა არის “ქართლის ცხოვრება”, თბ., 1989
59. ე. აბაშიძე, ქართლის ცხოვრების წარმოქმნისა და განვითარების საკითხები, თბ., 1993
60. კ. გრიგოლია, ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1954
61. იოანე დრასხანაკერტელი, სომხეთის ისტორია (786-925), ე. ცაგარეიშვილის გამოცემა, თბ., 1965
62. მოვსეს კალანკატუაცი, ალვანთა ქვეყნის ისტორია, ლ. დავლიანიძე-ტატიშვილის გამოცემა, თბ., 1985
63. გრიგოლ აკანელი, მოისართა ტომის ისტორია, ნ. შოშიაშვილის გამოცემა, თბ., 1961
64. XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ, იტალიურიდან თარგმნა ელ. მამისთვალაშვილმა, თბ., 1981
65. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ს. ჯიქიას გამოცემა, თბ., 1964
66. ჰასან რუმელუს ცნობები საქართველოს შესახებ, რ. კიკნაძის გამოცემა, თბ., 1966
67. შაჰ-თამაზის საუბარი ოსმალეთის ელჩთან, კ. ტაბატაძის გამოცემა, თბ. 1976
68. თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები, იტალიურიდან თარგმნა ელ. მამისთვალაშვილმა, თბ., 1987
69. პლანო კარპინი, ისტორია მონღოლებისა, რომელთაც ჩვენ თათრებს ვუწოდებთ, გ. ქიქოძის თარგმანი, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, II ნაკვ. 1942
70. გუილიომ რუბრუკისი, მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, გ. ქიქოძის თარგმანი, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, V ნაკვ. 1945
71. თოვმა მენოფი, ისტორია თემურ-ლენგისა და მისი შთამომავლობისა, კ. კუციას თარგმანი, თბ., 1987
72. ჯუეენის ცნობები საქართველოს შესახებ, რ. კიკნაძის თარგმანი, თბ., 1974
73. ისკანდერ მუნში ცნობები საქართველოს შესახებ, ვლ. ფუთურის თარგმანი, თბ., 1969
74. ისკანდერ მუნში, აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის გაგრძელება, ნ. გელაშვილის თარგმანი, თბ., 1981
75. რობერტო გულბეკიანი, ნამდვილი ცნობები საქართველოს დედოფლის ქეთევანის მონამებრივი სიკვდილის შესახებ, ი. ტაბალუას და ც. ბიბილეიშვილის თარგმანი, თბ., 1987
76. “სამყაროს საკვირველებათა” ცნობები საქართველოს შესახებ, რ. კიკნაძის გამოცემა, თბ., 1978
77. XIV-XV სს-ის არაბი ისტორიკოსები საქართველოს შესახებ, დ. გოჩოლეიშვილის გამოცემა, თბ., 1988
78. აბუბეკრ ბინ აბდულაჰი, გამარჯვებათა წიგნი, თბ., 2007
79. მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ა. აბდალაძემ, თბ., 1984
80. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, თბ., 1990
81. ზურაბ ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბ., 1929
82. დავით ვაჩნაძე, ქართული ეროვნული ძირები და რუსული ბოლშევიზმი, თბ., 2004
83. ნოე რამიშვილი, საქართველო და რუსეთი, თბ., 2006
84. სოლომონ ზალდასტანიშვილი, საქართველოს 1924 წლის ამბოხება, თბ., 1989
85. ალექსანდრე სულხანიშვილი, მოგონებები შეფიცულთა რაზმზე, თბ., 2007

86. ზაქარია გურული, მოგონება, თბ., 2005
87. ნოე ჟორდანიას, ჩემი წარსული, თბ., 1990
88. გიორგი მაზნიაშვილი, მოგონებანი, ბათუმი, 1990
89. ნოე ჟორდანიას, რჩეული ნაწერები, თბ., 1990
90. თედო სახოკია, მოგზარობანი (გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი), ბათუმი, 1985
91. დავით ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი, 1987
92. ივანე ლიქოკელი, ხევსურები და ქაქუცა, თბ., 2007
93. ივანე ლიქოკელი, ლიქოკის სისხლიანი 37, თბ., 2010
94. ევგენი ვეიდენბაუმი, ბათუმიდან ართვინამდე, თბ., 2005
95. თედო ჟორდანიას, ქრონიკები, ტომი I, თბ., 2004
96. ვახტანგ ძაბირაძე, ეროვნული მოძრაობის შუქ-ჩრდილები, თბ., 2007
97. ირაკლი აბაშიძე, ზარები ოცდაათიანი წლებიდან, თბ., 2003
98. გერონტი ქიქოძე, თანამედროვის ჩანაწერები, თბ., 2003
99. ზაქარია გურული, მოგონება, თბ., 1005
100. კალისტრატე ცინცაძე, ჩემი მოგონებებიდან, თბ., 2001
101. მიხეილ ჯავახიშვილი, უბის წიგნაკიდან, თბ., 2005
102. გრიგოლ აბაშიძე, მოგონებები, წერილები, თბ., 2009
103. იაკობ მანსვეტაშვილი, მოგონებები, თბ., 2006
104. ედუარდ აიხვალდი, საქართველოს შესახებ, თბ., 2005
105. რამონ ჟანენი, საქართველო, თბ., 1996
106. სამი ოსმალური წყარო თბილისის ისტორიისთვის, თბ., 2006
107. ნიკოლო მინიშვილი, თებერვალი, თბ., 2006
108. მარო მაყაშვილი, დღიური, თბ., 2004

თავი 6. ადამიანი და საზოგადოება

1. სამურაზის კანონები, აქადურიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ზურაბ კიკნაძემ, “მეცნიერება”, თბ., 1988
2. ვახტანგ VI, “სამართლის წიგნი”, თბ., 1955
3. ქართული ჩვეულებითი სამართალი, I, “მეცნიერება”, თბ., 1989
4. ქართული ჩვეულებითი სამართალი, II, “მეცნიერება”, თბ., 1990
5. ქართული ჩვეულებითი სამართალი, III, “მეცნიერება”, თბ., 1991
6. ადამიანის უფლებათა ლექსიკონი, თბ., 1999
7. ადამიანის უფლებები და ქართული კულტურა, თბ., 2004
8. საერთაშორისო პოლიტიკური და არასამთავრობო ორგანიზაციები (გაერო, იუნესკო, ევროკავშირი, ეუთო, ნატო, დსთ, ევროსაბჭო და სხვა), თბ., 2002
9. გაერო: დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 2003
10. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები: ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., 2005

თავი 7. საქართველოს კულტურული ტრადიციები და კულტურების გაცვლა

ლიტერატურა

1. ზურაბ ჭუმბურიძე, ქართული ხელნაწერის კვლადაკვალ, თბ., 2000
2. ლევან ჭილაშვილი, ნეკრესის უძველესი ქართული წარწერები და ქართული დამწერლობის ისტორიის საკითხები, თბ., 2004
3. ქრისტინა სარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში, თბილისი, 1955.
4. ზაზა სხირტლაძე, ადრეული შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობა, თბ., 2008
5. შოთა ხანთაძე, მარი ბროსე, თბილისი, 1966.
6. გულჩინა აკოფაშვილი, ქართველი დიპლომატი ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი — ნიკიფორე ირბახი (XVII ს.), თბ., 1977
7. ო. გვინჩიძე, ანთიმ ივერიელი, თბ., 1973.
8. იონ ნანუ, ქართული და რუმინული ხელოვნების ურთიერთობა, “საბჭოთა ხელოვნება”, №8, 1963.
9. კობა ხარაძე, XII-XV საუკუნეების ქართველი და უცხოელი მოგზაურები, თბ., 1987
10. მიხეილ შენგელია, ძიებანი ქართული მედიცინის ისტორიიდან, თბ., 1981
11. მაჩაბელი ნუნუ, ქართული ხალხური საოჯახო ყოფის ისტორიიდან, თბ., 1976
12. მინდაძე ნუნუ, ჩირგაძე ნინო, ქართული ხალხური სამედიცინო ტრადიციები, კახეთი, თბ., 2005
13. გურამ ჩიმაკაძე, ცხოვრება და ღვაწლი დავით სარაჯიშვილისა, თბ. 2003
14. სუმბაძე ლონგინოზ, ქართული ხითხუროთმოძღვრება, თბ. 1986
15. სურგულაძე ირაკლი, ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა, თბ., 1986
16. ლომთათიძე გიორგი, საქართველოს მოსახლეობის კულტურა და ყოფა I-XIII სს., თბ., 1982
17. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისთვის, კრებული XVIII, თბ., 1975
18. მანანა ხიდაშელი, ცენტრალური ამიერკავკასიის გრაფიკული ხელოვნება ადრეულ რკინის ხანაში, თბ., 1982

19. ივანე ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, III (ტანისამოსი, ქსოვილები და ხელსაქმე), IV (საომარი საჭურველი და სამხედრო საქმე), თბ., 1962

წყაროები

1. კონსტანტინე ბოროზდინი, სამეგრელო და სვანეთი (1854-1861), თბ., 2004
2. იაკობ რაინეგსი, მოგზაურობა საქართველოში, თბ., 2002
3. ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, თბ., 2005
- ალექსანდრე დიუმა, კავკასია, თბ., 2009
4. ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, მ. მაგლობლიშვილის თარგმანი, თბ., 1975
5. დონ ქრისტეფორო დე კასტელი, ცნობები და აღბომი საქართველოს შესახებ, ბ. გიორგაძის გამოცემა, თბ., 1976
6. არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, ალ. ჭყონიას თარგმანი, თბ., 1938
- გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გ. გელაშვილის გამოცემა. ტომი I, თბ., 1962; ტომი II, თბ., 1964
7. დე გრაი დე ფუა საქართველოს შესახებ, ჯ. ოდიშელის თარგმანი, თბ., 1985
8. ჟან ფრანსუა გამბა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში, მ. მაგლობლიშვილის თარგმანი, თბ., 1987
9. ჟოზეფ პიტონ დე ტურნეფორის მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, მ. მაგლობლიშვილის გამოცემა, თბ., 1988
10. მაქს ტილკე, კავკასიის ხალხთა კოსტიუმები, გამომც. "დიოგენე", თბ.
11. ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი, სამკურნალო წიგნი კარაბადინი, თბ., 1978

XII. ინტერნეტ-რესურსები

საქართველოს ისტორია

<http://ka.wikipedia.org>

www.matiane.com

<http://ggdavid.tripod.com/georgia/history.htm>

<http://www.istoria.ge>

<http://sisauri.tripod.com/history/history.html>

კულტურული მემკვიდრეობა

<http://www.museums.ge>

<http://www.monument.ge>

<http://www.photomuseum.org>

<http://sisauri.tripod.com/history/monuments.htm>

სახელმწიფო

<http://www.parliament.ge>

<http://www.president.gov.ge>

<http://www.constcourt.gov.ge>

<http://www.cec.gov.ge>

<http://www.ombudsman.ge>

<http://abkhazia.gov.ge>

<http://www.adjara.gov.ge>

გენეალოგია

<http://www.angelfire.com/ga/Georgian/kings.html>

<http://www.geogen.ge>

რელიგია

<http://www.tveni.ge>

<http://www.patriarchate.ge>

<http://www.orthodox.ge>

<http://www.ebcgeorgia.org>

<http://www.muslimgeorgia.org>

გარემოს დაცვა

<http://www.batsara.ge>

<http://www.kakheti.gov.ge/>

<http://www.lagodekhi.org.ge>

<http://www.borjomi-kharagauli-np.ge>

www.vashlovanipa.ge

www.knp.ge

www.knr.ge

www.gpadc.org

www.iucn.org

www.gccw.org

www.nacres.org

www.cenn.ge

www.aarhus.dsl.ge

ელექტრონული რესურსები სკოლის

მასწავლებლისთვის

სასწავლო ფილმები, ელექტრონული სასწავლო

თამაშები, სტატიები

<http://tpdc.ge>

მრავალფეროვანი რესურსები საკლასო

პრაქტიკისთვის, აქტივობები და პროექტები –

www.readwritethink.org

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები, წიგნები,

ბლოგები, პუბლიკაციები დირექტორებისთვის,

მასწავლებლებისა და განათლების

სპეციალისტებისთვის

www.ascd.org

ევროპული სასკოლო ქსელის პროექტი სასწავლო

პრობლემის ტექნოლოგიებით გასამდიდრებლად –

<http://espnet.eu>

თანამშრომლობითი სასწავლო ონლაინ პროექტები

სხვა ქვეყნის მოსწავლეებთან დასაკავშირებლად

<http://globalgateway.org>

პროფესიული განვითარების თემაზე საერთაშორისო

კონფერენციებისა და სამუშაო შეხვედრების

მონაცემთა ბაზა

www.educatorsprofessionaldevelopment.com

სასწავლო რესურსები და ობიექტები სხვადასხვა

საგნის მასწავლებლებისთვის

<http://lreforschools.eun.org>

თანამშრომლობითი სასწავლო ინტერნეტ-

პროექტები მონაწილეობის მსურველთათვის

<http://iearn.org>

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების

ცენტრის პუბლიკაციები

<http://ncac.ge>

“საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი”

– კომპაქტ-დისკი მასწავლებელთა

თვითგანათლებისთვის:

<http://www.dlf.ge/ge/downloads/downloads1/?id=790>

(აკრიფეთ მისამართი საძიებო ველში, მიყევით

ბმულს და ჩამოტვირთეთ დისკი).

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები

საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაქართველო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის. ამასთან ერთად, განათლების სისტემა უვითარებს მოზარდს გონებრივ და ფიზიკურ უნარ-ჩვევებს, აძლევს საჭირო ცოდნას, ამკვიდრებს ჯანსაღი ცხოვრების წესს, მოსწავლეებს უყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში.

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე მოზარდმა უნდა შეძლოს:

ა) ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება;

ბ) ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება და დაცვა;

გ) ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტიანად გამოყენება; ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი;

დ) დამოუკიდებლად ცხოვრება, გადაწყვეტილების მიღება;

ე) იყოს შემოქმედი, თავად შექმნას ღირებულებები და არ იცხოვროს მხოლოდ არსებულის ხარჯზე;

ვ) საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარება მთელი ცხოვრების განმავლობაში და მათი მაქსიმალური რეალიზება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთაც;

ზ) კომუნიკაცია ინდივიდებთან და ჯგუფებთან;

თ) იყოს კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქე.